

$\frac{1}{2014}$

တော်မြတ်  
လွှာ  
နိုင်ဘာရွှေ့ပါ



# თეატრი

## და ცხოვრება

1  
/2014  
იანვარი  
თებერვალი

მთავარი რედაქტორი  
გურამ ბათიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი  
ნინო მაჭავარიანი

საკონსულტაციო საბჭო:  
ნოდარ გურაბანიძე,  
დავით დოიაშვილი,  
ვასილ კიკნაძე,  
ირაკლი სამსონაძე,  
გიორგი სიხარულიძე,  
რობერტ სტურუა,  
თემურ ჩხეიძე



საქართველოს ეროვნული  
და ქადაგური დაცვის  
სამინისტრო

შურნალ „თეატრი და ცხოვრების“  
რედაქცია მადლობას მოახსენებს საქა-  
რთველოს კულტურისა და ძეგლთა  
დაცვის სამინისტროს ფინანსური მხ-  
არდაჭერისთვის.

1910-1926 „თეატრი და ცხოვრება“  
1950-1990 „თეატრალური მოამბე“

<b>ნინო მაჭავარიანი —</b>	<b>Nino Matchavariani – The day of</b>
ქართული თეატრის დღე – 2014 -----	Georgian Theatre – 2014 ----- 3
<b>ლაშა ჩხარტიშვილი — როგორ მუშაობდა ქართული</b>	<b>Lasha Chkhartishvili – How Well The Georgian Theatre</b>
თეატრი 2013 წელს -----	Worked in 2013 ----- 5
<b>ვასილ კიკნაძე — სიმართლისათვის მექრძოლი</b>	<b>Vasil Kiknadze – The artist fighting for the Truth ----- 9</b>
ხელოვანი -----	
<b>ლაშა ჩხარტიშვილი — ცენზურა და თვითცენზურა</b>	<b>Lasha Chkhartishvili – Censor and Selfcensor In Postsoviet</b>
პისტაბჭოთა ქართულ თეატრში -----	Georgian Theatre ----- 11
<b>ადგილობრივი თეატრები:</b>	
<b>არობდები, პერსონაჲის და მასის გამოყენები</b>	
<b>ვასილ ჩიგოგიძე — ოზურგეთის თეატრის</b>	<b>Vasil Chigogidze – We Have to lay Foundation of The 150th</b>
გამოწყისებულ 150 წლის იუბილეს დღეს უნდა	Anniversary of Ozurgeti Theatre Today ----- 14
ჩავუყაროთ საფუძველი -----	
<b>მამუკა ცერცვაძე — პრობლემა ძალიან ბევრია!</b> -- 17	<b>Mamuka Tservadze – There Is a Lot of Problems (Chiaturi</b>
<b>მაია კიკნაძე — დურუჯი — 90 ----- 19</b>	Georgian Theatre ----- 17
<b>კვალი ნათელი</b>	
<b>დავით ჯანგველაძე — ქართული ხელოვნების</b>	<b>HISTORY</b>
პირველი დესპანი ----- 21	<b>Maia Kiknadze - Duruji – 90 ----- 19</b>
<b>ოლეგ ტაბაკოვი — ის იყო ადმინისტრი</b>	<b>David Jungveladze – The First Envoy Of Georgian Culture</b>
ნოდარ გურაბანიძე — სამყარო თეატრალის	----- 21
თვალით ----- 27	
<b>ირინა ლოლობერიძე — იქნებ?</b> ----- 36	<b>Oleg Tabakov – He Was a Man ----- 25</b>
<b>სპექტაკლები</b>	
<b>ირინა ლოლობერიძე — მთავარი ფილოსოფიაა... -- 37</b>	<b>Nodar Gurabaniadze - The World in the eye of a</b>
<b>მაკა ვასაძე — განსხვავებული ჟანრის სპექტაკლები</b>	<b>Theatre goer ----- 27</b>
ერთ თეატრში ----- 43	
<b>გუბაზ მეგრელიძე — მოწოდება საზოგადოების</b>	<b>Irine Gogoberidze – Perhaps? ----- 36</b>
სარულყოფისკენ ----- 50	
<b>გიორგი ყაჯრიშვილი — „ცხენი, ცხენი, ჩემს</b>	<b>PERFORMANCES</b>
სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევ!“ ----- 53	<b>Irine Gogoberidze – The Main Thing Is Philosophy ----- 37</b>
<b>დიალოგი</b>	
<b>დალი მუმლაძე — ნადირობა „გოდონზე“ ----- 58</b>	<b>Maka Vasadze – Performances Of Different Genres ----- 43</b>
<b>მოგონება</b>	
<b>სანდრო მრევლიშვილი —</b>	<b>Gubaz Megrelidze –</b>
„ეძიებდე და პპოვებდე“ ----- 67	Appeal For The Perfection Of Society ----- 50
<b>დრამატურგია</b>	
<b>დათო ტურაშვილი — დოდოს მოლოდინში ----- 70</b>	<b>Giorgi Kajrishvili – I Exchange My Kingdom</b>
<b>მოგონება</b>	
<b>ვასილ კიკნაძე — მონატრებული მოღვანის</b>	For One Horse ----- 53
გახსენება ----- 82	
<b>ქრისტიანი</b>	
<b>მემორიალური დაფა; მსახიობის ხსოვნა;</b>	<b>DIALOGUE</b>
მიხეილ ჭავჭავაძის გამოფენა ----- 84	<b>Dali Mumladze – Hunting for ‘Godot’ ----- 58</b>
<b>მოგონება</b>	
<b>თეატრალური ლიტერატურა</b>	<b>MEMOIR</b>
<b>გიორგი ცქიტიშვილი — „ქმნა მართლისა...“ ----- 85</b>	<b>Sandro Mrevlishvili – Look For And Find ----- 67</b>
<b>მუსიკა</b>	
<b>გუბაზ მეგრელიძე — კიდევ ერთი საჩუქარი</b>	<b>DRAMA</b>
თეატრის მკვლევართათვის ----- 89	<b>David Turashvili – ‘Waiting for Dodo’ ----- 70</b>
თეატრში პრემიერაა ----- 90	
<b>გუბაზ მეგრელიძე — კიდევ ერთი საჩუქარი</b>	
თეატრის მკვლევართათვის ----- 89	<b>CHRONICLE</b>
თეატრში პრემიერაა ----- 90	<b>Vasil Kiknadze – Recollection of The Figure We Miss ----- 82</b>
<b>მოგონება</b>	
<b>გიორგი ტშხიტიშვილი — „ქმნა მართლისა...“ ----- 85</b>	<b>THEATRICAL LITERATURE</b>
<b>მოგონება</b>	
<b>გუბაზ მეგრელიძე — კიდევ ერთი საჩუქარი</b>	<b>Giorgi Tskhishvili – Doing The Truth... ----- 85</b>
თეატრის მკვლევართათვის ----- 89	
თეატრში პრემიერაა ----- 90	
<b>გუბაზ მეგრელიძე — კიდევ ერთი საჩუქარი</b>	
თეატრის მკვლევართათვის ----- 89	
თეატრში პრემიერაა ----- 90	

# ქართული თეატრის 2014 - 2015

ქართული პროფესიული თეატრის აღდგენის დღე — ქართული თეატრის დღე — წელს იმ გიმნაზიის, დარბაზის მონახულებით დაიწყო, სადაც ეს ისტორიული ფაქტი მოხდა — 14 იანვრის დილით ცნობილი ქართველი თეატრალური მოღვაწები თბილისის კლასიკურ გიმნაზიას ეწვივნენ. იმ დარბაზში, რომელშიც „გაყრა“ დაიდგა, ისაუბრეს სთს თავმჯდომარემ გიორგი ქავთარაძემ და მისმა პირველმა მოადგილემ სანდორ მრევლიშვილმა, საზეიმო საღამო რუსთაველის თეატრში გაიმართა. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ გოგი ქავთარაძემ. მან მადლობა გადაუხადა თეატრის მოღვაწებსა და თეატრის მოყვარულებს იმისათვის, რომ ასე უყვართ ქართული თეატრი.

— თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, რომ ამიერიდან 14 იანვარი მიეცლვნება ქართული თეატრის მნიშვნელოვან თარიღებს და მოვლენებს. ჩვენ უკვე გავმართეთ ამ დღეს ოთარ მელინეთუხუცესის საიუბილეო საღამო. რაც შეეხება ყოველწლიურ დაჯილდოებას ნომინაციებში და სახელობით პრემიებს, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ გაიცემა, ეს ცერემონია თეატრის საერთაშორისო დღეს, 27 მარტს გაიმართება.

რომ დავსვათ კითხვა, კმაყოფილი ვართ თუ არა ქართული თეატრის მუშაობით დღეს, არც თუ სასიამოვნო პასუხს გავცემდით, მაგრამ თუ გაიხსნებთ, როგორი კმაყოფილი ვრჩებით გასტროლებიდან ჩამოსული თეატრებისა და ასევე იმ სასიამოვნო გარემოებასაც, რომ ყოველ სეზონზე რაღაც უჩვეულოდ საინტერესო პრემიერა იდგმება, მაგალითად, „გრონჭოლმის მეთოდი“ (რეჟ. თემურ ჩხეიძე), „მარია კალასა“ (რეჟ. რობერტ სტურუა), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენ მაინც ვვითარდებით და ეს მნიშვნელოვანია.

აქვე მინდა გამცნოთ, რომ აღდგა თეატრი „გლობუსი“ სანდორ მრევლიშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც მსახიობის სახლში დაიდებს ბინას.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ახალგაზრდობა დადგა ქართულ სცენაზე, რომელმაც თავისი სათქმელი მოიტანა და ახალგაზრდა მაყურებელი მოიყვანა ქართულ თეატრში.

მინდა აღვინიშნო რეგიონის თეატრების მდგომარეობა. მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებმა უნდა მიხედონ დანგრეულ თეატრებს. დღეს ამ საკითხზე ვერ ვიმსჯელებთ, მაგრამ მომავალში ამ საკითხის მოგვარებაში ტელევიზიაც აუცილებლად დაგვექმნარება.

წლევანდელ წელს უძღვნით შესანიშნავ პიროვნებას, მწერალს, დრამატურგს, საზოგადო მოღვაწეს, ქართული პროფესიული თეატრის აღმდგენელს — გიორგი ერისთავს, რომ-

ლის დაბადებიდან 200 წლისთავს აღვნიშნავთ. ჩვენ ქედს ვიხრით ამ ადამიანის წინაშე. დღეს ჩვენ ვნახავთ რეჟისორ სანდორ მრევლიშვილის კომპოზიციას და კიდევ ერთხელ გავისეხნებთ, რამდენი წინაღმდეგობა ხვდებოდა გიორგი ერისთავს შემოქმედებით გზაზე.

ამ საზეიმო დღეს მინდა გავიხსენო გიგა ლორთქიფანიძე, ვერ წარმომიდგენია, რომ ის არ არის დარბაზში ჩვენს გვერდით. დღეს ვნახეთ რამაზ ჩხივაძისადმი მიძღვნილი ფილმი. ჩვენს შორის აღარ არის ჩინებული ოთარ მეღვინეუთუხუცესი. დღეს ყველას ვერ ჩამოვთვლი. და ბოლოს მინდა ვთქვა: „ქართული თეატრი იბრძვის, ქართული თეატრი ცოცხლობს, ქართული თეატრი არსებობს და იარსებებს მუდამ“.

თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დამსხრეთ გააცნო გასული წლის სპექტაკლების, გასტროლებისა და თეატრების სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოების ნუსხა.

საზეიმო საღამოს პროფ. ვასილ კიკნაძემ თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა საიუბილეო თარიღებზე, რომლებსაც ზეიმობს თეატრალური საზოგადოება. რამდენიმე თვეში სრულდება 150 წელი გიორგი ერისთავის გარდაცვალებიდან, 130 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აღინიშნება ქართული აღდგენილი თეატრის დღე, რომლის სათავეებთან ილია, აკაკი, დიმიტრი ყიფიანი და სხვა ღირსეული მოღვაწენი იდგნენ, 90 წელი გავიდა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დაარსებიდან.

— გიორგი ერისთავის თეატრი შეთქმულთა თეატრი იყო — ამბობს ბ-ნი ვ. კიკნაძე — 1832 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგ, ციხიდან და გადასახლებიდან დაბრუნებულებს აღარ ჰქონდათ ალტერნატივა, როგორ ებრძოლათ რუსიფიკაციის წინაღმდეგ. სანატრელი იყო ქართული სიტყვის გაგონება. ზოგიერთი ქართველი თავადის ოჯახში ძალლის წითელი ხავერდის ენა ინახებოდა და ვინც ქართულად დაილაპარაკებდა, კისერზე კიდებდნენ. ასე იყო გადაგვარებული ერი. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ მათ თქვეს, რომ ახლა ხმლის კი არა, განათლების, გონიერებისა და კულტურის ამაღლების დროა. სწორედ ამ საქმეს ჩაუდგა სათავეში გიორგი ერისთავის კომედიის თეატრი. ვ. ერისთავი იყო პირველი მთარგმნელი შექსპირის პიესებისა, უურნალ „ცისკრის“ დამარსებელი, ის ქართველი თავადი, რომელმაც ყმები გაანთავისუფლა.

ალექსანდრე სუმბათაშვილმა შენიშნა, რომ ქართველების უბედურების სათავე სამი რამაა: რუსული მმართველობა, სომხური კაპიტალი და ქართული ხასიათი. ქართული თეატრის ბრძოლის ორიენტირი ამ სამი ფრონტის ხაზზე გადიოდა.



მომხსენებელმა გაიხსენა არა მხოლოდ ერი-სთავის თეატრის, არამედ მისი მსახიობების ტრაგიკული ბედიც. მსახიობი და დრამატურგი ზურაბ ანტონოვი, რომელიც 33 წლის ასაკში შიმშილით აღესრულა სარდაფში, რომელსაც პოლიციელი ედგა მცველად; გიორგი დვანაძე, რომელიც რუსეთში, გადასახლებაში გარდაიცვალა.

— გიორგი ერისთავმა შექმნა არა მხოლოდ სამსახიობო, არამედ დრამატურგიული სკოლაც. მის თეატრში იდგმებოდა მსახიობების მიერ დაწერილი 25 პიესა. ეს იყო მამხილებელი ხასიათის პიესები. ამ პერიოდის თეატრში არ დაიდგა ალ. ორბელიანის პატრიოტული პიესა, რადგან კომედიის თეატრში დასაშვები იყო მხოლოდ ის ნაწარმოებები, რომელიც ადამიანის მანერი ხსიათს აკრიტიკებდა და არა პოლიტიკურ სიტუაციებს.

მიხეილ ვორონცოვი ლიბერალი პოლიტიკოსი იყო. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მანძილზე უფრო ჭკვიანი დიპლომატი არ გვყოლია. მან ქართული ენა სავალდებულო გახადა სკოლებში — ეს იყო მისი პირველი ბრძანება. გიორგი ერისთავი, რომელიც თეორი ქართული ჩიხით დადიოდა, ბედნიერი იყო, რომ ქართველ ერს გარკვეულნილად მიეცა საშუალება ეროვნული უფლებების გარკვეულნილად დაცვისა.

— ქართული თეატრის ისტორია ღიაძლი შევილია თავისი ხალხის ისტორიისა — აღნიშნა მომხსენებელმა და ამის შემდგომ დაწვრილებით მიმოიხილა ქართული თეატრის ისტორიის სათავეები, ერეკლეს სასახლის კარის თეატრის თავდადება, გაიხსენა მაჩაბელი და გაბრიელ მაიორი-არეშაშვილი, და ისტორიის ამ ორ მონაკვეთს აღდგენილი ქართული თეატრის ისტორიული პერიოდიებიც მიამატა. — გიორგი ერისთავის თეატრის დახურვის შემდეგ, მისმა ვაჟმა დავით ერისთავმა დაწერა „სამშობლო“. ქართ-

ველ ხალხს სჭირდებოდა გმირი და ასეთ გმირს თავაზობდა „სამშობლო“ მაყურებელს. ეს იყო პირველი რეჟისორული სპექტაკლი, რომელმაც სათავე დაუდო ქართულ ტრაგიკულ თეატრს.

ვ. კიკნაძემ გაიხსენა სპექტაკლის ტრაგიკული ისტორია, შავრაზმელ კატკოვისა და რუსი ეგზარხოსის გამოხდომები საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა.

— ქართულმა თეატრმა თავისი არსებობის მანძილზე თავისი დიდგორის ომი მოიგო. ქართული თეატრი ისევე, როგორც ქართველი ხალხი, მოესწრო თავისუფლებას. ილიამ ბრძანა, ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო. ყოველმა ჩვენგანმა უნდა იცოდეს თავისუფლების ფასი. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი შლის ეროვნულ ცნობიერებას. ჩვენი პატარა ქვეყანაც პარტიებად იშლება, მაგრამ ისევ ილიას სიტყვები მინდა გავიხსენო, რომელმაც პარტიების წარმომადგენლებს უთხრა: თქვენ ყველას ერთი პარტია გაქვთ — საქართველო.

თანამედროვე თეატრიც ამ მიზანს ემსახურება. სწორედ ამიტომ არის ქართული თეატრის წარმატებები აშკარა და ამიტომ აქვს მას დიდი პოტენციალი.

რაღა უნდა გითხრათ იმაზე მეტი, რაც ილიაშ უთხრა მსახიობებს: „იმხნევთ და იძლიერეთ!“.

ს. მრევლიშვილის ლიტერატურული კომპოზიცია გიორგი ერისთავის ცხოვრებისა და მოლვანეობის შესახებ წარმოადგინეს მსახიობებმა: მარინა კახიანმა, ლევან ბერიკვაშვილმა, ლევან ხურციამ, ბართ ჩაჩიბაიამ და ბექა სონდულაშვილმა. გიორგი ერისთავი განასახიერა გიორგი ქავთარაძემ.

საღამოს დასასრულს მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს წანებულებები სპექტაკლიდან „გაყრა“.

**ნინო მაჯავარიანი**

# როგორ გუშაობდა ქართული თეატრი 2013 წელს

ლაშა ჩხარტიშვილი

უკვე მეორე წელია იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრი ყოველი წლის დასაწყისში ქართული თეატრის განვლილი ერთი წლის სტატისტიკური კვლევის შედეგებს აქვეყნებს და აჯამებს წლის მნიშვნელოვან თეატრალურ მოვლენებს. კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ მაჩვენებლებს და ის არ გამოხატავს მხატვრულ ხარისხსა და თვისობრიობას.

2013 წელი მნიშვნელოვანი და გარდამტეხი წელი იყო ქართული თეატრისათვის, რაც განპირობებულია იმით, რომ საქართველოს თეატრებმა ფუნქციონირება დაინტეს ახალი კანონის „პროფესიული თეატრების შესახებ“ შესაბამისად. 2013 წელს საქართველოს 50-მდე თეატრში დაინიშნა ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კულტურის სამინისტროში დაინტენ მუშაობა კულტურის პოლიტიკის კონცეფციის შექმნაზე.

წლის განმავლობაში 200-ზე მეტი ახალი სპექტაკლი დაიდგა საქართველოს 48 სახელმწიფო და კერძო თეატრში, რაც წინა წლისათვის შედარებით 36%-ით მეტია.

მნიშვნელოვანი თეატრალური მოვლენა, თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის აზრით, წელსაც რჩება თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, მიხეილ თუმანიშვილის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „საჩუქარი“ აღდგენა და თეატრალური პრემია „დურუჯის“ დაჯილდობების ცერემონიალი, 2013 წელს გაიხსნა ახალი სათეატრო სივრცეები - „ახალი სცენა“ და „თეატრი ფაბრიკა“.

2013 წელს დიდი წარმატება ჰქონდა ქართულ თეატრს საერთაშორისო ასპარეზზე. საქართველოს 10-ზე მეტი თეატრი საგასტროლოდ იმყოფებოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, რომელთაგან აღსანიშნავია მარჯანიშვილის თეატრის საგასტროლო ტურნე ევროპაში ლევან წულაძის სპექტაკლით „როგორც გენებოთ“. სპექტაკლი წარმოდგენილი იყო მეორე მიწვევით შექსპირის

თეატრში — „გლობუსი“ ფესტივალის — „მსოფლიო გლობუსში“ ფარგლებში.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისის ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის წარმატება საერთაშორისო ფესტივალზე. მათ შორის, ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლმა „ფეხმარდი (ცხენი)“ სლავური კულტურის საერთაშორისო ფესტივალზე „ოქროს რაინდი“ გრან-პრი დაიმსახურა. გრიბოედოვის თეატრს მიენიჭა ასევე პრემია „თეატრალის ვარსკვლავი“ ნომინაციაში „საუკეთესი რუსული თეატრი საზღვარგარეთ“.

2013 წელს განხორციელებულ დადგმებს შორის სათეატრო კრიტიკის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა სპექტაკლებზე: „ტროელი ქალები“ (სამეფო უბნის თეატრი, რეჟისორი დათა თავაძე), „გრონჰოლმის მეთოდი“ (მარჯანიშვილის თეატრი, რეჟისორი თემურ ჩხეიძე), „ზამთრის ზღაპარი“ (თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი, რეჟისორი დათა თავაძე), „კალასი“ (თეატრი — „ფაბრიკა“, რეჟისორი რობერტ სტურუა), „ტარტიუფი“ (მარჯანიშვილის თეატრი, რეჟისორი ლევან წულაძე).

2013 წლის განმავლობაში სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარებდა ფოთის, ბათუმის მოზარდ მაყურებელთა და ილიაუნის თეატრებში. მალე ეს თეატრები რეკონსტრუირებულ შენობებში გამართავენ პრემიერებს.

2013 წელს ქართულმა თეატრმა მნიშვნელოვანი დანაკლის განიცადა. გარდაიცვალნენ მსახიობები: ოთარ მეღვიწეუბუცესი, გურამ სალარაძე, რეზო თავართქილაძე, რეჟისორები: გიგა ლორთქიფანიძე, ლევან მირცხულავა, სცენოგრაფი თემურ ნინუა და თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე.

რაც შეეხება უშუალოდ თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევას, წლევანდელ კვლევაში საქართველოს 37 თეატრის მონაცემებია წარმოდგენილი. მათ შორის, დედაქალაქის - 13 თეატრი, რეგიონის - 18 თეატრი და კერძო

(დამოუკიდებელი) - 6 თეატრი.

2013 წელს საქართველოს 37 თეატრში დაიდგა 160 სპექტაკლი. ამათგან:

დედაქალაქის თეატრებში - 74, თბილისის დამოუკიდებელ თეატრებში - 12, რეგიონულ თეატრებში - 74.

პრემიერების რაოდენობით გამორჩეული თეატრების ხუთეული თბილისში ასე გამოიყურება: მოზარდ მაყურებელთა თეატრი — 23, მარჯანიშვილის თეატრი — 19, თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი — 9, მუსიკისა და დრამის თეატრი — 5.

რეგიონული თეატრებიდან კი პირველ ადგილს ერთდღოულად ინაწილებენ თელავისა და მესხეთის თეატრები 7-7 პრემიერით. მათ თანაბარი 5 პრემიერით მოსდევს ქუთაისის, ფოთისა და რუსთავის თეატრები.

წელს საქართველოს 37 თეატრში დაიდგა:

48 თანამედროვე ქართველი ავტორის პიესა, 91 უცხოული ავტორის პიესა და 91 პიესა — კლასიკური დრამატურგიდან. მათ შორის, 20 — ქართული კლასიკიდან, ხოლო 71 — უცხოური კლასიკიდან.

ყველაზე ხშირად, 4-ჯერ საქართველოს სხვადასხვა თეატრმა მიმართა დათო ტურაშვილის დრამატურგიას. 2013 წელს ყველაზე მეტჯერ (4-ჯერ) დათო ტურაშვილის პიესები დაიდგა:

- „მატარებელი“ - ცხინვალის თეატრი,
- „დოდოს მოლოდინი“ - მარჯანიშვილის თეატრის სხვენი,
- „დოდოს მოლოდინი“ - მესხეთის თეატრი
- „ევრო ჯორჯია“ - მარჯანიშვილის თეატრის სხვენი.

2013 წელს ქართული თეატრის სცენაზე ასევე დაიდგა შემდეგი თანამედროვე ქართველი დრამატურგების პიესები:

- თამაზ ჭილაძე- თელავი;
- თამარ ბართაია-თავისუფალი თეატრი;
- დათო გაბუნია-ფოთის თეატრი;
- მიხო მოსულიშვილი-გორის და რუსთავის თეატრები;
- ზურა პაპიაშვილი-მარჯანიშვილის თეატრი;
- ნესტან-ნენე კვინიკაძე-მარჯანიშვილის თეატრი;
- ნანუკა სეფაშვილი-გორის თეატრი;
- ნინო სადლობელაშვილი-ქუთაისის თეატრი;
- ლალი კეკელიძე-მესხეთის თეატრი.

2006 წლიდან დღემდე მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების განვითარების საერთაშორისო ფონდი მანანა ანთაძის ხელმძღვანელობით ატარებს კონკურსებს ახალი ქართული პიესის დასაუკეთესოდ თარგმნილი პიესის გამოსავლენად. კონკურსებში 60 მთარგმნელმა 89 პიესა თარგმნა, 130 ავტორმა დაწერა 140 პიესა. ქართულ სცენაზე მათგან 25 უკვე განხორციელდა.

2013 წელს საქართველოს 37 თეატრიდან საქართველოს ფარგლებს გარეთ საგასტროლოდ გავიდა 19 თეატრი. ამათგან: დედაქალაქის თეატრი — 11; კერძო (დამოუკიდებელი) თეატრი — 5; რეგიონის თეატრი — 2.

საქართველოს 18-მა თეატრმა გასტროლები გამართა მსოფლიოს 22 ქვეყანაში.

18-მა თეატრმა საზღვარგარეთ სპექტაკლები წარმოადგინა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 42 ქალაქში. ყველაზე მეტჯერ ქართული თეატრი 2013 წელს საგასტროლოდ თურქეთს (6), დიდ ბრიტანეთს (ლონდონი - 6) და შოტლანდიას (ედინბურგი - 5) ეწვია.

თბილისის თეატრებიდან ყველაზე მეტი (7 ქვეყანა) გასტროლი გამართა მუსიკისა და დრამის თეატრმა, ხოლო მარჯანიშვილის თეატრმა - 5; გრიბოედოვის და თუმანიშვილის თეატრებმა — 4-4 გასტროლი გამართეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ხოლო 3 ოპერისა და ბალეტის თეატრმა.

თბილისის დამოუკიდებელი კერძო 6 თეატრიდან საზღვარგარეთ გასტროლებზე იმყოფებოდა 5 თეატრი. მათ შორის, ყველაზე მეტჯერ (7-ჯერ) თავისუფალი თეატრი, ხოლო ორჯერ — თეატრი ათონელზე. რეგიონული თეატრებიდან კი მხოლოდ ფოთის (2-ჯერ) და გორის (1-ჯერ) თეატრები იმყოფებოდნენ გასტროლებზე საზღვარგარეთ.

საქართველოს 37 თეატრიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გასტროლებზე იმყოფებოდა თეატრების უმრავლესობა. რეგიონებში მოლვანე 26 თეატრმა საქართველოს 33 ადმინისტრაციულ პუნქტში გამართა 104 წარმოდგენა. ყველაზე ხშირად საქართველოს თეატრები გასტროლებს 2013 წელს მართავდნენ:

- თბილისში - 13 (რეგიონის თეატრები)
- ქუთაისში - 13 (თბილისის და რეგიონის თეატრები)
- თელავში - 8 (თბილისის და რეგიონის თეატრები)
- ბათუმში - 7 (თბილისის და რეგიონის თეატრები)

საქართველოს 37 თეატრში 2013 წლის განმავლობაში გაიმართა 3 530 წარმოდგენა, ამათგან, დედაქალაქის თეატრებში 2 297, ხოლო რეგიონების 19 თეატრში — 1 243 სარეპერტუარო წარმოდგენა.

2013 წლის განმავლობაში სარეპერტუარო წარმოდგენების რაოდენობით გამოიჩინევა შემდეგი თეატრები: თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი — 618, მარჯანიშვილი — 387, თავისუფალი თეატრი — 219, რუსთაველის თეატრი — 159, თბილისის თოჯინების თეატრი — 150 და თუმანიშვილის თეატრი 125. ხოლო რეგიონული თეატრებიდან ქუთაისის თოჯინების თეატრი — 412, ახალციხის თოჯინების თეატრი — 120, გორის თეატრი — 88, ბორჯომის თოჯინების თეატრი — 85.

საქართველოს 37 თეატრს 2013 წელს - 434 904 მაყურებელი სტუმრობდა, ამათგან დედაქალაქის თეატრებს - 304 040 მაყურებელი, ხოლო რეგიონის თეატრებს - 130 764 მაყურებელი.

თანამედროვე ქართული თეატრის ერთი წლის კვლევა ეფუძნება სტატისტიკური კვლევის მეთოდს, თუმცა, რაოდენობრივი მაჩვენებელი მიუთითებს შემოქმედის პროდუქტიულობასა და აქტიურ მოღვაწეობაზე.

2013 წელს ყველაზე პროდუქტიული რეჟისორები არიან თავისუფალი (დამოუკიდებელი), რეჟისორები, რომლებიც ამ ეტაპზე არ არიან არც ერთი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელები: 2013 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი სპექტაკლი საქართველოს სხვადასხვა თეატრში განახორციელა გიორგი შალუტაშვილმა (5), დავით მაცხონაშვილმა (4), პატა ციკოლიამ (3).

2013 წელს სამ-სამი სპექტაკლი დადგეს სამხატვრო ხელმძღვანელებმა: ლევან წულაძემ, ავთანდილ ვარსიმაშვილმა, სოსო ნემისაძემ, დიმიტრი ხვთისიაშვილმა, გიორგი სიხარულიძემ, დავით მღებრიშვილმა, მამუკა ცერცვაძემ, ელენე მაცხონაშვილმა.

2013 წლის ყველაზე პროდუქტიული მხატვრები არიან:

აივენგოჭელიძე — 9 სპექტაკლი, ლომგულ მურუსიძე — 9; თეო კუხიანიძე — 8; ვახტანგ ქორიძე — 7, ლევან წულაძე — 7; ქეთი ნადიბაძე — 5, მირიან შველიძე — 5.

ყველაზე პროდუქტიული ქალი მსახიობები 2013 წელს არიან:

ხატია მელქაძე (თბილისის მოზარდი) — 7 როლი, ქეთევან შუბითიძე (მესხეთის თეატრი) — 5, ნინო ლეზავა (თბილისის მოზარდი) — 5, სალომე წურწუმია (თბილისის მოზარდი) — 5, ნინო არჩაია (თბილისის მოზარდი) — 5, ნინო პაპიაშვილი (თბილისის მოზარდი) — 5.

ყველაზე პროდუქტიული მამაკაცი მსახიობები 2013 წელს:

ვახტანგ ნოზაძე (თბილისის მოზარდი) — 8, ნიკა ნანიტაშვილი (თბილისის მოზარდი, ილიაუნის თეატრი) — 7, ლაშა ბუტულაშვილი (მესხეთის თეატრი) — 6, ვარლამ წიკლაური (მესხეთის თეატრი) — 5, ლექსო ჩემია (მესხეთის თეატრი) — 5, მანუჩარ გოგოლაური (მესხეთის თეატრი) — 5.

სხვადასხვა თეატრში მიწვეული მსახიობების მიერ შესრულებული როლების რაოდენობრივი მაჩვენებლები 2013 წელს:

ნიკა ნანიტაშვილი — 8 როლი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, თბილისის მოზარდ მაყურებელთა და ილიაუნის თეატრის მსახიობი),

ანა ზამბახიძე — 6 (თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრისა და ვასო აბაშიძის მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი),

გაგა შიშინაშვილი — 5 (თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრისა და სამეფო უბნის თეატრის მსახიობი),

მაია ხორხაული — 5 (თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი).

საერთო რეიტინგები, თეატრების მიხედვით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ ასე გამოიყურება:

პრემიერების რეიტინგი:

- თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი — 23 პრემია

- მარჯანიშვილის თეატრი — 14 პრემია,

- თუმანიშვილის თეატრი — 9 პრემია,

- თელავის, ახალციხის თეატრები — 7 პრემია,

- თბილისის ოპერისა და ბალეტის, მუსიკისა და დრამის, ილიაუნის, ფოთის, ქუთაისის, რუსთავის თეატრები — 5 პრემია,

- გორი, ბორჯომის თოჯინები, ზესტაფონის, ბათუმის, თავისუფალი თეატრის, გრიბოედოვის სახ., რუსთაველის სახ. თეატრები — 4 პრემია,

- ახმეტელის სახ., თბილისის თოჯინების, ბათუმის თოჯინების, ხულოს,

ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ქუთაი-სის თოჯინების, ჭიათურის, ახალციხის თო-ჯინების თეატრები — 3 პრემია,

8. სოხუმის, ცხინვალის, თეატრები თეატრი ათონელზე, აზერბაიჯანული თეატ-რი — 2 პრემია,

9. თეატრი „ფაბრიკა“, სამფო უბნის თეატრი — 1 პრემია.

### **უცხოეთში გასტროლების რეიტინგი:**

1. მუსიკისა და დრამის, თავისუფალი თეატრები — 7 გასტროლი,
2. მარჯანიშვილის თეატრი — 5,
3. თუმანიშვილის თეატრი — 4,
4. თბილისის ოპერისა და ბალეტის, გრიბოედოვის თეატრები — 3,
5. რუსთაველის, აზერბაიჯანული, თეატრი ათონელზე, ფოთის თეატრი — 2,
6. თბილისის მოზარდთა, ახმეტელის, ჩრდილების, მარიონეტების, ილიაუნის, სამეფო უბნის, თეატრი „ფაბრიკა“, გორი — 1.

### **ქვეყნის შიგნით გასტროლების რეიტ-ინგი:**

1. თბილისის მოზარდის თეატრი — 15 გასტროლი,
2. ცხინვალის თეატრი — 12,
3. ზუგდიდის თეატრი — 9,
4. მარჯანიშვილი, ბორჯომის თოჯინე-ბი, — 6,
5. თუმანიშვილის სახ., აზერბაიჯანუ-ლი, ფოთის თეატრები, — 5,
6. ჩრდილების, გორი — 4,
7. თბილისის თოჯინები, თავისუფალი თეატრი, ქუთაისის, თელავის თეატრები — 3,
8. რუსთაველის, ახმეტელის, ბათუმის თოჯინების, ჭიათურის, მესხეთის თეატრები — 2,
9. მუსიკისა და დრამის, გრიბოედოვის, სამეფო უბნის, თეატრი ათონელზე, ბეჭუმი, ოზურგეთი, ახალციხის თოჯინები — 1,

### **მაყურებლის დასწრების რეიტინგი:**

1. თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრი — 100 000-მდე მაყურებელი,
2. მარჯანიშვილის თეატრი — 80 000-მდე მაყურებელი,
3. ქუთაისის თოჯინების თეატრი — 50 000-მდე მაყურებელი,
4. გრიბოედოვის სახ., თბილისის თო-ჯინები, ქუთაისის თეატრები — 30 000-მდე

მაყურებელი,

5. თუმანიშვილის, მესხეთის თეატრები — 20 000-მდე მაყურებელი,
6. თბილისის ოპერა, რუსთაველის, თა-ვისუფალი თეატრები — 15 000-მდე მაყურე-ბელი,

7. მუსიკისა და დრამის, მარიონეტები, ბათუმის თოჯინების, ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ჭიათურის, ზესტაფონის, ბორ-ჯომის თოჯინების, თელავის, ცხინვალის თეატრები — 10 000-მდე მაყურებელი,

8. ახმეტელის, ჩრდილები, აზერბაიჯან-ული, ილიაუნის, თეატრი ათონელზე, ბათუ-მის, ხულოს, ფოთის, ახალციხის თოჯინების, გორის, რუსთავის თეატრები — 5 000-მდე მაყურებელი.

### **წარმოდგენების რეიტინგი, საქართ-ველის თეატრების მიხედვით:**

- 1) თბილისის მოზარდთა თეატრი — 618,
- 2) ქუთაისის თოჯინების თეატრი — 412,
- 3) მარჯანიშვილის თეატრი — 387,
- 4) თავისუფალი თეატრი — 219,
- 5) რუსთაველის თეატრი — 159,
- 6) თბილისის თოჯინების თეატრი — 150,
- 7) თუმანიშვილის თეატრი — 125,
- 8) ახალციხის თოჯინების თეატრი — 120,
- 9) გრიბოედოვის თეატრი — 115,
- 10) ახმეტელის თეატრი — 106,
- 11) მარიონეტების თეატრი — 104,
- 12) მუსიკისა და დრამის თეატრი — 93,
- 13) გორის თეატრი — 88,
- 14) ბორჯომის თოჯინების თეატრი — 85,
- 15) მესხეთის თეატრი — 78,
- 16) ოპერის თეატრი — 72,
- 17) ილიაუნის თეატრი — 68,
- 18) ქუთაისის თეატრი — 65,
- 19) ოზურგეთის თეატრი — 63,
- 20) თელავის თეატრი — 60,
- 21) ბათუმის თოჯინების თეატრი — 59,
- 22) ჭიათურის თეატრი — 57,
- 23) ფოთის თეატრი — 49,
- 24) ბათუმის თეატრი — 47,
- 25) სენაკის თეატრი — 45,
- 26) ზუგდიდის თეატრი — 33,
- 27) თეატრი ათონელზე — 31,
- 28) ზესტაფონის თეატრი — 30,
- 29) აზერბაიჯანული თეატრი — 25,
- 30) ჩრდილების თეატრი — 25,
- 31) რუსთავის თეატრი — 21,
- 32) ცხინვალის თეატრი — 20,
- 33) ხულოს თეატრი — 11.

# სიმართლისათვის

## გეპრძოლი

## ხელოვანი

ვასილ კიკაძე

გიგა ლორთქიფანიძე ქართული კულტურის დიდი და ორიგინალური მოვლენა იყო. მის მიერ გაკეთებული საქმეები რამდენიმე მოღვაწეს ეყოფა დიდებისათვის. ყოველი ნალვანი ცალ-ცალკე თემებად შეიძლება დასახელდეს. ასე მაგალითად, „გიგა ლორთქიფანიძე როგორც ახალი თეატრის შემოქმედი“, „გიგა ლორთქიფანიძე ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას“ ტელეფილმის სერიალების გადამღები“, „გიგა ლორთქიფანიძე — ახალი ქართული მწერლობის დამამკვიდრებელი სცენაზე“, „გიგა ლორთქიფანიძე — მსახიობთა აღმზრდელი“, „გიგა ლორთქიფანიძე — საზოგადო მოღვაწე“, „გიგა ლორთქიფანიძე და თეატრალური დუმბაძიანა“. ასე ფართოა გიგა ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და შემოქმედების სამყარო.

გიგა ლორთქიფანიძე იყო პირველი რეჟისორი, რომელსაც დისიდენტური აზროვნების გამოც სპექტაკლის ჩვენება აუკრძალეს. კარგად მახსოვს, მარჯანიმვილის თეატრში ვიქტორ გაბესკირიას პიესის („უფსკრულთან“) დადგმის ისტორია. ქართულ თეატრში პირველი შემთხვევა იყო, როცა სპექტაკლის საჯარო ჩვენება აკრძალეს. რა მოხდა? რამ დააეჭვა ცენზურა? პიესაში გამოხატულია უნამღლოდ ბავშვის შესაძლო დალუპვის ამბავი. მაშინ ახალი აღმოჩენილი იყო ანთების სამკურნალო პრეპარატი „პენიცილინი“, რომელიც აფთიაქში არ იშოვებოდა, მაგრამ მთავრობას თავისითვის ჰქონდა გადახახული.

ბავშვის შესაძლო დალუპვის გამო სცენაზე დიდი ემოცური დაძაბულობა იყო. შალვა ღამბაშიერ ბავშვის ბაბუის როლს ასრულებდა, სესილია თაყაიმვილი — მათი მეზობლისას. ისინი გასაოცრად მართად სახეებს ქმნიდნენ. სცენაზე თვით ცხოვრება იყო თავისი პირველქმნილი ბუნებრიობით. გიგას სწორედ ასეთი დიდი სიმართლის გამოხატვა უყვარდა. შალვა და სესილია მისი თეატრის მსახიობები იყვნენ (გაიხსენეთ სესილიას ბებიას სახე — ნამდვილი შედევრი!).

ნარმოდგენის გასასინჯვად მოიყვანეს თვით ვასილ მჟავანაძე. ნარმოდგენის შემდეგ მჟავანაძემ თქვა: რას ერჩით ბალანას, ვინმემ კულისებში მაინც დაიძახოს — ნამალი ვიშროვნეთო. ვიქტორ გაბესკირია გაჯიუტდა — არ შეიძლება ამის გაკეთება, პიესა მთავრობის კრიტიკაზეა, ბავშვი თუ გადარჩება, კრიტიკა აზრს კარგავსო. გიგამ გონივრული გამოსავალი ნახა. პირველ სპექტაკლებში კულისებში ისმოდა ნამოძახილი — ნამალი იშოვესო...

მერე აღარავის გახენებია, კულისებიდან აღარ ისმოდა ხმა.

გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედებაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ მწერლობას. გიგა ქართული ეროვნული აზროვნების რეჟისორი იყო. მისი პირველული ხასიათი - ყველაფერ ქართულისადმი მხარდაჭერა და სიყვარული. მისი ქართული რეპერტუარი, ქართული მწერლობის კლასიკა. მან პირველმა მიიყვანა თეატრში ნოდარ დუმბაძე. ნ. დუმბაძის შემოქმედებამ დიდი როლი შეასრულა ქართულ თეატრში ყოფითი, რეალისტური ფსიქოლოგიური ნაკადის განვითარებაში. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებების ქართული ხასიათები, მათი იუმორი პირველქმნილი გულწრფელობით მდიდარი და სიცოცხლით სავსე გმირები სცენაზე ქმნიან სრულიად განსხვავებულ ქართულ სინამდვილეს, რომელიც მანამდე არ ენახა ქართულ თეატრს. რამდენი მსახიობის ბიოგრაფია გაამზიდრა გიგას სპექტაკლებმა. გიგას თეატრი ხომ მსახიობთა თეატრი იყო. მათ გვარებს ვერც კი ჩამოთვლი, იმდენად ბევრი არიან.

გიგა ლორთქიფანიძემ პირველმა შეძლო ქართული დრამატურგის „საჯილდაო ქვად“ ქცეული პიესის, - პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმლის“ დიდი ნარმატებით დადგმა. „კახაბერის ხმალს“ თავდაპირველად „ბახტრიონი“ ერქვა. ს. ახმეტელს მოენონა პიესის ფორმა, გა-



**პუბლიკაციას საფუძვლად დაედო რუსთავის თეატრისათვის გიგა ლორთქიფანიძის სახელის მიკუთვნებასა და ვარსკვლავის გახსნასთან დაკავშირებულ საღამოზე ნარმოთქმული სიტყვა.**

ნაცხადა, რომ პიესა ახალი ფორმის ნაწარმოებია და ქართულ თეატრს წარმატებას მოუტანს. რუსთაველის თეატრმა საზღვარგარეთ საგასტროლო რეპერტუარშიც კი შეიტანა, როგორც მისი დასადგმელი პიესა, მაგრამ სამწუხაროდ, არ დასცალდა.

3. კაკაბაძემ „ბახტრიონი“ გადამუშავა და „ბაღათერის ხმალი“ დაარქვა, პიესაზე დიდხანს იმუშავა და საბოლოოდ „კახსპერის ხმალი“ უწოდა. გ. ლორთქიფანიძემ პირველმა მიანიჭა პიესას სცენური ცხოველმყოფელობა.

გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედების შესახებ ბევრჯერ დამინერია და ალარ გავიმეორებ. ის, რაც მან გააკეთა რუსთავის თეატრის შექმნით, დიდი რეჟისორის უკვდავსაყოფად საქმარისია, თეატრს მისი სახელიც ამიტომ ამშვენებს!...

რუსთავის თეატრის შექმნის ისტორიიდან ორიოდე ფაქტი მაინც უნდა გავიხსენო. თეატრის პირველი სპექტაკლების (ე. როსტანის „სირან დე ბერუერაკისა“ და ვ. კორისტილოვის „ასი წლის შემდეგ“) შესახებ წერილი დავწერე, მაგრამ გაზ. „კომუნისტმა“ დაბეჭდვისაგან თავი შეიკავა იმ მოტივით, რომ ნიკოლოზ მეორეს აქებოთ.

გავოგნდი, რამდენი ახსნა-განმარტება დამჭირდა, რომ ამეხსნა, შემსრულებელს (ოთარ მელვინეთუხუცესი) ვაქებდი და არა — ნიკოლოზ მეორეს...

ასეთი ამბები დღეს კურიოზებად აღიქმება.

მაგრამ ყოველი მოვლენა ხომ თავისი დროის, კონკრეტული ისტორიული პირობების მიხედვით უნდა შევაფასოთ?!...

1967 წელს კოტე მარჯანიშვილის თეატრს მსახიობთა ერთი დიდი ჯგუფი გამოეყო. 27 დ 28 იანვარს მე ვესნერბოდი კულტურის სამინისტროს კოლეგის სხდომებს. იმ დროს კულტურის მინისტრი იყო დიდი კომპოზიტორი და საზოგადო მოღვაწეობის თანამდებობის კარგად მახსოვეს, როგორი შეწუხებული იყო და როგორ ეხვევნებოდა ვასო გოძიაშვილსა და სესილია თაყაიშვილს — თქვენ ნუ იკამათებთო. ისინი სხვადასხვა პოზიციაზე იდგნენ. ვასო გოძიაშვილი გიგას, როგორც თეატრის დირექტორს აკრიტიკებდა, რეჟისურას კი უქებდა, მოითხოვდა, რომ გიგას დაეტოვებინა დირექტორის თანამდებობა. კოლეგის სხდომაზე გიგამ ვასო გოძიაშვილს უთხრა: „როგორც მსახიობი უნიჭირებს ისართ, მაგრამ თქვენს ჭუუაზე ჩემი მტერი წავიდა. ჭრიჭინას რომ თამაშობს მედეა ჯაფარიძე, ისიც კი თქვენ გინდათ ითამაშოთო“..

ქართული თეატრი მარადიოული კონფლიქტების თეატრია. ეგებ ასეა სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ ჩვენთვის რა შეღავათია!...

თითქოს პარადოქსია, მაგრამ თეატრების კონფლიქტები მისი თანმდევი ბუნებაა. ერთხელ ვერიკო ანჯაფარიძეს ვკითხე: ქ-ნო ვერიკო, არ მოგბეზრდათ კონფლიქტები?...

გაოცებულმა შემომხედა და დიდი გულწრფელობით მითხრა: ვასო, ვის რად უნდა მკვდარი თეატრი?...

მართლაც, 1926 წლის რუსთაველის თეატრის კონფლიქტისაგან წარმოიქმნა მარჯანიშვილის თეატრი...

1967 წლის მარჯანიშვილის თეატრის კონფლიქტისაგან წარმოიქმნა რუსთავის თეატრი.

ასე ხდება იმიტომ, რომ კონფლიქტები ინტრიგების (თუმცა უამისობაც არ არის!) გამო კი არ ხდება, არამედ მეტნილად დიდი შემოქმედებითი ენერგია გროვდება, შინაგანი ტემპერატურა იზრდება და ვულკანიზით ამოხეთქავს ხოლმე.

ასე მოხდა 1967 წელსაც.

როცა რუსთავიდან მარჯანიშვილელთა თეატრში დაბრუნების საკითხი დადგა. იმ დღეებში ფილარმონიასთან ვასო გოძიაშვილი შემხვდა.

— ბატონოვასო, რა ნიჭირი კაცია გიგა ლორთქიფანიძე, თქვენ გენიოსი მსახიობი გინდათ...

კამყოფილმა შემომხედა:

— გიგა ძალიან ნიჭირი კაცია, მის აზრს ყური უნდა დაუგდოთ!...

— ხომ ბრუნდებიან!...

— მოვიდნენ, ვინ უშლის, - ისე მიპასუხა, თითქოს არ ვიცოდი მთელი კონფლიქტების ისტორია...

1967 წელს კულტურის სამინისტროს კოლეგის 28 იანვრის სხდომაზე გიგამ განაცხადა: მე ახლა წავალ თეატრიდან, მაგრამ მარჯანიშვილის თეატრში მაინც დავბუნდები...

დაბრუნდა კიდეც და დიდი შემოქმედებითი მენტალობით გააჩალა მუშაობა. როცა დოდო ალექსიძე რუსთაველის თეატრიდან კონფლიქტის გამო წავიდა, იმავე დღეს დაურეკა გიგამ და შესთავაზა მარჯანიშვილის თეატრში მისვლა: ორი თანამდებობა მაქვს, აირჩიე, რომელიც გნებავსო ...ეს არის კაცური კაცის საქციელი.

გიგა ლორთქიფანიძე იყო ეროვნული მოღვაწე და რაც მან შექმნა, ყველაფერი ქართული სულით არის შთაგონებული.

# ცენზურა და თვითცენზურა კოსტისაპშოთა ქართულ თეატრში

ლაშა ჩხარტიშვილი

საკამათო არ არის, რომ პოლიტიკურ-სოციალური ატმოსფერო და საზოგადოებრივი ცხოვრება პირდაპირ ასახვას პივებს სათეატრო ხელოვნებაში და მხატვრულად (ან პირდაპირ, შეულამაზებელი სახით, ყოფიერად, ნატურალისტურად, პუბლიცისტურადაც) აისახება სკენაზე. თეატრალური ხელოვნება არასდოროსა მოწყვეტილი დროს, კონკრეტული სპექტაკლი იქმნება კონკრეტულ დროში და კონცენტრირდება კონკრეტული დროს ფარგლებში მანამ, სანამ თეატრალური ნაწარმოების თემატიკა აქტუალურია საზოგადოებისათვის.

საბჭოთა პერიოდში თეატრი ესთეტიკური ტების ტაძართან ერთად პოლიტიკური ტრიბუნა და იდეოლოგიის საუკეთესო მანქანა იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნის თეატრები გახდნენ დამოუკიდებელი, თავისუფალ სახელმწიფოს თეატრები, თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლამ შოკში ჩაგდო თეატრის მოღვაწეები და ამ დიდმა პოლიტიკურმა მოვლენამ სრული ქაოსი და დაბნეულობა გამოიწვია მათ შორის. რთული გახდა იმ აქტუალური თემის და თეატრალური ენის მოძებნა, რომელიც დააინტერესებდა, აღაგზნებდა და მიიზიდავდა მაყურებელს. ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, იდეოლოგიური ცენზურის გაქრობა გახდა. ცენზურის გაქრობის შემდეგ, რეჟისორები დამადნენ სპექტაკლებს თემებზე, რომელიც არც მათ აღელვებდათ და არც მაყურებელს. ამ პერიოდში უმნიშვნელოვანესი იყო ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლი „კომედიანტები“ (ოსპორნის „კომედიანტების“ მიხედვით), რომელიც აფხაზეთის ომის თემას ეხმანებოდა და დიდხანს დარჩა მოქმედ რეპერტუარში. სპექტაკლში ერთი ქართული ოჯახის მაგალითზე მოთხოვნილი იყო მთელი ქართული საზოგადოების ადამიანთა განწყობა და მდგომარეობა აფხაზეთის ომის დროს და ომის შემდეგ. სპექტაკლის მოქმედი პირები მაყურებელში თანაგრძნობას, სიყვარულს და სინანულს იწვევდნენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების (1991 წ.) შემდეგ, თბილისში გაიხსნა

თავისუფალი და დამოუკიდებელი თეატრალური სივრცეები: „თავისუფალი თეატრი“, „სამეფო უბნის თეატრი“, „თეატრალური სარდაფი“ და სხვა. „თავისუფალმა თეატრმა“ თავიდანვე პოლიტიკური თეატრის ნიშა დაიკავა და მისმა დამარსებელმა ავთო ვარსიმაშვილმა ამ თეატრში დადგა სპექტაკლი — აქცია „პროვოკაცია“. (პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი, 2002). თავისუფალი თეატრი სახელმწიფო კანცელარიის წინ მდებარეობდა, სადაც პრეზიდენტის რეზიდენციაც იყო განთავსებული. სპექტაკლში მსახიობები უცემზურო სიტყვებით ლანდლავდნენ მთავრობას და პრეზიდენტს, ასევე თამამად და რადიკალურად აკრიტიკებდნენ მას. ეს იყო ცენზურისა გათავისუფლებული ქართული თეატრის აგრესიული რეაქცია, ერთგვარი მეორე უკიდურესობა. სპექტაკლი სკანდალური ხასიათის მიუხედავად, არ აკრძალულა და არც რაიმე ზომები გაუტარებდა ხელისუფლებას თეატრის და სპექტაკლის წინააღმდეგ.

პოსტსაბჭოთა ქართულმა თეატრმა ინტენსიურად დაინტენტო მისთვის ახალი ფორმების ძიება, „კბილი მოუსინჯა“ იმ ექსპერიმენტებს, სტილს, მიმდინარეობებს, რომლებსაც პოლიტიკური ფაქტორის გამო გვერდი აუმარა საბჭოთა პერიოდში, თუმცა, ეს ძიებები არ იყო თანმიმდევრული და მან ვერ გაამართლა, უფრო სწორად, თანამზრაცხველები მასობრივად ვერც მაყურებელში მოიპოვა და ვერც — თავად თეატრის მოღვაწეებში.

საბჭოთა კავშირის დაშლის ფაქტს დაემთხვა თეატრში ახალი თაობის რეჟისორების გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე, თუმცა, პოსტსაბჭოთა ქართულ თეატრში კლიმატს მაინც უფროსი თაობის რეჟისორები ქმნიდნენ (მიხეილ თუმანიშვილი, რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე). უფროს თაობაში ლიდერის პოზიცია კი რობერტ სტურუას ეკავა. მისი ესთეტიკის გავლენა ზოგადად ქართულ თეატრზე დღემდე მძლავრია და ეს პროცესი ინერციით, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება. საქმე ესაა, რომ სტურუა, როგორც პოლიტიკური თეატრის საბჭოთა ნეოავანგარდში მდგომი რეჟისორი, რევლექსურად განაგრძობდა ცენზურის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც, ფაქტურული დამდინარებელი შევარდნაში პრეზიდენტობის პერიოდი. „გარდების რევოლუციის“ შემდეგ, ხელისუფლების ცვლასთან ერთად (2003 წ.) სტურუას ბოლო პერიოდის სპექტაკლებმა სხვა რეჟისორების სპექტაკლებთან შედარებით უფრო მეტი აქტუალობა და უღერადობა შეიძინა. რეჟისორი თანამედროვეობას უკვე ხატავდა არა მეტაფორული ფორმით, არამედ ალეგორიულობა შერეული პლაკატურობით. ასეთი სპექტაკლების რიგში დგას ლაშა ბუღაძის „პრეზიდენტი, სიყვარული და დაცვის ბიჭი“, თამაზ ჭილაძის „ჭალას ჩიტი მომკვდარიყო“, ამელი ნოტომის „მტრის ნიღაბი“, მაქს ფრიძის „ბიდერმანი და ცეცხლის ნამკიდებელი“. სპექტაკლებში სტურუა უკვე კომუნიზმს კი არ აკრიტიკებდა, არამედ ნეობოლ-

შევიზმს, რომელშიც რეჟისორი სააკაშვილის ხელისუფლებას მოიაზრებდა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო სტურუას უშუალო მოწაფის, ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის გიორგი თავაძის სპექტაკლი „სალამოს ბალში, როგორც ფერად სიზმარში“ (ირაკლი სამსონაძის პიესის მიხედვით, რომელიც დრამატურგმა უშუალოდ ბათუმის თეატრისთვის, რეჟისორის შეკვეთით დაწერა). სპექტაკლში გიორგი თავაძე თანაძედროვეობას აღევორიული ენით ხატავდა და პარალელს ბოლშევიზმთან ავლებდა, თუმცა სპექტაკლმა მაშინ ფართო მასშტაბით ვერ გაიუღერა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ეიფორიაში მყოფ მოქალაქეთა სრულ უმრავლესობას, რომელმაც პრეზიდენტი აბსოლუტური უპირატესობით აირჩია, მხედველობის მიღმა დარჩა რეალურად შეეფასებინა ახალი ხელისუფლების შუქ-ჩრდილები.

ქართველი რეჟისორების მიერ სპექტაკლებით ხელისუფლების კრიტიკას სახელმწიფოს მხრიდან რეაქცია მაშინ არ მოჰყოლია, მოუხედავად იმისა, რომ პრესითა და ტელევიზითოთ ფართოდ ხორციელდებოდა სტურუას სპექტაკლის „პრეზიდენტი, დაცვის ბიჭი და სიყვარული“ პიარკამპანია, რომ ქვეენის პირველმა - რუსთაველის თეატრმა პრეზიდენტები კრიტიკული სპექტაკლი დადგა. თეატრის გამოწვევას ხელისუფლების მხრიდან რეაქცია არ მოჰყოლია. თეატრი ჩვეულებრივ განაგრძობდა მუშაობას.

რამდენიმე წლის შემდეგ საბჭოთა პერიოდში არსებული იდეოლოგიური ცენზურა ფინანსურმა ცენზურამ შეცვალა. ხელისუფლებამ შეწყვიტა ისეთი სპექტაკლების და იმ რეჟისორთა პროექტების დაფინანსება, რომელიც ლად აკრიტიკებდა მას. სტურუა თავის მსახიობებთან ერთად სპექტაკლებით, პროვოკაციული გზით შეეცადა ხელისუფლების გამოწვევას, მის დისკუსიაში ჩართვას, მაგრამ უქედეგოდ. პოლიტიკური სპექტაკლების ციკლს განსაკუთრებული აჟიოტაჟი ან აკრძალვა მთავრობის მხრიდან არ მოჰყოლია, როგორსაც რუსთაველის თეატრში მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში. იმდენად გულგრილი აღმოჩნდა ხელისუფლება თეატრალური ხელოვნების მიმართ, რომ ის არანაირ გამოწვევას არ იღებდა, თუნდაც მსოფლიოში აღიარებული რეჟისორიდან. თანამედროვე ხელისუფლებისთვის, განსხვავებით საბჭოთა ხელისუფლებისაგან, თეატრი აღარ წარმოადგენს საფრთხეს, ის ტელევიზიაში ჩაანაცვლა. სწორედ ამის გამო სტურუამ (და სხვა რეჟისორებმა) უკვე ტელევიზიით, ღიად დაინყო კრიტიკული განცხადებების გაკეთება ხელისუფლების მისამართით, რაც საბოლოოდ მისი თეატრიდან განთავისუფლებით დასრულდა.

იდეოლოგიური ცენზურის არარსებობის პარალელურად, სტურუამ ზუსტად ჩაავლო ხელისუფლების ქმედებათა იმ დეტალებს, რომელიც კრიტიკის საშუალებას იძლეოდა. მისი ბოლო პერიოდის დადგმები სწორედ ამ მიმართულებით

გამოხატავდა სათქმელს. პირველმა რ. სტურუამ დაიწყო საუბარი მოსალოდნელ შიშზე სპექტაკლში „ქალას ჩიტი მოკვდარიყო“. სპექტაკლში კარგადან საჩვენები, თუ ერთ დროს სათავაზებელმა და სალოცავაზე ფრაზამ - „გაუმარჯვოს თავისუფლებას“ როგორ დაკარგა ფასი, უფრო მეტიც, ეს ფრაზა სასაცილო და საქლილიკოც კი გამხდარა, თანაც მათვის, ვინც ამ რწმენით გაიზარდა და სწორედ თავისუფლების მოპოვებისთვის ენაბა. სტურუას სპექტაკლში, ისე, როგორც რეალობაში, ავტორიტეტების მსხვრევის ეპოქა უკვე დგას.

შენილბულმა ფინანსურმა ცენზურამ წარმოშვა ერთგვარი თვითცენზურა, რომლის ნიშნები, ერთის მხრივ, გამოვლინდა პატრიოტული თემატიკის, ხოლო, მეორეს მხრივ, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომისადმი მიღვნილ სპექტაკლებში.

პატრიოტულ თემაზე შექმნილი სპექტაკლები განხორციელდა რუსთაველის თეატრში (ოთარ ჭილაძის, „წათეს წითელი წალები“, რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე), ქუთაისის მესხიშვილის თეატრში (წინ სადღობელაშვილის „ბამბაზის სამოთხე“, რეჟისორი გიორგი სიხარულიძე), რუსთავის თეატრში (მანანა დოიაძეილის „ლიად დარჩენილი საფლავები“, არჩილ სულაკაურის მოთხრობების მიხედვით, რეჟისორი გეგა ქურციკიძე). ამ პროცესს ოდნავ მოგვიანებით შეურთდა მარჯანიშვილის თეატრი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელმა ლევან წულაძემ მაყურებელს გურამ ქართველშვილის საგა „ქაჯუცა ჩოლოყაშვილი“ შესთავაზა. აღნიშნული დადგმა ისტორიული უანრის სპექტაკლებს შორის ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა. სპექტაკლი რამდენიმე წლის განმავლობაში ანშლაგებით მიმდინარეობდა. რა იყო ამის მიზეზი? პირველ ყოვლისა, მაყურებელს მოენატრა ისტორიულ თემაზე დადგმული სპექტაკლები, გარდა ამისა, სპექტაკლმა ცხადჰყო, რომ ქართველ მაყურებელს აღელვებს და უზომოდ უყვარს თავისი სამშობლო. ამავდროულად, ისტორიული ქრონიკა მაყურებელს მიენოდებოდა თეატრალური ფორმით და დიდი ემოციის თანხლებით, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა ყველაზე, ნიპოლისტ მაყურებელზეც კი. სპექტაკლი არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული მხატვრული ღირებულებებით, ის ე.წ. „საკასო სპექტაკლი“ იყო, რომელმაც შეძლო თეატრში მიეზიდა დიდი რაოდენობის მაყურებელი, ფული და პარალელურად, რაც ყველაზე საყურადღებოა, ხელისუფლების კეთილგანხყობაც დაემსახურებინა, რამაც გზა გაუხსნა თეატრს გაცილებით მასშტაბური პროექტების დაფინანსებისთვის.

პატრიოტული თემატიკის პარალელურად, 2008 წლის ომის შემდეგ ქართულმა თეატრმა უნდავ მოგვიანებით, მაგრამ მაინც უპასუხა რუსეთის აგრესიას. ომისადმი მიძღვნილი სპექტაკლების შექმნა არა იმდენად კონიუნქტურა და თვითცენზურის გამოხატულება იყო, რამდენადაც გულწრფელი რეაქცია რუსეთის აგრესიაზე. ომის თემაზე შექმნილი სპექტაკლებიდან თანამედროვე ქართულ

თეატრში ყველაზე გამორჩეული დადგმა გიორგი თავაძის მიერ ბათუმის თეატრში განხორციელებული სპექტაკლი „ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით“ იყო. კომიკურ იგავზე დრამატურგ ირაკლი სამსონაძესთან ერთად რეჟისორი გიორგი თავაძეც მუშაობდა და პიესა სწორედ ბათუმის თეატრის დასისთვის დაინერა (ალიშტული პიესა სახელწოდებით „დაბოლილი მთვარე“ განხორციელდა იმავე რეჟისორის მიერ რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზეც). გიორგი თავაძის ახალი სპექტაკლი „ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით“ საქართველოსა და ქართველებზე, მის ისტორიულ ეპიზოდებსა და ქართველთა ხასიათის ყველა მანკიერ თუ მნიშვნელოვან თვისებებზე მოგვითხრობს, ეტაპობრივად ხატავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მთელ ისტორიას. ნარმოდგენაში ერთი ტიპიური ქართული ოჯახის ისტორიის ფონზე გათამაშებულია საქართველოს უახლოესი ნარსული ომამდე, ომიანობის უამს და ომის შემდეგ...

სპექტაკლში ხაზგასმულია რუსეთის პათოლოგიური სიყვარული საქართველოსადმი. რეჟისორი ირონიით გვასხენებს ნარსულს და მიგვითითებს ჩვენს თანამედროვეობაში დაშვებულ შეცდომებზეც. მნიშვნელოვანი იყო, რომ 26 მასს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, სპექტაკლი ნარმოდგენილი იყო კიშინიოვში რუსული დრამატული თეატრის სცენაზე, ეუენ იონესკოს ბიენალეს ფარგლებში.

გიორგი თავაძე ალეგორიულ, მხატვრულ სამოსელში გახვეულ სიმართლეს და ჩვენი ცხოვრების რეალურ სურათს ნათლად და მოურიდებლად გვიშლის თვალწინ. რეჟისორი ხან ალეგორიულად, ხანაც მეტაფორულად, ხან კი პლაკატური სიზუსტით ხატავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელოვან და ყველაზე დასაფიქრებელ დეტალებს.

პოსტსაბჭოთა ქართულ თეატრში ადგილი ჰქონდა „საზოგადოებრივი ცენტურის“ გამოვლინებებსაც. ტერმინში ვგულისხმობ, საზოგადოების გარკვეული ნანილის მცდელობას გაიღმატებოს სპექტაკლის წინააღმდეგ. არასამთავრობო ორგანიზაცია „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“, რომელიც რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი ადამიანებისაგან შედგება, წინ აღუდგა რელიგიურ თემატიკაზე დადგმულ სპექტაკლებს და აქციებითა და მანიფესტაციებით მოითხოვდა სპექტაკლის აკრძალვას. მაგალითად, „საზოგადოებრივი ცენტურის“ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს რობერტ სტურუას სპექტაკლის — „თორმეტი განრისხებული მამაკაცა“ (რუსთაველის თეატრი) და ქეთი დოლიძის სპექტაკლის — „სერობა“ (კიონმსახიობთა თეატრი) წინააღმდეგ გამართული აქციები მისი აკრძალვის მოთხოვნით. არც ამ აქციებს მოუხდენია რაიმე გავლენა სპექტაკლის სიცოცხლისუნარიანობის შეზღუდვაზე.

გარკვეული ცენტურა თავისი სხვადასხვა გამოვლინებითა და განშტოებით (იდეოლოგიური,

ფინანსური, თვითცენზურა) ყოველთვის იარსებებს, მთავარია, როგორ გამოიყენებს მას თეატრი. სწორედ ცენზურასა და თეატრს შორის იდეალური ურთიერთობის მაგალითია გადმოცემული ლევან წულაძის სპექტაკლში „ქოლო“ (თანამედროვე იაპონელი დრამატურგის კოკი მიტანის პიესის — „სიცილის აკადემია“ მიხედვით). ამ სპექტაკლის მთავარი გმირი ცენზურაა, რომელიც ბუდობს ორი მოქმედი პერსონაჟის სულში. ხელოვანს გამომუშავებული თვითცენზურის გრძნობა აქვს, ხოლო ცენზორს — ხისტი, ურყევი ხასიათი. სპექტაკლში იკვეთება ჩვენი რეალობისთვის დამახასიათებელი ნიუანსები, ახლად დანიშნული ცენზორი (ანუ ზემდგომი ორგანო, რომელიც კულტურის სფეროს კურირებს), რომელიც აცხადებს, რომ არ დადის თეატრში, არ აინტერესებს მწერლობა, რომ ამ სფეროში შემთხვევით მოხდა, უფრო მეტიც, თავად ცენზორს ცენზურა უსარგებლო რამ ჰქონია. მსგავს სიტუაციაში ქართველი რეჟისორების და თეატრის ხელმძღვანელების უმრავლესობა აღმოჩენილა. შეიძლება მეითხველმა იფიქროს, XXI საუკუნეში რაღა დროს ცენზურაო, მაგრამ ლევან წულაძის სპექტაკლი სწორედ რომ აქტუალურ პრობლემას ეხმიანება და პრობლემის გადაჭრის გზასაც გვთავაზობს. სპექტაკლის მთავარი გმირის, ნეოს მსგავსი ცენზორები, რომელსაც ოსტატურად ასრულებს ნატო მურვანიძე, სამწუხაროდ, იმვიათად მოიძებნება ქართულ სინამდვილეში. მით უმეტეს, იმის ფონზე, როცა 2010 წელს ახალციხის თეატრში დაფიქსირდა სპექტაკლის რეპერტუარიდან მოხსნის მცდელობა. ოთარ ქათამაძის „აივანში“ (რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი) გაკრიტიკებულია მუნიციპალიტეტი და მათი თანამშრომლების უვიცობა. თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრმა ადგილობრივ ხელისუფლებას სპექტაკლის გადასარჩენად საგანგებო წერილი მიწერა, რომლითაც რეგიონის ხელისუფლება აიძულა სპექტაკლის რეპერტუარში დატოვება.

ლევან წულაძე კი თავისი სპექტაკლით თეატრისა და ცენზურის ურთიერთობის იდეალურ ვარიანტს გვიჩვენებს, როცა ცენზორი თავად ენთება ხელოვნებით, „ინამღება თეატრით“ და ხელოვნის შემოქმედების მთავარი სტიმულატორ-გენერატორი ხდება. ცენზორი იყვარებს მწერლობასაც და თეატრსაც. ასეთი ცენზორის პროფესიონალიზმი, პასუხისმგებლობის მაღალი შეგრძება და გარეგნულად ხისტი ხასიათი აქცევს მას ხელოვანების მეგობრად და არა — მტრად. კარგმა ცენზორმა ლევან წულაძის სპექტაკლში დადებითად განსაზღვრა კიდეც შემოქმედებით პროცესი, ტენდენციები, რომელიც, პირველ ყოვლისა, ეროვნული ინტერესების გარდა, ხელოვანის სრულყოფასაც ემსახურება. ეს თემა ჩვენი თანამედროვეობისათვის დროული, მნიშვნელოვანი და აქტუალური პრობლემა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი პოსტსაბჭოთა სიცოცხლე თითქოს თავისუფალ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრობს.

ადგილობრივი თეატრები:  
პრობლემები, პერსპექტივები

## ოზურგეთის თეატრის 150 წლის იუბილეს დღეს უძღა ჩავუყაროთ საფუძველი

გვესაუბრება ოზურგეთის  
ალ. წუნუნავას სახ. თეატრის  
სამხატვრო ხელმძღვანელი ვასილ ჩიგოგიძე

— წილად მხვდა პატივი და 2013 წლის სექტემბერში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შესაბამისი კომისიის მიერ ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტზე მხარდაჭერილი იქნა ჩემი კანდიდატურა და თეატრის განვითარების ჩემეული ოთხწლიანი ხედვა.

ოზურგეთის თეატრი არის ჩემი მშობლიური თეატრი, ეს არის თეატრი, სადაც მე გავიზარდე როგორც რეჟისორი და ხელმძღვანელი.

### — რა და როგორ დაგხვდათ?

— თეატრში მძიმე მდგომარეობაა, მატერიალურ-ტექნიკური პაზის მხრივ. შენობაში სრული გამყინვარებაა, მოშლილია ინფრასტრუქტურა, არასახარბიელო ანაზღაურება პერნდათ მსახიობებს. მაქსიმუმი დარიცხული ხელფასი — 330 ლარი, მინიმუმი — 240 ლარი, ხოლო შემოქმედებით-ტექნიკური პერსონალის ხელფასებზე საუბარიც ზედმეტია.

2013 წლის მონაცემებით თეატრის დაფინანსების ერთადერთი წყარო იყო ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელიც შეადგენდა 200 000 ლარს. ნაციონალურმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა გურიის ერთადერთი სახელმწიფო თეატრი უკეთ დაეფინანსებინა. ეს თანხა, რომელიც ყველაზე მწირია ქვეყნის თეატრების ბიუჯეტებს შორის, ოზურგეთში დიდი ძალისხმევის შედეგად იქნა მიღწეული.

თეატრის შენობა 3 600 კვადრატული მეტრია. გახსნის დღიდან — 1962 წლიდან, დამონტაჟებულია ძველი, საბჭოური გამოყვანებისა და განათების აპარატურა, რომელიც დღეს ჩენი ერთადერთი აპარატურაა და ბევრის გაოცებას, ხოლო მუშაობის მხრივ, სირთულეს ინვევს. მთლიანად გამოსულია მწყობრიდან ამავე პერიოდის გათბობის დანადგარები. შენობა 1988 წლის შემდეგ არ გამობარა. ასე რომ, ზამთრის პერიოდში წარმოუდგენელია სპექტაკლებისა და ლონისძიებების გამართვა. არ გავგაჩნია ტრანსპორტი გასვლითი სპექტაკლებისათვის გურიისა და ქვეყნის მასშტაბით, რაც ინვევს მსგავსი ლონისძიებების ხარჯების მნიშვნელოვან ზრდას მცირებიულებითანი თეატრისათვის.



— სპექტაკლები? როგორია ჩვენების სისტემა?

— 2013 წლის სექტემბრამდე ნათამაშები იყო 46 სპექტაკლი, ერთი პრემიერით — აზიზ ნესინის „მომქალ, მომყალ, ჩემო კარგო!“ (რეჟისორი ოთარ კუტალაძე), მოენყო მინი გასტროლი ახალციხეში.

მინდა მადლობა გადავუხადო თეატრის შემოქმედებით კოლექტივს მმართველის, ზაზა ჯინარაძის ხელმძღვანელობით და მაშინდელი ხელისუფლების ერთეულ წარმომადგენლებს, რომლებმაც დიდი ძალისხმევით მოახერხეს, დაეძლიათ სტაგნაციის პერიოდი და გადარჩენილიყვნენ.

რა და როგორ გავაკეთეთ?

146-ე თეატრალური სეზონისათვის, სამხატვრო საბჭოსთან ერთად, არსებული რეპერტუარიდან არჩეული იქნა სპექტაკლები, რომელთა თამაში შეიძლებოდა. მათ დაემატა პრემიერა რეი კუნის „მოუხელთებელი“ (რეჟისორი ოთარ კუტალაძე), ჩემს მიერ მომზადდა განახლებული დადგმა „გამარჯობა, ხალხო!“. ხუთი სპექტაკლით გამართეთ სეზონის გახსნის ორკვირეული 23 ოქტომბრიდან 13 ნოემბრამდე.

გულდანყვეტით მინდა ვთქვა, რომ ჩვენი თეატრის აღზრდილი, ახალგაზრდა რეჟისორი შოთა ბაბილონე მოულიდნელად წავიდა ამქვეყნიდან. თეატრის ხელმძღვანელობამ მიიღო გადანყვეტილება და რეჟისორ შოთა ბაბილონის გარდაცვალებიდან ერთი წლის ხსოვნას მიეღდვნა მის მიერ განხორციელებული სპექტაკლების თეატრალური კვირეული 29 ნოემბრიდან 6 დეკემბრამდე. აღდგენილ იქნა მისი სამი სპექტაკლი: ა. ცაგარელის „ოინბაზი“, აკ. წერეთელის „ბუტიობა“, შ. დადიანის „გუშინდელნი“.

როგორც აღვნიშნე, თეატრში გამყინვარებაა და ზამთარში შეუძლებელი იყო სპექტაკლების თამაში. მადლობა მსახიობთა დასს, მათგან გმირობის ტოლფასია ასეთ პირობებში აღნიშნული ორკვირეულისა და კვირეულის ჩატარება და მადლობა მაყურებელს, რომელიც არ დაგველებია ამ სპექტაკლებზე. ეს მაძლევს მიედს, რომ

გვყავს უნიკალური თეატრალური კოლექტივი და მაყურებელი. ამავე დროს ვიგრძენი საოცარი პატივისცემა ჩემს მიმართ, რაც მავალდებულებს ყველაფერი, შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთო.

ასე ჩავამთავრეთ ძალიან მძიმე 2013 წელი და უფალს ვთხოვ, მსგავსი აღარ განმეორდეს ოზურგეთის თეატრში.

### — თუ შეიცვალა, ან იცვლება რამე?

— პირველი და უმთავრესი: მადლობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას და საკრებულოს იმისათვის, რომ მოხერხდა თეატრის ბიუჯეტის 100 000 ლარით გაზრდა, ანუ იგი 2014 წლისათვის შეადგენს 300 000 ლარს. მართალია, ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ სამომავლოდ იმედის მომცემი.

აღნიშნული ბიუჯეტით, უპირველესად, გაიზარდა თეატრის თანამშრომლების სახელფასო ფონდი, შესაბამისად, შემოქმედებითი და ტექნიკურ-შემოქმედებითი პერსონალის ხელფასები. მსახიობებისათვის დავნერგეთ ხელფასებზე დანამატი ნათამაშები სპექტაკლების მიხედვით ათეულიანი ბონუსების სისტემა, კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ჩემი კონცეფციის პირველი მუხლის შესაბამისად. დატვირთული მსახიობების ხელფასი იზრდება 500 ლარამდე. მთლიანად სახელფასო ფონდმა 2014 წელს შეადგინა 251 400 ლარი, რამაც საშუალება მოგვცა მიგველო თრი ახალგაზრდა პროფესიონალ მსახიობი და ტექნიკურ პერსონალში დაგვემატებინა რამდენიმე შტატი.

მართალია, სადადგმო ხარჯებისათვის დაგვრჩა მხოლოდ 15 000 ლარი, რაც სასაცილოა თუ რა სატირალია, მაგრამ... წინასწარ მინდა იმედიანად ვიყო და მადლობა გადავუხადო კულტურის სამინისტროს და კონკრეტულად ბატონ მინისტრსა და მის გუნდს, რომელიც შემპირდა 2014 წელს 50 000 ლარს. ეს თანხა უნდა მოხმარდეს ორი სპექტაკლის დაფინანსებას, რომლებსაც ოზურგეთში განახორციელებენ ცნობილი თეატრალური მეტრები. მიმდინარეობს მოლაპარაკება ისეთ რეჟისორებთან როგორიცაა ბატონები: თემურ ჩხეიძე, გიზო უორდანია, გოგი ქავთარაძე, სანდრო მრევლიშვილი. მიღწეულია შეთანხმება ჩემს წარმატებულ კოლეგებთან და ახალგაზრდა რეჟისორებთანაც, ასევე ისეთ მსახიობებთან, როგორიც არიან ზურაბ ცინცქილაძე, გოგა პიპინაშვილი და სხვები.

შეპირებისამებრ, 2014 წლის პირველ წარში ველოდები კულტურის სამინისტროდან განათებისა და გახმოვანების მცირე აპარატურას მაინც, რომ ელემენტურულად განათდეს და გახმოვანდეს ჩვენი სპექტაკლები და ასევე მიკროავტობუსს თავისი მისაბმელით, რომ ლირსეულად შევძლოთ გასვლითი სპექტაკლებით წარვსდგეთ არა მარტო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, არამედ მხარის მაყურებლის წინაშე. მოგეხსენებათ, ოზურგეთის თეატრი გურიის მხარის ერთადერთი სახელმწიფო პროფესიული თეატრია.

აქვე აღვნიშნავ სამინისტროს თანადგომას მცირე სცენის გაცოცხლების საქმეში, რომელიც გავხსენით 1987 წელს, თეატრის 120 წლისთავის საიუბილეოდ, ოზურგეთში მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუმრობის წინ და რომელიც ღირსეულად ფუნქციონირებდა.

სწორედ ეს მცირე სცენა შეიძლება იყოს ხსნა ამ გაუსაძლის პირობებში. ვგულისხმობ ზამთრის დაუსრულებელ პერიოდს, რომ მოხერხდეს უწყვეტად სპექტაკლების თამაში და მონოდადგმების განხორციელება.

გადაწყვეტილია, რომ სამინისტრო დაგვეხმარება შესაბამისი აპარატურით და მცირე სცენაზე ნაჩვენები იქნება შემცნებითი, სააღმზრდელო, მხატვრული ფილმები არა მარტო ბავშვებისათვის. ეს ძალიან მზიშვნელოვანია: პირველი — ოზურგეთში ორი ათეული წელიწადია არ ფუნქციონირებს კინოთეატრი და აქაური მაყურებელი მონატრებულია ფართო ეკრანზე ფილმების ნახვას, მეორე: ეს თეატრის ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

### — რას გვეტყვით ახალი დადგმების თაობაზე?

— დეკემბრიდან დავიწყეთ მუშაობა ერთდროულად სამ პიესაზე. მათ შორის ნოდარ დუმბაძის „თეთრ ბაირალებზე“ (რეჟისორი ო. კუტალაძე).

გადაწყვეტილი გვაქვს ოზურგეთის თეატრმა ყოველ საზონზე დადგას ნ. დუმბაძის მინიმუმ ერთი ნახარმოები მაინც, რადგან იგი გურიის თეატრია... „თეთრი ბაირალების“ პრემიერა იქნება 27 მარტს, თეატრის საერთაშორისო დღეს. როგორც მოგახსენეთ, მარტამდე წარმოუდგენელია სცენაზე გასვლა. მხოლოდ 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს ვითამაშეთ ა. ცაგარელის „ოინბაზი“.

ჩვენი თეატრის მეგობარ რეჟისორსა და სცენარისტს გიორგი კაჭარავას ვთხოვთ გაეკეთებინა თანამედროვე სცენური ვარიანტი მისი ცნობილი ფილმისა „დონ უზანის დაბადება“. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო პიესა მივიღეთ, რომლის დადგმასაც მე განვახორციელებ.

თეატრიდან უძროოდ წასული რეჟისორების შალვა ურუშაძისა და შოთა ბაბილოძის ხსოვნას ვუძღვნით მათ მიერ განხორციელებული ნ. დუმბაძის ნახარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლის „გამოდი სულო სინათლეზე ანუ ჭკვიანი გიუები“ განახლებულ დადგმას. დადგმის ხელმძღვანელი მე ვიქნები.

გაზაფხულზე რეჟისორი კანდიდ გურგენიძე განახორციელებს იაკობ გოგებაშვილის ცნობილი და ამაღლებულებელი ნახარმოების „იავნანაშ რა ჰქმნა!“ დადგმას, რომელსაც ვჩუქნით ბავშვებს. საერთოდ არ გვეონდა საბავშვო რეპერტური. ვფიქრობთ, აღვადგინოთ სკოლებთან სააბონემენტო ურთიერთობის ტრადიცია და სამომავლოდაც ვითამენ საბავშვო სპექტაკლებზე.

ასევე მზად მაქს ორი პროექტი: უა ანუის „ანტიგონე“ და რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორნინეს“, რომლებსაც წარმოებაში ჩა-

ვუშვებთ თეატრის სარეპერტუარო პოლიტიკიდან გამომდინარე. წელს აუცილებლად, სიტუაციის ანუ სადადგმო ხარჯების მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი მეტრებიდან ერთ-ერთი რეჟისორი განახორციელებს სპექტაკლის დადგმას (დაკონკრეტებისაგან თავს ვიკავებ), ხოლო დანარჩენები — მომდევნო სეზონისათვის.

თეატრულიდან უკვე გამოვაცხადეთ გურიის რეგიონის თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებული, სამსახიობო უნარის მქონე ახალგაზრდების მიღება თეატრალურ სტუდიაში, ისინი აქ გაივლიან სკოლას, მათგან შეირჩევა აბიტურიენტები.

თეატრალურ უნივერსიტეტთან ვაფორმებთ მემორანდუმს, ოთხ წელიწადში ერთხელ მოხდეს ოზურგეთის თეატრისათვის მიზნობრივი ჯავაფის გახსნა. მათგან წარჩინებული სტუდიელები წელსვე ცდიან ბეჭდს თეატრალურ უნივერსიტეტში, ხოლო 2015 წელს გაიხსნება მიზნობრივი ჯავაფი თეატრალურ უნივერსიტეტში. ეს აუცილებელია თაობათა ცვლისა და დასის გაძლიერებისათვის.

წლების განმავლობაში ჩვენ გვქონდა ასეთი პრაქტიკა და დღეს, ფაქტობრივად, ჩვენი წამყვანი მსახიობები ამ სტუდიის აღზრდილები არიან. ეს არის უმთავრესი, რასაც ამ ეტაპზე ვაპირებთ და რისი იმედიც გვაქეს.

ოზურგეთის თეატრის 150 წლის იუბილემდე უნდა დავაფუძნოთ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებზე შექმნილი სპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალი. 6. დუმბაძე იდგმება მთელ მსოფლიოში, საქართველოში ხომ თავისთავად და ეს ნიშა ნოდარ დუმბაძის ფესტივალის მასპინძლობისა ოზურგეთმა უნდა დაიკავოს. ამაზე საუბარი ადრეც იყო, მიწაც გვქონდა გამოყოფილი ურეკში შესაბამისი ცენტრის ასაშენებლად, მაშინდელი პრეზიდენტის — ე. შევარდნაძის განკარგულებაც არსებობს, ეს მაგრამ ვერ განხორციელდა სხვადასხვა მიზეზთა გამო... ჩოხატაურში მწერლის შესანიშნავი სახლ-მუზეუმია, სადაც იმართება ლონისძიებები და აქვე მინდა დიდი მაღლიერებით მოვისენიო კულტურის მინისტრის მოადგილე, ბატონი ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, რომელთანაც წერილობითი შეთანხმება მიღწეული გვაქვს, რომ ჩოხატაურის სახალხო თეატრზე, რომელიც არის ასაკოვანი, ღირსეული თეატრი, ავილოთ შეფორბა კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით. ეს არის პირველი ეტაპი ჩვენთვის, ვმუშაობთ პროექტზე, რომელიც უახლოეს სანში უნდა განხორციელდეს. ასევე ვაპირებთ ლანჩხუთის სახალხო თეატრთან დაკავშირებითაც. ასეთი ნაბიჯებით შემოვიყრიბავთ ჩვენს ირგვლივ მთელს თეატრალურ გურიას. ჩემთვის, როგორც თეატრალური საზოგადოების გურიის განყოფილების ხელმძღვანელისათვის, ეს საპატიო და მისასალმებელი დატვირთვაა.

ახლა, რისი იმედი გვაქეს ყველაზე მეტად: კულტურის სამინისტროს თანადგომის, ოზურგეთის საკრებულოს, გამგეობისა და გურიის მხარის ადმინისტრაციის მხარდაჭერის. ვაფიქ-

სირებ ჩემს ღრმა პატივისცემას ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელების, ბატონების: კოტე შარაშენიძის, ავთანდილ სურგულაძისა და მათი გუნდების მიმართ, რომლებმაც მოახერხეს ურთულეს პერიოდში 100 000 ლარით გაზრდილიყო ჩვენი ბიუჯეტი. დარწმუნებული ვარ, შემდგომში დაფინანსების ზრდის ტენდენცია გაგრძელდება. 150 წლოვან იუბილეს ღირსეული შეხვედრა და დახვედრა უნდა.

— ამბობენ, თეატრის რეკონსტრუქცია ინცეპტაო.

— დიდი იმედი ჩაგვისახა ბატონი ბიძინა ივანიშვილის, უდიდესი მეცენატის, შეიძლება ითქვას, ქართული თეატრის მხსნელის თანადგომამ. 23 ოქტომბერს 146-ე თეატრალური სეზონის გახსნის დღეს, თეატრში გვეწვივნენ ფონდი „ქართუს“ წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ პროექტზე, რის შედეგადაც გარემონტდება შენობა, მოხდება დარბაზისა და სცენის რეკონსტრუქცია. მოწესრიგდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ა.შ. ამან, რა თქმა, უნდა უდიდესი აღფრთოვანება გამოიზვია ჩვენს თეატრში. მსახიობები სიხარულისგან ტიროდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ და ულოცავდნენ, რომ ბოლოს და ბოლოს გათენდება ერთი მშვენიერი დღე და დარბაზში არ იქნება სიცივე, რომ მათ ექნებათ შესაძლებლობა თბილ და კომფორტულ სცენაზე ჩატარონ რეპეტიციები და სრულყოფილი სპექტაკლები აჩვენონ მაყურებელს. ეს არის ერთადერთი სხსნა და იმედი ოზურგეთის თეატრის შენობის გადარჩენისა. მინდა ოზურგეთელების სახელით უღრმესი მადლობა მოვახსენონ ბატონ ბიძინა ივანიშვილს და ფონდ „ქართუს“ ასეთი დიდი ყურადღებისა და თანადგომისთვის.

პრობლემაა, როცა ექვემდებარები კულტურის სამინისტროს, ბიუჯეტს ადგილობრივი თვითმმართველობა გიფინანსებს, შენობა კი ეკონომიკის სამინისტროს ეკუთვნის და როცა მუზეუმებისა და სამხატვრო გალერეის პენსიონერ თანამშრომლები პენსიასა და ხელფასს ლეპულობები, თეატრისა კი — არა. არის ბევრი შეუსაბამობა და იმედს გამოვთქვამ, რომ კულტურის სამინისტრო მინისტრთა კაბინეტთან, ქვეყნის ხელმძღვანელობასთან ერთად დაფიქრდება ამ საკითხზე — როგორ უნდა გადარჩეს პროცესისული თეატრები.

ასეთი სურვილებით და განწყობით მოვედით დღემდე. იმედია, მთელი ქართული თეატრი, უკრალ „თეატრი და ცხოვრებასთან“ ერთად გაბრნეინებულ ოზურგეთის თეატრში აღვინიშნავთ 150 წლის იუბილეს, რომელიც იქნება ისეთივე გამორჩეული, როგორიც იყო ბატონი კოტე ნინიკაშვილის იდეით და სცენარით გაკეთებული ოზურგეთის თეატრის 120 წლის იუბილე.

ჩემს მმობლიურ თეატრსა და ქალაქში დიდი გეგმებითა და იმედებით დაბრუნებული და მჯერა, რომ ოზურგეთი საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი კულტურის კერა იქნება.

**ესაუბრა ლია კილავა**

# პროგლემა

## ძალიან პევრია!

გვესაუბრება ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის თეატრის  
სამხატვრო ხელმძღვანელი მამუკა ცერცვაძე:



### — რას იტყვით ჭიათურის თეატრის წარსულზე?

— ჭიათურა მდიდარი თეატრალური ტრადიციების ქალაქია. მისი თეატრალური ცხოვრება 120 წელს ითვლის. 1910 წლიდან თეატრს მუდმივმოქმედი დასი ჰყავს. მის სცენაზე სპექტაკლებს დგამდნენ, მთავარ როლებს თამაშობდნენ გამოჩენილი ქართველი რეჟისორები ალექსანდრე წუწუნავა, პავლე ფრანგიშვილი, მსახიობები: მ. ვაშაძე, გ. ტყაბლაძე, ნ. ჩაჩანიძე და სხვები. დაარსებიდან დღემდე, თეატრში არ შეწყვეტილა თეატრალური პროცესი, ის მუდამ თავის სიმაღლეზე იდგა და მისთვის ქართულ თეატრალურ ოჯახში მიკუთვნებულ სიმაღლეებს არ თმობდა. პირიქით, იყო წლები, როცა თეატრი საერთაშორისო ასპარეზზეც წარმატებებს აღწევდა. გარკვეული პერიოდის მანძილზე, ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონის მიუხედავად, თეატრი ცდილობდა ახალი დადგმები განეხორციელებინა. მისი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და თეატრი რეგულარულ სარეპერტუარო თეატრალურ პროცესს დაუბრუნდა მას შემდეგ, რაც სათავეში ჩაუდგა და თეატრის დირექტორად დაინიშნა ნანა წერეთელი. დაიდგა ათეულობით სპექტაკლი, ითამაშეს გასვლითი სპექტაკლები, მოწვევის სხვადასხვა თაობის რეჟისორები. დამონტაჟდა გათბობის ახალი სისტემა, გამოიცვალა განათებისა და გახმოვანების აპარატურა. თეატრს მნიშვნელოვანი გამოხმაურებები ჰქონდა საერთაშორისო და ადგილობრივ ფესტივალებზე. არ ყოფილა აქტივობა ქართულ თეატრალურ სივრცეში, სადაც ჭიათურის თეატრი, მისთვის ჩვეული ღირსებით, არ წარმდგარიყო. 2006 წლიდან თეატრის კონსულტაციონტი გახლდათ რეჟისორი ანდრო ენუქიძე, რომელმაც ახალი შემოქმედებითი ხედვა შემოიტანა. მრავლად დაიდგა თანამედროვე ქართველი თუ უცხოელი დრომატურგების ნაწარმოებები. თეატრი არის საქართველოს თეატრების რეგიონალური ქსელისა და თანამედროვე საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ქსელის წევრი.

### — თქვენ, ახლახან დაინიშნეთ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად...

— 2013 წელს დავინიშნე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად. პირველი დადგმა, რომელიც ჭიათურის თეატრში განვახორციელებ იყო მიხელ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშას“ თამაზ გოდერიძიშვილისეული ვერსია. სპექტაკლში დაკავებულია თითქმის მთელი დასი. ამჟამად ვმუშაობთ ევგენი შვარცის პიესაზე „თოვლის დედოფლალი“.

### — რა მდგომარეობა, როგორ ჩაიბარეთ თეატრი?

— დღეისათვის დასში ირიცხება 26 მსახიობი. მათი უმრავლესობა პროფესიონალია, რომელთაგან ოთხი რესპუბლიკის დამსახურებული არ ტისტია. მსახიობების ყველაზე ახალგაზრდა ასაკი 29-30 წელია. ამიტომ აუცილებელია თეატრის განახლება და მიზნობრივი ჯგუფის მომზადება. საგულისხმოა, რომ თეატრს ერთხელ უკვე ჰყავდა მიზნობრივი ჯგუფი, მაგრამ კერძო პირების ინტერესების გათვალისწინებით, ჯგუფს, თეატრის ხელმძღვანელობის დაუკითხავად, სათავეში არაკომპეტენტური ხელმძღვანელი ჩაუდგა, სასურველი შედეგი ვერ მივიღეთ. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მომზადებეს კიდევ ერთი ჯგუფი, რომელსაც შესაბამისი პედაგოგიური გამოცდილების რეჟისორი უხელმძღვანელებს. შემოქმედებითი ჯგუფის გაძლიერებით, ვგვეგმავთ წლის განმავლობაში 3 დადგმის ნაცვლად, განვახორციელოთ 5 და გავზარდოთ როგორც სპექტაკლების წარმოდგენის რაოდენობა, ასევე გასტროლებისა, უპირველესად ქვეყნის ფარგლებში.

2012-13 წლების სეზონზე, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, თეატრში სპექტაკ-

ლი განახორციელა დიპლომანტმა რეჟისორმა ჯაბა პაპუაშვილმა. ასეთი შემთხვევა გვინდა ტრადიციად ვაქციოთ და შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეთანხმებით, ყოველწლიურად შევთავაზოთ რეჟისორებს ჭიათურის თეატრის სცენაზე მათი სადიპლომო სპექტაკლის დადგმა.

ვაპირებთ გამოვნახოთ გზები ისეთი პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც წლების განმავლობაში დაგროვდა. თეატრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ტექნიკური პროგრესის პირობებში, აუცილებლად საჭიროებს განახლებას, მაგალითად გასაუმჯობესებელია განათების სისტემა, დასამატებელია სხვადასხვა ტიპის აპარატურა, განვითარებული ტექნოლოგიების გამოყენებას ხომ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე თეატრში. თანამედროვე მოთხოვნებს ვერც გახმოვანების სისტემა აკმაყოფილებს. თეატრს არ აქვს დეკორაციებისა და რეკვიზიტის სამქრო, რის გამოც დეკორაციების დამზადება თეატრის ფოიეში, რეპეტიციებისაგან თავისუფალ დროს (ძირითადად საღამობით) მიმდინარეობს. არ არსებობს არანაირი დაზგა-დანადგარები, რაც პერსონალს მუშაობას გაუადვილებდა.

მართლაც, სავალალო მდგომარეობაშია სცენა და მაყურებელთა დარბაზი. სარკის კედლები დაბზარულია, სკამები მორყეული და გასახლებელია. ნესტის გამო, გამოფიტული და სასწრაფოდ გამოსაცვლელია დარბაზის იატაკი, ასევე, სცენის ფიცარნაგი, რომელიც შენობის აგებიდან არ შეცვლილა და საშინლად არის დეფორმირებული. ადგილ-ადგილ ფიცრები ისეა დამპალი, რომ მსახიობებისთვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს. სცენის მბრუნავი მექანიზმი, მწყობრიდან არის გამოსული. თეატრის ტექნიკური ბაზა სასწრაფოდ საჭიროებს გამოცვლას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამზუხაროა, რომ თეატრი ასეთ მდგომარეობაში ხვდება დაარსების 120-ე წელს. 2014 წელი ჭიათურის თეატრისთვის საიუბილეოა. იმედს ვიტოვებთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო გამონახავს ფინანსებს პრობლემების მოსავარებლად. გადასაჭრელია საგრიმოროების პრობლემა, რომლებიც განთავსებულია შენობის უკანა ნაწილშია, ანუ ადგილას, რომელიც სანახევროდ კლდეშია შედგმული. ამის გამო ვერ ხერხდება თეატრის სრული გათბობა. მუდმივი ნესტი, ინვენტარისა და ტექნიკური ბაზის გარდა, მოქმედებს თეატრში მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობაზე. თეატრის ამ მხარის თბოიზოლირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თეატრის შენობა, მისი ფასადი და ინტერიერი, ერთიან და გადაუდებელ რემონტს საჭიროებს.

მუდმივ და დაუძლეველ პრობლემად დგას დაუსაქმებელი მსახიობების საკითხი, რომელიც ცხადია, მხოლოდ ჭიათურის თეატრს არ აწესებს. წარმოუდგენელია თეატრში მსახიობად მუშაბდეს არაპროფესიონალი და შესაბამისი თეატრალური გამოცდილების არმქონე ადამიანი, რომელიც მეორე, აბსოლუტურად განსხვავებული პროფილის სამსახურშიც მუშაობს, თავს არიდებს სპექტაკლში თამაშს და ყველანაირი ხერხით ცდილობს არ მოხვდეს განანილებაში, მაგრამ თეატრისგან ითხოვდეს ხელფასს. ასეთი მაგალითებიც მხოლოდ ჭიათურის თეატრში როდი მოიძებნება?! საკმარისია შეეხო ამ პრობლემას და მოინდომო მისი გამოსწორება, რომ ინტრიგებზე მონადირენი მსობრივი საინფორმაციო საშუალებებით, თავს უფლებას აძლევენ საჯარო განცხადებები გააკეთონ. საფუძველს მოკლებული ბრალდებების პირისპირ, შემოქმედებითი პროცესის განვითარებით დაინტერესებული თეატრის ხელმძღვანელობა ხშირად მარტორჩება. ამ ტიპის პრობლემების მოგვარება ორმაგად მტკიცნეულია რეგიონის თეატრებისთვის. ამ დროს დაუსაქმებელი რჩებიან ნიჭიერი, ახალგაზრდა მსახიობები, ან თეატრებთან გროშების სანაცვლოდ თანამშრომლობენ.

### — გამოსავალი? სად არის გამოსავალი?

— ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარება, ვფიქრობ, ეტაპობრივად უნდა დაიწყოს. ყველაფრის ერთბამად მოგვარება ძნელია. თუმცა, აღნიშნულ საკითხებზე საუბარი დღესვე უნდა დავიწყოთ. ის 320 ათასი ლარი, რითაც ხელისუფლება თეატრს აფინანსებს, ძირითადად მსახიობების და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ხელფასებს, კომუნალურ გადასახადებს და სადადგმო ხარჯის მხოლოდ ნაწილს ხმარდება. კარგი იქნება, თუ ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლება თეატრის ხელმძღვანელობას მისცემს დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას, რასაც კანონი ითვალისწინებს და ხელს შეგვინყობს ისეთი პრობლემების მოგვარებაში, თეატრის ძალებს რომ აღემატება.

ესაუბრა თამარ პიკანვალიძე

# დურუჯი — 90

მაია კიკანაძე

მე-20 საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, რუსთაველის სახ. თეატრის მოღვაწეთა ახალგაზრდულ წრეში მომწიფდა აზრი ახალი სათეატრო ესთეტიკის შექმნის აუცილებლობის შესახებ. ახლის ძიების პროცესში აქტიურად ჩაბმულ ახალგაზრდა თაობას შესაძლებლად მიაჩნდა, რომ მარჯანიშვილისა და ახმეტელის ხელმძღვანელობით შეეძლოთ თვისობრივად ახალი ქართული თეატრი შეექმნა. „საქართველოს უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი დამოუკიდებელი თეატრი, ანთებული ქართული გულით და აღგზნებული ქართული სულით“ — ხერდა ახმეტელი.

1924 წლის 5 იანვარს, რუსთაველის სახელობის თეატრში დაფუძნდა კორპორაცია „დურუჯი“. სახელწოდება „დურუჯი“ ახმეტელის ინიციატივით მარჯანიშვილის საპატიოცემულოდ დაერქვა (დურუჯი მდინარეა მარჯანიშვილის მშობლიურ სოფელ ყვარელში). „დურუჯი“ იყო თანამაზრე შემოქმედი ახალგაზრდების გაერთიანება — კორპორაცია. კორპორაციებს ჰქონდათ წესდება, მანიფესტი, საკუთარი ჰიმნი, გააჩნდათ თავიანთი მუშაობის სტრუქტურა, მიზანი და დანიშნულება. ისინი აწყობდნენ ამხანაგურ სასამართლოებს, ანარმობდნენ სხდომებს (ოქმებს ანარმობდა მდივნი დოდო ან-თაძე), მამასახლისასა და კრების თავმჯდომარეს მორიგეობითი ირჩევდნენ. ახალი შემოქმედებითი ნარმატებების მოსაპოვებლად, საჭირო იყო უკომპრომისო ბრძოლა ძველი, დრომოქმული შაბდონისა და მოქარებული „საძაგელი ხალტურის“ (კ. მარჯანიშვილი) წინააღმდეგ, რაც თეატრის შემოქმედებით მუშაობას აფერხებდა. დიდი ყურადღება ექცევიდა დასის პროფესიული ჩვევების ამაღლებას, მსახიობების ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებას. წესდებაში ეწერა, რომ არტისტი „კულტურულად და მხატვრულად“ აღზრდილი უნდა ყოფილიყო. ახმეტელი წერდა: „კორპორაცია ფუძება ახალი თეატრისა, უნდა განვდევნოთ არაპროფესიონალობა, შევქმნათ კულტი ახალი არტისტისა“<sup>1</sup> (აქაც და სხვაგანაც ახმეტელი ხშირად საუბრობდა არტისტის აღზრდის აუცილებლობაზე).

1. ს. ახმეტელი. დოკუმენტები და ნარკვევები, ტ. I. თბ. 1978. გვ. 243.

ქართული თეატრის ისტორიაში „დურუჯის“ შექმნა ერთ-ერთი ყველაზე რევოლუციური გადატრიალება იყო. რევოლუციურად რადიკალური იყო „დურუჯის“ მანიფესტიც.<sup>2</sup>

„ძველი თეატრის ნანგრევებში...“

ნოემბრის 25... ქართული აუქციონში... მოგება ჩვენ...“

ფიზიოლოგიური განცდანი ისტორიის ნაოჭებში...“

ქურუმთა ხარხარი და შუშხარება კეთროვან ბალდახინზე პანთეონისაკენ...“

ოქროპირთა კატასტროფა ტრალელიებში...“

ძველი ღრამატურგია ბეჭვბლამძგრალი მელოტი თავით...“

არშინ მალალანის გვარდია ხურჯინით მურტალ, მოღრევილ ზურგზე — გაზაფხულიდან შემოღვიძემდე...“

ბებერი კამეჩები საგასტროლოდ შოთას პროსპექტზე...“

ქართული თეატრი შლაშიან ჭაობიდან ამოტივტივებული...“

პაროლი: „დურუჯი!!!“

ჩრდილოეთი მოგარდილი კენტავრი...“

ქართული თეატრი ახალი ცეცხლის არტახებში...“

„დურუჯი“ — მემარცხენე... ნოემბრის 25... საზემო ყვილი გამარჯვების ყორეზე...“

არტისტი შუშპარიანი...“

არტისტი ცეცხლოვანი...“

არტისტი გიუ...“

არტისტი შფოთი...“

არტისტი გოროზი...“

არტისტი ფაფარაჭილ რაშე...“

არტისტი კაღნიერი...“

არტისტი რიბიანი...“

კენტავრი ვეფხვების საერთაშორისო კარნავალში...“

მარჯნისფერი მზე...“

„დურუჯი!“

(ხელს აწერენ: კოტე მარჯანიშვილი, ალექსანდრე ახმეტელი, ვაიჩესლავ ჯიერი, დავით ჩხეიძე, კუკური პატარიძე, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯათარიძე, უშანგი ჩხეიძე, დოდო ანთაძე, შალვა დამბაშიძე, აკაკი ხორავა, პლატონ კორიშელი, დიმიტრი მეურვა, გიორგი დავითაშვილი, ვასო პატარაია, გიორგი დავითაშვილი, ვასო პატარაია,

2. ს. ახმეტელი. დოკუმენტები და ნარკვევები, ტ. I. თბ. 1978. გვ. 256.

ალექსანდრე გველესიანი, ბუშუა შავიშვილი, ელენე დონაური).

მანიფესტში ნახსენები „25 ნოემბერი“ და „მარჯნისფერი მზე“ კოტე მარჯანიშვილის სახელთან იყო დაკავშირებული. 1922 წლის 25 ნოემბერს რუსეთიდან დაბრუნებულმა მარჯანიშვილმა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“ განხორციელებით საზოგადოებას ახალი თეატრის დაბადება აუზყა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ „დურუჯა“ 29 იანვარს, საგანგებო სხდომაზე, ახმეტელის ინიციატივით, მარჯანიშვილი კორპორაციის საპატიო წევრად ერთხმად აირჩია.

„დურუჯის“ მანიფესტის ექსპრესიონისტული სტილი (მკვეთრი-სალოზუნგი), რომელიც იმხანად მოდური გატაცება იყო, რიტორიკული, პათეტიკური ფრაზეოლოგია იქცევდა საზოგადოების ყურადღებას. მართალია, ქართული თეატრის განვითარების იმ ეტაპზე, როცა „ცისფერყანწელებისა“ და „უტურისტების“ მოდერნისტული გატაცები უკვე ცნობილი იყო, „დურუჯის“ მანიფესტის გამოჩენაც გარკვეულ კანონზომიერ მოვლენად აღიქმებოდა. თუმცა მანიფესტის ტექსტის პრინციპული და რადიკალური ტონი მანიც უჩეულოდ ყლერდა. მანიფესტის ტექსტის შემდგენელებს (ვ. პატარაია, აკ. ვასაძე, პლ. კორიშელი, ს. ახმეტელი) კოტე მარჯანიშვილი მხარს უჭრდა და სწორედ მისი რევიზით უნდოდათ, გაზეთ „ქართულ სიტყვაში“ გამოქვეყნება. მაგრამ რედაქციამ დაუწენა, უარი უთხრა - ამას ვერ დავბეჭდავთო. ამის შემდეგ გადაწყვდა, მანიფესტი ერთ-ერთ ნარმოდგენაზე საჯაროდ წაეკითხათ. 29 იანვარს მონაცემილი სალამო „უნდა ყოფილიყო დემონსტრაცია „დურუჯის“ შემოქმედებისა“. მანიფესტი აკავი ვასაძეს უნდა წაეკითხა. ასეც მოხდა - სპექტაკლ „ინტერესთა თამაშის“ ნარმოდგენისას, მეორე მოქმედების დროს, აკავი ვასაძემ „გაშალა პერგამენტზე დაწერილი მანიფესტი და კითხვა დაიწყო, ახმეტელმა კი როგორც ეს დაგეგმილი იყო პარტერიდან ნამოიძახა - „პაროლი!“, რასაც კორპორანტთა შეძახილი მოჰყვა „დურუჯი“. შემდეგ ყველანი სცენაზე ავიდნენ მანიფესტის წასაკითხად. იმდერეს პიმინი „ლილე“. პოეტი პაული იაშვილი, რომელიც მხარს უჭრდა „დურუჯის“ დაფუძნებას, „ცისფერყანწელების“ სახელით მისასალმებელ სიტყვას ამბობდა, როცა პარტერში საშინელი ხმაური ატყდა, გაისმა სტვენა და შეძახილები. „დურუჯის“ მანიფესტის კადნიერმა ტონმა აღაშფოთა უფროსი თაობის მსახიობები. საკმარისი არ აღმოჩნდა არც ის, რომ მარჯანიშვილი პარტერში ჩავიდა და ძველი თაობის მსახიობები — ვასო აბაშიძე და მაკო საფაროვა (მოგვიანებით მაკო საფაროვას ახმეტელის ინიციატივით და კორპორაციის შუამდგომლობით, მთავრობამ მანიფა რესპუბლიკის სახ. არტისტის წოდება) სცენაზე მიიწვია და

ხელზეც ეამბორა, ახალგაზრდებმა კი მათდამი პატივისცემის ნიშნად „ორი მშვენიერი მოხუცი“ (კ. მარჯანიშვილი) ხელში აყვანილი ისევ დარბაზში ჩაიყვანა.

თეატრალური საზოგადოება ორ დაპირ-სპირებულ მხარებად გაიყო. უფროსი თაობის მსახიობებისათვის შეურაცხმყოფელი იყო მანიფესტის სტრიქონები „ბებერი კამეჩები საგასტროლოდ შოთას პროსპექტზე“, „ქართული თეატრი შლამიან ჭაობიდან ამოტივტივებული“. იოსებ იმედაშვილი მკაცრად აკრიტიკებდა მანიფესტის ავტორებს. „ბებერი კამეჩები?“ თეატრის ვირთხები?“ - მერე ვის მიმართ? იმათ მიმართ, რომელთაც ქართულ თეატრს საძირკველი ჩაუყარეს... მთელი ოცდაათი-ორმოცი წელიწადი თავისი ზურგით, ძარღვებით, გულით და სულით დღემდე მოიტანეს... რა დააშავეს ყველა ამათ? მხოლოდ ის, რომ მთელი ოცი-ორმოცი წლის განმავლობაში, თუმცა თავშესაფარი არ ჰქონდათ, არ ჰქინდათ სინათლე, სითბო, ჯამაგირი (წლიური), უმტესად შიმშილობდნენ, რუსთა თვითმშეყრობელურ მმართველობისაგან მუდამ დატუქსული იყვნენ... მაინც ქართულ სასცენო ხელოვნებას პატივ-დიდება მოუპოვას...

აღნიშვნული მანიფესტის პათოსი ქართული კულტურის წარმომადგენლებმაც უფროსი თაობის მსახიობთა ლირსების შელახვად მიიჩნიეს. ვახტანგ კოტეტიშვილი გაზეთის („ქართული სიტყვა“ 1924-12) ფურცლებიდან ახალგაზრდებს შეასენებდა: „თქვენით არც იწევას და არც გათავდება ჩვენი თეატრის ისტორია... როდესაც თქვენ წერთ „ძველი თეატრის ნაგრევებში“ უნდა გახსოვდეთ, რომ ამ ნაგრევებქვეშ აქცევთ იმ ლამაზ ტრადიციებს, რომელთა განვითარება და გარდაქმნა გვმართებს და არა უარყოფა“.⁴

„დურუჯელთა“ საქციიელმა გაანაწყენა საზოგადოების ის ნანილიც, რომელთა შორისაც ახმეტელისა და კორპორანტთა პირადი მეგობრებიც იყვნენ. მათ (შ. დადიანი, ს. შანშიაშვილი, მ. ქორელი, ვ. სიდამონ-ერისთავი, ნ. ნაკაშიძე, ი. გრიშმაშვილი) საპროტესტო წერილით გამოხატეს თავიანთი პოზიცია. დაგმეს და შეუწყისარებლად მიიჩნიეს სცენის დამსახურებულ მოღვაწეთა შეურაცხმყოფა და ლანდღვა-გინება. ამ სულისკვეთებით იყო დაწერილ სხვა წერილებიც (ზოგიერთი გამოხაკვის გარდა, მაგ: ტიციან ტაბიძის წერილი „დურუჯის დეკლარაცია“). მომხდარის ორგვლივა ატენილი სკანდალის ჩასაცხრობად კოტე შარჯანიშვილი ეცადა საზოგადოებას სიმართლის გაგებაში დახმარებოდა და „უმსგავსო ჭორებისაგან“ თავის დასაღწევებად, გაზეთ „ქართული სიტყვის“ (1924 13 19//II) რედაქციას მიმართა. წერილში „ქართული თეატრის გარშემო“, მარჯანიშვილი

3. იქვე, გვ. 267-268

4. იქვე, გვ. 367.

პატივისცემას გამოხატავდა ძველი თაობის მსახიობთა მიმართ და ფუტურისტების გადმოსროლილ პროკლამაციებს, რომელიც საზოგადოებამ კორპორაციის მანიფესტად ჩათვალა, პროვოკაციას უწოდებდა. ის მხარს უჭერდა ახალგაზრდების გატაცებას და მანიფესტის სულისკვეთებას — „მისწრავებას ახალი თეატრის ძიების გზებისა“, იზიარებდა. ერთი წლის შემდეგაც, კოტე მარჯანიშვილი დადებითად შეაფასებს „დურუჯის“ შექმნის იდეას (იხ. ნერილი „ბედნიერი ერთი ნელი“),<sup>5</sup> ნარმატებად მიიჩნევს „ლატავრას“, „ლისაბონის ტუსალების“, „შპიგელმერშის“ დადგმებს — „ეს ჩვენი აქტივია ხელოვნების თვალსაზრისით“. სალამს მიუძღვნის ახალგაზრდებს, მადლობას გადაუხდის სტუდიელებს, სცენის მუშებს, თეატრის ენთუზიასტებს — მაყურებელს.

„დურუჯის“ შექმნის ერთი წლისთავის აღსანიშნავად, 1925 წლის 29 იანვარს, რუსთაველის თეატრში ვერფელის „ეაცი სარკიდან“ (რეჟისორები: ა. ახმეტელი, კ. მარჯანიშვილი) უნდა ნარმოედგინათ. ამ დღესაც დეკლარაცია-მანიფესტის საჯარო კითხვა იყო გადაწყვეტილი. სპექტაკლის ერთ-ერთმა მონანილები გიორგი დავითაშვილმა სპეციალურად გაკეთებულ კიბეზე ტექსტი ნაიკითხა, რასაც საზოგადოების მხრიდან ოვაციები და აპლოდისმენტები მოჰყვა. „დურუჯის“ როგორც პირველი (1924), ასევე მეორე (1925) მანიფესტი აზრობრივად და სტილისტურად ერთ მთლიან მოვლენას ნარმოადგენდა. ახალი მანიფესტიც იმავე სულისკვეთებით იყო დაწერილი, როგორც ძველი.

წარსული წელი — წალევა, სამარე ძველი!... ძველი თეატრი — გაძაფრულ, მხატვრულ, ნამევ კულტურის ანარქიელი... „დურუჯი“ ამზადებს მასზე ახალ ნეკროლოგს... რევოლუცია - „დურუჯი“... „დურუჯი“ - ახალი ეპოქა ქართული თეატრის...

„დურუჯი“ - ქართველთა რიტმით, მეტყველებით, ტექნიკამნეტით და ემოციით ნაქანივი... „დურუჯი“ საფირი ახალი ხელოვნებისა საქართველოში... და ა.შ.<sup>6</sup>

თეატრის განახლების იდეა, „თეატრალური დილეტანტიზმის დაძლევა“, გარკვეული წილად დაკავშირებული იყო თეატრში დისკიპლინის საკითხის მოგვარებასთანაც. მხატვრული დისკიპლინის დარღვევის შესახებ ოქმებსა და სარეპეტიციო დღიურებში არაერთი ჩანაწერი გვხვდება. მაგ: „გულცივობა, პრეტენზიები, როლებიდან განთავისუფლება, უყურადღებობა გრიმზე და ჩაცმულობაზე, უდისციპლინობა რეპეტიციებზე, წარმოდგენების დროს დაკისრებული მოვალეობის უგულოდ შესრულება...“ (ოქმი 41). „სინათლის“ რეპეტიციის „ჩაშლისთვის,

მსახიობ თამარ ჭავჭავაძის 25 მანეთით დაჯარიმებას მოითხოვდა ს. ახმეტელი და ა.შ. ადმინისტრაციის საყვედურები მარჯანიშვილსაც კი შეეხო. დადგენილებაში კვითხულობთ: „ეთხოვთ კ. მარჯანიშვილს ისეთნაირად შეუფარდოს კინოში მუშაობა თეატრში მუშაობას, რომ კვირაში სამჯერ მაინც მოვიდეს რეპეტიციებზე“ — 1924 წ. 16 სექტომბერი 34. მარჯანიშვილი კინოგადალებებით იყო დაკავებული (იღებდა ფილმს „ქარიშხლის წინ“) და იშვიათად მიდიოდა თეატრში. კორპორაცია კი მოითხოვდა, რომ კინოში მუშაობას ხელი არ უნდა შეეშალა მისი საქმიანობისთვის თეატრში. სიტუაცია ნელ-ნელა იძაბებოდა. კორპორაციანტთა კრიტიკული ტონი მარჯანიშვილისთვის სრულიად მიუღებელი იყო. 7 ოქტომბერს მარჯანიშვილმა ნერილით მიმართა კორპორაციას კორპორაციიდან გასვლის შესახებ.<sup>7</sup> კორპორანტებმა საკითხის გასარკვევად კრების მოწყობა გადაწყვიტეს. „ვინაიდან მიზეზი კორპორანტ კ. მარჯანიშვილისა კორპორაციიდან გასვლისა და კრებაზე დაუსწრებობისა, კორპორაციისთვის სრულიად გაუგებარია და გამოურკვეველი, კორპორაცია კატეგორიულად მოითხოვს, რათა კ. მარჯანიშვილი გამოცხადდეს პარასკევს, 10 ოქტომბერს, დღის 2 საათზე და თუ ვინიციობაა კ. მარჯანიშვილი არ გამოცხადდა ალითშულ კრებაზე, კორპორაცია სწყვეტს მასთან ყველგვარ მუშაობას, როგორც თეატრში აგრეთვე კინოში, სანაც კ. მარჯანიშვილი არ გამოცხადდება კორპორაციაში საქმის გამოსარკვევად“ (ოქმი 37).<sup>8</sup>

ერთი თვის შემდეგ, 10 ნოემბერს მარჯანიშვილის მოთხოვნა კორპორაციული მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ, დაკავშირებილების. ის დაოჩა როგორც კორპორაციის იდეოლოგი და საპატიო წევრი (ოქმი 42).<sup>9</sup>

კორპორაციის რადიკალიზმი ხელს უშლიდა კორპორანტებს შორის ურთიერთობასაც. დისკიპლინის საკითხთან დაკავშირებით, მოხდა კონფლიქტი ვერიკუ ანჯაფარიძესა და სანდორ ახმეტელს შორის. „ლატავრას“ რეპეტიციაზე ახმეტელმა ვერიკუს დაუყვირა, კორპორანტთა სასამართლომ ახმეტელს ბოდიშის მოხდა დავავალი.

„დურუჯელებს“ ფიცი ჰქონდათ დადებული, რომ მკაცრად დაიცავდნენ კორპორაციის გადაწყვეტილებას. დისკიპლინის საკითხის დაცვა კი ეხებოდა თეატრის ყველა ასპექტს, უპირველესად მხატვრულ-ორგანიზაციულ საკითხს. კორპორაცია ასევე განსაზღვრავდა კორპორანტთა ქცევის წესებს თეატრში და

**7. 6. ურუშაძე. მეორე სიცოცხლე. თბ. 1987. გვ. 88.**

**8. ს. ახმეტელი. დოკუმენტები და ნარკვევები. ტ. I. თბ. 1978. გვ. 310.**

**9. იქვე, გვ. 322**

**5. იქვე, გვ. 361**

**6. იქვე, გვ. 359.**

თეატრს გარეთ. ასეთი 28 წესი იყო.<sup>10</sup> – „კორპორაციი არასოდეს არ ტყუის, კორპორანტის არ აქვს უფლება აღნიშნოს კორპორანტის ჩამეცუდი მხარე ან აძაღოს იგი კორპორაციისა და მისი წევრების გარეშე, კორპორანტი გალდებულია დაიცვას უკიდურესი დისციპლინა, კორპორანტი საუბრობს ქართველებთან აუცილებლად ქართულად, სხვებთან კი მათთვის გასაგებ ენაზე. კორპორანტი ჰყლანდნ ზრდილობინია, სიტყვის ამსრულებელი ჯენტლმენია, კორპორანტი უსაჭმოდ დროს არ ატარებს“ და ა.შ. ეს იყო მთელი კოდექსი კორპორაციის წევრთა ეთიკური და მორალური ქცევებისა. მკაცრი უფლებამოვალეობანი ყოველდღიურ ცხოვრებაში ძნელად დასაცავი იყო. ქცევის ეს ნორმები მიიღეს იმისთვის, რომ მკეთრად გაზრდილიყო საზოგადოებაში მსახიობის ავტორიტეტი. „არტისტი – საზოგადოებრივი ცხოვრების ესთეტიკური და ეთიკური ხელმძღვანელი“, „არტისტი – ეროვნული კულტურის მტკიცე დამცველი“ – ამ მაღალი კრიტიკიუმებით უნდა ეცხოვა მსახიობს. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ იმ დროს ქვეყნაში დიდი პოლიტიკური ცვლილებები ხდებოდა, კორპორანტის ეკრძალებოდა პოლიტიკურ მოვლენებში ჩარევა. წესდება მსახიობისგან მოითხოვდა: „ყოველგვარ პოლიტიკურ მიმართულებათა გარეშე დღომას“. „დურუჯის“ წესების უმკაცრეს ნორმებს კეთილშობილური მიზნები ჰქონდა. მისი დევიზი იყო — „ერთი ყველასათვის – ყველა ერთისათვის“. კორპორანტი უნდა ყოველიყის „ძმობისა და მეგობრის იდეის გამტარებელი“. ყოველივე ეს ახალგაზრდული რომანტიკული გატაცებით იყო შთაგონებული. ზოგი რამ თითქმის იდეალისტურიც, რომელსაც ცხოვრებაში განხორციელება არ ეწერა. ასეც მოხდა. თანდათან გამძაფრდა შინაგანი წინააღმდეგობა. მიუხედავად ამისა, 1926 წელს „დურუჯია“ დაარსებიდან ორი წლითავი იზეიმა. გამოსცა ჟურნალი „დურუჯის“ სპეციალური წომერი. ყდაზე დაბეჭდეს კ. მარჯანიშვილის ფოტო, ხოლო პირველ გვერდზე სანდორ ახმეტელის. ჟურნალში წერილები გამოაქვეყნეს: გრ. რობაქიძემ, ლ. ანდრონიკაშვილმა, ტ. ტაბიძემ, პ. იაშვილმა, შ. აფხაძემ, ივ. გომართელმა, აკ. ფალავამ, აკ. ვასაძემ, ბ. ულენგტმა, ალ. ახმეტელმა. კოტე მარჯანიშვილი წერდა: „ჩვენ გამარჯვებას შეუდაბ წელს უწყობდა სამი გარემოება: თავგამოღებული შუშაობა, ერთსულოვანი სიყარული საქმისადმი და ნებაყოფლობით დისციპლინა, რომელსაც ფოლადისებური სიმტკიცით ხელმძღვანელობდა კორპორაცია „დურუჯი“. მხურვალედ გილოცავთ და გეოცნით ჰყლას, განსაკუთრებით კი საშას..., რომელშიაც ვგრძნობ ჩვენი ძვირფასი საქმის ღირსეულ გამრძელებულს“.

კოტე მარჯანიშვილი „დურუჯისადმი“ მიძ-

10. ს. ახმეტელი, დოკუმენტები და რარკვევები, ტ. I. თბ. 1978. გვ. 246.

ღვნილ საღამოს, ავადმყოფობის გამო, ვერ დაესწრო. საზეიმო საღამო 1926 წლის 29 იანვარს გაიმართა. კორპორაცია მარჯანიშვილის სახელით მიესალმა საზოგადოებას, იმდერეს ჰიმნი „ლილე“. ალექსანდრე ახმეტელმა ისაუბრა სამომავლო გეგმებზე, წარმოადგინეს გრ. რობაქიძის „ლამარა“ (რეჟ: ახმეტელი, მარჯანიშვილი. ეს სპექტაციულიც უთანხმოების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. მარჯანიშვილის ავადმყოფობის გამო, სპექტაციულის დადგმა ახმეტელმა გააგრძელა, როცა სპექტაციული მარჯანიშვილმა პირველად ნახა, არ მოეწონა).

1926 წლის ზაფხულში, ახმეტელის ხელმძღვანელობით დასი საგასტროლოდ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში გაემგზავრა (მარჯანიშვილი აგად იყო, დასას შემდეგ შეუერთდა). ოზურგეთში ყოფნისას, 22 მაისს ახმეტელმა მსახიობებს მომავალი სეზონის გეგმები გააცნო (ოქმი 115). 1. დაგეგმილი იყო დასის მხატვრული წმენდა; 2. ახმეტელს შეუძლებლად მიაწნდა „არში მალ-ალანის“ (ჰავიტების პერეტა) რეპერტუარში შეტანა, ამით ახმეტელი მარჯანიშვილს უპირისპირდებოდა, ვინაიდან ის სეზონის გასსნას სწორედ ამ სპექტაციულით გეგმავდა. რაც შეეხებოდა დასის შემცირებას, როგორც ჩანს, გარდაუვალი იყო. მარჯანიშვილის აზრით, ის ყველას შეეხებოდა, მათ შორის „დურუჯის“ წევრებსაც. ივნისის ბოლოს, როცა დასი თბილისში დაბრუნდა, თეატრში მსახიობთა განთავისუფლების სია დახვდათ. 4 ივლისს კორპორანტები მარჯანიშვილს სახლში ეწვივნენ, კრება ჩატარებული და მისი გადაწყვეტილება გააპროტესტეს. ამავე დღის პატივისცემას უდასტურებდნენ და თხოვდნენ თეატრის ხელმძღვნელობა გაეგრძელებინა (ოქმი 121). კოტე მარჯანიშვილმა მოსაფიქრებლად რამდენიმე დღე ითხოვა.

„დურუჯის“ ერთსულოვნებამ ორი წელი გასტან. შემდეგ დაინყო რღვევა. ჯერ ვერკიო ანჯაფარიძემ დატოვა „დურუჯი“, შემდეგ მოხდა კონფლიქტი „დურუჯსა“ და მარჯანიშვილის შორის, ახმეტელსა და მარჯანიშვილს შორის. დაპირისპირება, როგორც ჩანს გარდაუვალი იყო. მარჯანიშვილისთვის მიუღებელი აღმოჩნდა „დურუჯის“ მკაცრი აღმინისტრაციული წესები. „დურუჯელებმაც“ ვერშეძლეს მრავალი ცდის მიუხედავად, მარჯანიშვილთან კომპრომისების გამონახვა.

1926 წლის 7 ივლისს მარჯანიშვილმა რუსთაველის თეატრიდან წასვლის შესახებ წერილობითი განცხადება გააკეთა.

1927 წელს „დურუჯი“ დაიშალა.

# კვალი ნათელი

## ქართული ხელოვნების პირველი დესპანი

(ვ. ჭაბუკიანის დაბადების 104-ე წელი)

დავით ჯანგველაძე  
ვ. ჭაბუკიანის მემორიალური  
ბინა-მუზეუმის დირექტორი

27 თებერვალს შესრულდა ცეკვის ჯადოქრის, მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავის ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადების 104 წელი.

სამწუხაროდ, მისი უდიდესი ღვაწლი ჩვენი საზოგადოების მიერ ჯეროვნად არ არის დაფასებული. პრესაში კანტი-კუნტად თუ გაილვებს ხოლმე ჭაბუკიანის შესახებ სტატია, სადაც უმეტეს შემთხვევაში ავტორები „სენსაციური“ და „სკანდალური“ მასალების ძიებაში არაფრისმთქმელ ცნობებს აწვდიან მკითხველს. ამიტომ არის, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, ბევრი არაფრი იციან ამ უდიდესი პიროვნების ხელოვნებისა და მოღვაწეობის შესახებ. არადა, რაოდენ დიდი ღვაწლი და დამსახურება მიუძლვის სამშობლოს ნინაშე ქართული კულტურისა და ხელოვნების ამ უდიდეს დესპანს.

ამ სტატიაში მინდა მოგითხოვთ ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდის შესახებ ვ. ჭაბუკიანის შინაარსობრივად უმდიდრესი ცხოვრებიდან.

თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციას. დასავლეთი, მათ შორის გამორჩეულად ამერიკის შეერთებულ შტატები, ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი გარანტია.

საქართველოსა და აშშ-ს შორის მეგობრობისა და პარტნიორობის განმსაზღვრელ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაზე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდნენ აგრეთვე ცალკეული პიროვნებები — გამორჩეული ქართველები, ვინც აშშ-ს საზოგადოებას საუკეთესო კუთხით დაანახეს საქართველოს სახე — მაღალი კულტურა, სწრაფვა თავისუფლებისა და სრულყოფილებისაკენ.

ქართველების გენტიკური ნიჭიერება და ტალანტი, გმირული და ვაჟაცური სული, ღიდერობა და პირველობისაკენ სწრაფვა საბჭოთა ეპოქაშიც თვალნათელი იყო. მათ



საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თქვეს თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა.

ალბათ ბევრმა არ იცის (განსაკუთრებით ახალგაზრდობამ), რომ პირველი ხელოვანი, კულტურის პირველი დესპანი, ვინც აშშ-ში იქნა ნარგზავნილი საგატროლოდ, 24 წლის ვახტანგ ჭაბუკიანი იყო.

1933 წლის 16 ნოემბერს საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა.

1934 წლის 8 იანვარს ვაშინგტონში სასრე-ს ელჩმა აშშ-ის პრეზიდენტ რუზველტს ჩა-აბარა თავისი რწმუნების სიგელები, ხოლო ოთხი დღის შემდეგ (12 იანვარს) ნიუ-იორკის ერთ-ერთ უდიდეს საკონცერტო დარბაზში, „კარნევი-ჰოლში“ მოენყო ვახტანგ ჭაბუკი-ანისა და მისი პარტნიორის — ტატიანა ვეჩეს-ლოვას პირველი გამოსვლა.

ამ მოგზაურობის მნიშვნელობა ჩვეუ-ლებრივ გასტროლებზე გაცილებით მეტი იყო და ადგილი გასაგებია, რა აზრსა და დატ-ვირთვას იძენდა იგი.

საბჭოთა კულტურის მესვეურთა მიერ გა-კეთებული არჩევანი ბალეტსა და ვ. ჭაბუკი-ანზე მართლაც, შთამბეჭდავი აღმოჩნდა. ამერიკულმა ტრიუმფმა ვ. ჭაბუკიანის სახელი ლეგენდად აქცია. მან ერთ-ერთმა პირველმა შეძლო მთელი მსოფლიოსათვის ეჩვენებინა ქართული ნიჭის მაგიური ძალა და ფენომენი.

გასტროლიორებმა ამერიკელებს აჩვენეს მაღალ მწვერვალზე ასული არსებითად ახა-ლი ხელოვნება.

„კარნევი-ჰოლში“ 5000-ადგილიანი გადა-ჭედილი დარბაზი ერთიანად მონუსხა და



ნიუ-იორკი,

ვახტანგ ჭაბუკიანი,  
ტატიანა ვეჩესლოვა  
და ვატრე ვლადიმიროვი



ტატიანა ვეჩესლოვასთან ერთად

მოაჯადოვა ჭაბუკიანისა და ვეჩესლოვას ცეკვებმა. აღფრთოვანებული გამოძახილი იყო პრესაში. „ნიუ-იორკ დეილი მირორი“, „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და სხვა ბეჭდური გამო-ცემები ხოტბას ასხამდნენ მოცეკვავებს.

კონცერტის შემდეგ ვახტანგ ჭაბუკიანი მოინახულეს აშშ-ში მოღვაწე საბალეტო ხე-ლოვნების კორიფეებმა — ჯორჯ ბალანჩინმ (გიორგი ბალანჩინვაძე) და ვ. ვლადიმიროვმა, მათ დიდი პატივისცემა გამოხატეს ვ. ჭაბუკი-ანის მიმართ და უთხრეს, რომ მალე მისი ხე-ლოვნების ნინაშე მთელი მსოფლიო მუხლს მოიყრიდა.

ნიუ-იორკის შემდეგ წარმატებული გას-ტროლები გაგრძელდა აშშ-ს სხვა ქალაქებ-ში — ჩიკაგო, ბოსტონი, დეტრიოტი, ლოს-ანჯელესი, სან-ფრანცისკო...

ასე დაინყო და გაგრძელდა ვახტანგ ჭაბუკი-ანის ტრიუმფალური სვლა მსოფლიოს წამყ-ვან თეატრებში და მისი სახელი მსოფლიო საბალეტო ხელოვნების კუთვნილება გახდა.

ბეჭდიერია ქვეყანა, რომელსაც ასეთი ბუმ-ბერაზი ხელოვანი ჰყავს. ვახტანგ ჭაბუკიანის მსოფლიო საბალეტო ტრიუმფი პირდაპირ კა-ვშირშია იმ გენეტიკურ მუხტსა და ფენომენ-თან, რითაც გამორჩეულად მდიდარია ქარ-თული ბუნება. ჭაბუკიანმა მსოფლიოს აჩვენა ქართული ხელოვნების საოცარი სილამაზე და თვითმყოფადობა და ამით უდიდესი როლი შეასრულა ცივილიზებულ სამყაროში ქარ-თული კულტურის დამკვიდრების საქმეში.

# ის იყო ადამიანი

გარდაიცვალა ოთარ მეღვინეთუხუცესი. სასუფეველი მას ცათა შინა. მან ეს დაიმსახურა. ღმერთმა მისცეს გამძლეობა, მხეობა და მოთმინება გურანდა გაბუნიას — მის მეუღლეს და შვილს, ეს მძიმე დანაკლისი რომ გადაიტანონ.

სოციალიზმის დროინდელ საქართველოში ძალზე პოპულარული იყო მრავალსერიანი ფილმი „ნაპირები“, სადაც ოთარი მთავარ როლს ასრულებდა. მე ვიცნობდი მას, როგორც ამ ნამუშევრით, ისე თეატრიდან და ძალიან მიყვარდა. ეს სწორედ რომ ზუსტად შესაფერისი სიტყვაა. მიყვარდა. მიყვარდა როგორც ადამიანი. ის ძალიან ლამაზი იყო. არა რობერტ ტეილორის სილამაზით, არა ჰენრი ფონდას ინტელიგენტულობით, არა ნიკოლოზ მორდვინვის წარმოუდგენელი მოხდენილობით, არამედ ადამიანის იმ შინაგანი სრულყოფილი სილამაზით, როგორითაც უფალი ღმერთი მოავლენს ხოლმე მას ამქეცენად.

ის არ იყო რომელიმე კონკრეტული ამპლუის მსახიობი. ზოგჯერ ამბობენ მსახიობზე: „ის არ თამაშობს, ის ცხოვრობს სცენაზე“. არა მგონია, შეიძლებოდეს ამის თქმა ოთარზე. აქ უმჯობესია შექსპირს მოვუხმოთ: „ის იყო ადამიანი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“. თავისი ცხოვრების რომელილაც მომენტში ოთარმა საკუთარ თავზე აიღო თეატრზე პასუხისმგებლობა. მე კი, პროფესიით მსახიობმა, ვიცი, რა არის ეს, როცა მსახიობი ამ ტვირთს კისრულობს.


როდესაც სამხატვრო თეატრს მოვვეცა შესაძლებლობა, ოთარი მოგვეწვია, მე როგორც დაინტერესებულმა პირმა, ვითავე ეს საქმე. ამ სპექტაკლში — უან ანუის „ანტიგონეში“, მეღვინეოთუხუცესმა ითამაშა, ჩემი აზრით, ბრწყინვალედ, ადამიანურად, თეატრისთვის უჩვეულოდ ღრმააზროვნად მსახიობ მარინა ზოლინასთან ერთად. სპექტაკლი რამდენიმე წელი წარმატებით მიდიოდა და ეს თეატრალური სეზონები იმ წლებს დაემთხვა, როცა ურთიერთობები ჩვენს სახელმწიფოებს შორის ყველაზე კრიტიკული იყო, ჩვენ კი არაფერს ვაკეთებდით ამის გამოსასწორებლად. — ხელს არ ვუწყობდით საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრობის განმტკიცებას. ჩვენ ჩვენი პროფესიით ვიყავით დაკავებული. თავად მეგობრობა კი როგორიც ძლიერდებოდა მაყურებელთა დარბაზში, სადაც მიდიოდა სპექტაკლი თანამედროვეობაზე. რეჟისორი თემურ ჩენიძე „ანტიგონეში“ თავისი მონოდების სიმაღლეზე იდგა.

ოთარს დარჩა მეუღლე — მსახიობი გურანდა გაბუნია. იგი გახლავთ იშვიათი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მიუძღვნა საკუთარი თავი საყვარელ ადამიანს. გურანდა ფიქრობდა, ზრუნავდა, უფრთხილდებოდა მას. სიტყვები თითქოს ბანალურია, მაგრამ ვერ ვეგუები იმას, რომ იგი ალარ არის. ოთარს მრავალი როლი დარჩა განუხორციელებელი, მაგრამ ეს არა მარტო მისი სამსახიობო ხედრია. ცხოვრებაში ბევრი მსახიობი შემხვედრია, რომელთა ბედი უსამართლობის ტკივილიან განცდას იწვევდა. აბა, რამდენი როლი ვერ ითამაშეს, ბოლომდე ვერ დაიხსრჯენ ფაინა რანევსკაია, ნიკოლოზ პლოტნიკოვი. ბედისწერა საკმაოდ არასამართლიანად მოექცა მათ. დარჩა ტკივილი.

ლამაზ, გულთბილ საქართველოს მკვიდრთა შორის ოთარი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო. შეუძლებელი იყო არ გყვარებოდა ეს ადამიანი ისევე, როგორც შეუძლებელია არ გიყვარდეს ეს ქვეყანა. ამას ვამბობ ალბათ იმიტომ, რომ პირველად იქ საკმაოდ დიდი ხნის წინ ჩავედი და ის სიყვარული, ალერსი და მზრუნველი ყურადღება, რომლითაც ჩვენ, „სოვერემენიკის“ ახალგაზრდა და მაშინ არც ისე ცნობილ დასს გარს გვეხვეოდნენ, განუზომელი იყო.

კიდევ ერთხელ ვიტყვი: „ის იყო ადამიანი, ადამიანი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით“.

**ოლეგ ტაბაკოვი „როსიისკაია გაზეტა“**  
13.05.2013



\* \* \*

ოთარ მელვინეთუხუცესი, ჩემი აზრით, უდიდესი მსახიობია. გავიცანი იგი რამდენიმე წლის წინ, როცა მან, ოლეგ ტაბაკოვის მოწვევით, ითამაშა კრეონი თემურ ჩხეიძის „ანტიგონეში“ სამხატვრო თეატრის სცენაზე. ამ ნამუშევარში მამაკაცის საუკეთესო როლის შესრულებისთვის მიენიჭა ეროვნული პრემია „ჩაიკა“ და პრემია „კუმირი“. მაშინ მე პირველ ნაბიჯებს ვდგამდი „ტაბაკერკაში“.

2013 წლის სექტემბერში სამხატვრო თეატრმა თბილისში წარმოადგინა „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“.

ამ სპექტაკლში მე ცოტათი წავიხული იყნე, რამდენიმე ფრაზა ქართულად წარმოვთქვი. წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი იყო ჩემი მღელვარება და სიხარული, როდესაც სპექტაკლის შემდეგ ჩემთან შემოვიდა ბატონი ოთარი და მითხრა: „სერგე, რა კარგად გცოდნია ქართული, ძალიან გაზრდილხარ.“ განუზომელია უდიდესი მსახიობის მიერ წარმოთქმული ასეთი სიტყვების ფასი. ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო და არასოდეს დამავიწყდება.

### სიჩეო პეზრუპოვი. უურნალი „რუსსკი კლუბ“

**СПЕЦИАЛЬНЫЙ ПРЕДСТАВИТЕЛЬ  
ПРЕЗИДЕНТА РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ  
ПО МЕЖДУНАРОДНОМУ  
КУЛЬТУРНОМУ СОТРУДНИЧЕСТВУ**

Старая пл., д. 8/5, п. 3, Москва, 103132,  
Тел. (495) 606-43-65, факс (495) 606-29-22

**НАРОДНОЙ АРТИСТКЕ ГРУЗИИ  
г-же ГУРАНДЕ ГАБУНИЯ**

2013 წლის 20 ივნის 2013 გ.

№ 1111-1181

Многоуважаемая госпожа Габуния, *девораке Гуранда,*

Прошло уже несколько месяцев с тех пор, как мы потеряли великого человека, великого грузина, великого актера – Народного артиста СССР и Грузии Отара Вахтанговича Мегвинетухуцеси. Время не притупило боль – оно лишь еще ярче выявило масштаб понесенной нами утраты.

Дорогая Гуранда, Вы прошли вместе большой, трудный, но прекрасный жизненный путь, являя собой уникальный пример гармоничного союза двух выдающихся творческих людей и ярких личностей.

От всего сердца поздравляю Вас с открытием мемориальной доски О.В.Мегвинетухуцеси в г. Тбилиси – рад, что память об Отаре Вахтанговиче сохраняется.

С уважением,

*исарениშვილი,  
М. Швыдкой*

М.ШВЫДКОЙ

# სამყარო თეატრალის თვალით

ნოდარ გურაბანიძე

„და მსხალეთა ნინ ლაჟვარდების გაფრინდა რიგი“

სანამ თბილისში დიდი საკონცერტო დარბაზი არ აშენდა, მანამდე გვქონდა მხოლოდ ერთი, მომცრო საკონცერტო დარბაზი – რუსთაველის თეატრის დღევანდელი მცირე სცენა, სადაც საქართველოს ფილარმონია არაჩვეულებრივ სალამორებს მართავდა.

გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ვინ არ მინახავს და ვისთვის არ მომისმენია აქ: ამ სცენაზე უკრავდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული პიანისტები: ემილ გილელსი და სვიატოსლავ რიხტერი, მევიოლინე დავით ოსტრაზი, ვიოლონჩირლისტი სვიატოსლავ როსტროპოვიჩი, აქ გამოდიოდნენ მხატვრული კითხვის სწორულოვარი ოსტატები: ვლადიმირ იახონტოვი, პ. შურავლიოვი, ირაკლი ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი).

მარჯანიშვილის თეატრიდან წამოსვლის შემდეგ აქ ორი განსაცვიფრებელი სალამო გამართა დაუკინგარა სერგო ზაქარიაძემ. საქართველოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, ბეთჰოვენის „ეგმონტის“ შესრულებისას (მუსიკა გოეთეს ტრაგედიისთვის „ეგმონტი“), მან ტრაგიული გზებით წაკითხა ეს დრამატული ქმნილება.

მეორე სალამო კი მთლიანად მიეძღვნა თანამედროვე ქართულ პოეზიას და პროზას. თავზარდამცემი ძალით წაკითხა ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმიროდ“. დღემდე შემორჩა ჩემს მეხსიერებას მისი ხმის ყველა ინტონაცია, მისი ოსტატური პაუზები და ტემპი-რიტმის ცვალებადობა. დინჯი ეპატაური თხრობა უცებ გადაიზრდებოდა სწრაფ, ყოვლისნამლექავ რიტმში, როცა ახლოვდებოდა ამბის კულმინაცია: ს. ზაქარიაძეს „ავინცყდებოდა“, რომ იგი ამ წუთებში ტექსტის მხატვრული მკითხველი იყო და ინყებდ თამაშს ისე, როგორც ეს მის დიდ არტისტულ ტალანტს შეეფერებოდა. თვალნათლივ ვხედავდი შიმშილისაგან წამიერად შეშლილ მამას, რომელიც ცხოველური გაშმაგებით იტენიდა პირში გავარგარებული კეციდან აგლეჯილ ჭადის დიდ-დიდ ნატეხებს, ამ წუთში მისთვის აღარ არსებობდნენ გაძვალტყავებული, დამშეული, შემცირებული ბავშვები, რომლებიც „ბიცოლა ეფროსინესთან“ გაგზავნა პრასისათვის. მცირე ხნით გონისმოსული მამა – ს. ზაქარიაძე ისევე მკითხველად გადაიქცეოდა და ამას მოსდევდა კიდევ ერთი რიტმული აფეთქება: თითქმის შეშლილი მამის გაუცნობერებელი მოქმედების გადმოცემა დაძაბული, სწრაფი რიტმული თხრობით, სადაც ზოგიერთი სიტყვა ყრუდ წარმოითქმებოდა (ეფექტის გასაძლიერებლად) და აპა, კულმინაციაც – „მამა წამოიჭრა, ეზო გადაირბინა, ვენახში მოხვდა. გაბმული ცხვარი ძოვდა. ახსნა. გავიდა ხეზე. დაჯდა. ბანარი ტოტს მაგრამ მიაბა, მარყუჟი გამოსკვნა მეორე ბოლოში, გაშინჯა – კისერზე თუ მომიჭრესო და...“ ეს „დაა... მთელი ამბის ტრაგიული მწვერვალი იყო. პაუზა და გაოგნებული, სასონარკვეთილი, კეთილი ნათლიას წამოსახილი იმერული აქცენტით: „რაღა ჩემს ვენახში, ჩემი კარის უკან, ჩემი ბაწრით ჩამოიხრო თავი ამ ოჯახქორმა“... და სერგო ზაქარიაძე ისე ამოისუნთქავდა, თითქოს დიდი ტვირთი ჩამოიხსნაო მხრებიდან...“

ჯერ იყო და აკაკი ხორავას, შემდეგ დიდი ალექსიძის მეოხებით, ყველა ის განთქმული ხელოვანი, რომლებიც ამ „საკონცერტო დარბაზში“ გამოდიოდნენ, მანინდელი თეატრალური ინსტიტუტის სტუმრებიც იყვნენ. შეხვედრები იმართებოდა ამ ინსტიტუტის პატარა, მაგრამ უკვე სახელმოვეჭილი სტუდენტური თეატრის სცენაზე, სადაც ალიზარდნენ ის რეჟისორები და მსახიობები, რომლებმაც მსოფლიოში სახელი გაუთქვეს ქართულ თეატრალურ ხელოვნებას გასული საუკუნის 60-იან წლებიდან მოყოლებული დღემდე.

საგასტროლო გამოსვლებით უალრესად გადატვირთული უარს არ ამბობდნენ სტუდენტურ სცენაზე გამოსვლაზე. მხატვრული კითხვის შეუძარებელი ოსტატი, რუსული კლასაკური ლიტერატურის დიდი მცოდნე ვ. ა. იახონტოვი აქ კითხულობდა ა. ჩეხოვს მოთხრობებს, ს. ავჩიანი – „ვეფხისტყაოსანს“ (თითქმის მთლიანად), ვ. ურავლიოვი – ბუშინსა და ლერმონტოვს, ამ სცენიდან სტუდენტებს ესაუბრებოდნენ (და პასუხს სცენიდნენ კითხვებზე) – რუსული სცენის დიდი ოსტატები გოგა (გიორგი) ტოვსტონოვი (ინსტიტუტმი ჩემი სწავლისას ორგზის ენგვა თავის მშობლიურ დარბაზს), ცნობილი რეჟისორი ზავადსკი (იმხანად გენიალური ბალერინას, გალინა ულანოვას მეუღლე), ქართველებიდან – ნატო გაჩნაძე, სერგო ზაქარიაძე... ამ სცენაზე უმღერია „**Очи чेरные**“ და სხვა „თეთრგვარდიული სიმღერები“. ემიგრაციიდან ახლად დაბრუნებულ ა. ვერტინსკის, მაღალ, მომხიბვლელ, შეუდარებელ მომღერალს (ქართველი ქალი ჰყავდა მეუღლედ, მათი ორივე ქალიშვილი, რუსული სცენის და კინოს ვარსკვლავებად

იქცნენ). და ბოლოს, ამ სცენიდან თავისი ოსტატობა (სულ რამდენიმე შტრიხით) უჩვენებია შეუდარებელ მაია პლისეცააიას (ეს უკვე გვიან, ეთერ გუგუშვილის რექტორობისას, რომელიც მეგობრობდა ამ გენიალურ ბალერინასთან და, ფაქტიურად, მისი მასპინძელი იყო თბილისში გასტროლებისას). ხელოვანთა ამ განსაცვიფრებელ ანსამბლიდან მსურს ცალკე გამოყოფილი ირაკლი ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი), შვილი ლუარსაბ ანდრონიკაშვილისა, რომელიც იყო პეტერბურგის ძალზე ცნობილი და პოპულარული ადვოკატი, ბრწყინვალე როატორი, რუსეთის ე.წ. დროებითი მთავრობის უკანასკნელი სენატორი, შემდგომ, იურიდიული ფაკულტეტის დამარსებელი თბილისის უნივერსიტეტში (ლუარსაბის მეორე ვაჟი, ელეფთერი, თბილისის ფიზიკის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამარსებელი). საკავშილის „ნაცებმა“ ეს სახელმისამართი ინსტიტუტი, მსგავსად სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა, გააუქმეს).

ირაკლი ანდრონიკაშვილი განსაცუთობებული მოვლენა იყო მხატვრული კითხვის ისტორიაში. იგი სინამდვილეში არც იყო „მყითხველი“ ტრადიციული გაგებით, იგი მხოლოდ თავის მიერ შეთხულ ნოველებს და მეცნიერულ გამოკვლევებს კითხულობდა (რომელთაც ახლდათ ინტრიგა და კლასიკური დეტექტივის უანრისთვის დამახასიათებელი მოულოდნებლობანი, „აღმოჩენები“ და იმპროვიზაციები). იგი, ერთი მხრივ, იყო ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, უალრესად საინტერესო, ვიტყოფი წარმატებული გამოკვლევების ავტორი (კლასიკურ ნიმუშად ითვლებოდა მისი გამოკვლევების ლერმონტოვის ტრაგიკული ცხოვრებისა და მისი პოეზიის შესახებ), მეორე მხრივ, „ადამიანი — თეატრი“, სსრკ სახალხო არტისტი, ე.წ. „ზეპირი მოთხოვების“ უანრის დამუშავებელი (თუმც, ვერაცინ ავიდა მის სიმაღლეზე) და სწორუპოვარი შემსრულებელი. მე მომისმენია მისი „შალიაპინის ყელი“, „კაჩალოვი სტუმრად ალექსი ტოლსტოისთან“, „გენერალი ჩანჩჩიბაძე“, „დირიჟორი ალექსანდრე გაუეკი“, „მსახიობი თსტუუევი“, „მოგონებები სოლერტინსკაზე“. სწორედ ეს ივან სოლერტინსკი, ბრწყინვალე მუსიკისმცოდნე და თეატრული პროდენე, პოლიგლოტი (ოცამდე ენას ფლობდა), ორატორი, ფერმენტანური მეხსიერების პატრონი, კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის ახლო მეგობარი, იყო ის კაცი, ვინც ირაკლი ანდრონიკაშვილი მიინვია ლენინგრადის ფილარმონიაში და სთხოვა შესავალი სიტყვა წარმოეთქვა სერგეი ტანეევის სიმფონიის შესრულების წინ. ეს შემთხვევით არ მოხსდარა: ორივენ სანაცლობდნე ლენინგრადის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტიტუტში (ანდრონიკაშვილი, პარალელურად, ამას გარდა, ირაკლი ლუარსაბის ძე ძალიან ხშირად დაღირდა იქაურ ფილარმონიაში (რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი სწორედ ისოლერტინსკი იყო — ეს ამბავი ძალზე კომიკურად აისახა მის ზეპირ მოთხოვები „პრეველად ესტრადაზე“). ამის შემდეგ იყო მისი გამოსვლა, თავისი ზეპირი მოთხოვებით, მოსკოვის მწერალთა სახლში (ა.იახონოვის გამხნევებით და რეკომენდაციით), რასაც უმაღ მოჰყავა მისი, როგორც ორიგინალური უანრის ფუძემდებლის აღიარება. თანდათანობით გახდა შეუცვლელი ფიგურა. იგი თავის თავში ატარებდა ორი დიდი კულტურის, რუსული და ქართული კულტურის სინთეზს. მისი ქალიშვილი ეკატერინე იგონებს: „საქართველოს აღმერთებდა, ქართული იცოდა, მაგრამ არ ლაპარაკობდა, თუმცა საუცხოო გამოთქმა (дивное произношение) ჰქონდა. იგი სიტყვას სერიოზულად ეკიდებოდა, ენის მიმართ ვერ იტანდა დილეტანტიზმს. სამაგიეროდ „С грузинской страстьюю обожал застоля““. რაც შეეხება რუსულ კულტურას, ეს მისი ოჯახის ახლო სანათესაოში (რომელშიც ბევრი სახელმისამართი ადამიანი იყო) იღებს სათავეს. დედამისი, ეკატერინე გურევიჩი, ცნობილი ისტორიკოსის და პედაგოგის, იაკობ გურევიჩის ქალიშვილი იყო, ანუ ირაკლის ბაბუა – პეტერბურგის გიმნაზიის დამარსებელი, ბიძა კი — ივან ილინი, — ცნობილი ფილოსოფიისი, რომელიც რევოლუციის პირველსავე წლებში გაასახლეს ევროპაში ე.წ. „ფილოსოფიისთა ხომალდით“. ხოლო მეულე იყო რუსენ სიმონოვის თეატრ-სტუდიის მსახიობი, ძალზე ლამაზი და ნიჭიერი ქალი.

ირაკლი ანდრონიკაშვილი საშუალოზე ოდნავ მაღალი, ჩაფიცვილი, მოძრავი, ტემპერამენტიანი მამაკაცი იყო. ჰქონდა არაჩვეულებრივად ლამაზი ხმა, მეტყველების დახვენილი კულტურა, რასაც განსააკუთრებულ მომზიბულელობას ანიჭებდა ძლივს შესამჩნევი ქართული აქცენტი. მის ზეპირ მოთხოვებში მარგალიტებივით იყო გაბნეული იუმორისტული დეტალები. თვითონ გადამდები სიცილი იცოდა. კომედიური პასაჟების დროს თვითოვე ეცინებოდა თავის მონათხობზე, რაც კიდევ უფრო ბუნებრივს ხდიდა მთელ ანტურას. სცენაზე მცირე ზომის მაგიდასთან ჯდებოდა, თითქოს თავს არიდებდა ბეკრ მოძრაობას, მაგრამ მისი ხელების პლასტიკა, თავის მოძრაობა და, რაც მთავარია, ხმა, მეტყველების მანერა, ზუსტად განანილებული აქცენტი, ოპერტონები გამომსახველობას და იმპროვიზაციების უსასარულო შესაძლებლობებს შეიცავდნენ დაუუკინები ეფექტის შესაქმნელად. თავის ესესში „სიტყვა და ანერილი და სიტყვა წარმოთქმული“ იგი ნერდა: „ყოველი გამოსვლისათვის აუცილებელია სათანადო, გულდასმით მომზადება. მე პირადად, გამოსვლის წინ ჩემი მოთხოვების ზოგიერთ ადგილს ჩურჩულით ვიმეორებ, თუმცა, მიკროფონთან სხვაგვარად ვიტყვა“. ამის მიუხედავად, სრული შთაბეჭდილება იყო იმისა, რომ ყველაფერი ის, რასაც იგი ახლა გვიამბობდა, იმპროვიზაცია იყო. ნებისმიერ საზოგადოებაში, ნებისმიერ თავისრილობაზე, სადაც ირაკლი ანდრონიკაშვილი იყო, იქ მხოლოდ ირაკლი ანდრონიკაშვილი იყო. ხოლო სუფრასთან — წარმოუდგენლად გონებამახვილი, ლხინის სული და გული (ეს ვიცი აკავი ხორავას და ირაკლი აბაშიძის მონათხობით). ერთ-ერთი დიდი რუსული გამომცემლობის დირექტორი, ბორის გალანვი იგონებს: „იგი კაბინეტში შემოდიოდა, არა, შემოიძებდა, არა, კი არ შემოირებენდა – შემოიჭრებოდა და კარის ზღურბლიდანვე იწყებდა ლაპარაკს. ხან სამუელ მარშავის ჩახლეჩილი ხმით, ხან კი ვასილი

კაჩალოვის ულამაზესი ბარიტონით... აი, ირაკლი უცებ გადაფითოდა, გაისწორა არარსებული ფრაუის კალთები, უქმაყოფილოდ ნაიბუტბუტა „დალაბეროს ეშმაკმა! ვგონებ დღეს არ ვარ ფორმამი“, შემდეგ ენერგიულად აიქნია დირიჟორის უხილავი ჯოხი, გამობერა ტუჩები და ინყო ბეთჰოვენის, მალერის, პროკოფიევის, ბრამსის, ჩაიკოვსკის სიმღონიების სტენა. უსტვენდა როგორც ჭეშმარიტად დახელოვნებული მუსიკისა. ვინ იყო იგი ამ წუთებში? დირიჟორი ალექსანდრე გაუკერად და მუსიკის მოხუცი, მუსიკით ვოლტორნისტი თუ ყოველგვარ მიწიერებისაგან გამდგარი ბორის პასტერნაკი კონსერვატორის დიდ დარბაზში?..“

ეს სიცოცხლით სავსე, ყველასაგან მოფერებული, საყოველთაო პოპულარობით და სიყვარულით განებივრებული, უამრავ საქმეს შეჭიდებული კაცი უცრად დადუმდა...

**რა მოხდა?**

ირაკლის ორი ქალიშვილი ჰყავდა, უფროსი, მანანა ანდრონიკოვა, ულამაზესი, უნიჭიერესი და უალ-რესად განათლებული ქალი იყო, ბრწყინვალე ნერილებს წერდა ლიტერატურაზე, თეატრსა და მუსიკაზე. მისი ვრცელი, ანალიტიკური წერილი რ. სტურუას „ყვარევარესა“ და „კავკასიურ ცარცის წრეზე“ ნამდვილად სანიმუშოა სტილის ბრწყინვალებით და მსჯელობის სიღრმით... და, მოულოდნელი, თავზარდამ-ცემი დასასრული დიდებულად დაწყებული საქმისა – მანანამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა!

სამოცდაშვიდი ნლის ირაკლი ანდრონიკაშვილმა, ჯერ კიდევ ჯან-ლონით სავსე მამაკაცმა, ვერ გაუძლო ამ საშინელ ტრაგედიას, ხმა ჩაუწყდა, ხმა, რომელიც მთელი საბჭოთა სივრცეს სწვდებოდა რადიოთი თუ ტელევიზიით და მსმენელს აჯადოებდა, ველარც წერდა...

მისი უმცროსი ქალიშვილის, ეკატერინეს მონაბით, ამ ტრაგიული პერიოდის მანძილზე მას თავი არაჩეცულებრივი ლირსებით ეჭირა. ადრე ხმირად ნარმოსთქვამდა თურმე პასტერნაკის სტრიქონებს:

**„Милиция, улицы, лица  
Мелькали в свету фанара.  
Покачивалась фельдшерица  
Со склянкою нашатыря.“**

## გული ციხეში

რუსთაველის თეატრში, 13 და 14 ნოემბერს, გაიმართა მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული პეტერბურგელი ბალეტმაისტერის, ბორის ეიფმანის სპექტაკლის ფ. დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვების“ („ცოდვის მიღმა“) თბილისური პრემიერა (ადრე ბ. ეიფმანს დადგმული აქვს რომანი „იდიოტიც“). ორივე სალამო დიდი ტრიუმფით აღინიშნა. გაზ. „ნიუ იორკ ტაიმსი“, რომელსაც ძალიან მაღალი რანგის ავტორები ჰყავს სწორედ ბალეტის სფეროში, წერდა: „საბალეტო სამყარო მუდმივად მთავარი ქორეგრაფიის ძიებაშია. ახლა, მას შეუძლია შეწყვიტოს ეს ძიება. ის უკვე ნაპოვნია: იგი ბორის ეიფმანია“. ამ სტრიქონების წაკითხვა ჩემთვის მით უფრო სასიამოვნოა, რომ ბ. ეიფმანი ჩვენი უნიჭიერესი ქორეგრაფიის გიორგი (გოგი) ალექსიძის მონაფე („ჩემი ყველაზე გამორჩეული მონაფეო“, ამბობდა იგი). მართალია, გ. ალექსიძე ნეოკლასიკის და ჯორჯ ბალანჩინის (ბალანჩივაძის) ტრადიციების გამგრძელებლად ითვლება, ხოლო ბ. ეიფმანი უპირატესად ე. წ. „სიუჟეტიანი“ ბალეტებით გახდა მსოფლიოში ცნობილი ბალეტმაისტერი, მაგრამ უმდიდრესი საბალეტო ენის მრავალფეროვნებით, რომელიც შეიცავს როგორც „ცეკვა მოდერნის“ ელემენტებს, ასევე კლასიკურ და ნეოკლასიკურ ფორმებს, იგი შორს არ მიდის თავისი მასწავლებლის ესთეტიკისაგან. თვით გ. ალექსიძე თავის წიგნში „ბალეტი ცვალებად სამყაროში“ წერდა: „ბ. ეიფმანი ბალეტმაისტერია. ჯორჯ ბალანჩინი კი – ქორეოგრაფი“ და თავად განმარტავდა, თუ რას გულისხმობდა ამ ორ ცნებაში: „ბალეტმაისტერი ისტორიული ცნებაა და იგი სათავეს იღებს XIX საუკუნის ტერმინოლოგიაში. ბალეტი იმ დროს იყო „მძინარე მზეთუნახავის“ ტიპის პომპეზური წარმოდგენა. ბალეტმაისტერია ის, ვისაც ძალუქს გაერთიანოს პანტომიმა და ქორეოგრაფია. ყველაზე ღირსშესანიშნავი ბალეტმაისტერი იყო პეტიპა. ღმერთმა იგი დიდი ბალეტებისათვის შექმნა. ქორეოგრაფია ის, ვინც ქორეოგრაფიას დგამს... ჩემთვის მთავარია ქორეოგრაფიული აზროვნების მომენტი. ზოგიერთისთვის მთავარია დრამატურგია. მაგალითად, ბალანჩინისთვის ქორეოგრაფია ყოველთვის პირველია“.

(სხვათა შორის, გ. ალექსიძემ „ბორის ეიფმანის თეატრში“ დადგა ა. ვებერის „ოპუსი 10“ (1982) და ყანჩელის „მონოლოგი“ – სიმფონია 6. მხატვარი გ. ალექსი-მესხიშვილი 1987).

არ ვაპირებ ამ გამაოგნებელ ბალეტზე სიტყვის გაგრძელებას, შევჩერდები მხოლოდ ერთ საფინალო ეპიზოდზე, რომელიც ჩვენი ქართული სინამდვილის ზოგიერთ „პასაჟს“ მაგონებს. ციხეში, დიმიტრი კარამაზოვის (რომელსაც მამის მკვლელობა ედება ბრალად) სანახავად მოდიან მისი ძმები, ივანე კარამაზოვი („დიდი ინკვიზიტორად“ გარდაქმნილი) და თვითი ღმერთი, ღმრად მორნმუნე ალიოშა კარამაზოვი.

დიმიტრი (მიტია) კარამაზოვა საშინალად იტანჯება ციხის დიდი გისოსებიანი სივრცის მიღმა თავაშებულ, მძიმე დამნაშავეთა გარემოცვაში.

გრუშენკა (მამა ფეოდორ კარამაზოვისა და მიტია კარამაზოვის სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების და საპედისნერო სიყვარულის მიზეზი) ამაოდ ცდილობს წარსულის ცოდვებისაგან განთავი-

სუფლებას და თვითგანწმენდის გზით აღორძინებას. ძმებს შორის დავა ახალი ძალით იფეტქებს. „იქით“, ციხეში, პატიმრები ბობოქრობენ, ამაღდ ცდილობენ რკინის გისოსების გარღვევას, ქაოსს მოუცავს ყოველივე, ნამდვილი „ციხის ბუნტია“, „აქტო“, ნინა პლანსა და ავანსცენაზე, ძმებს ფილოსოფიურ-რელიგიურ თემაზე მძაფრი კამათი გაუმართავთ — „თუ ღმერთი არ არის, მაშინ ყველაფერი ნებადართულია“ (ივნებ კარიბაზოვს მთავარი იდეა). ნინაალმდეგობაში გახლართული წმინდა სული, ღვთისმოსავი ალიოშა კარამაზოვი, შინაგანი გაორებით გატანჯული, უეცრად (და თითქოსდა უნებურად) გახსნის გისოსებიან ჭიშკარს და ეს სისხლის სამართლის დამნაშავების, ქურდების, ყაბალების, მკვლელების ბრძო ენითუთემელი გახელებით, „ყველაფერი ნებადართულია“ იდეით, აღგზნებული, „თავისუფლების“ ექსტაზით შეპყრობილი, ნადირივით გამოცვიდება „გარეთ“, რათა თავიათ ინსტინქტებს და სურვილებს გზა მისცეს და ყველაფერი ნალექოს და გაანადგუროს.

ამგვარად, ნაცვლად „ღმერთი არ არის და ყველაფერი ნებადართულია“, იმარჯვებს იდეა: „ღმერთიც არის და ყველაფერიც ნებადართულია... სცენაზე შეგმთხვევით არ ეცემა ხმაურით ეკლესიის გუმბათები-დან ჩამოვარდნილი ჯვარი...“

არ ვიცი რამდენად შეესაბამება ეს ყოველივე დღევანდელი რუსეთის სინამდვილეს, მაგრამ სპექტაც-ლის ეპიზოდი ჩვენი, ქართული სინამდვილის რეალიებს მაგონებს.

### 3260ჩას არაყი — „კომკავშირი გოგონას ცრემლი“

ვენედიქტ-ვენიჩა ეროვეევის ექსცენტრიკული რომანი-პოემა „მოსკოვი-პეტერბურგი“ („Москва - Петушки“) ჯერ კიდევ ხელნაწერის სახით უაღრესად პოპულარული იყო. პატარა, მწვანეყდანი რვეული ხელიდან ხელში გადადიოდა, იღებდნენ ასლებს, ინერდნენ მთელ ეპიზოდებს და იზეპირებდნენ ფრაზებს. ამასობაში ხელნაწერი გაცვდა, გაიცრიცა, გაილია და, ბოლოს, სულ გაქრა კიდეც ისე, რომ მისი ასავალ-დასავალი ვარავინ იძოვა. „პოემის“ ორიგინალურ ტექსტად მიჩნეულია იერუსალიმში გამომავალი რუსულნოვანი ალმანახის („ამი“) ის ნომერი, სადაც ეს ნაწარმოები პირველად გამოქვეყნდა (მისმა მეგობარმა მიკროფირი ფარულად გაიტანა ისრაელში).

ვენედიქტ ეროვეევი, ეს ფერმენტურად განათლებული, მსმელი, ინტელიგენტი და მისი „პოემა“ ენითაულნერელი პოპულარობით სარგებლობდა რუსეთში და მის ფარგლებს გარეთაც. მწერლის სამშობლოში, ქალაქ ვლადიმირში, პედაგოგიური ინსტიტუტის (სადაც ის ერთხასს სწავლობდა) ფასადის კედელზე მისი სამოვნის პატივსაცემად გამოკრულია მემორიალური დაფა, ხოლო ქალაქი დღემდე ამაყობს, რომ მისი ყოფილი მოქალაქე, დღეს, მსოფლიოში სახელგანთქმული მწერალია. მაგრამ პარადქსია, რომ სხორცედ ამ ინსტიტუტიდან გარიცხეს 1962 წელს ბიბლიის კიოთხვის გამო (ოფიციალური ვერსიით), ხოლო შემდეგ, ქალაქის მამებმა საერთოდ გააძევეს ვლადიმირიდან. უფრო მეტიც, 1986 წელს, როცა ვენედიქტს კიბო აღმოაჩნდა და ხმა დაკარგა, სამკურნალოდ არ გაუშვეს საზღვარგარეთ. სორბონის უნივერსიტეტის ქირურგ-ონკოლოგმა სპეციალური მოწვევაც კი გამოიუგზავნა და დაპირდა ხმას დაგიბრუნებო. მაგრამ, ისე, როგორც ადრე ბიბლიის კიოთხვა გამოიყენეს საბაბად, აქაც ასეთი სამარცხინო რამ მოიმიზებულია: — უთხრეს, 1963 წელს, მთელი ოთხი თვე, არსად გიმუშავნია (ე.ი. წყვეტა გაქვს სტაჟშიონ). მისი ვაჟიშვილის ვენედიქტ ეროვეევ-უმცროსის (რომლის მოსანახულებლად გაემგზავრა მატარებლით ვენიჩა) მოწმობით, გაცეცხლებულ მამამისს უყვირია — „მოვკვდები, მაგრამ ვერასოდეს გაფუგებ ამ საქონლებსო...“

...ბიბლიის სხვადასხვა გამოცემის გარდა, მის ბიბლიოთეკაში უამრავი უნიკალური წიგნი იყო. ამ წიგნების „ფონდის“ 50%-ზე მეტი კი ვენიჩას მიერ მოპარული იყო სხვადასხვა ბიბლიოთეკიდან. სამკითხველოდან თუ ოჯახებიდან, სადაც მას დიდი პატივისაცემით და სიხარულით ღებულობდნენ...

...მკითხველს მოკლედ შევახსენებ „პოემის“ შენარსს: მოსკოვიდან დაბა პეტერბურგში, ოჯახისა და ბავშვის მოსანახულებლად, მატარებლით მგზავრობს მთავარი გმირი, წალნალებული ლოთი, გონებამსხვილი, სხვადასხვა ამბის ნარმტაცად მთხორბელი, ფილოსოფიურ წიგნებში ჭეშმარიტების ამაოდ მძებნელი და არაყში ამ ჭეშმარიტების შემმეცნებელი კაცი, ეგზომა ახლობელი და ძვირფასი „მსმელი რუსეთისათვის“. ფილოსოფიურ ცნებებს და სენტენციებს ენაცვლებიან მისი რეცეპტები კოქტეილისა და არყისათვის, მაგ. „ჰანანის ბალზამი“, „კომკავშირები გოგონას ცრემლი“ („Слеза комсомолки“) „აბსოლიტ ჰალეიკუმ“ ანდა „ჰალეიკუმ – „აბსოლიტ ჰალეიკუმ“, „Путинка“ და სხვ.). თუ რომელიმე მგზავრის საუბარ და არყის სმა არ მოენონებოდა, უკემხად უზნებოდა „Не по таланту пъешви!“ (ეს ფრაზა, მე პირადად, ძალიან მომწონს და ხშირად მქონია სურვილი ზოგიერთი „ჩოხიანი თამადისთვის“ მეთქვა...)

...ჩვენ გმირს ერთი სული აქვს სანამ ნახავს მონატრებულ ბავშვს, ვისზეც დიდი გრძნობით და მოჭარებული სენტიმენტალიზმით ლაპარაკობს, მაგრამ მისოვის საჩუქრად მიაქვს მხოლოდ ერთი ჭიქა თხილი და 300 გრამი კონფეგტი, ხოლო თავისითვის მოუმარაგებია სხვადასხვა არყის ბოთლებით სავსე ერთი ჩემოდანი. მატარებელში ასე თუ ისე ფხზილად ასული, თანდათან თვრება და, ბოლოს, მთლად ხავა ხელი-დან, ისე რომ, დაბა პეტერბურგში კაცები ვერ ჩააღნებეს... სამაგიეროდ, პეტერბურგში, მწერლის სიკვდილის შემდეგ, „ჩამაღიზა“ თავად ვენიჩა-ვენედიქტმა მხოლოდ პრინცაოს ქანდაკების სახით. ქანდაკება დაიდგა პატარა სადგურის პეტრონზე და მის სანახავად პილიგრიმების მთელი არმია ჩამოდის ხოლმე მწერლის დაბადების

დღეს.

ეს სიტუაცია ძალზე ნათლად, წინასწარმეტყველურად წარმოსახა მწერალმა „პოემის“ დასაწყისშივე: პეტუშეში მიმავალი ვენიჩეკა დგას კურსკის ვაგზლის დიდი მოედნის შუაგულში, ერთ ადგილზე გაქვავებულს, საშინლად მთვრალს, მეკრდზე თავისი ჩემოდანი მიუხუტებია. მანქანები გვერდს უვლიან, უამრავი ადამიანი ირევა მის ირგვლივ, ის კი დგას როგორც ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ქანდაკება. ვენიჩეკას „მეორე“ შინაგანი, ფხიზელი ხმა სწორედ ქანდაკებას ადარებს ამ პოზას.

ეს განსაციფრებლად გონებამახვილური „პოემა“ სრულიადაც არ არის ლოთობისა და ალკოჰოლის აპოლოგია (როგორც ეს „მსმელ რუსეთს“ მიაჩნია). მისი გმირი თავად ვენედიქტის ალტერეგორია. ამ კაცის გონებამახვილობის, ზოგჯერ ბილნისტყვაობის (ამ შერივ, განსაკუთრებით გამოირჩევა თავი „სადგური. ნამგალი და ურო“. ფ.დოსტოევსკი ამბობდა რუსებზე: „**Самый сквернословный народ в целом мире**“) თუ კომიკური სიტუაციების მიღმა იგრძნობა სულიერ საზრდოს მოწყურებული ადამიანის ნუხილი, საჭოური სიდუხჭირისა და დესპოტიზმისაგან განადგურებული ფიქიური კონვულსიები. მაგალითისთვის დავასახელებ ორ ეპიზოდს ვენედიკტ ეროვეევის ცხოვრებიდან: სინამდვილეში იგი ინსტიტუტიდან გარიცხეს იმის გამო, რომ კომკავშირელი სტუდენტები მართმადიდებლებად მოაქცია (თვით კი კათოლიკობა მიიღო), ხოლო ზაგორსკის სასულიერო სემინარიდან (სადაც ის მცირე ხანს სწავლობდა) – იმის გამო, რომ სემინარიები ათეისტებად აქცია. სხვათა შორის, მისაღებ გამოცდებზე, თურმე, ყველა გააოცა ძველსლაგური რელიგიური ტექსტების ცოდნით (მხოლოდ ერთი წაკითხვით იმახსოვრებდა უზარმაზარ ნაწყვეტებს)...

...საბჭოთა თეატრებს შორის მარჯანიშვილის თეატრი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც ეროვეევის ამ „პოემის“ ინსცენირება დადგა (ინსცენირების აგრორი და რეჟისორი ლევან ნულაძე). სპექტაკლი მიღიოდა „დასრულებული სიზმრის“ სახელწოდებით.

მთავარი გმირის როლს მამინ სრულიად ახალგაზრდა ზაზა იაკაშვილი ასრულებდა — შესანიშნავი გარეგნობის (იოგური ვარჯიშების და მედიტაციური პოზების უბადლო სტატი), მგრძნობიარე და მოაზროვნე მსახიობი. სწორედ ამ მედიტაციების და შინაგანი კონცენტრაციის მეოხებით იგი ღრმად ჩასწვდა სცენური გმირის ხასიათს, მისი უცნაური ქცევების ბუნებას. იგი თამაშობდა ინტელიგენტ, დახვეწილი მანერების არისტოკრატ ახალგაზრდას (ასეთი იყო, მაგალითად, ჩემი მეგობარი უნიჭირესი მხატვარი რეზო თარხან-მოურავი და ავთო ვარაზი, რომელმაც, ფაქტურად, თავისი თავი ითამაშა გიორგი შენგელაის „შედევრში „ფიროსმანი“) და არა უღვთოდ გალოთებულ ახალგაზრდა კაცს. თვით ეროვეევიც, მისი მეგობრების მონმობით, უზომოდ სვამდა, მაგრამ არ თვრებოდა და ბოლომდე ინარჩუნებდა სალ გონებას და ოხუნჯობის უნარს. ერთი მისი „შაყირი“ ასეთი იყო: უშიშროების სახელმწიფო კომიტეტს გაუგზავნა თავისი ახლო მეგობრის (ამ მეგობრობის გამო, ისიც გამოაგდეს ინსტიტუტიდან), პატიოსანი, წყნარი, უშიშოთველი და გულუბრყვილო კაცის ფოტო-სურათი, წარწერით: „გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ამ ერთობ საეჭვო პიროვნებას“. რასაკიორველია, მსახიობი ზ. იაკაშვილი არ უგულვებელყოფდა შესრულების გროტესკულ-კომიკურ შტრიხებს (ბოლოსდაბოლოს, ამას სპექტაკლის მრავალი ეპიზოდის შინაგარის მოითხოვდა), ზოგჯერ არც ექსცენტრიკასა და ეგზალტიირებულ მანერაზე ამბობდა უარს, მაგრამ მიუხედავად ამგვარი სახასიათო დეტალების სიმრავლისა, იგი მანიც ახერხებდა დახეხატა გზა-საცდენილი, მაგრამ ბუნებით კეთილშობილი, გონიერი, სიმპათიური ადამიანის შთამბქედავი პორტრეტი. ვენიჩეკა – ზაზა იაკაშვილის მატარებლით „მოგზაურობაში“ იყო რაღაც მისტიკურ-მეტაფიზიკური მისწრაფება სიკედლისაკენ. ვენედიქტ ეროვეევს რომ ენახა ჩეგნი მსახიობი ამ როლში, ალბათ, მისი მისამართით იტყოდა: „**Ему я налив бы польский стакан**“, რაც მისგან დიდი ქება იქნებოდა.

## პრე მაღარვის პრაზი და ტრიუმფი

2012 წლის თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის პროგრამით, რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე გაიმართა სახელგანთქმული ამერიკელი კინოვარსკვლავის, ჯონ მალკოვიჩის მონოსპექტაკლი. თუმცა რაც იმ საღამოს ვნახე, იმას პირობითად ვუწოდებ სპექტაკლს. შეიძლება ამისთვის გვერდებინა ერთი მსახიობის პერფორმანსი, მსახიობის აღსარება, შეხვედრა მაყურებელთან და ა.შ.

გემორგნებით გაფორმებული, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი პროგრამა, რომლის გვერდებიდან ჯონ მალკოვიჩის ნაცნობი, სიმპათიური სახე გვიმზერდა, კიდევ უფრო აცხოველებდა ინტერესს ამ მსახიობის პიროვნებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ბილეთის ფასი შორს სცილდებოდა ჩვეულებრივი ქართველი მოკვადვის ფინანსურ შესაძლებლობებს, დარბაზი გადაჭედილი იყო მაყურებლით. ჭარბობდა შესანიშნავი გემოვნებით ჩაცმული, მზით გარუჯული ახალგაზრდობა, გამორჩეული სილამაზით, ჯანსაღი გამომეტყველებთ, მხიარული განწყობით და ერთგვარი აპლომბითაც კი. აშკარა იყო, რომ უმრავლესობა შეძლებული ოჯახების შვილები იყვნენ, ხოლო იმ წლებში ვინ იყო შეძლებული (მოკრძალებით რომ ვთქვათ), თავად მკითხველს ჩემზე უკეთ მოეხსენება.

არ გამკიორვებია, რომ ჯონ მალკოვიჩი რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე უსუსური აღმოჩნდა. კინოს ეს განთქმული მსახიობი აბსოლუტურად მოკლებული ყოფილა ე.წ. სცენურ მიმპარველობას. მისი

მოძრაობა შორს იყო პლასტიკურობისაგან, ხმა ჰქონდა უემოციო, სუსტი, ტემპერამენტი ერთობ დაბალი გრადუსის. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ კინ მაგიური ხელოვნებაა და ტექნიკის მეშვეობით შესანიშნავად ფარავს ნებისმიერი მსახიობის სისუსტეებს.

ვიმეორებ, ეს არ გამკვირვებია! გამაკვირვა ახალგაზრდა აუდიტორიის რეაქციამ. ჩვენი ახალგაზრდა მაყურებელი აღტაცებით ხვდებოდა მსახიობის ყოველ ფრაზას, ხმამაღლა იცინოდა მის ყოველ უპილო ხუმრობაზე (მალკოვიჩს არც იუმორის გრძნობა ჰქონია!) აღტაცებული იყო მისი ღულიმარ საღამო დამთავრდა ისე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო — მრავალრიცხვანი მაყურებლის აღტაცების გამომხატველი ყიჯინით, შეძახილებით, სტევნით, გამაყრულებელი ოვაციებით.

რა ხდება? ნუთუ სწობიზმის სენმა ასე დაგვრია ხელი? ანდა ასე მოკლე დროში როგორ დაეცა ჩვენი მაყურებლის გემოვნება, რომ ამ უემოციო მსახიობმა ასე მოხიბლა და გადარია იგი?

თუმცა, რაა გასაკვირი?

იქ, სადაც აღტაცებით ხვდებიან ყოვლად უგემოვნო მიუზიკლს — „ქეთო და კოტე“, ტირაუიდან დიდი სნის წინ გასულ მომღერლებს, ჩვენი „ესტრადის“ ახალგამომცხვარ ვარსკვლავთა ტინგიცს. იქ, სადაც პერძერტ კარაიანის ორკესტრის ხმებზე ქართველი დირიჟორი ხელებს იქნევს (ვითომ, ჩვენი ორკესტრი უკრავდეს) და მსმენელი ამ ფალისიკაციას „ყლაპავს“, — ყველაფერია მოსალოდნელი.

თბილისში ჩამოსვლამდე ჯ. მალკოვიჩი ამავე „პროგრამით“ გამოვიდა მოსკოვში ჩეხოვის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. მოსკოველი მაყურებელი მას აღტაცებით შეხვდა, მაგრამ თხეუმეტი წუთის შემდეგ „მოსსავეტის თეატრის“ უზარმაზარი დარბაზი ნახევრად დაცარიელდა, ხოლო ბოლოს თხეუმეტიოდე კაცი შერჩა მსახიობს. მალკოვიჩი ჩამოვიდა დარბაზში და ფაზნატიკოსთა ამ მცირებიცხოვან ჯგუფთან გააგრძელა თავისი „თხრობა“...

სრულებით არ მაღლვებს 60 წლის ჯონ მალკოვიჩის, ხორვატიული ფესვების მქონე ამ ამერიკელი მსახიობის ბედი. იგი კვლავ წარმატებით განაგრძობს კინძიში მოღვაწეობას, მისდევს მებაღეობას, აყენებს ლვინოს, მზარეულობს, ეუფლება კუტურის ხელოვნებას (პარიზში გახსნა საკუთარი ბუტიკი „Oprifico jm.“), გამოუშვა სერია მაისურებისა საქვეყნოდ (ცნობილი „სექსუალური გმირების“ პორტრეტებით (მარკიზი და სადი, ჯაკომო კაზანოვა, ვიკონტი და ვალმონი – შადერლომო დე ლაკლოს რომანის „სახიფათო კავშირების“ პერსონაჟი), თავისი ესკიზებით შექმნილ ტანსაცმელს ჩუქნის გენიალურ კოპოლას და ხავიერ ბარდებს... მოკლედ, ცხოვრობს სისხლსაცხე ცხოვრებით, ტრიუმფით...

მე მაღლვებს ჩვენი მაყურებლის დამოკიდებულება საერთოდ ხელოვნებისადმი და განსაკუთრებით, თეატრალური ხელოვნებისადმი.

### „30ს დაველაპარაკო სახლში არ ვიცი – ყველა თეატრალია“

რუსი დრამატურგის ვიკტორ როზოვის სახელი ერთ დროს ქუხდა თვალუწვდენელ საბჭოთა სივრცეში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქართველმა კინორეჟისორმა მიხეილ კალატოზის შემვილმა (**М.Кალათოზი**) მისი სცენარის მიხედვით გადაიღო რუსული კინოს შედევრი — „მიფრინავენ წეროები“. მაგრამ ადრე, როცა ყოფილმა მსახიობმა პიესების წერა დაიწყო (მეორე მსოფლიო ომის დროს მძიმედ დაიჭრა, ინვა მომაკედავთა პალატაში, გადარჩა, მაგრამ დაკოფლდა. დაკარგა პროფესია), საბჭოთა ცენტრულის ჯოვანეთი გამოიარა. მის პიესებში დიდი მხატვრული ძალით იყო ნაჩვენები კონფლიქტი მამათა და შვილთა თაობებს შორის. შემდგომ, მისმა დრამატურგიამ მრავალმხრივ განსაზღვრა ისეთი დიდი რეჟისორების შემოქმედება, როგორებიც იყვნენ გ.ტრივსტონოვი, ა.ეფრონი, ო.ეფრემოვი.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ რუსთაველის თეატრმა, ერთ-ერთმა პირველთაგნმა, მიმართა მის დრამატურგიას, სწორედ მაშინ, როცა ჩინოვნიკები გააფთორებით ებრძოდნენ – რეჟისორმა აკაკი დვალიშვილმა 1955 წლის სეზონში დადგა მისი პიესა „ხალისიანი მეგობრები“, რომელიც სერგო კლდაშვილმა გადმოაქართულა. ამ მძაფრი და რეალისტური სპექტაკლის შესახებ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ გამოვაქეყენე რეცენზია, სადაც დადებითად შევაფასე სპექტაკლი და მსახიობთა შესრულება. ერთ-ერთი მთავარი გმირის როლის შემსრულებელ ახალგაზრდა რამაზ ჩხილევაძეს მიმართ კი რამდენიმე მოკრძალებული, კრიტიკული შენიშვნა გამოვთქვი. ძალიან გამიკვირდა და, რასაკვირველია, გამეხარდა, როცა რამაზმა მითხრა – მოდი, ნახე კიდევ ერთხელ ეს სპექტაკლი შენი შენიშვნები გავითვალისწინეო (იგი უკვე პოპულარული იყო მ.თუმანიშვილის შედევრში — „ესანელი მღვდელი“ ლეანდროს როლის შესრულებით). 1963 წელს კი, რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე რ.სტურუამ დადგა ვ.როზოვისაცვე „ვახშმობის წინ“ (გადმოქართულებული ჯ.ჩარკვაიანის მიერ). ეს იყო მეორე სპექტაკლი მცირე სცენაზე (პირველი – მ.თუმანიშვილის „ჭინჭრაქა“) და მეორე სპექტაკლი — რ.სტურუას დად შემოქმედებაში (პირველი იყო ვ.ბლაზევიას „მესამე სურვილი“. 1963წ.). „მეორე სპექტაკლი – წერდა რ.სტურუა – ვ.როზოვის „ვახშმობის წინ“ – ასევე თავისებური ექსპრიმენტი იყო სტილისტური თვალსაზრისით. მთელი კოლექტივი ცდილობდა შეექმნა სპექტაკლი თანამედროვე დღეებზე ყოველგვარი ზედმეტი თეატრალურობის და პათოსის გარეშე“. ჩემ მხრივ დავსძნ, რომ ეს იყო უკიდურესი პოზიცია გმირულ-რომანტიკული თეატრის მიმართ.

ჩემს წიგნში „რეჟისორი რობერტ სტურუა“ (გამ. „ხელოვნება“. 1997წ.) ვწერდი: „როგორც ვ.როზოვის ახალგაზრდა გმირები შინაგანი დაეჭვებით და მერყეობით უყურებდნენ „ნინაპრების“ ცხოვრებას, ასევე ახალგაზრდა სტურუა პოლემიკას უმართავდა თავის წინამორბედებს რუსთაველის თეატრში“ (გვ. 30).

1974წ. ამავე თეატრის სცენაზე, თ.ჩხეიძემ ახალგაზრდა მსახიობებთან დადგა ამ დრამატურგის პიესა „სიტუაცია“.

მოკლედ, ვ.როზოვის დრამატურგიამ გარევეული როლი შეასრულა რუსთაველის თეატრის შემოქმედების სტილისტურ გარდაქმნებში. ნ.ხრუშჩივის ვოლუნტარიზმის ხანაში ძალიან აკრიტიკებდნენ ვ.როზოვის პიესებს. მისი ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს: „არ მიყვარს ჩემზე დაწერილის კითხვა. როცა მაქებენ, თავს უხერხეულად ვგრძნობ, მაძაგებენ და – გული მერვა“. ასეთი იყო ამ სიტყვების ავტორი ცხოვრებაშიც. როცა მისი პიესა „Гнездо глухаря“ სსრკ-ს მწერალთა კავშირის მთელმა სამდივნომ დაიწუნენა (მხოლოდ სერგეი მიხალევმა დაუჭირა მხარი), მაშინ ვ.როზოვმა დაასკვნა: „რაღა მაქვს სათქმელი, ჩემო მეგობრებო? მაძასადამე, კარგი პიესა დამინერია“. რეა. ანატოლი ეფროსი იგონებს: „კულტურის სამინისტრომ ვ.როზოვის პიესის „მარად ცოცხალი“ (რომელიც საფუძვლად დაედო მ.კალატოზიშვილის სახელმოხვეჭილ ფილმს. ნ.გ.) მიხედვით დადგმული ჩემი სპექტაკლი გააჩერა, ძალიან შეგიცვლიათო პიესის ტექსტი. ჩემდა გასაკვირად, ვ.როზოვმა დაეთანხმა კრიტიკოსებს. მაშინ შევთავაზე დრამატურგს – აიღეთ თქვენი პიესის ტექსტი, უყურეთ სპექტაკლს და დარწმუნდებით, რომ არაფერი შემიცვლია. მართლაც, ასე აღმოჩნდა“ მაშინ თქვა ვ.როზოვმა ისტორიული ფრაზა „არა, ჩემი პიესა კია, მაგრამ ჩემი დაწერილი არ არის“. ბუნებრივია, დიდმა რეჟისორმა სულ სხვა კონტექსტი შესძინა გმირების სიტყვებს.

შეუპოვარი და პირდაპირი კაცი იყო ახალგაზრდობაში და ასეთად დარჩა ბოლომდე. განსაკუთრებით აღიზიანებდა ბორის ელცინი, მისი ქედმოხრა ამერიკის წინაშე. სასაცილოდ არ ყოფნიდა ბ.ელცინის სიტყვები: „ორჯერ შემოვუფრინე „თავისუფლების ქანდაკებას“ და ორმაგად თავისუფალ ადამიანად ვიგრძენი თავიო“. ეტყობა, ელცინმა იცოდა დრამატურგის განხყობა მის მიმართ და „მოსათვინიერებლად“ ბაფთიანი ორდენი ჩამოკიდა კისერზე. დრამატურგმა ნახევრად ხუმრობით უთხრა რუსეთის პირველ პრეზიდენტს: „ნუთუ ფიქრობთ, რომ უღლეში გამაბით?“ ასევე არ უყვარდა ე.სოლუჟენიცინი – „მორწმუნება“. თვითონ კი მხოლოდ სიცოცხლის დასასრულს მიეახლა ღმერთი.

ერთხელ, ქუჩაში ბორის ქალმა უმკითხავა: „თქვენ, ალბათ, მალე მოკვდებით, მაგრამ თუ გადარჩით, იქნებით მდიდარი და მსოფლიოში ცნობილი ადამიანიო“. მართლაც, ჭაბუკი პროვინციიდან (ქალაქ კოსტრომადან იყო), ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული და მდიდარი ადამიანი გახდა და მის მილიონებში რუსთაველის თეატრის საავტორო პონორარიც იყო შესული.

### „შპაზი – სტანისლავსკი“

„სტანისლავსკის სისტემაში“ ერთ-ერთი უმთავრესია სწავლება მსახიობის „გარდასახვის“ ანუ „სხვად ქცევის“ შესახებ. თავად ა. სტანისლავსკი ზედმინევნით ფლობდა გარდასახვის ხელოვნებას და ეს წარმოუდგენლად მომხილავი მამაკაცი, მაღალი და იმპოზანტური ხშირად ფერისცვალების შედევრებს უჩვენებდა სცენიდან თანამედროვეთ. ხუმრობის ხასიათზე მოსული ცხოვრებაშიც ხშირად „გარდასახებოდა“ ხოლმე რომელიმე პერსონაჟად და საგნად. მაგ. სამხატვრო თეატრის მხიარული პერფორმანსების ენ. „კაპუსტინების“ დროს.

ერთხელ, თავისი კაბინეტიდან დაინახა, რომ თეატრში, მასთან შესახვედრად ა.ჩეხოვი მოდიოდა. კ. სტანისლავსკი უმაღ გარდაისახა „ჩეხოვის შკაფად“ (მყითხველს შევახსენებ პიესა „ალუბლის ბალიდან“ მემამულე გაევის ცნობილ მონოლოგს, რითაც იგი მიმართავს ოჯახის ძველ რელიკვიას – კარადას).

კ.სტანისლავსკი დიდ ეფექტს ელოდა, მაგრამ...

შემოვიდა ჩეხოვი, არაფერი შეიმჩნია და თავად მიმართა „კ.სტანისლავსკი-შკაფს“ პათეტიკურად: „Дорогой, многоуважаемый шкаф! Приветствуя твое существование, которое вот уже больше ста лет было направлено к светлым идеалам добра и справедливости, твой молчаливый призыв к плодотворной работе не ослабевал в течение ста лет“. ამგვარად, კ.სტანისლავსკი, რომელსაც სურდა ჩეხოვის „გაშაყირება“, თვით აღმოჩნდა ამ დღეში.

ა.ჩეხოვი ბრწყინვალე იუმორისტი იყო, ავტორი ძალიან სასაცილო სცენა-სკეტჩების („დათვი“, „ხელის თხოვნა“) და ფელტონების, რომლებსაც „ჩეხონტექს“ ფსევდონიმით წერდა.

მთავარი ეფექტი აქ იმაში მდგომარეობს, რომ ტანსრული, იმპოზანტური „შკაფი-სტანისლავსკის“ მთელი სიცოცხლე მართლაც მიმართული იყო ამ ქვეყნად სიკეთესა და ნათელი იდეალების დასამკიდრებლად, მსგავსად მემამულე რანევსკების „შკაფისა“.

### 30არასლავ მოლოტოვის ქართული აქციები

თეატრმცოდნების ფაკულტეტის პირველკურსელებს რუსულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რუსულად მიქელაძე („რუსულად სოლო-

მონოვნა"), რომელიც მაშინდელი ჩვენი ინსტიტუტის უმდიდრესი ბიბლიოთეკის (რომლის წიგნების უმდიდრესი ფონდის დიდი ნაწილი განადგურდა რუსთაველის თეატრის ხანძრის დროს, 1949 წელს) გამგე იყო. ბიბლიოთეკის დიდი, ე.წ. „მავრიტანული სტილით“ მოხატული მაღალჭერიანი დარბაზი რუსულა სოლომონოვნამ ნამდინარები არის სტრუქტურულ სალონად აქცია. ლეკციებს შორის შესვენებაზე, სხვადასხვა დროს, აქ თავს იყრიდნენ ხოლმე ქართული თეატრისა და მწერლობის სახელმოვანი მოღვაწეები – აკაკი ხორავა, დოდო ალექსიძე, გოგა ტოვსტონოვოვი, აკადემიკოსები რევაზ ნათაძე და ვასტანგ ბერიძე, ხელოვნებათმცოდნე ლეო რჩეულიშვილი, ერუდიტი აკაკი განერელია, მიხეილ თუმანიშვილი, გერმანისტი და ესსეისტი გიორგი ნადირაძე, ნათელა ურუშაძე, ნადია შალუტაშვილი... ქ-ნი რუსულანი ე.წ. ოქტომბრის რევოლუციის კვირაძალში პეტერბურგის საბჭოს თავჯდომარის მესამე და მეოთხე მოწვევის „სახელმწიფო სათათბიროს“ დეპუტატის ჩეხიძის მდივანი იყო და ესწრებოდა იმ კონფერენციას, სადაც ჩეხიძის სიტყვებზე: „დღეს რუსეთშია არ არის პარტია, რომელსაც ძალუბს ხელისუფლების ხელში აღება“, ლენინი ნამოხტა და ხმამაღლა იყვირა „**Есть такая партия!.. Это партия большевиков!**“. ამ ეპიზოდს რომ გვიამბობდა ქ-ნ რუსულანი, ჩუმად დასძენდა – „იმ წუთში ლენინი ძალზე უზრდელი ადამიანის შთაბეჭილებას სტრუქტურაზე“.

ქ-ნ რუსულანის მთელი პედაგოგობა იმაში გამოიხატებოდა, რომ ხან თვითონ გვიკითხავდა, ხან ჩვენ გვაკითხებდა ხმამაღლა ა.ჩეხოვის მოთხოვნებს. ამ დროს იგი გაბადრული და ნეტარი სახით უსმენდა ჩეხოვის ტექსტს, მსგავსად დიკენისის რომანის „დიდი მოლოდინების“ („Great expectations“) — საეკლესიო კლერკისა, რომელიც საღამოს სკოლაში მისულ ხელმოკლე ბავშვებს უკითხავდა შექსპირის მონოლოგებს და ამ დროს დრამატული გზნებით იქნევდა ხელებს და ტებებოდა საკუთარი ხმის ჟღერადობით. ამით ამოინტურებოდა მისი მასწავლებლობა, ისევე როგორც ჩვენი ქალბატონი პედაგოგისა. მაგრამ თავისი ქცევით, ინტელიგენტურობით, დახვერილი არის სტრუქტურულობით და გულისხმიერებით სამაგალითო იყო და დიდ ზემოქმედებას ახდენდა ჩვენზე.

ერთხელ, ერთ მშენიერ სტუდენტ ქალიშვილს, რომელიც ჩვენს შორის ყველაზე უკეთ კითხულობდა ჩეხოვის მოთხოვნებს და, რომელსაც მსახიობობა უნდოდა თავიდან, მაგრამ, ბოლოს, მაინც თეატრმცოდნების ფაკულტეტზე შემოტანა საბუთები, შეეძალა და არასწორად დასვა მახვილი სიტყვაზე. ძალიან დაიმორცხვა, განითლდა, და, ვგონებ, ცრემლიც გაღმოუგორდა ლამაზ ლანგზე. „ნუ ლელავ, ჩემო ძვირფასო, დაამშვიდა ქ-ნმა რუსულანა. შენ კი არა, ერთხელ, ძალიან მნიშვნელოვან დროს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მიზისტრმა, ვიაჩესლავ მოლოტოვმა, როცა იგი საბჭოთა ხალხს რადიოთი აუწყებდა მეორე მსოფლიო ომის დაწყებას, მახვილი არასწორად დასვა. თავისი მიმართვა ასე დაიწყო „**Граждане и гражданки Советского союза**“ და სიტყვაზე „**гражданки**“ პირველ ხმოვანზე (ა) დასვა მახვილი და ეს ისტორიული მიმართვა, რაღაც ქართული აქცენტით გამოივიდა.

## სამი „ნახტომი თავისუფლებისაკან“

ბალეტის სამ უდიდეს ვარსკვლავზე ვწერ. აქედან მხოლოდ ერთმა, რუდოლფ ნურევმა, შეასრულა ნამდვილი, ფიზიკური ნახტომი ლონდონის აეროპორტ „ჰიტროუზე“, როცა მას დიდი თეატრის საბალეტო დასის „მფარველი კაგებეშნიკი“ თავებულობრივი გამოედევნა დასაჭერად, მაგრამ ვის დაუჭერია ქარი მინდორში...

დანარჩენი ორის ნახტომი უფრო ვირტუალური, თანაც არანაკლებ სკანდალური იყო. 1970 წელს, ისევ ლონდონში, „გაქრა“ ნატალია მაკაროვა, ლენინგრადის კიროვის სახ. თეატრის (ახლა პეტერბურგის მარინის თეატრი) პრიმა, ულამაზესი სხეულის და მომზინვლებლობის მფლობელი. ორი წლის შემდეგ, მას მიჰყეა მზეილ ბარიშნიკოვი, უდიდესი შესაძლებლობის მოცეკვავე. სამივემ კოლოსალურ ნარმატებას მიაღწია ევროპისა და ამერიკის საუკეთესო თეატრების საუკეთესო სპექტაკლებში. ამჟამად სწორედ ნ.მაკაროვას და მ.ბარიშნიკოვზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება, რადგან ორივე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ჩვენ უნიტიერეს ქორეოგრაფთან, გოგი ალექსიძესთან, მეტიც, მათმა „გაქცევაზე“ მძიმე კვალი დაატყო მის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ახლა წერენ, რომ ნ. მაკაროვასთვის სპეციალურად თხზავდნენ საცეკვო ნომრებს და მთელ სპექტაკლებს თანამდებროვე ქორეოგრაფიის უდიდესი ოსტატები: ჯორჯ ბალანჩინი, როლან პეტრი, ფრედერიკ ამტონი, მორის ბექარი, ჯერომ რობინსი, სერჯ ლიფარი, ჯონ ნოიმაიერი... და, აქვე დავსძენ ჩემი მხრივ, გოგი ალექსიძე, რომელიც ნატალიას „პლანეტის პრიმა ბალერინას“ უნიდებდა და რომელიც ანა პავლოვასა და გალინა ულანვას შემოქმედებით მერვიდრედ მიაჩნდათ. 1966 წელს, ლენინგრადის „კამერულ ბალეტში“, სადაც გ.ალექსიძემ რამდენიმე მინიატურული შედევრი შექმნა, მან დებიუსის „სორინსკზე“ ნიმფას როლის შემსრულებლად ორი ნიჭიერი გოგონა — ალა თსიპოვა (ამანაც ამერიკას მიაშურა) და ნატაშა მაკაროვა მოიწვია. ორივემ ბრწყნვალედ შეასრულა ნიმფის პარტია, უმაღლესი კლასის ორივე ბალერინა – ამბობდა გ.ალექსიძე ერთ ინტერვიუში – სრულიად განსხვავებული იყვნენ და მე მიჭირს იმის თქმა, თუ რომელი რომელს სჯობდა. „ნატაშა ცეკვავდა თავის სიმღერას, თავის გნებას. იგი მუსიკაში ითქვიფებოდა. მისი პლასტიკა მუსიკალურ კანტელინას განასხიერებდა... იგი ცეკვის დიდი მუსიკოს

იყო". (**Георгий Алексидзе. «Балет в меняющемся мире».** გვ. 55, 56). შემდეგ გ.ალექსიძემ ამ ბალერინას დაუდგა „XII საუკუნის ქორალი“ (ვალტორნისათვის), მოცარტის „საფორტეპიანო ვარიაციები“ (დიუპარის თემებზე), „გილიარდა“ ბარბითისათვის). როცა ნ.მაკარენეკო ლონდონში მიდიოდა თეატრთან ერთად გასტროლებზე, გოგის უთქვამს: „მე ისეთი გრძნობა მაქეს, რომ ერთმანეთს ვეღარ ვნახავთ“...

„როცა მე ვისხენებ ნატაშა მაკაროვასთან ჩვენს ერთობლივ რეპეტიციებს, ვფიქრობ ხოლმე: რა ვუნიდო ჩემს გრძნობებს? ალბათ, ეს იყო ბედნიერება“ (გვ. 58).

...მიხეილ ბარიშნიკოვი კი გოგის უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე იყო. მისთვის (და ირინა კოლაკავასთვის) დადგა მოცარტის „სამშვენისები“ (თბილისში უცეკვია „შიზელში“ და „დონ კიხოტში“ ნინელ კურგაბკინასთან ერთად). „სამშვენისები“ ბარიშნიკოვის უკანასანელი სპექტაკლი იყო რუსეთში. მისი გაქცევით მე დავკარგე შემოქმედების უდიდესი სტიმული, – იგონებდა შემდგომ გ. ალექსიძე. ჩვენ გვქონდა გრანდიოზული ჩანაფიქრები, მაგრამ ყველაფერი დაგვეგნრაო. აქ, პირველ რიგში, იგულისხმება გ.ალექსიძის ლიბრეტოზე კომპოზიტორ მიხაილ ბუიანოვსკის ბალეტი იაპონური თეატრის „კაბუკის“ მოტივებზე და ბევრი სხვა მუსიკალური ქმნილებანი. მ. ბარიშნიკოვი თბილისში გასტროლებისას ალექსიძების ოჯახში ცხოვრობდა, ქუჩინშვილის ქუჩაზე, პირველ სართულზე, მეც აქ ვცხოვრობდი, მეოთხე სართულზე და ძალიან დავუახლოვდი ამ უძლრესად განათლებულ და საინტერესო არტისტი. ხშირად ბალეტის ამ ორი „ქურუმის“ თანამეინახეც ვიყავი, თუმც არყის სმაში ორივეს ჩამოვრჩებოდი. გოგი მეუბნებოდა, მიშას შეუძლია ერთი ლიტრა (ანუ 1000 გრ.) არაყი დალიოს და შეორე დილას სალსალამათი მოვიდეს რეპეტიციაზე, მაშინ როცა მე ორი დღე ვერ გამოვდივარ სახლიდან. შემდგომ მ.ბარიშნიკოვმა დაწერა მშვენიერი მოგონება — „ალექსიძების ოჯახის არტისტული დინასტია“ (იხ. ნ.ალექსიძის მიერ შედგენილი კრებული, „ნიჭიერების ძალა“, ათენი. 2006). „ჩემი შემოქმედებითი თანამშრომლობა გოგი ალექსიძესთან, იმ დროს ახალგაზრდა ბალეტმაისტერთა ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო წარმომადგენელთან, ჩემი აქტიორული ბიოგრაფიის განსაკუთრებული თემაა. იმ წლებში იგი საბალეტო აზროვნების ახალი მიმდინარეობის სათავესთან იდგა. მაშინდელ საბჭოთა ლენინგრადში ეს სიახლეები ძლივს იკვლევდნენ გზებს. ფილარმონიულ სცენაზე „კამერული ბალეტისა და კამერული მუსიკის სალამოებისთვის“ შექმნილი მისი პროგრამები, რომელშიც მონანილეობდნენ კიროვის თეატრის წამყვანი არტისტები 60-იანი წლების დიდი კულტურული მოვლენა იყო და ლენინგრადის პუბლიკის მგზებარე ალტაცებას იწვევდა.

გოგი ძალიან მკევეთრად გამოხატული ინდივიდუალობის ქორეოგრაფია, მისი ხელწერა არავისას არ ჰგავს და განუმეორებელია, ამავ დროს მსოფლიო საბალეტო ხელოვნების უმაღლეს სტანდარტებს პასუხობს. ჩვენთვის, ახალგაზრდა მოცეკვავებისათვის, რომლებიც სიახლეებისაკენ მივისწრაფვოდით, ისეთ ბალეტმეისტერთან ერთობლივი მუშაობა, როგორიც გოგი ალექსიძე იყო, ბუნებრივია, დიდი პროფესიონალური ბედნიერება იყო. იგი გვეხმარებოდა ჩვენი არტისტული პოტენციის თვითგამოხატვისათვის ახალი გზების პოვნაში.

მოცარტის ერთაქტიანი ბალეტი „სამშვენისები“, რომელიც გ.ალექსიძემ სპეციალურად ჩემი შემოქმედებითი სალამოსათვის დადგა 1974 წელს, კიროვის თეატრში, წარმოადგენს ჩემი იმ ადრეული პერიოდის უსაყვარლეს ქმნილებას და იგი, ამავ დროს, იყო რუსეთში ჩემი ცხოვრების ლამაზად დამაგვირგინებელი აკორდი“ (გვ. 158).

მიხეილ ბარიშნიკოვისთვის კი იყო ეს ბალეტი „ლამაზად დამაგვირგვინებელი აკორდი“, მაგრამ გოგი ალექსიძისთვის ეს აკორდი მძიმე პრელუდიად იქცა მის შემდგომ ცხოვრებაში: ახალი ქორეოგრაფიული იდეებით სავსე, შემოქმედებითი აღმავლიბის გზაზე დამდგარი დიდი ქართველი ქორეოგრაფი ე.წ. „ნივეზდნო“ პერსონა გახდა – დიდი ხნის მანძილზე მის წინ ჩამოეშვა „რკინის ფარდა“ და როცა მის ოპუსებს მსოფლიოს საბალეტო თეატრების სცენაზე ასრულებდნენ ახლად ამობრნყინებული ვარსკვლავები: ნ.მაკაროვა, ა.ოსიპენკო, მ.ბარიშნიკოვი, ნიკიტა დოლეგუშნი (ამ მოცეკვავისთვის დაიდგა: ს.ნასიძის ორაქტიანი ბალეტი „მეფე ლირი“, გლიუკის „დონ უზანი“, პენდერეციას „იუდას მონოლოგი“, ს.ცინცაძის „ნარცისი“, შუმანის „პიერო“, პროკოფიევის „სარკაზმები“) და სხვები, იგი ამ დროს ხან პერში იყო, ხან კი – მშობლიურ თბილისში.

ახლა, „კებდა უნდა გავუგოთ, ბოლოს დაბოლოს, სანამდე შეიძლებოდა ეთმინათ მის მესვეურებს ამ მოცეკვავების ამდენი თავებდური „ნახტომები თავისიუფლებისაკენ“. კარგი, გაიქცა რ.ნურეევი, ეს არ კმაროდა? მას მიჰყენებ სხვებიც, მათ შორის ყველაზე გამორჩეული: ნ.მაკაროვა და მ.ბარიშნიკოვი – ორივე გ.ალექსიძის ახლო მეგობარი, ფაქტიურად, ორივე მისი მონაცემი, მისი თანამოაზრე. ამის შემდეგ კიდევ ღირდა რისკზე წასვლა და გოგი ალექსიძის საზღვრულებელ გაშვება?

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, გ.ალექსიძე სამგზის შეხვდა „თანამედროვების პირველ მოცეკვავეს“ წარმატლია მაკაროვას, სან-ფერანცისკოში, ლონდონშა და ათენში. ნ.მაკაროვა უკვე აღარ ცეკვავდა, მაგრამ დიდი წარმატებით გამოდიოდა დრამატული თეატრების სცენაზე და მიუზიკლებში (მიღებული აქვს „ტონი“, „ოლივიეს პრემია“, სტანისლავსკის პრემია). წლის საუკეთესო დრამატული მსახიობის პრიზი და სხვ.), ახალი რედაქციით აღადგენდა რუსულ კლასიკურ ბალეტებს (შედევრად არის მიჩნეული მის მიერ აღდგენილი „ბაიადერევა“ და „გედების ტბა“).

მ. ბარიშნიკოვმა პირველი თავისი ბალეტი ამერიკაში იცეკვა სწორედ ნ.მაკაროვას დახმარუ-

ბით. დიდი თხოვნის შემდეგ მან დაითანხმა თავისი პარტნიორი, რათა სპექტაკული „შიზელი“ დაეთმო მ.ბარიშნიკვისათვის. მერე კი განაგრძეს ერთად ცეკვა მრავალ თანამედროვე ბალეტში. და აი, ამდენი ხნის მერე, ნატალია მაკაროვა და გოგი ალექსიძე ერთმანეთს შეხვდნენ ათენში, ნინა ალექსიძისა და მისი მეუღლისა, ავთო მიქაელერიძის მოწვევით. ნ.მაკაროვას სურდა საბალეტო სცენაზე დაბრუნება, მისი არტისტიზმი და ოსტატობა უჭირნობი იყო. მაშინ გადაწყვდა, რომ გოგი მისთვის დადგამდა მცირეფორმინან საბალეტო ოპერებს. აქ დაიწყეს კიდეც მუშაობა, შემდგომ ლონდონში გააგრძელეს (მაკაროვამ მიინვია), რათა „პი-ბი-სი“-სათვის შეექმნათ სატელევიზიო მინიატურები. ამ ჩანაფიქრს ალსრულება არ ეწერა, ნ.მაკაროვას ძველმა ტრავებმა გაუხსენეს. „ოცნებანი, გეგმები, რაღაც ახლის შექმნის სურვილი – იგორებდა გ.ალექსიძე – ჩემს მუშაობას განსაკუთრებული მიმზიდვებობით ავსებდა, მაგრამ, დრო, სამწუხაოროდ, ულმობელია.“

90-იან წლებში, როცა თბილისში გაუსაძლისი სიდუხჭირე სტანჯავდა ადამიანებს, ნ.მაკაროვას ოჯახმა დიდი დახმარება გაუწია გ.ალექსიძეს ქალიშვილს – მარიამს, შევიცარიაში, ციურისის ქორეოგრაფიული სასწავლებელში ორი წლის სწავლის ფული მთლიანად გადაუხადა.

გ.ალექსიძის თავს დამტყდარი ტრაგედიის შემდეგაც. არ გაუწყვეტიათ მასთან კავშირი. ხშირად ურეკავდნენ ნ.მაკაროვა, ირა კოლპაკოვა, ხოლო მ.ბარიშნიკვიმა, რომელიც კვირაში სამჯერ-ოთხჯერ ურეკავდა, ამერიკიდან გამოუგზავნა დიდალი თანხა, რომელიც საკმარისი აღმოჩნდა გოგის უამრავი ოპერაციისა და მკურნალობისათვის.

**1 • 2004 წელს, მოსკოვში, ბალერინა ირმა ნიორაძის შემოქმედებითი სალამოს მომზადებისას, გ. ალექსიძეს თავს დაესხა გარეწრების ჯგუფი და უმოწყალოდ სცემეს ხელკეტებით. უმძიმესშია ტრამვებმა და უმძიმესშია ოპერაციებმა მაღვე მოუსწრაფეს სიცოცხლე ამ გენიალურ ქორეოგრაფს.**

## იქნება?

ამოქმედდა კანონი თეატრის შესახებ, რომელსაც საბოლოო რედაქციაში დაერქვა „საქართველოს კანონი პროფესიული თეატრების შესახებ“. ზოგიერთი შენიშვნა, რომელიც კანონზე ირგვლივ მსჯელობისას გამოითქვა, კანონმდებლებმა, მართალია ნაწილობრივ, მაგრამ მაინც გაითვალისწინეს. ასე და ამგვრად, კანონში სავსებით მართებულად შევიდა პროფესიული, კერძო, სამოყვარულო, საანტერპრიზო თეატრების და სხვ. ცნება და სავსებით გამართული განმარტება, მაგრამ... სიტყვა „პროფესიული“ დაფიქსირდა კანონის თითქმის ყველა თავის, მუხლის, პუნქტის კონტექსტსა თუ სათაურში და საგსებით ბუნებრივია, რომ კანონის ტექსტში სამოცხველობული ფრაზა „სახელმწიფო პროფესიული თეატრი“ შესაბამისმა სამსახურებმა (მაგ.რეესტრი) და, რა თქმა უნდა, სახელმწიფო თეატრებმა სავალდებულოდ მიჩნიეს და სახელებიც შესაბამისად გადაირქვეს. შედეგად მივიღეთ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თეატრი, ბათუმის ილი ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრი, ქუთაისის, თელავის, გორის და ა.შ.

ველოსიპედის ხელახლა გამოგონება ქართველებს ძალიან გვიყვარს, მაგრამ იქნებ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მაინც დავარღვიოთ ტრადიცია და ვიკმაროთ მთელ მსოფლიოში მიღებული ფორმა – ესა და ეს „სახელმწიფო თეატრი“. მით უფრო, რომ ყველამ ყველგან ძალიან კარგად იცის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში მხოლოდ პროფესიული თეატრი „ზის“. მსოფლიოში არავის მოუვა აზრად ბერლინერ ანსამბლზე დაწეროს გერმანიის სახელმწიფო პროფესიული თეატრი — ბერლინერ ანსამბლი, პარიზის ოპერას გრანად ოპერად ან ოპერა გარნიედ მოიხსენიებენ, თუმცა, ფრონტონზე, აშენებისთანავე ამაყად ამოტვიფრეს „მუსიკისა და ცეკვის ეროვნული აკადემია“.

სახელმწიფო, ეროვნული თეატრის წოდება, ან თეატრის აკადემიურობა ყველასთვის მისაღები და გასაგებია. მაგრამ თეატრის პროფესიულობის ხაზგასმა სწორედ რომ თეატრის ან ქვეყნის თეატრალურ ტრადიციას აყენებს ეჭვეჭვეშ.

ისც გასათვალისწინებელია, რომ თეატრების თავფურცელზე გადაჭიმული სახელწიფება, არც თეატრების ლოგოს უტოვებს დაგვილს და არც დასახელების უცხოენოვან ვარიანტს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, იქნებ, ვთხოვოთ ჩვენს კანონმდებლებს თეატრებს პირვანდელი და ყველასთვის მარტივად აღსაქმელი სახელი დაუბრუნდეს?

**ირინა ღოღოგერიძე,  
ხელოვნებათმცოდნების დოქტორი**

# სპექტაკლები

## გთავარი

### ფილოსოფიაა...

#### ინიციალური და მიმღებელი

მარჯანიშვილის თეატრმა, შესაძლოა, რუსთაველზე თეატრალური სარდაფის ნოსტალგიით, ახალი თეატრალური სივრცე გახსნა, რომელსაც ლოგიკურად და მარტივად „ახალი სცენა“ უწოდა და პრემიერაზე მსოფლიო თეატრის შედევრი უან-ბატისტ მოლიერის „ტარტიუფი“, ანუ ფარისეველი“ ნარმოადგინა (რეჟ. ლევან წერებულება). უკეთეს ავტორს მარჯანიშვილები, დამეთანხმებით, ვერც შეარჩევდნენ თუნდაც იმიტომ, რომ „ტარტიუფი“ უკვე სამას ორმოცდათი წელია, რაც მსოფლიოს სცენებზე ცოცხლობს და „დონ შუანთან“ ერთად ეს არის პიესა, რომელიც შექსპირის შემდეგ ყველაზე ხშირად

იდგმება ინგლისა და სხვა ინგლისურნოვან ქვეყნებში; „ტარტიუფი“ მოიარა აღმოსავლური თეატრის სცენა „კაბუკიდან“ ვიდრე ირანულ მარიონეტებამდე, 1965 წელს ნიუ იორქში დადგმული „ტარტიუფი“ კი დღემდე ბროდვეის ყველაზე ძვირადლირებულ დადგმად ითვლება; საფრანგეთში პრაქტიკულად არ დარჩენილა არც ერთი დიდი თუ პატარა თეატრი, სადაც მისი დადგმა არ განეხორციელებინათ, ხოლო „ოთხთა კარტელის“ რეჟისორების მოღვაწეობიდან მოყოლებული „ტარტიუფის“ ნარმოადგენის გარეშე არც ერთ თეატრალურ სეზონს არ ჩაუვლია. ბოლო პერიოდში დადგმული სპექტაკლებიდან ყველაზე ნარჩუმატებელი 2012 წელს ავინიონის ფესტივალზე (რეჟ. მარიონ ბერი) და 2013 წლის მაისში პარიზის „თეატრ 13“-ში (რეჟ. ენტონი მანიე) ნარმოადგენილი სპექტაკლები დასახელდა, ხოლო ყველაზე შთამბეჭდავად – არიან მზუშკინის (1996წ.) და სტეფან ბრაუნშვეიგის (2008).

„ახალ სცენაზე“ „ფიგაროს“ პრემიერის მეორე დღესვე გადავწყვიტე რეცენზიის დაწერა, მაგრამ მომავალ „ქმნილებას“ გასა-აღები ვერა და ვერ მოვუძებნე. ალბათ, ჩემი ფრანკოფონული ერთგულების პირობით, მაგრამ ძლიერ მარწუხებში აღმოვჩნდი. მარჯანიშვილელთა სპექტაკლი ნამდვილად მოლიერისეული მეჩვენებოდა, რადგან ასეთივე მსუბუქი, „კომედია დელ'არტეს“ ელემენტებითა და თავბრუდამხვევი ტემპო-რიტმით იყო, ალბათ, გაჯერებული პარიზის დასაპყრობად მიმავალი ახალგაზრდა მოლიერის ჯერ კიდევ მოხეტიალე დასის სპექტაკლები. იმასაც ვგრძნობდი, რომ ლევან წულაძის სპექტაკლში, სადაც სიუჟეტი საკმაოდ გამარტივებული ჩანდა, მოლიერის ტექსტის სილრმე მენატრებოდა. თუმცა, რომელი თანამედროვე მაყურებელი გაუძლებდა ულამაზესი ალექსანდრინით გარითმული ათას ცხრას სამოცდაორი ტაეპის სცენიდან ნარმოთქმას? თუმცა, ისიც მომწონდა, რომ სპექტაკლში ლექსთან შერეული, კარგად გამართული და დახვეწილი დიალოგი უძერდა მიუხედავად იმისა, რომ კონგრენიალური თარგმანის შექმნა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, როგორც ვიცით, პრაქტიკულად შეუძლებელია. ტექსტით მოხიბლულმა სცენური ვერსიის ავტორიც კი მოვაკითხე, მაგრამ ჩვენს თეატრში ხომ ვერასდროს გაიგებ მთარგმნელის, ან ადაპტირებული ტექსტის ავტორის ვინაობას! მოკლედ, ფრანგული რაციონალიზმით განვითარებულმა ქა-

როულმა ემოციურობამ, ვფიქრობ, ოქროს შუალედი მომაძებნინა. დავივიწყე მოლიერის მოლიერობა, ჩემი აკადემიური ფრანკო-ფონობა, თუ თეატრმცოდნეობითი შტუდების ერთგულება და ლევან წულაძის კარგ და ხარისხიან სპექტაკლზე იმპრესიონისტული შეფერილობის წერილის დაწერა გადავწყვიტე.

მარჯანიშვილელთა „ახალი სცენის“ დარბაზი სარდაფში გამოყოფილ სივრცეშია განთავსებული. ფიცარნაგი, რომელსაც, თუ არ ვცდები, თორმეტრიგიანი ამფითეატრი დაჰყურებს, კონკრეტულად მონიშნული არ არის. ამდენად, სცენად „ტარტიუფში“ გამოიყენება ყველაფერი, რასაც მაყურებელი რეჟისორის ნებით ცარიელ სივრცედ აღიქვამს. რამდენიმე საყრდენი ბოძი, რადგან მათი მოცილება ან შენიღბვა პრაქტიკულად შეუძლებელია, თითქოს ზღუდავს ამ საკმაოდ რთულად ასათვისებელ მოცემულობას. თუმცა, ლევან წულაძემ (სცენოგრაფიაც მასვე ეკუთვნის) ბოძებს მიღმა დარჩენილი სივრცეც სრული დატვირთვით გამოიყენა. დეკორაცია სპექტაკლში მინიმალურია. ფიცარნაგის მარჯვენა მხარეს ბოძები დაფარულია სცენის სილრმისკენ ოდნავ ირიბად აღმართული კედლით, რომელსაც სიმსუბუქეს აქტიურად ფუნქციონირებადი დიდი ფრანგული ფან-

ჯარა და კარი სძენს. ეს კედელი კულისებსაც ქმნის, რაც სპექტაკლის თავბრუდამხვევ ტემპო-რიტმში მსახიობებს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს და, რაც მთავარია, მაყურებლის ფანტაზიასაც ამუშავებს. ფანჯრებსა თუ კარს მიღმა ხან ოთახი მოიაზრება, ხან — შეყვარებულთა სამალავი, ქუჩა თუ მშვენიერი ბაღი. რეჟისორი ასევე სრული დატვირთვით იყენებს მარცხენა ბოძებს მიღმა მდებარე სივრცეს. სწორედ იქიდან შემოდიან მედიდური სვლით მთელ სამყაროზე განაწყენებული მადამ პერნელი (მანანა კოზაკოვა) და მისი მსახური ფლიპოტი, გულმოდგინე ლოცვითა და ღვთისმოსაობით მოღლილ—გადაფითრებული მორჩილი (თამარ ბუხნიკაშვილი). იქვე ტრიალებს, აპარტეს სცენებში, ვერცხლისწყალივით მოძრავი, ყველასა და ყველაფრის მოთვალთვალე, მომრიგებელი, დამცველი და შემფასებელი დორინა. ბარბარე დვალიშვილი იუველირული სინატიფით ქარგავს თავისი სიცოცხლის მოყვარულ და სიყვარულს მონატრებულ, მუდმივ მოძრაობასა და სხვებზე მოფუსფუსე პერსონაჟის სახეს.

ამ პრაქტიკულად თავისუფალ სივრცეს ავსებს და აკონკრეტებს მხოლოდ მწირი რეკვიზიტი: ერთი-ორი სკამი, ერთი სავარძელი და მაგიდა, რომელზეც ტრაპეზიც იმართება და ეროტიკულ—სასიყვარულო



სცენებიც თამაშდება. ასეთები სპექტაკლში მრავლადაა. რად ლირს თუნდაც ოჯახის გადასარჩენად თუ საკუთარი სიამოვნებისთვის ლამის რენესანსული ტრაგედიის პერსონაჟად ქცეული, მაგიდაზე გამომწვევად მიწოლილი, ულამაზეს ელმირას (თეონა ქოქრაშვილი) შემოსრიალება. ამ აღუზით რეფისორმა მისეული ხედვა შესძინა ტარტიუფის მხილების კლასიკურ სცენას, რომელიც ისე გენიალურად აქვს მოლიერს დანერილი, რომ სამასი წლის მანძილზე ყველაზე ავანგარდულ რეფისორებსაც კი არ შეუცვლიათ – მუდამ და ყველგან საწყალი ორგონი მაგიდის ქვეშ ზის და საკუთარი სიბრიყვის შედეგს ცოცხლად იმკის.

ამ ოსტატურად ათვისებულ და მორგებულ გარემოს კარგად ესადაგება ნინო სურგულაძის მიერ შესრულებული, ეპოქაზე სტილიზებული კოსტუმები. აქვე მინდა ალვინიშნო, რომ ნინო სურგულაძე ძალიან საინტერესოდ და წარმატებულად თანამშრომლობს ლევან წულაძესთან. გავიხსენოთ მისი კოსტუმები სპექტაკლებში „დეკამერონი“, „როგორც გენებოთ“, „უოლო“, „საშობაო ზღაპარი“, „კოტე მარჯანიშვილი“... მის მიერ შესრულებული კოსტუმები ნათელი მაგალითია იმისა, რომ მხატვარი კარგად იცნობს და გრძნობს ეპოქას, ავტორს, პერსონაჟებს. თამამად აკეთებს კოსტუმის სტილიზაციას, ძველში თანამედროვე დეტალების შერევას. ამასთანავე, მისი წარმოუდგენლად ეკლექტური ფიზიინიც კი ყოველთვის გააზრებულად ეკლექტურია, თუნდაც იმიტომ, რომ ფერი, სილუეტი თუ არაორდინარული აქსესუარი ყოველთვის დახვენილი გემოვნებით არის შერჩეული, გამოყენებული და შესრულებული.

„ტარტიუფის“ კოსტუმებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მადამ პერნელის გამოკლებით, რომელიც თუ არ ვცდები, მხოლოდ ერთხელ მისცემს თავის თავს დილის პენუარში გამოჩენის უფლებას, თითქმის ყველა პერსონაჟი ქალი ბევრ სცენას ძალიან მოხდენილ და მადის მომგვრელ საცვლებში თამაშობს. არც იფიქროთ, რომ უსასერობის გამო! საცვლებიც ძვირადლირებული აცვიათ და თანაც გარკვეულ ეპიზოდებში, განსაკუთრებით კი ფინალისკენ, ისინი ხასიათს მისადაგებული, მშვენიერი და ნაირ-ნაირი კაბებით იმოსებიან. შილიფად ჩაცმა სპექტაკლში, რა თქმა უნდა, რეფისორის ჩანაფიქრით და მიზანსცენის კონტექსტით, არის გამართლებული (ლამე, დროის უკმარისობა, სასი-

ყვარულო თამაშები, ბანაობა...). ამასთანავე, ეს ჰაეროვანი ჩაცმულობა ნამდვილად უხდება მსახიობების დელ'არტესეულ პლასტიკას, უსიტყვო ინტერმედიებს, რომელიც სპექტაკლში ასე უხვად და ორგანულად არის მიმობნეული და იმ წმინდა ფრანგულ, თავისუფალ სულისკვეთებას, რომლითაც ეს სპექტაკლი გამოირჩევა. ისიც მინდა გავიხსენო, რომ მოლიერის დროს კაზმულსიტყვაობის მოტრფიალე, ულამაზესი ნინონ დე ლანკ-ლო ცნობილ პოეტებსა და პარიზის მაღალ საზოგადოებას თავის სახელგანთქმულ სალონში, ლოგინზე წამოწოლილი ნეგლიუეში ეგებებოდა. სწორედ იქ და იმ სალონში, ხუთოდან ცხრა საათამდე მიღების დროს, ახალგაზრდა მოლიერმა დიასახლის „ტარტიუფის“ პირველი გვერდები წაუკითხა.

ლევან წულაძის სპექტაკლი იწყება ძალიან დინამიკური, ცეკვასავით აწყობილი სცენით, რომელსაც ფრანგულ კლასიცისტურ თუ თანამედროვე, ბულვარულ კომედიაში „მეფის ბალეტის“ ან „ბაგარ“, ანუ არეულობა-აურზაურის სცენას უწოდებდნენ. მოლიერის დროს ეს უფრო „მეფის ბალეტი“ გახლდათ. მეფის იმიტომ, რომ წარმოდგენები ძირითადად მეტის სასახლეში იმართებოდა, ხოლო ბალეტი





სწორედ ის ცეკვა, პანტომიმური ინტერმედია ან ხმაურიანი, უსიტყვით სკეტჩი გახლდათ, რომელსაც მსახიობები მოქმედებებს შორის ან ჩამნვარი სანთლების თუ დეკორაციის პანოს შეცვლის დროს ირონიულ-კომიკური შეფერილობით გაითამაშებდნენ ხოლმე. ლევან წულაძე ამ ხერხს ირონიულად მიმოფანტავს სპექტაკლის ქარგაში. მაგალითისთვის მოვიყვან დამშეული დამისის სახლში დაბრუნების, მარიანას მამასთან ჩხუბის სცენებს. ექსპოზიციის პირველი სცენაც სწორედ ამ პრინციპით არის აგებული. თითქმის ყველა პერსონაჟი სცენაზე ერთდროულად შემოიჭრება, რამდენიმე აბაზანას შემოათრევს, წყლით აავსებს და მხიარული აურზაურით ბანაობას და სასიყვარულო თამაშებით გართობას იწყებს. სწორედ ეს სცენა განსაზღვრავს მთელი სპექტაკლის მუხტსა და ტემპო-რიტმს. რეჟისორის მიერ ზუსტად დაჭერილი სპექტაკლის დინამიკა მსახიობებსაც ეხმარება იმაში, რომ წარმატებით დაძლიონ მრავალ-სიტყვიანი ფრანგული კომედიის ყველაზე დიდი სირთულე – რეპლიკათა სისხარტე და მათი სწორი აქცენტირება. უნდა ითქვას, რომ „ტარტიუფში“ მონანილე მსახიობთა მთელმა ანსამბლმა ეს სირთულეები იოლად და ოსტატურად გადალახა. ყველა რეპლიკა ცოცხ-

ალი, გამართული და ჟესტის, მოძრაობისა თუ შეფასების თანადროული და ადეკვატურია. ამას, სხვათა შორის, ტექსტის ლოგიკური და სიუჟეტისთვის უვნებელი შეკვეცაც უწყობს ხელს. აღბათ სწორედ ასეთი „ფრანგულიზმებით“ მოიხიბლნენ თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე საფრანგეთიდან ჩამოსული სტუმრები, რომლებმაც, სხვა ღირსებებთან ერთად, განსაკუთრებით აღნიშნეს სპექტაკლის მოლიერისეული ხასიათი.

ძალიან ბევრი დაინერა და ითქვა იმის შესახებ, რომ სპექტაკლი „კომედია დელ'არტეს“ ესთეტიკით არის განხორციელებული. ამასთან დაკავშირებით მსურს გავიხსენო, რომ „კომედია დელ'არტე“ და მოლიერის თეატრი თითქმის თანადროული მოვლენაა, მაგრამ მოლიერი იტალიურ დელ'არტეს, განსაკუთრებით თავის გვიანდელ პიესებში, ფრანგული კლასიციისტური კომედიის უკვე განვითარებულ უანრისა და ფრანგი მსახიობების ბუნებას არგებს. აბბობენ კიდეც მკვლევარები, რომ ფრანგული კომედია არის იტალიური დელ'არტეს, ფრანგული ინტელექტუალური მისამართი და ნატიფი გემოვნების ხარისხიანი სინთეზი. მოლიერის ტექსტის გენიალობის გარეშე კლასიციისტური კანონებით შექმნილ კომედიაში ყველაფერი მხოლოდ მოცემულო-

ბად დარჩებოდა: ტარტიუფი ფარისევლად და მხოლოდ ფარისევლად მოგვევლინებოდა, ფლიპოტ და მადამ პერნელი, განბილების მიუხედავად, მაინც ბრმად მორწმუნე კერპ-თაყვანისმცემელნი იქნებოდნენ და ა.შ. ყველა პერსონაჟს მოლიერთან თავისი დანიშნულება და ხასიათი აქვს, მაგრამ როგორც ძველი ბერძნების, მოლიერის დრამატული ტექსტის გენიალობაც სწორედ მის უნივერსალობასა და დროის მიღმა არსებობაში მდგომარეობს. ამიტომაც, ასეთი ტექსტის ადაპტატორს, ხელახლა შემქმნელს ან, ჩვენს შემთხვევაში, სასცენო ვერსიის ავტორს, საშუალება ეძლევა სხვა ეპოქით, სხვა სულისკვეთებით შემოსის უკვე არქეტიპებად ქცეული პერსონაჟები.

ლევან წულაძე თავის სპექტაკლში დელ'არტეს ხერხებს მსახიობთა პლასტიკაში და ერთადერთი პერსონაჟის სწორხაზოვნად გახსნაში იყენებს მხოლოდ. სხვა პერსონაჟებს რეჟისორი საკმაოდ თავისუფლად ექცევა და გარკვეულნილად, ბიოგრაფიასაც უქმნის. ასეთია მადამ პერნელი, რომელიც განათლების უკმარისობით არის ტარტიუფით მონუსხული. თუმცა, როგორც ირკვევა, ამ ქალს, რეჟისორის ნებით, წარსულიც აქვს, მომავალზეც ფიქრობს და მოდურ შლაპასაც მოხდენილად ატარებს. მანანა კოზაკოვა ზუსტი შტრიხებით ქმნის თავის გროტესკულ პერსონაჟს. დორინა დასაწყისში ორიოდ სიტყვით უკვე დავახასიათე, მაგრამ ბარბარე ფვალიშვილი და მანანა კოზაკოვა ერთ კონტექსტში იმიტომ მოვაქციე, რომ ამ ორ მსახიობს, როგორც ფრანგები ამბობენ, სცენაზე „შესამჩნევად ყოფნის“ განსაკუთრებული ნიჭი აქვთ. ასეთ მსახიობებს, სადაც არ უნდა იდგნენ და რასაც არ უნდა თამაშობდნენ, მაინც ხედავ!

მადამ პერნელის კვალდაკვალ მოძრაობს და სპექტაკლის დასაწყისში მის აჩრდილადაც კი იკითხება ღვთისმოშიში მორჩილი ფლიპოტი, რომელიც, როგორც ირკვევა, ტარტიუფზე არანაკლები მატყუარა და ფარისეველია. მონაზენის სამოსის გახდისთანავე ახალგაზრდა და თურმე საკმაოდ მიმზიდველი ქალი სიყვარულის მორევში ჩაძირვასაც არ ერიდება. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ანა ვასაძე. მარიანა მისი სადებიუტო როლია და უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა მსახიობმა სხარტი, თამამი, გონებამახილი და სიყვარულისთვის მებრძოლი პერსონაჟი ძალიან დამაჯერებლად განსახიერა. სპექტაკლის ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და საინტერესო



ეპიზოდია დამისის (გიორგი კიკნაძე) სახლიდან გაგდების სცენა, რომელიც სწორედ მოლიერის კომედიებისათვის დამახასიათებელი „მელანქოლიური კომიზმის“ სტილისტიკით არის გადაწყვეტილი. კრიტიკა ხშირად იმეორებს, რომ ამ ესთეტიკით პერსონაჟის შექმნა, წონასწორობის დაცვის თვალსაზრისით, ძალიან რთულია, რადგან მელანქოლია თურმე კომიზმს აუფერულებს. ვერაფრით დავვეთანხმები, დამისის გაგდების სცენა სასაცილოც არის და სევდიანიც, მსახიობმა მამის მიერ უმიზეზოდ და სასტიკად დასჯილი შვილის სახე ბუნებრივად, მსუბუქად და განცდათა მდიდარი და ამასთანავე განვითარებული პალიტრით შექმნა. და საერთოდ, „ტარტიუფის“ ყველა მსახიობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ყველა სირთულეს შესანიშნავად გაართვეს თავი, ერთმანეთსაც მშვენიერი პარტიიორობა გაუნიეს და ლევან წულაძის რეჟისორული ილეთების კასკადი მსუბუქად, გემოვნებით და ხარისხიანად შეასრულეს..

„და ტარტიუფი?“ გაუთავებლად ეკითხება ელმირას ორგონი (ნიკა კუჭავა), რადგან მას

ტარტიუფის გარდა არავინ და არაფერი აინ-ტერესებს. „და ტარტიუფი?“, გაიკირვებს, ალბათ, მკითხველი. აქამდე ხომ ტარტიუფი არც მიხსენებია. ტარტიუფი, ვფიქრობ, ყველამ თავისი უნდა დაინახოს და აღმოაჩინოს.

არიან მნუშეკინმა ტარტიუფის პერსონაჟები ცალსახად, ისლამურ ტანსაცმელში გამოაწყო და სპექტაკლის გამჭოლ, ყველასა და ყველაფრის მამხილებელ თემად ინტეგრიზმი აქცია. „ტარტიუფი ეშმაკისეულია“ — იხსენებს არიან მნუშეკინი მოლიერის სიტყვებს და მართლაც საშიშ პერსონაჟს ძერწავს. სტეფან ბრაუნშვეგიგი ტარტიუფის მინიმალისტურ დეკორში მოაქცევს და გვიჩვენებს ცხოვრებით განბილებულ ადამიანს, რომელიც მასზე უფრო განბილებულთა დამორჩილებას ეშურვება. ბრაუნშვეგმა მოლიერის კომიზმის მელანქოლიური ბუნება გამოიყენა და ცხოვრებით განბილებული ორგონის ბედი უკეთესი მომავლის იმედით ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ, მაგრამ ფარისეველ, უფრო ჭკვიან და მოხერხებულ ტარტიუფს გადააბარა.

ლევან წულაძემ თავის ტარტიუფში (ზვიად სხირტლაძე) მხოლოდ ფარისეველი დაინახა და, ალბათ განგებ, სწორხაზოვნად და უნიუნსოდ წარმოგვიდგინა. მისი ტარტიუფი არც საშიშია, როგორც მნუშეკინთან და არც მელანქოლიურად გულგრილი, როგორც ბრაუნშვეგითან. ლევან წულაძის ტარტიუფი უბრალოდ არის, არსებობს და იმთავითვე იცის, რომ გაიმარჯვებს, მისი ტარტიუფი ფარისევლობის სიმბოლოა და ყველა მისი მეტამორფოზა, იქნება ეს სექსუალური აღტყინება, შიში მხილების ეპიზოდში თუ მიამიტური საქციელი, რეჟისორის ჩანაფიქრით, ყალბი და მოჩვენებითია, ფარისევლობა აქცალსახა მოცემულობაა, რომელსაც მსახიობი ზვიად სხირტლაძე, ალბათ ისევ რეჟისორის დავალებით, მხოლოდ გროტესკული ცინიზმით ანსახიერებს.

სხვათა შორის, ბევრი დაინტერა მისი შესახებაც, რომ ლევან წულაძემ ტარტიუფის ფინალი შეუცვლია! რეჟისორმა, ალბათ, გაიხსენა პიესის შექმნის ისტორია და მოლიერის განუხორციელებელი ჩანაფიქრი გააცოცხლა. ცნობილია, რომ პირველ ვარიანტში პიესა ტარტიუფის გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. 1664 წელს, ვერსალში, ისევ და ისევ ნინონ დე ლანკლოს შუამდგომლობით, ლუი XIV-ის კარზე მოლიერმა, რომელიც ორგონს თამაშობდა, წი-

ნასაპრემიერო ჩვენების მსგავსი რამ მოაწყო, მეფის ძმას და მაღალ საზოგადოებას პიესის სამი მოქმედება აჩვენა და პიესის ფინალიც მოუკვა. სპექტაკლი მოუწოდეს, მაგრამ, პარიზის ეპისკოპოსის დაუინებული თხოვნით, საჯარო პრემიერა მოიხსნა იმ მიზეზით, „რომ ავტორმა ერთობ გავლენიანი ბასტიონის — რწმენისა და ღვთისმოსაობის წინააღმდეგ გაილაშქრა“. მოლიერმა ფინალი შეცვალა, შეამსუბუქა მონოლოგების სიმძაფრე, გააძლიერა კომიკური მხარე, მეტი დატვირთვა შესძინა სხვა პერსონაჟებს (დორინა, მარიანა, ვალერი, დამისი) და თხოვნის წერილებით მიმართა მეფესა და არქიეპისკოპოსს. თუმცა არაფერმა გაჭრა, „ტარტიუფი“ 1669 წლამდე აკრძალული იყო. მას აქეთ, მეოცე საუკუნემდე, პიესის ფინალი აღარ შეუცვლიათ.

ლევან წულაძემ თავისი ფინალი სხვა ეს-თეტურ და აზრობრივ სიბრტყეში გადაიტანა, შეცვალა მსახიობთა მოძრაობის მანერა, გრძნობათა ბუნება, ყველაფრი იღნავ შეანელა, დაასევდიანა. არც იყო გასაკვირი. ორგონს და მის სახლობას ქონების, ვითომ თუ მართლა, დაკარგვის შემდეგ ცხოვრების წესი უნდა შეეცვალა. თუმცა ელევანტურ ფრაკში გამოწყობილი ტარტიუფი ყველას ბაღში ეპატიუება და მარიანას საქმროს მიერ ინგლისიდან ახლად ჩამოტანილი თამაშით გართობას შესთავაზებს. ლურჯად განათებული სცენის სიღრმეში ახალგაზრდები მაგიდის ჩოგბურთის თამაშს უფლებიან, მოხდენილად მოძრაობენ, მცირე ყოყმანის მერე მათ ელმირა და დორინაც უერთდებიან. ავანსცენაზე კი ორგონი სულს ღაფავს და ძლივს გასაგონად ლუდლულებს „მთავარი მაინც ფილოსოფია... და ეს იცით როგორ ხდება...“

დიახ, ბატონებო, მთავარი მაინც ფილოსოფიაა, რადგან ფარისევლობა ცოცხლობს და ჩვენს ირგვლივ ტრიალებს. და ეს იცით როგორ ხდება? ზუსტად ისე, როგორც ახლახან, პრემიერიდან სულ რაღაც ათი დღის მერე, ანუ 17 ივნისს მოხდა, როცა ქუჩაში გამოსული ხალხი და ღვთისმოსავი ფარისევლები ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. ტარტიუფები ჩვენთან და ყველგან და ყოველთვის არიან და ხშირად იმარჯვებენ კიდეც. მთავარი ხომ ფილოსოფია!

და რომ უკეთესად გავიგოთ, ეს როგორ ხდება, იქნებ გავინათლოთ გონება, ვეზიაროთ სიკეთეს, ვიკითხოთ მოლიერი და შექსპირი და ვნახოთ კარგი სპექტაკლები, მაგალითად „ტარტიუფი“ მარჯანიშვილელთა „ახალ სცენაზე“.

# განსხვავებული

## ჟანრის

## სპეციალური

## ერთ თეატრში

მაკა ვასაძე


### „რაგდენომა სიზმარი ჩედიერ ცხოვრებაზე“

2013 წლის მიწურულს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრმა ორი ახალი სპექტაკლი შესთავაზა მაყურებელს. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ქადაგი დოლიძემ ინგა გარუჩავას და პეტრე ხოტიანოვსკის - „Underground XXI@yahoo.com ან რამდენიმე სიზმარი ბედნიერ ცხოვრებაზე“ - და ამუშავა, კუპიურები შეიტანა, ტექსტი შეამცირა, საიმღერო ლექსები შეკვეცა, გადაადგილა, და, როგორც უკვე აღვნიშნე, თუმანიშვილის თეატრში ერთ მოქმედებად წარმოადგინა. ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო ტექსტუალურმა ცვლილებამ მნიშვნელოვნად დახვეწა პიესა, მიუზიკლის უანრში გადაწყვეტილი წარმოდგენა სრულყოფა და მაყურებელისთვის საინტერესო, სახალისო სანახაობა შეიქმნა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ უანრის სიმსუბუქის მიუხედავად, რეჟისორმა, დრამატურგიული წარმოებიდან გამომდინარე, ჩვენი საზოგადოებისთვის (და არა მარტო ჩვენი) საჭიროობო, მტკიცენეული საკითხები გამოიტანა მაყურებლის სამსჯავროზე. სპექტაკლისა და პიესის შინაარსის მოყოლით თავს არ შეგანყენთ, მხოლოდ იმას მოგახსენებთ, ჩემი აზრით, რისი თქმა სურდა რეჟისორს. სიყვარულსა და მეგობრობაზე, ერთგულებასა და ლალაზზე, რწმენასა და ურწმუნობებაზე, სიწმინდესა და უწმინდურობაზე, ნიჭიერებასა და უნიჭობაზე, პატიოსნებასა და ხელმრუდობაზე, თანალმობასა და არაგულისხმიერებაზე, ამპარტავნებასა

რის მოყვარულ საზოგადოებას არასდროს დაავიწყედება ნანა ფაჩუაშვილის, ნინელი ჭანკვეტაძის, რამაზ იოსელიანისა და არაპროფესიონალი მსახიობის, ნუგზარ რუხაძის შექმნილი პერსონაჟები.

პიესაზე - „Underground XXI@yahoo.com ან რამდენიმე სიზმარი ბედნიერ ცხოვრებაზე“ - ქეთი დოლიძემ მეორეჯერ იმუშავა. 2011 წელს მოსკოვში, სტას ნაძინის თეატრში განხორციელებული სპექტაკლი თბილისში, 2013 წელს აღდგენილ საერთაშორისო ფესტივალზე „საჩუქარი“ (Gift) ვნახე. მინდა გითხრათ, რომ მოსკოვის და თბილისის დადგმები ისე განსხვავდებიან როგორც „ცა და დედამიწა“. უპირველეს ყოვლისა, სხვაობა მსახიობთა შესრულებას ეხება. მოსკოვურ, მიუზიკლის უანრში გადაწყვეტილ წარმოდგენაში რუსი მსახიობების უნიჭო, უსმენო სიმღერა და მოუქნელი მოძრაობები იმდენად გამაღიზიანებული და მომაპეზრებული იყო, რომ გრიბოედოვის თეატრში მცირე რაოდენბით მოსული მაყურებელის (სპექტაკლი სამუშაო დღეს 3 საათზე ითამაშეს) უმრავლესობაში დარბაზი დატოვა. ამას გარდა, სხვაობა სპექტაკლის ფორმატსაც ეხება. თუმანიშვილის თეატრის ერთმოქმედებიანი წარმოდგენის ხანგრძლივობა საათი და თხუთმეტი წუთია. დაუსრულებელად აღიქმებოდა სტას ნამინის მუსიკალური თეატრის ორმოქმედებიანი სპექტაკლი. შედარებითი ანალიზით თავს აღარ შეგანყენთ.

ქეთი დოლიძემ ორაქტიანი პიესა - „Underground XXI@yahoo.com ან რამდენიმე სიზმარი ბედნიერ ცხოვრებაზე“ - დაამუშავა, კუპიურები შეიტანა, ტექსტი შეამცირა, საიმღერო ლექსები შეკვეცა, გადაადგილა, და, როგორც უკვე აღვნიშნე, თუმანიშვილის თეატრში ერთ მოქმედებად წარმოადგინა. ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო ტექსტუალურმა ცვლილებამ მნიშვნელოვნად დახვეწა პიესა, მიუზიკლის უანრში გადაწყვეტილი წარმოდგენა სრულყოფა და მაყურებელისთვის საინტერესო, სახალისო სანახაობა შეიქმნა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ უანრის სიმსუბუქის მიუხედავად, რეჟისორმა, დრამატურგიული წარმოებიდან გამომდინარე, ჩვენი საზოგადოებისთვის (და არა მარტო ჩვენი) საჭიროობო, მტკიცენეული საკითხები გამოიტანა მაყურებლის სამსჯავროზე. სპექტაკლისა და პიესის შინაარსის მოყოლით თავს არ შეგანყენთ, მხოლოდ იმას მოგახსენებთ, ჩემი აზრით, რისი თქმა სურდა რეჟისორს. სიყვარულსა და მეგობრობაზე, ერთგულებასა და ლალაზზე, რწმენასა და ურწმუნობებაზე, სიწმინდესა და უწმინდურობაზე, ნიჭიერებასა და უნიჭობაზე, პატიოსნებასა და ხელმრუდობაზე, თანალმობასა და არაგულისხმიერებაზე, ამპარტავნებასა



### სცენა სპექტაკლიდან:

ვალი დუგლასი - ქურდი,  
ირინა გიუნაშვილი - მამსოროს  
ეალიშვილი ნიჭა,  
ნიკა თერეზიანი - ახელოზი;

და თავმდაბლობაზე, ნებისმიერი ეპოქის ჩინოვნიკურ „მსოფლმხედველობაზე“, უასლოესი ისტორიული წარსულისა და დღევანდელობის პრობლემებზეა სპექტაკლი. ადამიანებისთვის მტკიცნეული თემები რეჟისორმა და მსახიობებმა, სპექტაკლის უანრიდან გამომდინარე, სიმსუბუქით, იუმორით, ზოგჯერ ირონიითა და ზოგჯერ გროტესკით მიაწოდეს მაყურებელს. ვფიქრობ, რეალობაში არსებული პრობლემებით დატვირთულ, სხვადასხვა პოლიტიკური ბატალიითა თუ სოციალური სიდურნილით „დახუნძლულ“ საქართველოს მოსახლეობას ზოგჯერ (ხშირად თუ არა) საჭიროა ამგვარი, გასართობი სახის წარმოდგენებით ესაუბრო, მით უმეტეს, როდესაც ასეთ კარგ მსახიობთა ანსამბლთან ერთად ქმნი სანახაობას.

პიესასა და სპექტაკლში მოქმედება „მინისკვეშეთში“, მინისკვეშა გადასასვლელში ვითარდება. დრამატურგებმა და რეჟისორმა მეტაფორულად, სათაურშივე მიუთითეს სათქმელის არსი - XXI საუკუნე ინტერნეტ სივრცეში განშლილი „ჯოჯოხეთია“, რომელიც მთელ დედამინას მოიცავს, XXI საუკუნის მიერ მოტანილი ცხოვრების ნესი კი ყველანა ერთნაირად სასტიკი და ულმობელია. სწორედ ამ ჯოჯოხეთური ცხოვრებიდან, მინისკვეშეთიდან დაღწევას ცდილობენ სპექტაკლის პერსონაჟები. ჩაკეტილ სივრცეში მოთავსებული პერსონაჟი-მსახ-

იობები ადამიანთა სხვადასხვა ტიპაჟს განასახიერებენ. ვის არ შეხვდები აქ: პატიოსანსა და ხელმრუდს, პრინციპულსა და უპრინციპოს, ნიჭიერსა და უნიჭოს, რომანტიკოსსა და პრაგმატიკოსს, მორნმუნესა და ურნმუნოს, წმინდასა და უწმინდურს... რეჟისორმა და მხატვარმა მიშა მდინარაძემ ყველა კინოკადრში მოათავსა. სცენოგრაფია სადაა, არ არის გადატვირთული დეკორაციით და, რაც მთავარია, რეჟისორის ჩანაფიქრს ზუსტად ესადაგება. სათამაშო მოედანი კინოეკრანის და ე. წ. „ზუმის“ პრინციპით აგებული კინოკადრის ასლიციას ბადებს. ფიცარნაგზე სამი ლიუკია განთავსებული, სცენის ერთ კუთხეში მუსიკალური ინსტრუმენტები, ძერერე კუთხეში კი თეჯირი და სავარძელია მოთავსებული, ორივე მხარეს მოგრძო, უზურგო ხის ორი სკამი დგას, კინოეკრანს კრავს რამდენიმე ფენად სცენის ორივე მხარეს ჩამოშვებული გვერდები, ერთ-ერთ მათგანზე მთელ სიგრძეზე გრეტა გარბოს პორტრეტია, სხვებზე ყვავილები, მუსიკალური ინსტრუმენტები, სანოტო ნიშნები და ანგელოზებია გამოხატული. სილრმეში შეყავხარ ასევე რამდენიმე ფენად აკეცილ, თითქოს ნახევრად დაგორგოლავებულ ეკრანებს, რომლებზეც ასევე მუსიკალური ინსტრუმენტები და სანოტო ნიშნებია ჩახატული. ყველაფერ ამას კი ასრულებს სცენის სილრმეში, მთელ სიგრძეზე გადაჭიმული „ეკრანი“ - ლურჯი, ლაუვარ-

დოვანი ცა და მასზე გამოსახული ანგელოზი. რეჟისორი და მხატვარი მიგვანიშნებენ, რომ გამოსავალი ყველანაირი სიტუაციიდან, მინისქეშეთიდანაც კი არსებობს, მთავარია შენ, ადამიანმა მოინდომო...

პიესასა და სპექტაკლში ორი მთავარი პერსონაჟია: პრინციპული, პატიოსანი, იმა-ვდროულად მეოცნებე-რომანტიკოსი დირი-უორი და ასევე პატიოსანი, უფრო მეტად მეოცნებე, ყველაფრის მიუხედავად, ოპტი-მიზმით ალავსე, მთელი არსებით სასწაულის მომლოდინე, მათხვარი ქალი. დანარჩენები, მათი ცხოვრების თანმდევი პერსონაჟები არიან: შეგირდი, შვილი, ყოფილი ცოლი, ქურ-დი, პოლიციელი, ჩინოვნიკი, ყოფილი ცოლის ყეყერი ქარი, შეყვარებული — შემდგომში მექორწინე წყვილი.

ნარსულში ფეიქარ-მშრომელ ქალს, რე-ალობაში ულმობელი ცხოვრებისაგან გამა-თხოვრებულს, მზია არაბული განასახიერებს. ყმანივილობიდან მოყოლებული, გრეტა გარ-ბო - 20-იანი წლების კინოვარსკვლავი, მისი იდეალი, სათაყვანებელი ქალია. გამჭრიანი გონების მათხვორმა გრეტას იმიჯი პურის ფულის შოვნის ხერხად გამოიყენა. მზია არა-ბულმა მაკიაჟის, კოსტიუმების, მიმიკისა და პლასტიკის საშუალებით, თავისი პერსონ-აჟი მართლაც საოცრად დაამსგავსა ყველა დროის ულამაზეს ქალბატონს. რამაზ იოსე-ლიანის მაესტრო გხიბლავს უშუალობით,

თითქოს უბრალო, მარტივი, მაგრამ ჩვენს დროში დეფიციტური ადამიანური თვისებე-ბით. მსახიობმა სითბოთი, მოყვასისადმი სი-ყვარულით, მიმტევებლობით, მადლიერების გრძნობით, ახალგაზრდებისადმი კეთილ-განწყობით, ნიჭით დაჯილდოებული ახალ-გაზრდების დანახვისა და მათში ამ ნიჭის გამოვლენის უნარით აღვისილი პიროვნების სახე შექმნა. ადამიანებისგან, ცხოვრების-გან ბევრჯერ „ნაცემი“, გულნატკენი, მაინც უბოროტო რჩება. რამაზ იოსელიანი ყოვ-ელთვის გამოირჩეოდა პლასტიურობით, მა-გრამ მაინც მინდა ალვნიშნო „ანდერგროუნდ-ში“ მისი თავშეკავებული, გემოვნებით, ზომ-იერი მოძრაობებით შესრულებული ცეკვები. მზია არაბულის პლასტიკა კი ცეცხლოვანი, მგზნებარეა. მარიამ ალექსიძის დაცვენილი გემოვნებით შესრულებული სპექტაკლის ქორეოგრაფიული ნახაზი მიუზიკლის სანახ-აობით მხარეს უფრო ეფექტურს ხდის. თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი, უცხოეთში მომუშავე დიპლომატის, ვითომ სასტიკი, სინამდვილეში კი ამპარტავანი ბრიყვის პერ-სონაჟი განასახიერა პაატა ბარათაშვილმა ეკას მოქმედი ქმრის ეპიზოდურ როლში.

ახალგაზრდა შემსრულებლებიდან მინდა ალვნიშნო ვანო დუგლაძე - სიყვარულისა და მზურნველობის შედეგად, გამოსხორების გზაზე მდგარი, გულუხვი და გულკეთილი ქურდი. ნარმოსადეგი, გამომსახველობითი

## სცენა საექტაკლიდან:

### ნიკა წერადიანი -აგებლოზი



მიმიკის, უესტიკულაციისა და პლასტიკის მქონე ახალგაზრდა მსახიობი სამ სპექტაკლში მყავს ნანახი: ადიკო „გუშინდელნში“ (სოხუმის თეატრი, რეჟ. გ. კაპანაძე), სხვადასხვა პერსონაჟი „ჩიტის მოტანილ ამბავში“ (თუმანიშვილის თეატრი, ნ. ღუმბაძის მოთხოვნების მიხედვით, რეჟ. კ. მირიანაშვილი), ქურდი „ნდერგროუნდში“. სამივე წარმოდგეხაში ახალგაზრდა მსახიობმა განსხვავებული სახეები შექმნა. ზემოჩამოთვლილი მონაცემების გარდა, მას კარგი სასცენო მეტყველება აქვს, რაც ასე იმვიათია თანამეოროვე ქართულ თეატრში. ქეთი დოლიძემ კიდევ რვა ახალგაზრდა მსახიობი დაკავას სპექტაკლში. რეჟისორთან ერთად მათ მეტნაკლებად საინტერესო ტიპაჟები შექმნეს. ნიჭიერი, ორეკსტრის ყოფილი სოლისტი ახალგაზრდისთვის დამახსასიათებელი პირდაპირი, „პირში მთქმელი“, იმავდროულად სამართლიანი და პატიოსანი პერსონაჟია ბექა ჯიბუტის კლარნეტისტი. მეოცნებე, მამაზე მზრუნველი, რომანტიკული შეყვარებული, ემოციური ბუნების მქონე ადამიანის ტიპაჟია - ირინა გიუნაშვილის - მაესტროს ქალიშვილი ნიტა. ცოტათი კეთილი გულის ბრივი, მაგრამ გაქნილ, „ხარკის ამკრეფ“ პოლიციელს თამაშობს გუგა კახიანი. საყვარელი ადამიანის ლალატის გამო დატანჯული, მონანიე ქალის (მაესტროს ყოფილი ცოლის ეკა) სახე შექმნა ანა მატუაშვილმა. მხიარული, ცხოვრებისგან ჯერ კიდევ გაურყვნელ, შეყვარებულ - მექორნინე წყვილს თამაშობენ თამუნა ბურიძე და ილია ჭეიშვილი. გადაგლესილომანი, წვრილი სათვალით, თვითდაჯერებული, „მანაკი“ გაიძვერაა ზაზა ვაშაყმაძის ჩინოვნიკი. სპექტაკლის სარეჟისორო კონცეფციის მიუხედავად ყველაფრისა, სიკეთე, სინმინდე მაინც იმარჯვებს („პოროტასა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ - ს პრინციპით), - განსახიერებაა ნიკა წერედიანი, შიგნიდან გამოკერებულ თეთრ ბუმბულებიან გრძელ ლაბადაში გამოწყობილი, იუმორის გრძნობის მქონე, კეთილი აწყელოზი.

მოქმედ პირთა კოსტიუმების მხატვარია სოფო ქორიძე, რომელმაც სპექტაკლის ჩანაფიქრიდან გამომდინარე, სხვადასხვა სახის, ეპოქის გამომხატველი, პერსონაჟთათვის დამახასიათებელი სამოსი შექმნა. მაგალითად, მზია არაბულის მათხოვარი გრეტა გარბოს მიერ ნათამაშებ რამდენიმე კინოროლს აცოცხლებს სცენაზე. აქედან გამომდინარე, იგი რამდენჯერმე იცვლის კოსტიუმს.

სპექტაკლის მუსიკალური რედაქტორია რუსულან ბახტაძე. შერეული უახრის სპექტაკლში ძირითადი აქცენტი, მუსიკალური თვალსაზრისით, მოცარტის ნანარმობთა ნაწყვეტების გამოყენებაზეა გაკეთებული. მინისევეშა გადასასვლელში სამათხოვ-

როდ განლაგებული ორეკსტრი, მაესტროს დირიჟორობით, სწორედ მოცარტს ასრულებს. ღვთიური გენით დაჯილდოებული კომპოზიტორი, ალბათ, მაესტროს ყველაზე მეტად სათაყვანებელი, და, შეიძლება წარსულში (პრინციპულობის გამო საგიშეთში მოხვედრამდე) მისი წარმატების ერთგვარი ქვაუთხედი (საწინდარი) იყო. ჩართული სიმღერების ტექსტის ავტორები ინგა გარუჩავა და ჯანსულ ჩარკვიანი არიან. მუსიკალესებისთვის კი მიშა მდინარაძემ დაწერა. თითოეული პერსონაჟი თავისი არსის გამოსავლენ თითო სიმღერას ასრულებს. თუმანიშვილის თეატრის მსახიობთა უმრავლესობა კარგად მღერის, ამიტომაც ჩემთვის მოულოდნებული იყო მათ მიერ ფონოგრამაზე ჩაწერილი ნამღერის მოსმენა. მიუზიკლის ელემენტებით გაჯერებულ სპექტაკლში ცოცხალი შესრულება, ვფიქრობ, უფრო სწორი და ეფექტურიც იქნებოდა, მით უმეტეს, რომ სპექტაკლი, რეჟისორს ინტერაქტიული ფორმით აქვს გადაწყვეტილი. დასაწყისიდანვე მთელი სპექტაკლის განმავლობაში მსახიობები მაყურებელთან კონტაქტში შედიან. რეჟისორის კონცეფციით, სპექტაკლის დასაწყისშივე, პერსონაჟები მაყურებელთან კონტაქტს ამყარებენ და, მხოლოდ შემდეგ, დარბაზიდან ადიან სცენაზე (რამაზ იოსელიანის მაესტროს გარდა). წარმოდგენის მსვლელობის დროსაც, რამდენჯერმე ხდება მაყურებლის ჩართვა ქმედებაში. მაყურებლისა და პერსონაჟთა ამგვარი უშუალო კონტაქტის შემთხვევაში, მით უმეტეს ყალბად ჟღერს ფონოგრამაზე ჩაწერილი მსახიობების მოსმენა.

სანახაობითად ეფექტური ფინალი აქვს გაკეთებული ქეთი დოლიძეს (ტექნიკური რეჟისორი - სოფო დაწერია). სცენის სიღრმეში, ლურჯი ცის ფონზე, ანგელოზის გამოსახულებიან ეკრანზე გრეტა გარბოს (ერთ-ერთი ფილმიდან ნათამაშები) პორტრეტი ცოცხლდება კინოკადრების პროექციის მეშვეობით. ზემოთ ნახსენები კინოხერხის — „ზუმის“ გამოყენებით პორტრეტი ნელ-ნელა მსხვილდება, დიდდება, თითქოს მაყურებელთა დარბაზში უნდა გადმოვიდესო. სპექტაკლის ყველა მოქმედი პერსონაჟი ცენაზე აჩქარებული ნაბიჯით მიდი-მოდის. შემდეგ, პორტრეტიკინოკადრი იწყებს დაპატარავებას, ბოლოს კი წერტილად იქცევა. სცენა ბნელდება. რამდენიმე წამში თბილი, რბილი ფერებით ნათდება ლურჯი ცის ფონზე ანგელოზის გამოსახულებიანი ეკრანი. მის უკან სპექტაკლის მონაზილები არაან განლაგებული, შუაში ანგელოზი დგას თეთრი, გაშლილი ფრთებით. დასასრულს ერთი შენიშვნა მინდა გამოვთქვა. წარმოდგენის ფინალისკენ მზია არაბული იმედა არაბულთან ერთად ცეცხ-

ლოვან ჭანვოს ცეკვავს. მაყურებლისთვის ცოტათი დამაბნეველია იმედა არაბულის ასეთი უცაპარი და უცაპედი შემოყვანა სპექტაკლში. აღსაძმელად გაუგებარია, ვინ არის ეს პერსონაჟი: მათხოვარი-გრეტას საოცნებო მამაკაცი თუ მისი წარსულიდან მოსული გახსენება. გასაგებია, რომ რეჟისორმა შერეული ჟანრის წარმოდგენა კინომოწაყის პრიზციტზე ააგო, მაგრამ, ალბათ, აჯობებდა, უფრო მეტი სიცხადე შეეტანა იმედა არაბულის უცაპარ გამოჩენასა და გაქრობაში.

## „ჩიტის მოტანილი ავაზი“

თუმანიშვილის თეატრში წლის ბოლოს განხორციელებული მეორე პრემიერა, როგორც უკვე აღვნიშნე, ნოდარ დუმბაძის მოთხოვნების მიხედვით დადგმული სპექტაკლია. კოტე მირიანაშვილმა მწერლის რამდენიმე მოთხოვნიდან მისთვის საინტერესო ეპიზოდები აიღო, გადაამუშავა, ერთ საზად შეკრა და მისეული, რეჟისორული ხედვით წარუდგინა მაყურებელს. მოთხოვნების: „ჩიტი“, „დედა“, „ქალაქში მიმინოს რა უნდა“, „კორიდა“, „მზე“ და დედა-შვილის დიალოგი რომანიდან „მარადისობის კანონი“ - მიხედვით შექმნილ ინსცენირებას რეჟისორმა ერთმოქმედებიანი სევდიანი კომედია „ჩიტის მოტანილი ამბავი“ უწოდა.

სპექტაკლის სცენოგრაფია სადა და მარტივია. სცენაზე რამდენიმე თეჯირი, სკამი,



№1

ორი პატარა მრგვალი ხის მაგიდა დგას, ზედ მოთავსებული ყავის ფინჯნებით. მხატვარმა - მურმან ბალაშვილმა სარეჟისორო კონცეფციის ვიზუალური გამოხატვისთვის თანამედროვე თეატრისთვის დამახასიათებელი ვიდეოპროექციაც გამოიყენა. სწორედ ამ შირმების გადაადგილებით, მონაცვლეობით ხდება სცენიდან სცენასა თუ ეპიზოდიდან ეპიზოდზე გადასვლა. კოტე მირიანაშვილმა ნოდარ დუმბაძის მოთხოვნებიდან აღებული სხვადასხვა სიუჟეტი ერთ ამბად შეკრა. მათ გამაერთიანებელ ხაზად კი მოთხოვნა „ჩიტი“ აიღო. სპექტაკლის პერსონაჟებიც ამ სხვადასხვა მოთხოვნების გმირები არიან. ნოდარი და გვანჯი - ზემოხსენებული ნანარმოებთა გმირების კრებითი სახეებია, ბედია - „ჩიტიდან“ არის, სახელშეცვლილი ქვეივი (მოთხოვნაში აგრაფინა) - „ჩიტისა“ და „მზეს“ ტიპაჟების ნაერთია, ქალად ქცეული გულსუნდა - ფოსტის მუშაკი გერონტის პროტოტიპია „ჩიტიდან“, ცვაფია - რეჟისორის გამონაგონია, თავად ჩიტი კი - „ჩიტიდან“ და „ქალაქში მიმინოს რა უნდადან“ აღებული სახეა.

კოტე მირიანაშვილმა სპექტაკლის დასაწყისი და ფინალი, პროლოგი და ეპილოგი, ვიდეოპროექციით თეჯირზე ფოტოგამოსახულების მეშვეობით გააერთიანა. ნახევრად ჩაბნელებულ, ლურჯი განათების ფონზე, სცენაზე ორი მამაკაცი დგება ერთმანეთის პირისპირ. თეჯირზე ორ ადამიანს შორის წითელპალტოიანი პატარა ბავშვის ფოტო გამოისახება. ფოტო ბუნდოვანია, შესაძლებელია, რომ ეს „ბენვის ხიდია“, რომელზეც უფროსები ცდილობენ ბავშვის გადმოყვანას. ერთ-ერთი მსახიობი დგება ბავშვის გამოსახულების წინ. გამოსახულება თანდათან დიდდება, წითელი პალტო მის სხეულზე აირეკლება და მსახიობი ნელ-ნელა წინ მოიწევს. რეჟისორული მეტაფორა ნათელი და გასაგებია. სწორედ ამ წითელპალტოიანი ბავშვიმამაკაცის ამბავს მოგვითხოვნებენ სპექტაკლის შემქმნელები. სისხლისფერი წითელი კი გმირის ისტორიის დრამატულ დასასრულზე მიგვანიშნებს.

კოტე მირიანაშვილმა, როგორც აღვნიშნე, სპექტაკლს სევდიანი კომედია უწოდა. რეჟისორმა შეიძლება ითქვას, ზუსტად განსაზღვრა ნოდარ დუმბაძის კონკრეტულად აღებული მოთხოვნების თუ ზოგადად მწერლის ნანარმოებთა სტილისტიკა. მწერლის სითბოთი და სიყვარულით გაჯერებულ, პროზაულ და პოეტურ ნანარმოებთა კითხვისას არა აქვს მნიშვნელობა, ვისთვის არის განკუთვნილი ზრდასრულთათვის თუ ბავშვებისთვის. - ხან გელიმება, გეცინება, ახარხარდები კიდეც, ხან კი, სევდა შემოგანვება გულზე და თვალიდან ცრემლიც ნამოგცვიდება. მის



ნაწარმოებებში არსებული კომიკური პერსონაჟების თუ სიტუაციების თანმდევია სევ-დიანი, ხშირად დრამატული მოვლენები.

სარეჟისორო კონცეფციით, ორი ახალგაზრდა, შემდგომში სპექტაკლის პერსონაჟები - მწერალი ვანო და მისი მეგობარი გვანჯი - სადღაც სარდაფში წარმოდგენას ამზადებენ. კოტე მირიანაშვილი თეატრში თეატრის თამაშის ხერხს იყენებს. ვანო დუგლაძისა და სოსო ხვედალიძის პერსონაჟთა ქმედითი საზი იმგვარად არის აგებული, ახალგაზრდა მსახიობთა მიერ ოსტატურად გათამაშებული (შესრულებული), რომ სცენაზე განვითარებულ ამბავში ზღვარი რეალურსა და გამოგონილს შორის წამლილია, უფრო სწორად, რეალობა, გამონაგონი თუ მოგონება-გახსენება ერთმანეთშია გადახლაროთული. საბოლოოდ კი, რეჟისორმა და შემოქმედებითმა დასმა, პატარ-პატარა ეტიუდებისაგან დასრულებული სპექტაკლი ააგეს და ერთ მთლიანობაში შეკრეს. მაყურებელმა შესაძლოა სხვადასხვაგვარად აღიქვას ვანო დუგლაძისა და სოსო ხვედალიძის პერსონაჟთა ვინაობა. ჩემი აზრით კი, ისინი ჩვენი სამშობლოსგან ძალით მოწყვეტილი, ჩვენთვის წარმეტეული, ულამაზესი, მტკიცნეული მხარის - აფხაზეთის შვილები, აფხაზეთიდან ლტოლვილები არიან. სპექტაკლის მესამე მთავარი პერსონაჟი - ნინო ბურდულის ჩიტია, სცენაზე ვანოსა და გვანჯის ჩანაფიქრის, გათამაშებული წარმოდგენის, მთავარი მოქმედი პირი.

ეს სამი პერსონაჟი: იდეის ავტორი, მწერალი ვანო, მისი ბავშვობის მეგობარი, იდეის განმხორციელებელი, მსახიობი გვანჯი და მათი ფანტაზის ნაყოფი (თუ რეალობა) ჩიტი - თითქმის მთელი სპექტაკლის განმავლობაში სცენაზე არიან და ქმედებას წარმართავენ.

ნინო ბურდულის არტისტული ოსტატობით, პროფესიონალიზმით შესრულებულმა თითქმის უსიტყვო როლმა, ჩემში, როგორც მაყურებელსა თუ კრიტიკოსში, გამოწვეული ემოცია ერთი სიტყვით შემიძლია გამოვხატოალფროთოვანება. ხელოვნებისა თუ ხელოვანის დანიშნულებაც ხომ სწორედ ესაა, ადამიანში ემოცია გამოიწვიოს, რაც - ემოცია, შთაბეჭდილება შემდგომ ბადებს ახალიზს, განსჯას (აქედან გამოდინარე, ხელოვნება ახვითარებს აზროვნებას). თანამედროვე, პოსტმოდერნულ და დღეს უკვე პოსტ-პოსტმოდერნულ სათეატრო სივრცეში ასე მოდური, არავერბალური თეატრის, შეიძლება ითქვას, ერთერთი საუკეთესო მაგალითია ნინო ბურდულის მიერ განსახიერებული ჩიტი. სათეატრო პირობითობას, მაყურებელი მაშინ იღებს, თუ თამაშის წესს პროფესიონალები გთავაზობენ. ნინო ბურდულის სცენაზე გამოჩენისთანავე მაყურებელი ხვდება, რომ იგი განასახიერებს ჩიტს. მსახიობი სცენაზე გამოსვლისთანავე სთავაზობს მაყურებელს - მე ჩიტს ვითამაშებ, ამყვები ამ თამაში? ნინო ბურდულის როგორც მსახიობის პროფესიონალიზმი, არტისტული ნიჭი, სწორედ იმაშია, რომ იგი

თავიდანვე ითანხმებს მაყურებელს, მის მიერ შეთავაზებული თამაშის პირობაზე. პლასტიკით, მიმიკით, უსტიკულაციით, შინაგანი თუ გარეგანი ქმედებით, რიტმით, განცდით, გარდასახვით აგებს ნინო ბურდული პერსონაჟის ქმედით-ემოციურ ხაზს. ფინალისკენ იგი ხან დედა და ხან ჩიტი. ნოდარ დუმბაძის ტრაგიკულად დასრულებულ მოთხოვნაში „ჩიტი“ ბედია ჩიქვანის კარზე მოფრენილი თავშაველა თავის დაკარგულ შვილს, ბარტყეს ეძებს. რეჟისორის ჩანაფიქრით კი, ნინო ბურდულის ჩიტი დედად, ბედია ჩიქვანის გარდაცვლილ მეუღლედ, გვანჯის დედად გარდასახება. სწორედ აქ გამოიყენა კოტე მირიანაშვილმა დედა-შვილის დიალოგი რომანიდან „მარატისობის კანონი“.

პატარ-პატარა ეპიზოდ-ეტიუდებად შეკრულ სპექტაკლში, ვანოს მიერ თეჯირების გადაადგილების სამუალებით, ხან სალაბანა-ლოთთან ერთად სარდაჭმი მოთავსებულ დუქანში აღმოჩნდები (მოთხოვნილი „დედა“), ხან ზღვის ბულვარზე არსებულ ყავახანაში (მოთხოვნილი „ქალაქში მიმინოს რა უნდა“, ხან ბედიას კარ-მიდამოში (მოთხოვნილი „ჩიტი“), ხან ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში გამართულ კორიდაზე (მოთხოვნილი „კორიდა“), ხან ზღვის სანაპიროზე მღვდელთან და მილიციელთან ერთად (მოთხოვნილი „მზე“), ხან ისევ ზღვის სანაპიროზე ბედიას მეზობელ ქალბატონ ქვიქვისთან ერთად (მოთხოვნილი „მზე“ და „ჩიტი“), ხან ფოსტაში (მოთხოვნილი „ჩიტი“) და შემდგომ, ისევ ბედიას კარ-მიდამოში. რეჟისორი და მხატვარი სხვადასხვა დეტალით ქმნიან გარემოს. მაგალითად, ეპიზოდში მღვდელი და მილიციელი ზღვის სანაპიროზე, მსახიობებს ვანო დუღლაძეს და სოსო ხვედელიძეს სცენაზე ორი უზარმაზარი ლურჯი რეზინის ბურთი შემოაქვთ. ზღვაში ცურვის იმიტაციას სწორედ ამ ბურთების მეშვეობით ახორციელებენ. ძალიან საზრიანად, ეფექტურად და სახალისოდ არის გაკეთებული და შესრულებული ეს სცენა.

ჰომერულ სიცილს იწვევს მაყურებელთა დარბაზში ნანა შონიას მიერ განსახიერებული მეგრელი ქალბატონი ქვიქვი. იქნება ეს მეგაფონით ხელში, სანაპირო ზოლის მეთვალყურის თუ საკუთარი სახლის კარმიდამოში ჭკვიანური სახით „სიბრძნეების“ გადმომფრქვევი, ჭორიკანა ქალბატონის ეპიზოდი. ძალიან დამახასიათებელი, სასაცილო ფოსტის მუშავის ტიპაჟი შექმნა დარეჯან ჯოჯუამ. ზევით აღვნიშნე, რომ ნოდარ

დუმბაძესთან ეს პერსონაჟი კაცია. ვფიქრობ, რეჟისორმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც დარეჯან ჯოჯუას მიანდო ამ პერსონაჟის შექმნა. ნანა შონიას ქალბატონი ქვიქვი მოუხეშავი, სასაცილოდ კეკლუცი დარეჯან ჯოჯუას გულსუნდა და გადაპორან-ჭული, ბედიას შვილში შეყვარებული ანა ნიკოლაშვილის ლამაზმანი - დასამახსოვრებელი, ზუსტად, წარმატებულად მიგნებული და შესრულებული ქალთა ტიპაჟების ტრიო.

ვახტანგ ახალაძის ბედია კომიკური ელემენტებით გაჯერებული ტრაგიკული პიროვნების სახეა. იგი, უდროოდ დალუპული მეუღლის გარეშე, ერთადერთი შვილის გამზრდელ მამას განასახიერებს. თბილისში სასნავლებლად გაგზავნილი შვილისადმი უზომო სიყვარულით გამოწვეული მონატრება ხდება მიზეზი მისი ტრაგიკულად დაღუპვისა. ეზოში შემოფრენილი ჩიტი თავშაველა აღუძრავს მას ცრულწმენიბისთვის დამახასიათებელ აზრებს. თუმცა, რეჟისორის გადაწყვეტით, ეს ჩიტი მისი ბედისწერაა, მისი გარდაცვლილი მეტაფორაა, რომელიც ქმარს მოსალოდნელი უბედურების შესახებ აფრთხილებს.

სპექტაკლის მთავარ, წარმმართველ პერსონაჟებს (ნინო დუმბაძის ჩიტთან ერთად) - მთხოვნელს, მეგრებარს, რეჟისორს, ტორეადორს, მღვდელს, შვილს, სალახანა ლოთს, მილიციელს - ვანო დუგლაძე და სოსო ხვედელიძე განასახიერებენ. ახალგაზრდა მსახიობებმა ერთ სპექტაკლში შეძლეს სხვადასხვა ტიპაჟის შექმნა. კარგი ხმა, მეტყველება, პლასტიკა აქვთ ამ ახალგაზრდა მსახიობებს. ასაკის მიუხედავად, მათ უკვე რამდენიმე დასამახსოვრებელი სახე შექმნეს სხვადასხვა თეატრსა თუ სპექტაკლში.

ფინალამდე სცენა ძველი, გახუნებული ფოტოსურათის ექსპოზიციის სტილშია გადაწყვეტილი. აზრობრივად, საიქიოში ხედებიან ერთმანეთს ოჯახის წევრები: დედა, მამა და შვილი. ვიზუალურად, თეჯირიდან შექმნილი სახლის ფასადის ფონზე, დედ-მამა დგას(?), მათ წინ კი ემბრიონის პოზაში შვილი არის განვითარებილი. სპექტაკლის ეპილოგი პროლოგის იდენტურია და მისი აღნერით თავს აღარ შევაწყენ მკითხველს. რეჟისორი სპექტაკლს ამთავრებს იმით, რითაც დაიწყო.

დასასრულს, მინდა ვთქვა, რომ თუმანიშვილის თეატრში ორი კარგი, განსხვავებული ჟანრის სარეპერტუარო სპექტაკლი შექმნა. ორთავეს ეყოლება თავ-თავისი მაყურებელი.

## მოცოდება

### საზოგადოების

### სრულყოფისკან

#### გუბაზ მაგრალიძე

თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში რეჟისორმა ზურაბ კანდელაკმა დადგა გურამ დოჩანაშვილის მოთხოვნის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“ ინსცენირება. ეს სპექტაკლი მანჯერ კიდევ 1975 წელს, სატელევიზიო და მეტეხის თეატრებში განახორციელდა და საზოგადოებრივი აღიარებაც მოიპოვა.

სცენაზე, ფოტოგრაფ ვასიკო კეჟერაძის სალონში უჩვეულო გარემოს ვხედავთ. კედლებზე გამოფენილია ცნობილ ქართველ და უცხოელ მწერალთა პორტრეტები, ძველი ფოტოები, რომლებიც ეროვნული მენტალიტეტის გამომხატველია. ამ ფონზე, თანამედროვე ცხოვრების მაჩვენებელია ერთ კუთხეში მდგარი ველოსიპედი, მეორეში კი — ძველი ფოტოაპარატი, რომელიც თითქოსდა გაჩერებულ დროს აფიქსირებს. სურათებს შორის

გაცილებით დიდი ზომის პიკასოს დონ-კიხოტისა და სანჩო პანსას ცნობილი სურათია, რომელიც მოქმედების დასაწყისშივე ნათდება და სიმბოლურ დატვირთვას იძენს. ეს მინიშნება ნათლად ჩანს ფინალშიც, სადაც ვასილ კეჟერაძე დონ-კიხოტის ფონზე განათებული რჩება. სცენოგრაფ ლომგულ მურუსიძის ასეთი გადაწყვეტა, თავად გ. დოჩანაშვილის ნაწარმოების გადაწყვეტიდან გამომდინარეობს, სადაც ვასიკო კეჟერაძე და მისი თანაშემწერი კლიმი პარალელ აღძრავს დონ-კიხოტისა და სანჩო პანსას შორის. ეს გმირები ხომ წიგნების საშუალებით ხდებიან ის მეოცნებები, რომლებიც ადამიანებს ჰუმანურობის, სიკეთის, ზნეობის შენარჩუნებისკენ მოუწოდებენ. მათ მიზანს საზოგადოებრივი წინააღმდეგობები ხვდება, რასაც უშიშრად და ოპტიმიზმით უპირისპირდებიან.

ზურაბ ცინცქილაძის ვასიკო პირველი შემოსვლისთანავე ჩიტის გაღიას იღებს და ერთ მხარეს კიდებს, რომელსაც მზრუნველობასა და თავის გულთბილ დამოკიდებულებას არ აკლებს. გალიაში გამომწყვდებული ბულბული სიმბოლურად გამოხატავს მის უშუალო სიახლოეს ბუნებასთან, პიროვნულ კაცომყვარეობას, სულიერ სიმშვიდეს, გარშემომყოფამი გულწრფელ დამოკიდებულებას, ვინაიდან ვასიკო თანამედროვე სამყაროსთან გაუცხოებულია. თავად მსახიობი, წლების შემდეგ, ასე აფასებს ამ როლის სხვაობას: „მაშინ ვცდილობდი მაყურებლის ემოციით დაჯერებას, რასაც ახლა ცოდნასა და გამოცდილებას ვამატებ. ადრე საზოგადოება უფრო განათლებული იყო, დღევანდელს კი მეტი ინფორმაცია აქვს. გმირის სიტყვებში „ლიტერატურა მარტო წიგნის კითხვა არ არის“ ვგულისხმობ წაკითხულის ცხოვრებაში გააზრებას, რა დროსაც ულირს საციიელს ერიდები და უკადრის არა იქმ. ინფორმატიკის პერიოდში კი ეს ფასეულობები უკანა პლანზე გადადის. აქედან გამომდინარე, მაყურებელს ვეუბნები, რომ გააზრებული ცოდნა ღირსეულ პიროვნებას ბადებს, გასწავლის კარგისა და ცუდის გარჩევას, საიდანაც ადამიანი მიხვდება წიგნიერი განათლების მნიშვნელობას დღევანდელ ეპოქაში. ინფორმაციამ პიროვნებაში ინტელექტი ჩაკლა და სწორედ ეს მომენტი მინდოდა წამომერინა.“

ზურაბ ცინცქილაძის ვასიკოს დიალოგი სოციოლოგ თამაზთან ჩვეულებრივ კლიენტთან საუბრით იწყება და თანდათან დიალოგში გადადის. მას უკვირს, რომ ახალგაზრდა სპეციალისტი ლიტერატურისადმი გულგრილო-



## სცენა სპექტაკლიდან

ბასა და უვიცობას ამჟღავნებს, რის გამოც მისდამი ირონიულად განეწყობა, დასცინის მის არაინტელექტუალობას. ამიტომაც ვასიკო ირონიულად მიანიშნებს თამაზს გომბეშოს გლუვ ტვინსა და ადამიანის ფიქრს შორის სხვაობაზე. მსახიობი კარგად გადმოსცემს გმირის შინაგან სამყაროს, რომელიც ლიტერატურის საშუალებით ცდილობს თავი დააღნიოს მისთვის უფერულ რეალობას და ამ სულიერ დანაკლისს წარმოსახვითი სამყაროთი ივსებს. ამ აზრს დებს ვასიკო სიტყვებში: „მწერლის ნათქვამში ვპოულობთ საკუთარ თავს და ჩვენს აზრებს, რომელთა გამოხატვა თვითონ არ შეგვიძლია.“ ამიტომაც თამაზს წაკითხულ გმირ აურელიანოს ამსგავსებს.

მსახიობ გიორგი კაჭახიძის თამაზი თავიდანვე სოციოლოგიურ სამსახურს ზერელედ ეკიდება და მორიგ გამოკითხვაზე ფოტოატელიეში შედის. იგი თანდათან გაკვირვებას გამოხატავს ვასიკოს უცნაურ ქცევასა და პასუხებზე. მის არაორდინანურ და მოულოდნელ პასუხებს თამაზი მოთმინებიდან გამოჰყავს, მაგრამ სამსახურეობრივი მოვალეობის გამო თავს იკავებს. გ. კაჭახიძე კარგად გადმოსცემს გმირის დაბალ ინტელექტუალურ დონეს, რის გამოც მისთვის აუხსნელი რჩება, თუ რას ნიშნავს „მხატვრული ფოტოგრაფი“, ან გაუგებარია სხვადასხვა ქვეყნის მწერალ-

თა ნაწარმოებები, რომლებიც არც კი სმენია. იგი სტანდარტულ და ანკეტისთვის საჭირო კონკრეტულ პასუხებს ვერ იღებს, თანაც ვასიკოს ირონიას გრძნობს და შეურაცხყოფილია. ამის გამო ფოტოატელიედან გარბის, მაგრამ უფროსის დავალებით შენუხებული მოვალეობის მოსახლეობად იძულებით ბრუნდება.

მათი ურთიერთდამოკიდებულება მას შემდეგ იცვლება, როდესაც ზ. ცინცქილაძის გმირი ყოფილი ცოლის შესახებ სიამაყითა და სევდინი განცდით ყვება. ამ დროს უკვე თამაზი თანაგრძნობით იმსჭვალება მისი პიროვნებისადმი და უფროსის დავალებაც ავინწყდება და წუხს, რომ მასავით შესაფერისი განათლება არა აქვს. მსახიობი ახერხებს თამაზის პიროვნების გარდატეხის ჩვენებას, როდესაც ფინალში აღფრთოვანებულია ვასიკოს პიროვნებით, იწყებს მისი შეხედულებების გაზიარებას და ირონიულად ხვდება მის „ჩამოლაბორანტებას“, რადგან მან უკვე პიროვნული თვისებები შეიძინა, საკუთარი პოზიცია ჩამოაყალიბა და დამოუკიდებლად დაიწყო აზროვნება.

ვახტანგ ნოზაძის ხელმძღვანელი განსხვავებული ტიპია. ამის გამოხატულებას სცენაზე წარმოადგენს ველოსიპედი და ბოქსიორის საგარჯიშო, რაც ვასიკოს შინაგან სამყაროს უპირისპირდება თავისი ძალისმ-



## სცენა საექტაკლიდან

იერი, უაზრო ვარჯიშით და პრიმიტიული აზ-როვნებით. მსახიობი ქმნის გაუნათლებელი, ინტელექტუალური ადამიანის სახეს, რომლისთვისაც მთავარია ტრაფარეტული გამოკითხვა მოაწყოს მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოვარებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებისათვის, რითაც გრანტის მიღების მოლოდინშია. ამიტომაც დაინტერესდება თამაზის ინფორმაციით უჩვეულო რესპონდენტის აღმოჩენის შესახებ, რითაც მისთვის სასარგებლო შედეგს მოელის. მართალია, მას აღარ ახსოვს და ძლივს იხსენებს თამაზისთვის მიცემულ დავალებას, მაგრამ მაინც ინტერესით მიდის ვასიკოსთან.

ვ. ნოზაძის გმირი დარწმუნებულია საკუთარი პოზიციის მართებულობასა და მის იდეურ დამარცხებაში. თუმცა გრძნობს, რომ მისი საუბარი ვასიკოსა და კლიმს (გიორგი ჯიქურაძე) არ აინტერესებთ. ამიტომაც ეკითხება — საზოგადოებრივ ცხოვრებას როგორ მოაწყობდითო... მსახიობის გმირი (რომელსაც სახელიც კი არა აქვს) შემფოთებითა და გაკვირვებით უსმენს ვასიკოს კარცერ-ლუქსის მოწყობის გეგმას, სადაც ადამიანებს აიძულებენ წიგნის კითხვას. შემდეგ, ბრაზობს, როცა მისი უცოდინრობა მუდავნდება. იგი თავიდანვე ინტერესით უსმენს ვასიკოს,

მაგრამ ვერაფერს იგებს და თანდათან ხედავს საკუთარი თავის მხილებას. ამიტომ განრისხებული ტოვებს ფოტოატელიეს და შურს თამაზის დაქვეითებით იძებს.

ფინალურ სცენაში ზ. ცინცქილაძე ემოციურად კითხულობს გადაკტიონის შემოქმედებას, სადაც ჩანს მისი ინტელექტუალური უპირატესობა. კლიმი სიამაყით, თამაზი კი გრძნობით უსმენს, თითქოს სულიერ კათარზისს განიცდის, ხელმძღვანელს ზერელე და უემოციო დამოკიდებულება აქვს. ასეთ გარემოში კი ვასიკო დონ-კიხოტის სურათის ფონზე ზნეობივად გამარჯვებული, თავისი ოცნებებით დაკმაყოფილებული და სულიერად ამაღლებული, საკუთარ თავთან განმარტოებული რჩება.

სპექტაკლი საზოგადოებას შეახსენებს, რომ სულიერი ფასეულობების გარეშე შეუძლებელია ცხოვრება, სადაც ჩინოვნიკებს უაზრო პროექტებით არავითარი სარგებელი არ მოაქვთ და პიროვნულად მარცხდებიან ინტელექტუალურ ადამიანებთან ჭიდილში. ინტელექტუალურად ამაღლებული პიროვნება ყველა ფორმაციაში, კომუნისტურ-ტოტალიტარულ რეჟიმსა თუ დემოკრატიულ სახელმწიფოში, მუდამ თავისუფალ, ჩინოვნიკებისან დამოუკიდებელ ადამიანად დარჩება.

# „ცხენი, ცხენი, ჩემს სამეფოს ერთ ცხენში ვაძლევ!“

გიორგი ყაჯარიშვილი

უ. შექსპირის „რიჩარდ მესამე“ მისი ადრეული პიესებიდან ყველაზე სრულყოფილ ნაწარმოებად ითვლება ქრონიკებს: „ჰენრის IV“, „ჰენრის V“, „ჰენრის VI“, „რიჩარდ II“ შორის, რომელიც ავტორმა ტრაგედიის დონეზე აამაღლა. ამის მიზეზი, სავარაუდოა, ისიცაა, რომ რიჩარდ გლოსტერის ასეთი სისხლსაგვე (პირდაპირი და გადატანითა მნიშვნელობით) ცხოვრება ისტორიულად სრული სიმართლე მანიცდამაინც არაა და უ. შექსპირმა ეს პერსონაჟი ისეთი შექმნა, როგორიც მას სურდა. ამ პიესაზე გაიარა „მაკიაველისტებისა“ და „ანტიმაკიაველისტების“ იმდროინდელმა ომმაც. ამიტომაც ამ პიესის სცენაზე განსახიერება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს. ა. ვარსიმაშვილის სპექტაკლი სწორედ იმითავა მნიშვნელოვანი (განსხვავებული სხვებისგან, რომელიც ცდილობდნენ პოლიტიკური თეატრის ფორმა მატერიალისთვის), რომ რეჟისორი ცდილობს გაერკვეს რიჩარდ გლოსტერის ბედსა და ტრაგედიაში, ჩაუღრმავდეს მისი ქმედებების საფუძველს, სრულად დახატოს ამ გმირის პორტრეტი ზეასვლისას და, რაც მთავარია, დაცემის დროსაც. რასაკვირველა, და ორი აზრი არაა, რომ იგი მკვლელია, მოძალადე, პატივმოყვარე, დიქტატორი, ფლიდი, თვალთმაქცი და ფარისეველი თუმცა გონიერი, ჭკვიანი და კარგი სტრატეგი. დროთა განმავლობაში მისგან ტირანი ჩამოყალიბდება და სისხლში ჩაახრჩობს ინგლისის სამეფოს. მაგრამ საქმე ისაა, რომ პირველ მკვლელობათა შემდეგ მას აღარ ძალუს წინ აღუდეს სხვა დანარჩენს და დანაშაულებანი ერთმანეთს მისდევენ. ოიდიპოსის მსგავსად, იგი ბედისწერის მსხვერპლია, რომელმაც მას სწორედ ეს როლი არგუნა. სპექტაკლის ფინალ-

ური სცენები ცხადყოფს, რომ რიჩარდ III უდრტვინველად მიჰყვება საკუთარი დაღუპებისენ მიმავალ გზას, შეგნებული აქეს რომ განწირულია, ამიტომაც ა. ვარსიმაშვილის მიერ შემოთავაზებული ფინალი, რომ სცენაზე რიჩარდ III რიჩმონდის ხელით კი არა, უფრო მეტიც, მის გარეშე კვდება, რომელიც, როგორც პერსონაჟი, საერთოდ არაა „თავისუფალი თეატრის“ სპექტაკლში - შესანიშნავ გადაწყვეტად და სრულიად შექსპირისეულად მიმართია, ვინაიდან პრინციპში რიჩარდ III -ს რიჩმონდი კი არა კლავს (იგი მხოლოდ შემსრულებელია), არამედ დრო და ბედისწერა, იმ უბედურებათა მთელი ჯაჭვი, რაც მან დაატრიიალა.

სცენაზე უცნაური რკინის კონსტრუქციები დგას (მხატვარი მ. შველიძე), რომელსაც თავზე იორკის მზე აცხუნებს. ეს ერთდღოულად ტაუერის კარიბჭეცაა, ასანევი ხიდიც და მეფის სასახლის შესასვლელიც. უშველებელი რკინის სკივრი ხან ციხის დილეგბად იქცევა, ხან მეფის სატრაპეზოდ, ხან ეშაფოტად, ხან სათათბირო დარბაზად, ხანაც ბრძოლის ველად და ხანაც სარეცელად. ყველაფერი ორ, მაგ-თეთრ ფერებშია გადაწყვეტილი, სასცენო კოსტუმებიც (მხატვარი ნ. კობაზიძე) კი. და ბორკილები: ბევრი, იატაკზე, კარიბჭეზე, კედლებზე.

ლონდონის ქუჩებში იდილია სუფევს, მშვიდად მუსაიფობენ კარდინალი ბორჩერი (ს. ნათენაძე) და მისი მრევლი, ტირელი ალსარებას აბარებს, გამვლელებსაც არაფერი ანუხებთ. მხოლოდ ცაზე დროდადრო გარდაცვლილ მეფეთა სულები დაფართვატებენ იალქენბივით, რომელთაც სულ მალე დღევანდელი ტრაგედიის გმირთა სულებიც შეუერთდებიან. სკივრის უკან განთავსებულ უშველებელ თეთრ კედლებზე შექსპირის ქრონიკისეულ და უკვე ისტორიადეცეულ მეფეთა გვარებია და პიესის სხვა პერსონაჟთა სახელები შავად ამოტვიფრული, რომელთა გვერდით ასევე თანმიმდევრულად იმ დიდგვაროვანთა გრძელი სია დაინტერება, რომელიც ეგზომ უშლიან ხელს რიჩარდ გლოსტერს რიჩარდ მესამებისკენ მიმავალ გზაზე და რომელთა ჩამოცილების მოწმენიც შევიქმნებით. ეს დაფა იმ მენიუს გვაგონებს, ტავერნების წინ რომ გამოპერნდათ ახლადმომზადებული კერძების სახელებით და რომელიც იმის მიხედვით იცვლებოდა, რჩებოდა თუ არა სამზარეულოს ქვაბებში დასახელებული კერძები. ამ დაფაზე ერთმანეთის მიყოლებით ჩნდება სახელები ჯორჯ კლარენსი, საბედისწერო ასო „ჯ“-ზე, ედვარდ IV, ლორდი პასტინგსი, ლედი ანა, ელისაბედი... რომელებიც ასევე ერთმანეთის მიყოლებით და რიჩარდ გლოსტერის ხელშეწყობით სტოვებენ ამ ქვეყანას და მათი სახელებიც ქრება ამ კედლიდან. სცენას კუთხეში მიდგმული ის სამეფო ტახტი ავსებს, რომელიც ასე სანუკვარია რიჩარდ გლოსტერისთვის და რომელიც ავხორცულ ვნებებს ალუძრავს ლედი ანასაც კი, ენაგადმოგდებული რომ ეალერსება მისი ტყავის სახელურებს. დიახ, სწორედ ეს

სამეფო ტახტი ხდება იმ უსასრულო მკვლელობების, სისხლისღვრის და ტერორის საბაბი, რის დაკავებასაც მიუძღვნა ბრძოლა და თავის ხან-მოკლე ცხოვრება რიჩარდ გლოსტერმა.

ქუჩის ამ იდილიას თითქოსდა ქვესკნელი-დან ამომძრალი, მართლაც რომ „ჯოჯოხეთის მაშალა“ რიჩარდი (გ. ბარბაქაძე, ა. კუბლაშვილი) არღვევს, რომელმაც „ხელის ერთი მოსმით“ შეცვალა არა მარტო თავისი, საკუთარი ძმების, ძმისშვილების, რძელების და დედის ცხოვრება, არამედ მთელი ინგლისის ისტორიაც. გამოჩენისთანავე მისი გოდება საკუთარი სიმახინჯის შესახებ მასში საპედისზერო სურვილებს ბადებს:

**„სიბოროტით მაინც უნდა ვიჩინო თავი, და ჩავუმნარო სხვებს ამაო სიამოვნება“.**

კუზიანი, მახინჯი, კოჭლი, საგვარეულო წესის მიხედვით, ლოგიკურად ვერასდროს დაიკავებდა სამეფო ტახტს, თუ არა ის ძალისხმევა და ვერაგობა, რასაც რიჩარდმა მიმართა. ამ გზაზე შემდგარს მას ბევრი მსხვერპლი გადაელობება წინ. რიჩარდ გლოსტერის სასცენო ცხოვრება პირობითად სამ ეტაპად შეგვიძლია დაუყოთ და ამ სამივე ეტაპს სხვადასხვანაირად წარმოგვიჩენენ დამდგმელი რეჟისორი ა. ვარსიმაშვილი და რიჩარდის როლის შემსრულებელი მსახიობები. არა მარტო ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციით, რაც ბუნებრივია, არამედ თვით როლის განვითარების ამ სამი საფეხურის სხვადასხვაობით. პირველი ესაა მისი „ქვევიდან ამოსვლიდან“ კლარენსის მკვლელობამდე და ლედი ანაზე ჯვრისნერამდე. მეორე - მეფედ კურთხევამდე და კარიბჭის

თავზე „მოქცევამდე“ და მესამე - რიჩარდ III-დ ყოფნა სიკვდილამდე, რომელმაც მხოლოდ არასრული ორი წელი გასტანა.

რიჩარდ გლოსტერი ტყავის სამოსში გამოწყობილი, ჯოხით ხელში, კოჭლობით მისდევს თავის პირველ მსხვერპლს ლედი ანას (ქ. ლორთქიფანიძე, მ. ნადირაძე), რომელიც ჰენრი VI-ის კუბოს მიათრევს, რიჩარდ გლოსტერს (გ. ბარბაქაძე, ა. კუბლაშვილი) ლურჯი თვალები (ცივი, გამგმირავი მზერით) აენთება (დანარჩენი ყველაფერი მახინჯი აქვთ, სულიც კი) და მსხვერპლს მიაშურებს. აქ ინყება მისი თვალთმაქცობის ეტაპი, ასე ვთქვათ, გენერალური რეჟეტიცია დიდი სპექტაკლების წინ, რასაც თვითონ ყველაზე წარმატებულ „არშიყობას“ დაარქმევს. ანასთან სცენაში რიჩარდი მართლაც რომ უმაღლესი ოსტატობის მსახიობად გვევლინება, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი ყველა ხერხებით: ქესტით, სიტყვით, ქცევით თუ საჩუქრით აღწევს ქალის დაყოლებას, გაპყვეს ცოლად, მიუხედავად იმისა, რომ ანას უზომოდ სტულს იგი. ამ სცენაში ვლინდება რიჩარდის შინაგანი სიძლიერე, დასახული მიზნისაკენ სწრაფვა და მონუსხულ ანას, რომელსაც რიჩარდი უკვე საკუთარი საგვარცხლით უვარცხნის თმას, რაც მასთან სექსად ალიქმება, სხვა არა დარჩენია, რომ დათანხმდეს. ამიტომაც დავარქვით ამ ქმედებას რიჩარდის თვალთმაქცობის პირველი ეტაპი, გამოყენებული ხერხების მსგავსების გამო, რომელიც გრძელდება მაშინაც, როდესაც კლარენსთან გამომშვიდობებისას ცდილობს „ითამაშოს“, გული აუწყუბოს მას და დაარწმუნოს, რომ იგი მის მიმართ უცოდველია და



ყველაფერს იზამს, რომ დილეგიდან დაიხსნას. ძმების გამომშვიდობებისას ორივე მსახიობი გულისამარტიუპებელ სცენას ქმნიან, თუმცა ამავ-დროულად სახეზეა ის, რომ ერთი ფარისეველი და მატყუარაა (გ. ბარბაქაძე, ა. კუბლაშვილი), ხოლო მეორე (ჯ. კილაძე) — გულუბრყვილო და მიმდობი.

პიესისა და სპექტაკლის სხვა მომენტებში რიჩარდი უკვე აღარ მიმართავს ჩევეულ ხერხებს. მოგვიანებით იგი უკვე დიქტატორი, ტირანია და მხოლოდ ძალისმიერი, მზაკვრული მეთო-დებით, მაცდურობითა და ინტრიგებით აღწევს ყველაფერს, რასაც კი მოინდომებს - ეს მისი „მემორქედების“ მეორე ეტაპია. თეთრ დაფაზე ახალი სახელები ჩნდება: - ამჯერად ედვარდ IV-ს (კ. გოგიძე), ელისაბედ დედოფალის (ა. ალა-დაშვილი, მ. ჯოლოგუა) და მისი შვილების ჯერი დეგება. რიჩარდი განსაკუთრებულ სიძულვილს ავლენს დედოფალი ელისაბედისა და მისი ძმის რივერსის (შ. მირიანაშვილი), რომელიც უფრო მასხარას ჩამოგავს, ვითრე გრაფს, მიმართ და ყველაზე ამცირებს მათ, შეურაცხყოფს, როგორც დაბალი საგვარეულოს წარმომადგენ-ლებს. ასევე უხეშია დედოფალი მარგარეტის მიმართ, რომლის წყველა და ჯადოსნობა თითქ-მის ყველას აუხდება. მსახიობი (ს. ჭულუხეძე) შესანიშნავი გრიმით, ჟესტებით, მიმიკით, ხე-ლებისა და თავის კანკალითაც კი ზუსტად გად-მოსცემს დედოფალ მარგარეტის ტრაგედიას, მაგრამ კი არ მოსთქვამს და თავს აცოდებს ლიდებულებს, არამედ იბრძვის, ენინაამდეგება და, რაც მთავარია, ამავდროულად ამაყი და თავისუფალია, იმის მიუხედავად, რომ განდევ-ნილია და შინაპატიმრობაშიც კი იმყოფება.

უ. შექსპირის პიესებში ქალები არასდროს უდებდნენ ტოლს მამაკაცებს, ზოგჯერ სჯობ-ნიდნენ კიდეც - ლედი მაკბეტი, ალექაჯები, კატა-რინა და სხვ. „რიჩარდ III“-ში ამ პერსონაჟების მთელი პლეადა და თაობებია წარმოდგენილი: ლედი ანა, მარგარიტა, დედოფალი ელისაბედი, იორქას მთავარის მეუღლე (თ. კორნაძე).

ლედი ანა (ქ. ლორთქიფანიძე, მ. ნადი-რაძე) არაა კლება ამბიციური და პატივმოყვა-რეა რიჩარდის მსგავსად. წინააღმდეგ შემთხ-ვევაში როგორ შეეძლო ადამიანს, რომელსაც ასე დაუნგრიეს ცხოვრება, რიჩარდის მეუღლე გამხდარიყო, მაგრამ დედოფლობის სურვილი, სათაყვანებელი გვირგვინი თავზე, ხედება ის მაცდუნებელი, რასაც მისი სული ვერ უძლებს ან არ უძლებს. ორივე მსახიობს ესმის ლედი ანას ეს მისწრაფება. განსაკუთრებით ტრაგიკულია ბოლო სცენა რიჩარდთან - ისევ საგარცხელი, ისევ ვნება, მაგრამ ახალი უკვე საბედისნერო გაბრძოლება, აგონია და ... სიკვდილი. ელისა-ბედ დედოფლის ორივე შემსრულებლისთვის (ა. ალადაშვილი, მ. ჯოლოგუა) ყველაზე ადვილია პერსონაჟის ხასიათის გამოძერნვა. ცხადზე ცხადია: ელისაბედი დიდი ხანია ხვდება, რომ დედოფლობა დიდხანს არ უნერია, ავადმყოფი და უსუსური მეფე ედვარდ IV-ის მოახლოებული

აღსარული საშინელ მომავალს უქადის. „მდა-ბიოდა“ არამეფური წარმოშობის (ცუდვილების გვარის) დედოფლობამდე განვლილი გზა მძიმე იყო, მაგრამ ტკბილი, თუმცა ამ დედოფლობას დიდად არ აფასებს, ყველაზნარად იტანს რი-ჩარდ გლოსტერის დამცირებასაც იმ იმედით, რომ მისი შვილი ედუარდ V-ის გამეფების შემ-დეგ მშვიდად იცხოვრებს. ტრაგიკული და შეურაცხმყოფელია რიჩარდთან მისი ბოლო შეხვედრის სცენა - დამცირებული, პატივაყ-რილი, რომელსაც ვაჟიშვილები დაუხოცეს, იძულებულია რიჩარდს იმაშიც კი დაეთანხმოს, რომ ქალიშვილს მიათხვებს - უზომოა მისი ტრაგედია და ამ სცენას ორივე მსახიობი დიდი ემოციით და ვნებათალელვით ასრულებს. განსა-კუთრებით აღნიშვნის ლირსია თ. კორქაძის მიერ შესრულებული რიჩარდის დედა - ლედი სესილი ნევილი. სცენაზე გამოჩენისთანავე სახეზეა, რომ მსახიობს ზუსტად აქვს გააზრებული რე-ჟისორის მიერ დასახული ამოცანა - გვიჩვენოს ყველაზე უბედურ დედა და ბებია, რომელიც ამ ყველაფრის მოწმე და თანამონანილება. კარგად მონახული ჟესტები, გამომსახველი სამუალე-ბები, გრიმი და ვუალი ხელს უწყობს მსახიობს ზუსტად გადმოგვცეს პერსონაჟის გრძნობათა ბუნება. იგი ყველაზე ადრე ხვდება, რაც ელის ქვეყანას და მის შვილებსა და შვილიშვილებს. „მასინჯ სხეულში მახინჯი სულია“ - გრძნობს და რიჩარდის წინსვლა და მისი საქცევლი გულს უსერავს. თანაუგრძნილს ელისაბედს და მარგა-რეტს, მწარედ განიცდის კლარენსისა და ედუ-არდის სიკვდილს, ხოლო მისი ბოლო სცენა - გა-მომშვიდობება, როდესაც ლედი სესილი ნევილი ყველაზე ეტყვის რიჩარდს და საბოლოოდ დასწყველის, შესრულებულია უდიდესი მსახიო-ბური ოსტატობით, შესანიშნავი პლასტიკით და ექსპრესიით.

განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სტოვებს კლარენსის მოკვლის და ანასთან ქორწინების პარალელური მონტაჟის ხერხით დადგმული სცენები. ტირელი (დ. მერაბიშვილი) და მეორე კაცისმკვლელი ციხეში ენვევა კლარენს, რო-მელიც ვერც ხვდება, რა ელის წინ და არც სჯერა, რომ რიჩარდმა გასწირა. კლარენსი (ჯ. კილაძე) მიმიდე განიცდის იმ მოვლენებს, რო-მელიც ეპიცენტრშიც უეცრად აღმოჩნდება - უდანაშაულოდ დასჯილი საკუთარ ზმანე-ბაში - ზღვაში შესულ დასაღუპვად განნირულ გემზე ისევ რიჩარდის გადარჩენაზე ფიქრობს, არ სჯერა მისი მაცდურობის, გულწრფელად და ამით ყველაზე ტრაგიკული. მსახიობის მიერ შესრულებული სიკვდილით დასჯის სცენა ემო-ციურობითა და მაღალი მსახიობური ოსტატო-ბით გამოირჩევა.

და აქ უ. შექსპირი, ეს უდიდესი პუმანისტი, პირველად იწყებს საუბარს სინდისზე (რაც მრა-ვალჯერ აღინიშნა შექსპიროლოგების მიერ), იმ გრძნობაზე, რომლისგანც რიჩარდი ძალზე შორსაა და რითაც დაწყევლა დედოფალმა მარ-გარიტამ: „სინდისის მატლა გილრლანას მუ-

დამ ეს სული". რიჩარდისთვის კი „სინდისი! ეგ ლაპართაგან მოგონილი სიტყვაა მხოლოდ ძლიერებისა შემფერხებლად". მისგან განსხვავებით კლარენსის ერთ-ერთ მკვლელს (ლ. გურგენიძე), რომელსაც „სინდისის ნალექილა დარჩა", თავიდან ეს ძალზე აწუხებს, მაგრამ გასამრჯელოს ცდუნებით დიდი ყოყმანით ასრულებს დავალებას. „[სინდისი] ადამიანს სწორედ აგულწილებს, ალარჩებს ... ფიცს რომ აპირებდეს ის ყანყრატოში მისწვდება.. ვისაც კეთილი ცხოვრება სურს, თავის თავს უნდა მიენდოს და სინდისზედ კი ხელი აიღოს"- მოძღვრავს მას ტირელი. მევლელობის სცენა სასტიკი და ნატურალისტურ-ძალადობრივი, უდიდესი ექსპრესითა და გამომსახულობითაა შესრულებული მსახიობების (ჯ. კილაძე, დ. მერაბიშვილი, ლ. გურგენიძე) მიერ. მევლელობის შემდეგ კი მეორე მევლელის (ლ. გურგენიძე) სისხლით შეღებილი ხელების დაბანვას თან ახლავს მისი სიტყვები: „ოჳ, ნეტა ხელი დავიბანო პილატესავით და არ მომეცხოს ამ კაცისკვლის სამძიმო ბრალი"- ასევე საბედისწერო ხდება მისთვის. სულ მალე ორივეს, კლარენსისა და მევლელის სული ცაში აფარფატდება „თეთრი იალქნების" სახით.

უკანა პლაზე კი რიჩარდ გლოსტერი ანაზე საზეიმოდ იწერს ჯვარს, რომელიც მაინცდა-მაინც ბეჭინერად არ გამოიყურება, მაგრამ სა-მაგიეროდ რიჩარდი გრძნობს თავს გამარჯვე-ბულად და მთელი სპექტაკლის მიმდინარეობის დროს რიჩარდის (გ. ბარბაქაძე) ანეული თითი სწორედ რომ მიღწეული გამარჯვების სიმბო-ლოა, რასაც პირველსა და მეორე ეტაპზე ჩეირ-ად იყენებს. გ. ბარბაქაძე - რიჩარდს ეს ჩვეული ჟესტი კვლავ მხოლოდ სიკვდილის წინ გაახ-სენდება, რაც თითქოსდა მიგვანიშნებს, რომ მასზე ბეჭინერამ იმარჯვა!

სცენას სცენა ცვლის: ნადიმი ედვარდ IV-თან (კ. გოგიძე) თითქოსდა მტრადგადაკიდებულ დიდებულია შერიგება, მაგრამ ისევ მევლელო-ბა, ანგარიშსწორება და ტახტისკენ მიმავალი გზის გათავისუფლება.

უნდა ალინიშნოს, რომ მიუხედავად უმნიშვნელო დატვირთვისა, მსახიობი კ. გოგიძის მონოლოგი სტენლის წინააღმდეგ ამ სცენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია და უზადო ტექნიკით შესრულებული. თანდათანა აქტი-ური ხდება ლორდი ბეკინგემი (კ. მიქიაშვილი) ყველასგან განსხვავებული ჩატმულობით, სათვალით და თავზე ბერეტით, რომელიც თავისი მაამებლური ქცევებით სულ უფრო და უფრო უახლოვდება რიჩარდ გლოსტერს და მისი მარჯვენა ხელიც კი ხდება. ბეკინგემი - კ. მიქიაშვილი ხვდება, რომ ახლა მხოლოდ გლოსტერთან კარგი დამოკიდებულება ხდება აქტუალური და აუცილებელი, ამიტომაც ყველა ღონეს ხმარობს, რომ მისი საქმიანობა შემჩნეული იქნას და დაფასებული. მასზე დამოკიდებული, როდის დანიშნავენ მეფის კურთხევას, ან ვის გაამეფე-ბენ. კ. მიქიაშვილის ბეკინგემი თავდაჯერებული



და თამამია. იგი ამჯერად სამეფოში ყველაზე გავლენიანი ფიგურა ხდება და იმდენს ბედავს, რომ ედვარდ IV-ის სიკვდილის მერე, ხელიდან „ასცინცლავს“ რიჩარდს მის სასურველ გვირგვინს. სულ მალე მას დამსახურებად მთელს საგრაფოსაც შეპირდებიან, მაგრამ ერთი მისი ნაბორძიკება გახდება საკმარისი იმსოთვის, რომ მისი სისხლიც თეთრ კედელზე დაიღვაროს.

რიჩარდ გლოსტერი ყველაფერთან ერთად საკმარი ეჭვიანია, არავის ენდობა განსაკუთრებით მაშინ, როცა სახელმწიფოს ეხება საქმე, ამიტომაც სრულიად მოულოდნელად იმ სხდომაზე გამოჩნდება, რომელსაც ესწრებიან ბეკინგემი, სტენლი (გ. ჯიქია), ჰასტინგსი (მ. მუმლაძე), ელის ეპისკოპოსი (ს. ნათენაძე) და სხვანი, სადაც გვირგვინის კურთხევის თარიღი დგინდება (თავისთავად კანდიდატიც) და აქ იწყება რიჩარდის კიდევ ერთი ზეასვლა ეშ-მაკობით, მზაკვრობითა და მათი შესატყვისი მჭერმეტყველებით, რათა ყველა დაარწმუნოს იმაში, რომ ერთადერთი, ვასი მეფედ კურთხევაა შესაძლებელი, თვითონ რიჩარდია, მაგრამ სწორედ მეფედ კურთხევით თავდება რიჩარდ III-ის კარიერა — მისი წინსვლა და იწყება დასასრულის დასაწყისი - მესამე, ბოლო - დაცემის ეტაპი.

მთელი მეორე მოქმედების მეორე ნაწილი კი მისი სულიერი წერევის, ფსიქიკური აშლილო-

ბის, ზოგჯერ, ძალიან იშვიათად სინდისის ქენჯის, კოშმარული სიზმრების, საკუთარი ხელით მოკვდინებული ახლობლებისა თუ დიდგვაროვანთა მოწვენებებისა და აჩრდილების დროა, რასაც ძირითადად ძალაგამოცლილი რიჩარდი სცენაზე ხოვაში ატარებს, თუმცა, იმის ენერგია მაინც ჰყოფნის, რომ ლედი ანა თავიდან ჩამოიცილოს და ელისაბედი დაიყოლიოს, რომ ქალიშვილი ცოლად მიათხოვოს, თუმცა, ამას ვეღარ ელირსება. დრო უკვე მის წინააღმდეგ ტრიალებს.

მანამდე კი ჰასტინგსის ჯერიც მოსულა, რომელიც ისე გაოცებულია მოღალატედ შერაცხვით, ვერც კი იჯერებს, რომ ეს მის თავს ტრიალებს - იმ ცხვირსახოცსაც კი წაართმევენ, რომლითაც ასე გულმოდგინედ და გამუდმებით იწმენდს ხელებს, თუნდაც რივერსთან შერიგების შემდეგ ისევ ალებს ციხის კარს ბრაკენბიური (ს. მარგალიტაშვილი), მზე ისევ საშინლად აცხუნებს და კვლავ ესხმება სისხლი თეთრ კედელს. რიჩარდ გლოსტერი, ლედი ანა, ბეკინგემი და სტენლი კი ჰასტინგსის მოჭრილი თავით ხალისობენ და საკადრის ადგილს ურჩევენ, რომელიც ბოლოს ისტორიის სანაგვეში აღმოჩნდება, ისევე როგორ შემდგომ ლედი ანას და თვით რიჩარდ III ნეშტი.

„როგორ მიყვარდა ეს კაცი!“ - მოსთქამს რიჩარდ გლოსტერი და ახლა კი მეფედ კურთხევისთვის გზა სსნილი აქვს. ამ ცერემონიას რეჟისორი ისე აწყობს, რომ სულ ახლახან ჩავლილი მიტინგების ხანა გახსენდება. ზალხი (ინგლისის დროშები) ხმაურობს და სკანდირებს, რომელთაც შეძახილებით დროდადრო სტენლი და ეპისკოპოსი „ალაგზნებენ“ რიჩარდისა და ბეკინგემის დირიქტორით. ჩვენ ყოველივეს სცენის მეორე, უკანა მხრიდან ვაკირდებით, რათა კარგად დავინახოთ ტყუილების „სამზარეულო“, როგორ მზადდება რიჩარდის „დაყოლება“ და „ხალხის მიერ მეფის კურთხევა“, პრინცი ედვარდი ხომ „უკანონ სარეცელს მნოლიარემ“ ელისაბედმა შვა. და ვინ თუ არა - მხოლოდ რიჩარდ გლოსტერი იმსახურებს ინგლისის მეფობას - ის, ვისთვისაც თითქოს და „შორს არის ... მეფედ ყოფნის სურვილი“.

გ. ბარბაქაძე რიჩარდის როლის ინტერ-პრეტაციისთვის ახალ ხერხებს იორჩევს: მისი საუბრის მანერა განსხვავდება ბუნებრივისაგან, იგი შეგნებულად განელილია, სადღაც სტილიზებულიც, ხასიათდება სიტყვების და ბეგერების დამარცვლით, წამდერებით. ამას ემატება პირში ენის რაღაც უცნაური ტრიალი, რაც ხაზს უსვავს რიჩარდის კიდევ ერთ წაკლს. მსახიობი ცდილობს მაყურებელს უჩვენოს, რომ არასრულყოფილ ადამიანს განასახიერებს, ფიზიკური და სულიერი წაკლოვანებებით აღსავსეს, იგი უფრო მაცდური, უფრო ქვეშ-ქევშაა, ვიდრე ა. კუბლაშვილის რიჩარდი. სპექტაკლის დასასრულისკენ გ. ბარბაქაძის რიჩარდი თითქოსდა აგტომატურ რეჟიმშია და ისე ასრულებს მეფის მოვალეობებს. მას ბედისწერა მართავს და

მიჰყავს აღსასრულისკენ, ხოლო მისვან განსხვავებით ა. კუბლაშვილის რიჩარდს კი ისევ „თავში აქვს ავარდნილი“ საკუთარი სიძლიერე, ცდილობს ბედისწერას აუმხედრდეს, მასაც შეებრძოლის, მასზეც კი იძალადოს. მისი ყოველი მოძრაობა, უესტი ამ ბრძოლის გამომხატველია, ა. კუბლაშვილის რიჩარდს ჯერ კიდევ ამ ყველაფრის ძალა შესწევს, მისი რიჩარდი უფრო ემოციურია, ექსანსიური, ნერვიული ვნებით და დელვით აღსავსე, თამაშობს უდიდესი ენერგიით. გ. ბარბაქაძის რიჩარდი კი დანებდა საკუთარ ხვედრს, გადაიღალა და მოუთმენლად ელის დასასრულს. ორივე მსახიობმა როლის ინტერპრეტაციის განსხვავებული გზა მონახა, რაც თავისთავად მათ ინტელექტსა და ნიჭიერებაზე მეტყველებს. ასევე განსხვავდება ის „გასაღები“, რაც მათ საფუძვლად დაუდეს ამ წააზრეს. ეს ეხება არა მხოლოდ შინაარსობრივ მხარეს, არამედ გარეგნულსაც. მაგ. როგორც ვთქვით, გ. ბარბაქაძე მეტყველებით, უესტიკულაციით, გამოხედვით, გრიმასის ფორმებით ძერნავს სახეს, ხოლო ა. კუბლაშვილი-რიჩარდის ისთვის დედოფალ მარგარეტის მიერ მომზადებული საწამლაცის ფიალა ხდება ის, რაც მას თავის დანაშაულებებს ახსენებს და ის ერთადერთი ნივთია, რაც მასში სინდისის ქენჯას თუ არ იწვევს, საკუთარ სულში ჩაღრმავებას აიძულებს.

ა. კუბლაშვილის რიჩარდი უშველებელ კვაზიზმოდობის მოგვაგონებს, სხვადასხვა ჩექმით, უზადო, მაგრამ ნერვიული მეტყველებით, ოდნავ ხმაჩახლებილი და ხმამაღალი საუბრის ტონით. მის ყოველ ქმედებაში არა-ნაირი მერყეობის ნასახიც კი არ შეიმჩნევა. ეს განსაკუთრებით ვლინდება ორივე რიჩარდის უკანასკნელ მონოლოგში: „არის ვინმე აქ კაცის მკვლელი? არა ... ჰო, მე ვარ“ გ. ბარბაქაძის მიერ აქცენტი კეთდება „ჰო, მე ვარ-ზე, ხოლო ა. კუბლაშვილის მიერ „არა-ზე“. ეს თავისთავად ორი მსახიობის მიერ როლის სხვადასხვა გაგებაზე მეტყველებს - როგორც ვთქვით ზემოთ - „სინდისის თო სხვადასხვა გაგებაში. ვფიქრობ, ამიტომაც ორივე რიჩარდი სხვადასხვა გზით მიდიან აღსასრულისკენ - ერთი მორჩილად, მხოლოდ შინაგანი წინააღმდეგობებით, სულიერი სისუსტით, შიშით და სინდისის ქენჯნით „მხდალობისო, როგორ მტანჯავ, როგორ მანამებ“, მეორე - ფიზიკური წინააღმდეგობებით, მედგრად, უტიფრად და თითქოსდა სიმართლით „თითქოს ათასი ენა ებას ჩემს სიმართლეს“. და ორივე განსხვავებულადაც კვდება, ერთი (გ. ბარბაქაძე) ზურგზება დაცემული და თითი მაღლა აღუმართავს, ხოლო მეორე პირქვეა და სახეს მაღლავს.

ლოდონის ქუჩებში ისეც აცხუნებს იორკის მზე, მხოლოდ ბრაკენბიური (ს. მარგალიტაშვილი) - ციხის უფროსი, ეს „უტყვი მონა“ და ყველა საშინელებების თანამონაწილე ჩემს იმ ქეცეანაზე და მუხლმოდრეკი ტირელი, რომელიც ისევ აბარებს აღსარებას ლ. ბორჩერის.

## დიალოგი

# ნადირობა „გოდოზე“



იური მეჩითოვის ფოტო

რობერტ სტურუასაძის მიძღვნილ მანნა ანასაშვილის ფილმში — „რობერტ სტურუა, რამდენიმე ეპიზოდი რეჟისორის ცხოვრებიდან“, გაიმის კითხვა — ვინ არის იგი? და მაყურებელს თავაზობენ სწორედ იმ ეპიზოდს „გოდოს მოლოდინის“ რეპეტიციიდან, სადაც მსახიობების: აბირან ამირანაშვილის, ლევან ბერიძეაშვილის და მათ შორის მდგომი ზაზა პაპუაშვილის პერსონაჟები: პოცო, ესტრაგონი და ვლადიმირი ცდილობენ გაარევიონ, ვინ არის ეს გოდო, გოდო, რომელიც არასოდეს მოდის და, რომელსაც მარადისობაში გაიჩინილ გამხმარ ხესთან უკვე რა ხანია ელიან. ისინი ამბობენ: „ლირსეული პიროვნებაა, ჩვენი ახლო მეცნარია,... მე მას კარგად არ ვიცნობ; ჩვენ მას შორიდან ვიცნობთ... მე არც კი ვიცი, როგორ გამოიყურება...“ და ა. შ.

ამ აბსურდული, ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებების შემდეგ, კამერა აფიქსირებს კომპოზიციურად ზუსტად სუვე აგებულ კადრს, ოღონდ ზაზა პაპუაშვილის ნაცვლად მსახიობებს შორის ახლა თავად რობერტ სტურუა დასას. იგი მიმართავს რეჟისორული ჩვენების ხერხს, კარგად შეაჯანჭლარებს მათ და წარმოთქმას ეპიზოდის ფინალურ ფრაზას — „და ამიტომაც გეგონეთ გოდო, არა?!“

მეც ვფიქრობ, რომ რობერტ სტურუა თავადად გოდო. სემიულ ბეკეტის ამ სახელვანთქმული პერსონაჟის მრავალ იპოსტასტაგან, მას, ფელაზე მეტად, ალბათ, მოუხელთებელისა და ბოლომდე შეუცნობელის სტატუსი შეესაბამება. მოუხელთებელის, როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით და მე იძულებული ვარ ვინალირ გოდოზე, თუმცა, იგი პირველწყროს დარად, მუდამ ჩემთან არის.

ნახევარ საუკუნეზე მეტი წესის ურთიერთობა მაკავშირებს რობიკოსთან. მაშინაც კი, როცა ამ ურთიერთობას სისტემატიური ხსიათი არ ჰქონდა, ის არასოდეს გასულა ჩემი ინტერესების სფეროდან. ყოველთვის ვფიქრობდი სტურუას ფენომენზე და ვწერდი მის შემოქმედებაზე, მიუხედავად ამ მრავალწლიანი გამოცდილებისა, ის ჩემთვისაც რჩება მრავალუცნობიან განტოლებად, რომლის პირობა მუდმივად იცვლება. მისი ხსიათისა და ბედის-წერის შთაწვდომია რთული და საქმარისად სარისკო საქმეა, მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა ვცალ მის სამყროში შეღწევა. თქვენც გეპატიურებით ამ მოგზაურობაში, ჩემი „ნადირობა გოდოზე“ ანუ მრავალტანჯული დიალოგები რობერტ სტურუასთან, თქვენთვის მაინც იქნება უსაფრთხო.

დალი მუმლაძე  
14. 08. 12.

**დალი მუმლაძე:** ვიდრე იმას ვიტყვით, როგორ მიხვედი თეატრალურ ინსტიტუტში, რამ განაპირობა მრავალმხრივი შესაძლებლობების მქონე ყმანვილი რობერტ სტურუას არჩევანი. მოდი, იმით დავიწყოთ, როგორი იყო შენი, ასე ვთქვათ, მეორედ მოსვლა

რუსთაველის თეატრში. როგორ წახვედი და რა დაგხვედა უკან მობრუნებულს?

ბევრჯერ გითქვამს — „მე თვითონაც შემიძლია წავიდე თეატრიდან, მაგრამ მინდა გამაგდონ, არ მინდა მომკლან, როგორც ახმეტელი, მაგრამ მინდა გამაგდონ“. და აკი,

გაგაგდეს კიდეც! მიუხედავად იმისა, რომ ეს აშენა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო და არა, ვთქვათ, დასის ნება ან განწყობა, შენ დიდი დარტყმა მოგაყენეს და, სამწუხაროდ, ვერც რუსთაველის თეატრმა და ვერც ჩვენმა საზოგადოებამ ვერ გამოიჩინა ის ძალისხმევა, რომელიც რეჟისორების თეატრიდან განდევნის უკვდავი ქართული ტრადიციის რეგებერაციას შეუშლიდა ხელს. ასეთი სტრესი, ასეთი სულიერი მდგომარეობა გარკვეულ უნივერსალური აღდებს ადამიანს. იცი, ალბათ, როცა დაინტენტილობული კოსმონავტიკა, დედამიწაზე დაბრუნებულ კოსმონავტებს სიარული არ შეეძლოთ და მათ დიდხანს მკურნალობდნენ მიზიდულობასთან ხელახლა შესაგუებლად. (ცხადია, შენ დიდი და პრინციპული არჩევანის წინაშე აღმოჩნდი. წახვედი მოსკოვში, მიიღე სწორედ თეატრ „Et Cetera“-ს მიპატიუება და იქ დადგი შექსპირის „ქარიშხალი“, „შესანიშნავი სპექტაკლი, რომელშიც მიტევებისა და შეწყნარების თემას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭე. ეს მარადიული პრობლემა, მშვენივრად რომაა დამუშავებული სხვადასხვა ეპოქის ქართულ ლიტერატურაშიც, ფორმულირებულია კითხვის სახით — „შევუნდო თუ შევაკვდე შემცოდეთა?“ რას იტყვი ამის შესახებ? რა გრძნობები განსაზღვრავდნენ შენს არჩევანს? ამ კეთილშობილურ გრძნობებთან ერთად, ხომ არ იყო ეს ერთგვარი რევანში, ან, თუ გნებავს, გარკვეული შურისგება, როცა ლაშა ბულაძის პიესის „ჯარისკაცი, სიყვარული, პრეზიდენტი და დაცვის ბიჭის“ ახალი სცენური რედაქცია დაბრუნებისთანავე წარმოადგინე და კიდევ უფრო მეტად გაამზვავე ის თემები და პრობლემები, რომელთა გამოც გაგიშევს თეატრიდან და თან, შენი ტიპის ადამიანისთვის სრულიად მიუღებელი ფონიერი მოგაწერეს?

**რობერტ სტურუა:** წასვლით დავიწყოთ. მოგეხსენება, ბევრს ჰყონია, რომ მე რაღაც სპექტაკლი გავითამაშე, ეს გაგდებაც ჩემი ინსპირირებული იყო და თითქოს ველოდი კიდეც მას, მაგრამ უნდა ვალიარო, რომ რაც მოხდა, მაინც მოულოდნელი იყო ჩემთვის. მართალია, ყურადღებასარვაქცევდი მიზეზს, რომელიც მომიგონეს, არ ვრეაგირებდი არმენიფობისა თუ კიდევ რომელიმე სხვა ფობის მოწეპებაზე, თან ეს მხოლოდ სიტყვიერად იყო გაცხადებული, განთავისუფლების ბრძანების ტექსტში იგი არ ასახულა...

ხოლო რაც შეეხება შენს კითხვას, ხომ არ იყო შექსპირის „ქარიშხლის“ დადგმა შურისგება? უნდა გითხრა, რომ — არა! ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ ველაპარაკე კალიაგინს და სწორედ მაშინ ჩავითიქრეთ ეს წარმოდგენა.

**დ. მ:** რობიკო, შურისგებაზე მე ვლაპარაკობ „ჯარისკაცისა და პრეზიდენტის“ კონტექსტში. „ქარიშხალთან“ დაკავშირებით მაინ-

ტერესებს მიტევებისა და შენდობის თემა.

**რ. ს:** ჰო, ჰო, მერე უფრო გამოიკვეთა ეს პრობლემა, მაგრამ მე იგი თითქოს არ მეხებოდა. საერთოდ, როცა დგამ სპექტაკლს, ასეთ რამეებზე არ ფიქრობ. თავიდან მოდელად პავლესა და სავლეს ბიბლიური ისტორია მქონდა წარმოდგენილი. მერე სხვა თემებიც ამოტივიტივდა. აი, ახლა „მარია კალასი“ დავდგი და ყველას ჰეროინა, რომ ეს ჩემზეა, რაღაც ავტობიოგრაფიულ ალუზიებს ინვევს, ისიც გააგდეს „La Scala“-დან. მასაც ბევრირამ გადახდა თავს, მაგრამ ამაზე არ მიფიქრია თავიდან. უნდა გითხრა, რომ, როდესაც პირველად ვნახე უწყვეტი რეპეტიცია, გავოცდი, ნამდვილად არ შემნია ასეთი ჩანაფიქრო.

**დ. მ:** მაშინ ეს ქვეცნობიერიდან დაძრული იმპულსებია.

**რ. ს:** სწორი ხარ, ალბათ ასე იყო.

**დ. მ:** თან, აქეთიდევ ერთიგარემობა იქცევს საგანგებო ყურადღებას. რობერტ სტურუას თეატრის გამეოცხავი, მამხილებელი და ირონიული პათოსი ამ სპექტაკლში თითქმის არ შეინიშნება. თუმცა, ერთ სცენაში პირდაპირ გვეუბნებან, რომ ჩენ სახე არა გვაქვს. ე. ი. ინდივიდუალობისაგან განძარცვულ რაღაც მასას წარმოვადგენთ, მაგრამ მთავარი აქ ის გასაოცარი, გულისშემძვრელი თანალმობა და თანატანჯვაა, რომელსაც ძალიან მაღალი ოსტატიობით გამოხატავს კალასის როლის შემსრულებელი ლელა ალიბეგაშვილი. ასე რომ, მაყურებელიც სავსებით სამართლიანად ახდენს სცენაზე გათამაშებული მოვლენების ასოცირებას შენი სულიერი თავგადასავლის გარკვეულ ეპიზოდებთან და ეს გარემობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ამ შესანიშნავ, შენი თეატრისათვის რამდენადმე „უცხო“ სპექტაკლს.

— აი, ამ „მეორედ მოსვლასთან“ დაკავშირებით თქვი რამე, გამოტყედი.

**რ. ს:** უჲ! ახლა კიდევ ეს დაბრუნება. მე არა მაქვს მზა პასუხები.

**დ. მ:** კი, მაგრამ ასეთი პასუხები ვის აინტერესებს?!

**რ. ს:** იდეალში მე მინდოდა ასე დაბრუნება და მერე ჩემი ნებით წასვლა. ეს აზრი ჯერ კიდევ ფეთქავს ჩემში და არ ვიცი, სადამდე მიმიყვანს. არ ვიცი იმიტომ, რომ ჩემი ქცევები არ არის წინასწარ განსაზღვრული.

**დ. მ:** აბა, შენ იცი, შენ და ბატონი ბიძინა ერთად წადით!

**რ. ს:** ბიძინა არ წავა, მან თქვა: „წავალ თუ არ დაგჭირდებით“, მე წავიყითხე ეს ინტერვიუ, უცხოელებს მისცა. ცოტა ხნის წინ შევხვდი კიდევ და მეც მელაპარაკა წასვლის შესახებ. მერე მეც ვუთხარი, რომ მინდა თეატრიდან წასვლა. დიდად არ გაკვირვებია, მაგრამ მაინც შეიცხადა — ხომ არ გადაირიე, რატომი?!

**დ. მ:** ჰო და რატომ? ვფიქრობ, აშკარაა, რომ ბ-ნი ბიძინა წავა, მაგრამ ახლა ამ საკითხის განხილვას ვერ შევუდგებით. შენ ის თქვი, შენ რატომ გინდა წასვლა? მესმის, რომ, შესაძლოა, თეატრის დასთან ახალი შეხვედრა ვერ აღმოჩნდა შენი მოლოდინის სრულად გამომხატველი, ისიც ვიცი, გული გატკანეს. ზოგიერთი, მოდი, რბილად ვთქვათ, მთლად ლირსეულად ვერ მოიქცნებ. თეატრში არსებულ გაუთავებელ ინტრიგებს ახლა რა მოთვლის, მაგრამ რუსთაველის თეატრი გამონაკლისი ხომ არაა და ამ თეატრშიც ხომ არიან შენი უერთგულესი თანამოაზრები? სწორედ ისინი, ვისაც ამინდის შექმნა შეუძლიათ და ძალიან კარგად ფლობენ შენი თეატრის ენას. მე მინდა ხელახლა წასვლის განმაპირობებელ უფრო სერიოზულ მიზეზებზე ილაპარაკო.

**რ. ს:** იცი რა, ეს მითქმა-მოთქმა, ცხადია, მოქმედებს ჩემზე მეტ-ნაკლები სიმწვავით, მაგრამ მთლად გულნრფელად რომ გითხრა, მე ის ძეველი ძალა აღარა მაქს, ყოველ შემთხვევაში, მათ მოზღვავებას ვერ ვერძნობ. ახლა „Et Cetera“-ში ვამთავრებ ახალ სპექტაკლს და მერე არგენტინაში უნდა წავიდე. ჩემს თეატრში კი ისევ დავდგამ „ყვარყვარეს“, ოღონდ, მის ახალ მოდიფიკაციას. ეს პირსა პოლიკარპე კაკაბაძისავე „სამ ასულთან“ ერთად მინდა წარმოვადგინო. მეტერლინკის გავლენით დაწერილი ამ სიმბოლისტური დრამის დადგმა სტუდენტობაშიც მინდოდა. მერე, როცა დავდგი „გოდოს მოლოდინში“, ეს სურვილი კიდევ უფრო გამიმწვავდა. „სამ ასულშიც“ ხომ ისევე უცდიან ვიღაცას, როგორც ბეკეტის პიესაში. სამი ქალი ელოდება სხვადასხვა მხსნელს და მე გადავწყვიტე მოვიდნენ ეს მხსნელები, მაგრამ ყოველი მოსვლა უნდა იყოს ცრუ მესისის გამოცხადება და ეს აუცილებლად უნდა განმეორდეს, ვთქვათ, ხუთჯერ. ეს ქალები კი წელ-ნელა ბერდებიან ამ გაუთავებელ მოლოდინში. ბოლოს იღება კარი და მოხუცები შესცეკრიან მოსულს, მაგრამ ჩემს არ ვიცით, ვინ შემოვა. დაახლოებით იგივე გადაწყვეტა მქონდა სუმბათაშვილის „ლალატში“, თუ გახსოვს?

**დ. მ:** ზოგი რამ ძალიან კარგად მახსოვს. ეს სპექტაკლი წინ უძლვოდა „ყვარყვარეს“. თუ არ ვცდები, ისიც 1974 -75 წლის სეზონში დაიდგა და მასშიც საყოველთაოდ ცნობილი პიესის სრულიად ახალი ინტერპრეტაცია იყო წარმოდგენილი. ბრწყინვალე იყო კახი კავსაძე. ვფიქრობ, როგორც დიდი მსახიობი, იგი სწორედ ამ სპექტაკლში დაიბადა. ძალიან მაღალი და ძალიან გამხდარი, აბსოლუტურად შეცვლილი ხმით, ტანზე მოსხეპილი ტყავის კოსტუმითა და გრძელი, სცენის დიდი ნაწილის დამფარავი მოსასხამით გამოდიოდა. ასკეტური გარეგნობისა და შეუვალი, უპირობო ძალაუფლების მქონე სოლერმან ხანი

აქ წარმოდგენილი იყო როგორც ჭკვიანი და გამჭრიახი, მაგრამ ავადმყოფური ვნებებით შეპყრობილი დესპოტი, თავადაც მონა თავისი დიდი ხელისუფალისა. დაპყრობილი ხალხის სრული დეგრადირება, მისი სულიერი და ზნებრივი ორინტირების მოშლა და მორღვევა ჰქონდა მიზნად დასახული, მაგრამ აქ საინტერესო სწორედ ის იყო, რომ „ლალატის“ დადგმის ადრინდელი ტრადიციისაგან განსხვავებით, თქვენ გაინტერესებდათ სპექტაკლის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად ქცეული მბრძანებლის პირადი ბედი, მისი ფსიქოზიზე იური და სულიერი სამყარო, მისი გაუნელებელი ტანჯვისა და დაუმცხრალი ვნებების წარმომავლობა, რომელსაც მონობის რაობისა და მისი გამანადგურებელი შედეგების გაცნობიერებასთან მიჰყავდა მაყურებელი. ამასთან ერთად სპექტაკლი გადასხებული იყო მოლოდინის გრძნობით.

**რ. ს:** აი, აი, სწორედ ამ მოლოდინზე ვლაპარაკობ. სპექტაკლის ფინალში მაღლა აღმავალი კიბის თავზე ნიშა იყო.

**დ. მ:** მახსოვს, კიბის ნაწილი კაშკაშა, თეორი ქსოვილით ჰქონდა დრაპირებული მირიან შველიძეს.

**რ. ს:** ნიშაში დახურული ხატი ესვენა.

**დ. მ:** თითქოს ვერცხლით მოქედილი. კიბეზე გამარჯვებული უფლისწული ადიოდა.

**რ. ს:** და როცა ეს ხატი იხსნებოდა, შიგ არაფერი იყო. დაახლოებით ასეთი ჩანაფიქრი მაქს „სამ ასულშიც“. სპექტაკლზე მუშაობას, ალბათ, ნოემბრიდან დავიწყებ. სცენა თავისუფალი უნდა იყოს, დეკორაციები — დამზადებული. ერთი რეპეტიცია უკვე მქონდა. ვფიქრობ, ტექსტი არ უნდა იყოს დიდი. „ყვარყვარე“ სულ 24 გვერდზე იყო გაშლილი, მაგრამ სპექტაკლი სამსაათნახევარი მიღიოდა. ახლაც, თუ შევძელი, მსგავსი რამის გაკეთება მინდა, ოღონდ სხვა ხერხებით.

**დ. მ:** უკვე კარგა ხანია, რაც შენს სპექტაკლები არავერბალურ გამოხატულებებს მეტი თუ არა, იგივე დატვირთვა აქვთ, როგორიც ვერბალურს.

**რ. ს:** „ჯარისკაცში .... და პრეზიდენტშიც“ ლაშა ბულაძის პიესის დიდი რედაქტირება არ მომიხდენია. უბრალოდ, პირველი აქტი — ჯარისკაცის და ანგელოზის ისტორია ცოტა შევამცირე, მეორე აქტისთვის ხელი არ მიხლია. აქაც ბეკრი რამ წინასწარი ჩანაფიქრის ადეკვატური არ გამოვიდა. საერთოდ, როცა რამეს ვდგამ, წინასწარ კი ვაგებ სქემას, მაგრამ უკვე სპექტაკლზე მუშაობისას ვამჩნევ, რომ იმ ჩემს ჩანაფიქრს ვანგრევ. ახლა, ძალიან პრეტენზიულად თუ არ გამომივა, „მუზების“ კარნას მივყვები, ვიდრე რაღაც ჩანაფიქრს. ძალიან გთხოვ, მუზები ბრჭყალებში ავიღოთ.

**დ. მ:** არც შეიძლება სხვაგვარად იყოს. ჩანაფიქრის სცენაზე განუხელად შესრულე-

ბა, ალბათ, არც არასოდეს მომხდარა. მე ვერ ვიჯერებ რენე კლერის ცნობილ განცხადებას იმის შესახებ, რომ ფილმი უკვე მზადა აქვს, დარჩა მხოლოდ მისი გადაღება. ადრე, შენც ხომ წერდი ექსპლიკაციებს, მაგრამ ძალიან მალე მიხვდი, რომ შემოქმედება იმპროვიზაცია. ისე, მე რომ მკითხო, სიცოცხლეც იმპროვიზაცია და თუმცა, ყოველგვარი სიცოცხლე განუხრელ კანონებზეა აღმოცენებული, ადამიანის ცხოვრება მაინც იმპროვიზაცია, იმპროვიზაცია — განგების ნებით წარმართული. აი, შენი მოსვლაც თეატრალურ ინსტიტუტში ხომ ერთგვარი იმპროვიზაცია იყო.

**რ. ს:** კი, ასეც შეიძლება ამ გადაწყვეტილების კლასიფიცირება.

**დ. მ:** ამასთან დაკავშირებით ბევრი ვერსია არსებობს. ითვლება, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღე სპონტანურად. იმ შენი კლასელის გამო, რომელიც შემთხვევით შეგხვდა ქუჩაში და გითხრა, რომ ისიც მათემატიკურზე აბარებდა. შენ გაგაგიუჯა ამ ამბავმა და...

**რ. ს:** ჰო, ჯინაზე ვქენი, მიუხდავად იმისა, რომ უნივერსიტეტში წარსადგენი საბუთები ჯიბეში მედო.

**დ. მ:** მეც ამ ვერსიისა მჯეროდა ყველაზე მეტად... ადრე არასოდეს მომსვლია აზრად გადამემონმებინა ეს ამბავი.

**რ. ს:** კი, ასე იყო. შენ იცნობდი იმ ჩემს მეგობარს, მიშიკო ნამთალიშვილს, მაგრამ რაც მოხდა, ამას მე მაინც ბეჭისნერას უფრო მივაწერ, ვიდრე სპონტანურ გადაწყვეტილებას.

**დ. მ:** გადაწყვეტილება სპონტანური იყო, მაგრამ იგი ზემოთ წყდებოდა, ზეცაში.

**რ. ს:** საერთოდ, უნდა გითხრა, რომ თეატრი დიდად არ მაინტერესებდა, მაგრამ მერე აღმოვჩნდი თეატრში და ხომ იცი, აქ თუ შეტოპე, მერე შენი ნებით ვეღარ გამოხვალ. ეს იმას ჰგავს — ოდისეებსს კალიფსომ რომ დაავინყა ყველაფერი... და შედიხარ ამ სამყაროში ისე, რომ უკან ვეღარ ბრუნდები მაშინაც კი, როცა გაგდებენ ამ თეატრიდან.

**დ. მ:** როდესაც თეატრიდან გაგიშვეს, ხომ არ გაგახსენდა დოდო ალექსიძე და მიხეილ თუმანიშვილიც...

**რ. ს:** როგორ არა, გამახსენდა...

**დ. მ:** თეატრიდან მათ წასვლაში შენც ითამაშე გარკვეული როლი... მანანა ანასაშვილის ფილმის იმ სცენაში, სადაც რუსთაველის თეატრის ოსტატურად განათებულ, ირეალურობით შემოსილ ქვედა ფოიეში მიმოდიხარ, სადაც „ქიმერიონის“ ფერწერული კომპოზიციების მიღმა თითქოს ფანტომებად ქცეული ლანდები გამოკრთიან იმ დიდი მოღვაწეებისა, რომლებმაც განადიდეს ეს უპირველესი ქართული თეატრი და მისი განსაკუთრებული აურაც განსაზღვრეს —

შენ ამბობ: „ჩემს პედაგოგებად მე ვთვლი ბატონ მიხეილ თუმანიშვილს, იგი რომ არ ყოფილიყო, მე ვერ გავხდებოდი რეჟისორი და, რასაკვირველია, ბატონ დოდო ალექსიძეს, რომელმაც მე შემაყვარა თეატრი, როგორც თამაში, როგორც ადგილი, სადაც უნდა მივიღო უდიდესი სიამოვნება და ვიყო ბედნიერი.“ ამ ტექსტის სხვა მრავალ ქვეტექსტთან ერთად, ვფიქრობ, იქ შენი სინაულიც იკითხება ახალგაზრდული მაქსიმალიზმის გამო და მე მოხიბლული დავრჩი აღიარებით, რომელიც მონანიებად აღვიქვი. ვცდები თუ სწორია ჩემი ეს დაკვირვება. და რა როლი ითამაშეს შენმა მასწავლებლებმა არა მხოლოდ შემოქმედებით, არამედ შენს სულიერ თავგადასავალში?

**რ. ს:** მონანიება უფრო ადრე მოხდა. პირველად, დოდო ალექსიძის იუბილეზე გამოვედი თეატრალურ ინსტიტუტში და იქ ვთქვი, რომ მე და ბელა მირიანაშვილი ვაგროვებდით ხელმინერებს...

**დ. მ:** დოდოს თეატრიდან გასაშვებად?

**რ. ს:** არა, დორიან კიტიას — რუსთაველის თეატრის იმჟამინდელი დირექტორის დასარჩენად.

**დ. მ:** მაშინ ეს ერთი და იგივე იყო.

**რ. ს:** მერე, როდესაც ცოლი შევირთე, წავედით კიევში. გია ყანჩელიც ახალი დაქორწინებული იყო და ერთად ვმოგზაურობდით. მაშინ დოდო ივან ფრანკოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო და კიევის თეატრალურ ინსტიტუტშიც ასწავლიდა. მამიდაჩერები, რომელიც, შენ კარგად იცი, კიევში ცხოვრობდა, მითხრა, ხვალ „რღვევას“ გასინჯვადა და წავიდეთო. მე კატეგორიულად ვენინააღმდეგებოდი. მრცხვენოდა, თავს ვიკლავდი, ვერ მივალ — თქო, მაგრამ ჩამაცივდნენ — ჩემი ცოლი, მამიდაჩერები, გია. მერე მეც გავტყიდი და დავთანხმდი. ოღონდ, თეატრში ჩუმად შევიპარე და უკანა რიგში დავჯერები. როდესაც სპექტაკლი დამთავრდა, მითხრეს, ახლა წამოდი, მივულოცოთო. გავუძალიანდი, მაგრამ ბოლოს მაინც დამითანხმეს. შევედით. დოდომ დაინახა გია, ლულა, დუდანა, გაეხარდა, მერე მე დამინახა, გაჩერდა და მრისახანედ დამიქნია თითო, არ თქვა არაფერი, მერე — ჯანდაბას შენი თავიო და მაკოცა. აი, ეს შენდობაა ძალიან ძნელი. ძნელია წარმოიდგინო, რომ გაგაგდეს თეატრიდან და ის კაცი, ვინც მთავარი როლი ითამაშა ამ გაგდებაში, ახლა შენ წინაშე დგას და უნდა აპატიო. მაშინ, დოდოს წასვლის დროს, ბიძაჩემი — დევი სტურუა, ცეკას მდივანი იყო და დოდოს აუცილებლად ეგონებოდა, რომ „მეამბოხეებს“ შორის მე ვიყავი ყველაზე გავლენიანი ფიგურა, თუმცა ეს ასე არ იყო.

**დ. მ:** ეჭვი არ მეპარება, რომ დოდომ მართლაც შეგინდო. მე ქეონია კიდეც მასთან საუბარი ამ თემაზე. დოდოს მიტევების დიდი

ნიჭი ჰქონდა და, უნდა ვთქვა, რომ თავსაც იწონებდა ამ უნარის გამო. დოლოზე წიგნს რომ ვწერდი, კიევში ჩავედით მე და ტატა თვალჭრელიძე. იმ პერიოდში ტატას უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა წერილი, სადაც ამბობდა, რომ გაიხსნა ახალი თეატრი, მხედველობაში კი — მცირე სცენის გახსნა ჰქონდა, სადაც სწორედ შენ წარმოადგინე ერთ-ერთი პირველი სპექტაკლი. მაშინ ერთი ამბავი ატყყდა ამ წერილის გარშემო. დაპირისპირება, მოდი ასე ვთქვათ, „ტრადიციონალისტებსა“ და „რეფორმატორებს“ შორის ამკარა კონფლიქტის ხასიათს იძენდა და ტატას ეს წერილი „მეამბოხეთა“ გამოხდომად აღიქმებოდა. იყო ერთი მითქმა-მოთქმა და დოდო ალექსიძეც, რასაკვირველია, ნაწყენი იყო.

სასტუმრო შეკვეთილი გვქონდა, მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც გვაფორმებდნენ, ჩამოვიდა დელეგაცია, ჩვენ მოგვიხადეს ბოლიში და ალარ მიგვიღეს. მოვიარეთ რამდენიმე სასტუმრო და ვერსად ვერ ავიღეთ ნომერი. სხვა რა გზა მქონდა — წავედით დოდოსთან. მან, რასაკვირველია, იცოდა, რომ უნდა ჩავსულიყავი. ტატა ქვევით, ტაქსში მელოდებოდა. მე ავედი, დავრეკე ზარი და კარი გამიღო დოდომ. სად ხარ ამდენ ხანს, გელოდებოდითო!... დოდოს უკან დგანან: დეიდა თამარი, ნინო და ალიკა. მე არ შევდივარ, შემოდიო, მეუბნება, მე ვდგავარ ძალიან დაძაბული და ვამბობ: მარტო არ ვარ... შენ რა, გათხოვდი?!? მეკითხება აღტაცებული დოდო და გარეთ იწევს. მე ვამბობ: — გარეთ, ტატა თვალჭრელიძე მელოდება ტაქსიში. დოდო უკანმოუხედავად გავარდა, მანქანიდან გადმოიყვანა ტატა, ჩაეხუტა, მოეფერა და მერე სამი დღე მასთან ვცხოვრობდით, სახლიდან არ გვიშვებდა, თუმცა, სასტუმროში მაშინვე მოგვარეო. ასე რომ, მას პატივების დიდი უნარი ჰქონდა.

ახლა, რაც შეეხება მიშა თუმანიშვილს?

**რ. ს:** მე რომ მკითხო, მიშას გაგდება უფრო მსახიობების ბრალი იყო. მისმა „შვიდკაცამ“ ვერ დაიცვა. რა მიზეზით გააგდეს, კარგად არ მახსოვს,

**დ. მ:** რობიკო, რას ამბობ, რა არ გახსოვს!!?

**რ. ს:** ჴო, არ მახსოვს, მაგრამ კარგად მახსოვს მისი წერილი, რომელიც გამომიგზავნა წასვლის შემდეგ და ახლა ვხვდები, რა ფიდი დარტყმა მივაყენე იმით, რომ მასთან ერთად არ დავტოვე ის თეატრი, სადაც, არსებითად, მისი წყალობით მოვხვდი. წერილში მიშა მეკითხებოდა, რატომ დგამ ანუის „მედეას“? მართალი გითხრა, სერიოზულად ვერ ალვიქვი ეს წერილი. არ მესმოდა, რატომ არ უნდა დამედგა „მედეას“? ეს ხომ არ იყო „ანტიგონე“, რომელიც მან ბრწყინვალე სპექტაკლად აქცია. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ არ იყო „მედეას“ ავტორი? ახლა, როცა მეც გამიშვეს

და იმ ამბების მსგავსი მოვლენები დატრიალდა ჩვენს თეატრში, უცებ ამომიტივტივდა მესიერებიდან ეს ისტორია და მივხვდი, რომ ბ-მა მიშამ მაშინ ვერ დამისვა ის კითხვა, რომელიც აწვალებდა. მას აინტერესებდა, რატომ დავრჩი თეატრში! ბატონი მიმა წავიდა, მაგრამ საბოლოოდ გამოვიდა, რომ ეს კარგი იყო, მან გახსნა ძალიან კარგი ახალი თეატრი, რომელიც ახლა მის სახელს ატარებს სავსებით დამსახურებულად.

**დ. მ:** ეს ასე ხდება ხოლმე.

**რ. ს:** აი, რეზო გაბრიაძის შემთხვევაშიც ასე მოხდა. გაბრიაძემ დაწერა „ხანუმას“ გაგრძელება, ერთად გავაკეთეთ პიესა, რომელზეც მაშინდელი რუსთაველის თეატრის დიორექტორმა აკაკი ბაქრაძემ კატეგორიულად განაცხადა, არავითარ შემთხვევაში არ დაგადგმევინებთო. რეზომ, რასაკვირველია, მე დამაბრალა ყველაფერი და გაბრაზებულმა ცხელ გულზე გახსნა მარიონეტების თეატრი. შესანიშნავი რამ მივიღეთ. ასე რომ, ზოგჯერ, მგონი, შექსპირი ამბობს, სიკეთე დალატსაც მოაქვსო.

**დ. მ:** რა როლი ითამაშეს შენმა მასწავლებლებმა არა მხოლოდ შენს შემოქმედებით ბიოგრაფიაში?

**რ. ს:** მე ვიტყოდი, რომ ბატონმა მიშამ ითამაშეს განსაკუთრებული როლი. გარკვეული დისციპლინარული პრინციპები ყველას ძვალ-რბილში გვქონდა გამჯდარი. წანავლა ახალი დაწყებული იყო, მაგრამ პატარა „აჯანყება“ მაინც მოვაწყეთ. მაშინ ილია თავაძე იყო ჩვენი რექტორი და მთელი ჯგუფი მივედით მასთან, სულ 5 კაცი ვიყავით და ვუთხარით, რომ თუ ჩვენთან არ მოიყვანოთ თუმანიშვილს, ჩვენ წავალთ და არ გამოვცხადდებით ლექციებზე. მაშინ საბჭოთა კავშირში ვიყავით და ილია ცოტა შეშინდა, თანაც იცოდა, რომ ჩვენ მართლები ვიყავით...

**დ. მ:** ვინ იყო თქვენი პედაგოგი?

**რ. ს:** რეჟისისურაში — კაკო დვალიშვილი, საშა მიქელაძე და ლილი იოსელიანი მსახიობის ოსტატობას გვასწავლიდა, მერე როცა მიშა მოვიდა, ლილი შეცვალა დოდომ.

**დ. მ:** კი, მაგრამ, როცა თქვენ მიხეილ თუმანიშვილი მოითხოვეთ, მაშინ ვინ იყო თქვენი პედაგოგი რეჟისისურაში?

**რ. ს:** ვერაფრით ვერ გავარკვიეთ, ხან ერთი შემოდიოდა, ხან — მეორე. ვერ ვიგებდით რა არის ეს ხელობა.. მიშა თუმანიშვილი რომ მოვიდა, ნოემბერი იყო, ძალიან კარგად მახსოვს, სპორტდაბაზში გვქონდა პირველი ლექცია და პირველივე ლექციაზე მივხვდი, ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა მაშინ, თუ რა არის რეჟისორი, საერთოდ რას ნიშნავს რეჟისორობა. შეიძლება ახლა ცოტას ვაჭარბებ, მაგრამ ძალიან ბევრი რამ გასაგები გახდა ჩემთვის და, ასე ვთქვათ, „გონებაც

გამინათდა". მან გვასწავლა ყველაფერი ხელობის შესახებ. ის, რაც მერე ვისწავლე, გამოცდილების შედეგია.

ბატონი მიშა იყო ტოვსტონოგოვის მონაცე. ჩემის აზრით, ტოვსტონოგოვი და, „აღბათ, მარია კნებელი იყვნენ სტანისლავსკის სისტემის ყველაზე კარგი მცოდნები. თან, მისი მოღვაწეობის იმ ბოლო პერიოდის მომსაწრენი, როდესაც სტანისლავსკი ამუშავებდა „ფიზიური ქმედების მეთოდს“. ისინი, აი, იმ მეთოდს ფლობდნენ ბრწყინვალე და, ვფიქრობ, რომ მათ გაალრმავეს კიდეც ეს მეთოდი. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ბ-ნმა მიშამ უშუალოდ ტოვსტონოგოვისაგან ისწავლა ის, რაც მერე ჩვენც გვასწავლა. კლასიკური რეჟისურის გაკვეთილები მოგვცა და საკმაოდ მკაცრად გვთხოვდა გარკვეული ნორმების დაცვას მაშინაც კი, როცა უკვე დამოუკიდებლად ვდგამდით სპექტაკლებს. ბატონ მიშასთან რომ დავჭიდით სახლში, ვხედავდით, თაროვებზე იდო უზარმაზარი ტომები, აკინძული მისი ექსპლიკაციებისაგან. მოგეხსენება, პირველი ნაწილი ეთმობოდა ლიტერატურულ ანალიზს, ეპოქას, როდის იყო ეს პიესა დაწერილი, მეორე ნაწილი უკვე იდეურ გადაწყვეტას ეხებოდა, იმის გარკვევას, თუ რა ჩანაფიქრი აქვს რეჟისორს და ესეც ძალიან მკაფიოდ იწერებოდა. მერე იწყებოდა თვით პიესის განხილვა, მისი დაყოფა იმ დიდ მონაკვეთებად, რასაც რეჟისორული ნაკვეთი ჰქვია. მერე, პატარა ნაკვეთებად დანაწევრება, რომლებსაც ბატონი მიშა მსახიობთა ნაკვეთს ეძახდა და აი, ასე, ყველი სცენა უნდა აღგვეწერა, განგვესაზღვრა მსახიობების ამოცანები, ზეამოცანა, ქვეტექსტი და ა. შ. ჩვენც ასე ვწერდით. როგორც ყველა სტუდენტს სჩვევია, ზოგი ცოტას წაიხალტურებდა, მაგრამ მაინც უნდა მიგვეტანა ეს ექსპლიკაცია და უნდა ვთქვა, რომ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ტრენინგი იყო, მაგრამ მერე მე უკვე აღარ მომწოდა ამ ექსპლიკაციების წერა და როცა დავდგი ერთი სპექტაკლი ისე, რომ არაფერი დამიწერია, ბატონ მიშას გამოვუწყდი. მან, სხვათა შორის, ძმაკაცურად მითხრა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაწერილი თუ არა გაქვს, არ იცი რას აკეთებო. მერე მანაც აღიარა — რასაც ვწერ სახლში, რეპეტიციაზე თითქმის ყოველთვის ვცვლი მას იმიტომ, რომ იქ, რეპეტიციაზე იწყებაო რეჟისორის ნამდვილი ხელოვნება. თუ სახლში მოიფიქრე ყველაფერი, მერე მოხვედი და მიზანსცენები მხოლოდ წინასწარი ჩანაფიქრით ააგე, მსახიობს მიეცი მითითება — აქეთ გადადი, იქით გადადი, ეს ასე თქვე, ისე თქვი... ეს არასოდეს ასე არ გამოდის, იმიტომ, რომ ჩვენი ადგილი არის იქ, სადაც მუზები მოფრინდებიან, ეს ადგილი კი რეპეტიციაა. დასრულებული სპექტაკლი უკვე

ჩვენი აღარ არის — რეჟისორების, ის უკვე მსახიობების ქმნილებაა და რეჟისორს, პრაქტიკულად ისლა შეუძლია მიხედოს სპექტაკლს, რათა ის არ დაინგრეს დროზე ადრე. და კიდევ რაც ვისწავლეთ, ეს არის ის, რომ ყოველ სპექტაკლს უნდა ჰქონდეს დასრულებული მხატვრული სახე. ეს ახლა ცოტა უხეშად ჟღერს, მაგრამ რაღაცას ყოველთვის უნდა შეადარო, როგორც ლიტერატურაში, პოეზიაში, აქაც უნდა იყოს რაღაც მეტაფორა, სიმბოლო თუ კიდევ ბევრი სხვა რამ, რომელიც უხილავად უნდა არსებობდეს სპექტაკლში. ახლა გამახსენდა, ერთხელ, ერთმა ჩვენმა სტუდენტმა ჩეხოვის მოთხოვობის ინსცენირება მოიტანა. თემა იყო ქალების როლი პოლიტიკაში და ამის გამო იქ, პადუგებს რომ ეძახიან, ზემოთ, ჩამოკიდა ქალის კაბები. ბატონი მიშა ეკითხება — ეს რა არისო?, ჩვენც არ მოგვეწონა, მაგრამ ვერ ვხსნიდით, რატომ არ მოგვწონდა. თავად იმ სტუდენტს მოსწონდა, მაგრამ აშკარა იყო მხატვრული სახის პრიმიტიულობა. პირიქით უნდა ყოფილიყო სულ სხვა რამ, კონტრასტული იმისა, რაც თავად სიუჟეტში იღო.

ბ-მა მიშამ არა მხოლოდ სტანისლავსკის სისტემაში გაგვარკვეთა, არამედ ბრეხტის ეპიკური თეატრის შესახებაც ბევრი რამ გვითხრა. გახსოვს ალბათ, მან მოსკოვში, ეფროსის მიპატიუებით დადგა ბრეხტის პიესა „კაცი კაცია“.

**დ. მ:** როგორ არა, სპექტაკლი ლენინური კომეკვშირის თეატრის სცენაზე დაიდგა. ეფროსი მაშინ ამ თეატრის ხელმძღვანელი იყო და მთელი თეატრალური საზოგადოების აზრთა მპყრობელი. მაშინ მოსკოვში ვსწავლობდი და ბ-ნი მიშას რამდენიმე რეპეტიციას დავესწარი კიდეც. მას შესცეროდნენ როგორც მეტრს, რომელსაც ახალი სამყარო უნდა გადაეხსნა მათვის. გელი გეის ბრწყინვალე მსახიობი — ლევ დუროვი თამაშობდა. თვით ის ფაქტი, რომ გარდასახვის თეატრის აპოლოგეტი ანატოლი ეფროსი, ბრეხტის პიესის დასადგმელად სახელდობრ მიხეილ თუმანიშვილს იწვევდა, რეჟისორს, რომელიც იმავე პრინციპებს აღიარებდა, რასაც თვით ეფროსი, ძალიან საინტერესოს ხდიდა ამ არჩევანს. თან, ბრეხტი უკვე საბჭოთა სცენასაც იპყრობდა, უკვე დადგმული იყო იური ლუბიმოვის ცნობილი სპექტაკლი „კეთილი ადამიანი სეჩუანიდან“, რომელმაც სრულიად ახალი პერსეპტივები მონიშნა თანამედროვე რუსული თეატრის წინაშე და აიძულა იგი გაეხსნებინა კარგად დავიწყებული ახლო წარსული, მაიაკოვსკის, მეერხოლდის, ეზეზნშტეკინის და სხვათა და სხვათა გამოცდილების აქტუალიზება მოხედინა.

თუმანიშვილის სპექტაკლისათვის პიესის სათაური თარგმნეს როგორც „Что тут солдат,

ЧТО ЭТОТ.“

**რ. ს:** მაგრამ ორიგინალში პიესას ჰქვია „კაცი კაცია“ - „ადამიანი — ადამიანი“. იმ დროს ჩვენ უკვე აღარ ყიყავით სტუდენტები, მაგრამ, რა თქმა უნდა, წავედით პრემიერაზე და სპექტაკლმა ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. ბატონმა მიშამ დიდი ნაბიჯი გადადგა ბრეხტის ეპიკური თეატრის ათვისებაში და როდესაც ჩამოვიდა, ბევრი რამ აგვისტა, გაგვაგებინა ბრეხტის თეორიის ძირითადი არსი. ახლაც მონია, რომ ბრეხტი ძალიან ეშმაკი კაცი იყო.

**დ. მ:** მისტიფიკატორი!

**რ. ს:** პო, მისტიფიკატორი და ე. წ. რენესანსული „хитрец“, რომ დაეცვა თავისი თეორია, რომელიც პრინციპულად ენინაალმდეგებოდა სტანისლავსკას სისტემას, მან დაწერა გერმანული ფილოსოფიის სტილში, ოლონდ ოდნავ პაროდირებული, ისეთი რთული კრიტიკული ნანარმოებები, იქიდან მწყობრი, განსაკუთრებით კი პრაქტიკაში გამოსაყენებელი აზრის გამოტანა ძალიან ძნელია. ის ეცადა დაემკვიდრებინა ისეთი თეატრალური პრინციპები, რომელსაც მაყურებელი და ბევრი კრიტიკოსი ახლაც კი არ თვლის სერიოზული თეატრის საფუძვლად.

**დ. მ:** კი, მაგრამ ბევრზე ბევრი კრიტიკოსი თუ თეატროლოგი მას სრულიად სამართლიანად მიჩნევს იმ პრაქტიკოს თეორეტიკოსად, რომელმაც დიდი ზეგავლენა იქონია XX საუკუნის II ნახევრის თეატრალურ კულტურაზე. მათ შორის შენს შემოქმედებაზეც, თუმცა, მის მიერ შემუშავებული კანონები სუფთა სახით შენ არსად გამოგიყენებია. ოლონდ, ამაზე, მოდი, ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ.

**რ. ს:** იცი რა, გარდასახვის თეატრთან შედარებით ე. წ. წარმოდგენის თეატრს მაინც ყველა ოდნავ ზერელედ უყურებს. ეს არ არის სერიოზული. მხოლოდ წარმოდგენის თეატრის თეორიაზე აგებულ სპექტაკლში არ შეიძლება გამოხატო დიდი აზრები, ჭეშმარიტად დიდი ვნებები და ბატონმა მიშამაც ეს თქვა.

**დ. მ:** ბ-ნი მიშას სპექტაკლი სწორედ იმით იყო საინტერესო, რომ იქ ამ ორი მიმართულების შერიგების წარმატებული ცდა იყო განხორციელებული.

**რ. ს:** სიყმანვილეში მეც მინდოდა დამედგა „ლუკულუსის განაჩენი“. არის ასეთი ლიბრეტო. რამდენიმე ესკიზი დავხატე კიდეც. რეალისტური დეკორაციის ესკიზებია იმიტომ, რომ სტანისლავსკის სისტემაზე დაყრდნობით მინდოდა სპექტაკლის აგება. მერე მივცვდი, რომ ასე არაფერი გამოვიდოდა, ისევე, როგორც სტანისლავსკი მიხვდა მარცხის მიზეზს, როდესაც „იულიუს კეისარი“ დადგა. ეს იყო შექსპირის პირველი წარმოდგენა სამხატვრო თეატრში. მონაწილეები გაემგზავრნენ რომში, კარგად შეისწავლეს ისტორია, დეტალები.

სპექტაკლის დეკორაციები წარმოადგენდნენ კაპიტოლიუმს, რომის ქუჩებს, შესანიშნავი მსახიობები თამაშობდნენ, ოლონდ, არსად იგრძნობოდა შექსპირის სული.

**დ. მ:** მხატველები მაშინ ჯერ კიდევ ძალზედ გატაცებული იყვნენ ნატურალიზმით, ცხოვრებას მიმსგავსებული თეატრის შექმნის იდეით და, როგორც იცი, დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს, მაგალითად, გორკის და ჩეხოვის პიესების დადგმით, მაგრამ იმას, რასაც იტანდა მათი დრამატურგია, ვერ აიტანა შექსპირის ტრაგედიამ.

**რ. ს:** ერთი კარგი ამბავი გამახსენდა, უნდა მოვყვე, ძალიან მომწონს! რომელილაც ცნობილი შექსპიროლოგი კითხულობდა ლექციას შექსპირის ესთეტიკაზე. ამ დროს ერთმა რეჟისორმა ჰკითხა — სად ხდება ის მოქმედება, როცა ოტელო და დეზდემონა კვიპროსზე ხვდებიან ერთმანეთს; ეს დარბაზია, ტერასა, უბრალოდ ოთახი თუ საძინებელიო? შექსპიროლოგმა დიდხანს ილაპარაკა, მაგრამ რეჟისორი არ დააკმაყოფილა მისმა განმარტებებმა და ბოლოს, ნერვებაშლილმა მკვლევარმა თქვა: „მეგობრებო, შექსპირის პიესების მოქმედების ადგილი თეატრიაო!“

„გლობუსში“ ვიყავი, საშინელი სპექტაკლი ვნახე — „ზაფხულის ღამის სიზმარი“, ინგლისელების დადგმული, მაგრამ კიდევ ერთხელ დავრჩნებული იმ შექსპიროლოგის მოსაზრების საფუძვლიანობაში. მივხვდი, რომ იქ სრულიად გამორიცხული იყო რაიმე ილუზიის წარმოქმნა. ისინი ხომ დღის სინათლეზე თამაშობდნენ, ყოველგვარი განათების გარეშევარიანტი არ არის, სიბენელეში სცენა ისე გაენათებიათ, რომ მაყურებელს მსახიობი დავნახა. ამიტომ, ნამდვილობის ილუზია აბსოლუტურად გამორიცხული იყო. დეკორაციები არ არსებობდა. გამოჰქონდათ წარწერები, დავუშვათ — „ტყე“ ან „სასახლე“ და მაყურებელი, უბრალო ლონდონელი მაყურებელი ყველაფერს ხვდებოდა, იგი იღებდა ამ პირობითობას, ეთანხმებოდა თამაშის ამ წესს. მე მგონია, რომ ინგლისელები, აი ისე, როგორც ქართველები, ვერ იტანენ ყოფით თეატრს; ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენება. მე, მაგალითად, არ შემიძლია ვუყურო სპექტაკლს, რომელსაც ცხოვრება ერთი-ერთზე გადააქვს სცენაზე. ამიტომ, თუ თეატრში მივდივარ, მირჩევნია ვნახო უჩვეულო რამ.

— შენ ადრეც მეტოხე, რატომ ავირჩიე თეატრი? როდესაც ასაკში შევედი იმაზეც დავინცყე ფიქრი, თუ რა უცნაურად არის მონებილი ადამიანის ცხოვრება. 17-18 წლის ყმანვილმა უნდა აირჩიოს პროფესია, რომელიც მთელ მის მომავალს განსაზღვრავს. ვფიქრობ, ამ დროს განსაკუთრებით აქტიურება ახალგაზრდის გონება და მისი არჩევანი ხშირად ნაღდია ხოლმე, თუმცა, ჩვენ ისიც

გვინახავს, ადამიანმა აირჩია ისეთი ხელობა, საშინელი დაღი რომ დაასვა მის ცხოვრებას და წელშიც ველარ გაიმართა მას მერე. ახლა სულ უფრო ხშირად ვფიქრობ, რომც არ შემხვედროდა ის ჩემი მეგობარი მიშიკო, მე მაინც მარცხნივ წავიდოდ, თეატრალური ინსტიტუტისაკენ. არა ვარ ახლა დარწმუნებული, რომ მართლა უნივერსიტეტში მივდიოდი.

**დ. მ:** შემ მაშინ ძალიან გატაცებული იყავი კინოთი.

**რ. ს:** კი, ფრანგული კინოს „ახალი ტალღის“ ფილმები რომ გამოჩნდა, ვგიუდებოდი ისე მომზნება. შეპყრობილი ვიყავი ამ კინოენის სიახლით და იმ პრობლემების სიმწვავით, რომელსაც ისინი გამოხატავდნენ. მაშინ ვფიქრობდი, რომ სწორედ კინო იყო ჩემი საქმე, მოსკოვშიც მინდოდა სასწავლებლად წასვლა, მაგრამ ეს არ გამოვიდა. მშობლები მეუბნებოდნენ, ჯერ ძალიან პატარა ხარო. თეატრალურ ინსტიტუტში შესვლაც, ალბათ, მეტწილად ჩემი ამ გატაცებითაც იყო განპირობებული, თუმცა, არავითარი გამოცდილება არ მქონდა ამ სფეროში.

**დ. მ:** თეატრის სფეროში ხომ გქონდა რაღაც გამოცდილება. მოყვევი ამის შესახებ. ისიც გაიხსენე „რევიზორს“ როგორ დგამდით. მამამ როგორ მოგიტანა სპექტაკლის მაკეტი.

30. 08. 12.

**რ. ს:** მამაჩემს, როგორც სამხატვრო აკადემიის სტუდენტს, პრაქტიკა ჰქონდა რუსთაველის თეატრში და ერთხელ მინ მოიტანა მაკეტი. მახსოვს ერთი ციცქანა საწერი მაგიდა. მე მგონი, სპექტაკლი ლენინზე იყო — მაგიდის ლამფას მწვანე აბაური ჰქონდა, როგორც ლენინზე შექმნილი პიესების უმრავლესობაში. გავგიუდი, ისე მომენტია ეს ერთი ბერნ მაგიდა, ლამფა და აბაური. ლამფა რომ აინთო ამან მთლად გადამრია. არ ვშორდებოდი ამ მაკეტს, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მამაჩემის მოტანილი ის მაკეტი არ იყო თეატრით ჩემი „მოჯადოების“ პირველი აქტი. მანამდე მას ერთი ახალგაზრდის ესკიზი მოუტანეს სანახავად. ეტყობა, აკადემიაში პაიორებდა ჩაბარებას და მის მშობლებს აინტერესებდათ, ღირდა თუ არა ამ ნაბიჯის გადადგმა. ტილოზე იყო დაახატული ტყე. არ იყო დიდი მასშტაბის — 4 ან 3, როგორც ახლა ვამბობთ... ამ დროს მე და ჩემი და ლენიკო ვთამაშობდით. თოჯინების თეატრი გვქონდა და ეს ნახატი დავდგი სცენის უკან. დაახლოებით 8-9 წლის ვიყავი, შეიძლება უფრო პატარაც და აი, ამ ტყემ უცეც შეცვალა ყველაფერი. მე მოხიბლული ვიყავი, ჩემი და ლენიკო კი ტიროდა, არ უნდოდა ამ სპექტაკლის ნახვა, მე და ჩემი ბიძაშვილი ვანიკო არ ვუშვებდით, ძალით ვაყურებინებდით. ეს იყო, ასე ვთქვათ, პირველი შეხება თეატრთან, როცა მე თვითონ რაღაცას ვაკეთებდი. მერე

ელიჩე ახვლედიანმა გადაწყვიტა დაგვედგა „რევიზორი“. მას რიხტერმა თავისი ცოლის ძმისშვილი გამოუგზავნა გამოსასწორებლად, ვითომ ის ცუდ წრეში მოხვდა... და ძალიან ლელავდნენ. ეს იყო მიტია დორლეაკა, მერე ის ცნობილი მსახიობი გახდა. ჩვენ მერვე კლასში ვიყავით, მიტია კი უკვე საკმაოდ გამოცდილი ყმანვილი იყო, ცოტას სვამდა კიდეც და ყოყლოჩინობდა. ელიჩე მიტია დააკავა ხლესტაკოვის როლში, სხვათა შორის ჰეგვადა ძალიან, ელიჩე უნდოდა მიტიას დიდი როლი ჰქონდა და სახლიდან ხშირად არ გასულიყო, ტექსტი კარგად ესწავლა და ა. შ. ქალების როლზე ავიყვანეთ იქვე, ეზოს მაცხოვრებლები: ჩემი მეგობარი გოგონა ია სიმშიაშვილი და ინგა კობალაძე, იუსუფ კობალაძის ქალიშვილი, რომელსაც შრდიდნენ გუგული ყიფიანი და მისი მეუღლე ლატუშა. შეყვარებული ვიყავი ინგაში, ძალიან ლამაზი იყო. მერე ის ჩემს ცოლთან ერთად სწავლობდა უცხო ენათა ინსტიტუტში, გადასარევი ქალი იყო, ძალიან ლამაზი. ჰოდა, ის თამაშობდა მარია ანტონოვნას, ია თამაშობდა ჩემს ცოლს, მე გოროგნიჩი ვიყავი. პირველი აქტი რაღაცნარიად მაგიდასთან დავამუშავეთ. ელიჩე მერე მიხვდა, რომ ეს ნამეტანი ფანტასტიკური პროექტი იყო. ხუთი აქტი, პერსონაჟების უზარმაზარი რაოდენობა... თანაც ბავშვები ვთამაშობდით... ამასობაში მოახლოვდა ოლიმპიადების ჩატარების დრო. მაშინ ოლიმპიადა ტარდებოდა სკოლებში და ელიჩე გადაწყვიტა დაგვედგა მარშაკის „მისტერ ტვისტერი“. აქ მიტიას უკვე როლი აღარ ეყო და ზანგი ათამაშეს, მე ვიყავი ავტორი, ის ჩემი მეგობარი მიშიკო ნამთალიშვილი მისტერ ტვისტერი, ცოლს და ქალიშვილს ისევ ია და ინგა თამაშობდნენ. გავედით მაშინდელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სცენაზე. მე კოსტიუმი არ მქონდა, მამაჩემის კოსტიუმი ჩავიცვი და ძალიან გრძელსახელოებიან პიჯაპეტი ვიყავი ჩაფართხუნებული. სიმდის მოცეკვავეს ვგავდი, მაგრამ მაინც რაღაც ჯილდო მივიღეთ. ელინე ახვლედიანის დადგმა, მისი დეკორაციები, მისი სახელი ამ სპექტაკლს რაღაც დიდ წონას სქენდა და ჩვენც საკმარისი სერიოზულობითა და გატაცებით ვმონანილეობდით ამ ამბებში. მერე ჩავენერე პიონერთა სასახლის ლიტერატურულ წრეში, სამწუხაოოდ, დრამატულ წრეში არ მიმიღეს, სხვათა შორის არც სკოლაში არ მიმიღეს, იქაც მინდოდა დრამატულ წრეში შესვლა, მაგრამ არ მიმიღეს. ოთარ იოსელიანმა თქვა — არც ისე ნიჭიერია! ოთარი უკვე მაშინ უნიკალური პერსონა იყო, სკოლაში მან დაარსა ორკესტრი, თვითონ დირიჟორობდა. როგორც იცი, რუსულ სკოლაში ვსწავლობდით. მერე, ეტყობა, ოთარს შევეცოდე და მათამაშა სერგე მიხალევის „ფიფქში“. ეს იყო რასიზ-

მის წინააღმდეგ მიმართული პიესა, მოქმედება ხდებოდა ამერიკის სკოლაში, სადაც სწავლობდა ზანგი ბიჭუნა, რომელსაც ირონიით შეარქეს „ფიფქი“. მას დასცინობდნენ, ანვალებდნენ, სცემდნენ. მეორე მოქმედება მიმდინარეობდა მის იჯახში: მონაწილეობდნენ თავად ეს ბიჭი, მისი დედა, მამა და მეგობარი. აი, იმ მეგობარს ვთამაშობდი მე. უსიტყვო როლი იყო. მაშინ გრიმს ვერსად იძოვიდი. დაწვეს შამპანურის საცობები, გააზავეს ვაზელინში და ის წამისვეს სახეზე. წარმოიდგინე, რას ვგავდი. და ეს იყო ჩემი პირველი შეხება სცენასთან... მერე მანანა აბაიშვილთან ერთად რაღაც სკეტჩები ვითამაშეთ, უკვე მეათე კლასში ვიყავი. მანანა აბაიშვილი ჩემთან სწავლობდა, ერთი კლასით დაბლა. ძალიან ნიჭიერი იყო. აშკარა სამსახიობო ნიჭი ჰქონდა, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია. მშვენიერი ლიტერატურათმცოდნე გახდა. ასე რომ, რაღაც თეატრალური გამოცდილება მქონდა, მაგრამ უფრო მსახიობობისკენ ვიხერგდი. ოღონდ, რადგანაც საკმაოდ კრიტიკული ადამიანი ვარ საკუთარი თავის მიმართაც და სარკეში როცა ვიყურები, არასოდეს ვტყუვდები, მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. მერე ინსტიტუტში ბატონმა მიშამ მათამაშა ველოსიპედისტი ბობი. იყო ასეთი შესანიშნავი სპექტაკლი „მეექვსე სართული“. მე და ბელა მირიანაშვილი მოვდიოდით დაბადების დღეზე, მე ვიყავი ბელას ბოიფრენდი, როგორც ახლა იტყვიანი, ვისხედით კუთხეში და ვთომო ვკოცნაობდით. მერე ვყელა მთხოვდა რამე დაუკარი, ვიცეკვოთო, ბობი უკრავდა და ეს სურათი ამით მთავრდებოდა. მეტი აღარ გამოვსულვარ სცენაზე.

ოთარ იოსელიანმა, როცა დაამთავრა ინსტიტუტი, პირველივე ფილმები არაჩვეულებრივი გამოვიდა და მსოფლიომაც უცბად ალიარა იგი, მაშინ მათამაშა თავის შედევრში „იყო შაშვი მგალობელი“. ის ძალიან კარგად ცნობდა ადამიანებს და როლები, რომებიც მისცა ცნობილ მსახიობებს თუ ახალგაზრდებს, ისე იყო განაწილებული, თითქოს ოთარმა შეიცნო თითოეული ჩვენგანის ნამდვილი სახე, მიმართულება, ჩვენი კაცობა და ა.შ. ახლა როცა ვუყურებ ამ ფილმს, მეჩვენება, რომ ზოგი რამ მან იწინასწარმეტყველა კიდეც. განასაკუთრებით ჩვენი ცხოვრების მომავალი.

12. 09. 12.

**დ. მ:** კარგად დაისვენე?

**რ. ს:** ისე რა.

**დ. მ:** წვიმდა? თუ შენც გიყვარს ზღვა წვიმაში?

**რ. ს:** მიყვარს, თან ძალიან, მაგრამ ჩემი სურვილების განსახორციელებლად არ მეცალა. შვილიშვილები იყვნენ ჩვენთან ერთად,

მათ გასართობად სულ რაღაცის შეთხზვა და გამოგონება მიხდებოდა. გუშინ ჩამოვედი. წუხელ კი ისეთი თავსხმა წვიმა და ქარიშხალი ყოფილა, რომ ჩვენს სახლსაც გადახადა სახურავის ნახევარი. კედლები სველია. დუდან ჭკუაზე არ არის, დამირეკა. მარტო იქ და ჩვენი ისედაც დაუმთავრებელი რემონტი, კიდევ რამდენ ხანს გასტანს არ ვიცი... ზეგ შოსკოვში მივფრინავ ორი თვით და, ეტყობა, სკაიპზე უნდა გადავიდეთ. ძალიან გთხოვ ახლა არ მეჩვებო.

**დ. მ:** არა, ნამდვილად გამავისუებ. მე შენ ილუზიონისტი გგონივარ? ასეთ რეჟიმში წიგნები არ იწერება, თან, იმ ტიპის, როგორიც ჩვენ გვაქვს ჩაფიქრებული. რას ფიქრობ, არ ვიცი! ან თეატრს როგორ ტოვებ ამდენი ხნით?

**რ. ს:** მე ვფიქრობ ისე, როგორც გზაჯვა-რედინზე მყოფი ის კაცი, რომელმაც არ იცის საით წავიდეს. მაქვს გარკვეული პრობლემები, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი, როგორ გადავწყვეტ მათ. მით უფრო, რომ ეს პრობლემები კი არ მცირდება, უფრო და უფრო მწვავდება.

ხომ შევთანხმდით, როცა ვერ შევხვდებოდით, წერილები მიგვეწერა ერთმანეთისთვის, როგორც შენ ამბობდი — აგვემალლებინა ეპისტოლარული კულტურა. ჰოდა, ახლა კიდევ ერთხელ გიხდი ბოდიშს გრიგოლეთიდან, რომ ვერაფერი გამოგიგზავნებაშინლად მუშაობდა ინტერნეტი. ფოთშიც კი წავედი მოდემის გამოსაცვლელად, მაგრამ უშედეგოდ. მობილური ტელეფონიც კი არ მუშაობდა წესიერად.

**დ. მ.** – ისე, რად გინდა ეს მობილური ტელეფონი? ზარს ხომ თითქმის არასოდეს პასუხობ!

**რ. ს:** მე თვითონ ვრეკავ ხოლმე; მაგრამ სხვა რამ მინდა ვთქვა: უკვე გითხარი, რომ წერილი მაინც მოგწერე. ახლა მინდა წაგიკითხო ეს წერილი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ არეულ-დარეული გამოვიდა, მაინც მინდა ის ამ წიგნში მოხვდეს. როგორც ყოველთვის, შენ ჩემს „მჭევრმეტყველებას“ გააკეთილშობილებ.

(გაგრძელება იქნება)

# მოგონება

## „ეძიებდე და ჰკოვებდე“

ანუ ამბავი  
ერთი თეატრის შექმნისა  
სანდრო მრევლიშვილი

თეატრის შექმნის დასახული გეგმა ნაბიჯ-  
ნაბიჯ სრულდებოდა.

— შეიკრა თანამოაზრეთა ჯგუფი. ენთუზი-  
აზმი არ ნებდება.

— რეპეტიციები მიდის, არც მეტი, არც ნაკ-  
ლები, — შექსპირის „პამლეტზე“.

— სპექტაკლმა „მოდი, ვნიხოთ ვენახი“ ზაფ-  
ხულის ერთ თვეში თითქმის მთელი დასავლეთ  
საქართველო მოიარა. ბაკურიანში „მზიური ვე-  
ლის“ („სპუტნიკი“) ახალგაზრდული ბაზა გველო-  
დება, რათა აგვისტოში არ დავიშალოთ და ინტენ-  
სიურად ვიმუშაოთ.

— „თეატრი-სტუდია“ იურიდიულად არ-  
სებობს, როგორც სახელმწიფო ფილარმონიის  
„სალაპარაკო უანრის“ ჯგუფი.

— სულ უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ მე-  
ტების ტაძარში სპექტაკლების გამართვა გამარ-  
თლებულია, მოქალაქეობრივი, ესთეტიკური,  
ექსპერიმენტული და მრავალი სხვა მოსაზრე-  
ბით, რაზედაც უკვე მქონდა საუბარი.

მტკიცედ გადაეზყვიტე ამ მიმართულებით  
მოქმედება.

ეს იდეა, პირველ რიგში, მამაჩემს გავუზიარე.  
ჩევნი წინაპრები მღვდელთმმასეური გახლდ-  
ნენ. ოჯახის ერთ-ერთი შვილი უსათუოდ ეკლე-  
სიის წიაღისეკენ მიმავალ გზას ირჩევდა. მამამ,  
მღვდელთმმასეურთა შთამომავალმა, მირჩია,  
კათოლიკოს-პატრიარქთან მივსულიყავი.

რჩევა მივიღება და საბოლოო გადაწყვეტილები-  
სთვის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტსა და  
კულტურის სამინისტროში მისვლამდე, ისე რომ,  
არავისთვის არაფერი მითქვამს, კათოლიკოს-  
პატრიარქს, უწმინდესას და უნეტარეს დავით V  
დევდარანას ვეახლე.

პატრიარქთან ვიზიტამდე საფუძვლიანად შე-  
ვისწვლე ცნობილი მეცნიერების — აკადემიკოს  
ვახტანგ ბერიძის, ხელოვნებათმცოდნე რუსუ-  
ლან მეფისაშვილისა და არქიტექტორ-მკვლევა-  
რის, ვახტანგ ცინცაძის მონოგრაფიები მეტების

ტაძრის შესახებ.

არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმად,  
წმინდა მოწამე შუშანიკი მეტეხის ტაძარშია  
დაკრძალული. მეცნიერული კვლევები ადას-  
ტურებს, რომ ეს მხოლოდ ლეგენდა... მაგრამ  
ლეგენდაც მოკრძალებასა და პატივისცემას იმ-  
სახურებს.

უწმინდესმა და უნეტარესმა დავით V ძალზე  
თბილად მიმიღო.

მან გამოთქვა რწმენა, რომ როდესმე მეტეხ-  
ის ტაძარი კვლავ დაუბრუნდება ეკლესიას, მა-  
გრამ ვიდრე ეს მოხდება, ტაძარი საპატრონოა  
და ცუდი იმაში არაფერია, თუ ის კულტურული  
ცხოვრებით დაიტვირთება, თუ ახალგაზრდები  
ვუპატრონებთ — თუ სათუად მოვცყრობით  
მის კედლებს. თუ არა, რა მკრიხელობას ჩაი-  
დენ, მადლი ჩევნებულ გადმოვა. შევთანხმ-  
დით, რომ საპატრიარქოს წარმოგზავნილებს  
შესაძლებლობა ექნებათ ნებისმიერ საეკლესიო  
დღესასწაულზე, განსაკუთრებით კი 17 ოქტომბ-  
ერს, „შუშანიკობას“, მობრძანდნენ ტაძარში და  
ლოცვები აღავლინონ.

ამ შეთანხმების ერთგული ჩევნ ბოლომდე  
დავრჩით. და ეს ხდებოდა მოკრძალებით, უხმაუ-  
როდ და თავმდაბლად.

დავით V-სთან შეხვედრამ საბოლოოდ დამარ-  
წმუნა, რომ სწორ გზას დავადექით. ახლა საჭირო  
იყო პრატიკული მოქმედება.

ეპოქის პარადოქსი: პატრიარქთან შეხვედრის  
შემდეგ კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის კენ  
გავეშურე.

ნუგზარ ფოფხაძე ძალზე დადებითად შეხვდა  
იდეას, უმალ შეაფასა მეტეხის ტაძარში თეატრის  
ამოქმედების მრავალმხრივი მნიშვნელობა. საბ-  
ოლოო გადაწყვეტილება რამდენიმე დღეში მი-  
ვიღოთო, მითხრა. საკითხი შესათანხმებელი იყო.

კიდევ ერთხელ მივხვდი ჩანაფიქრის  
მასშტაბს.

დიდხანს ცდა არ მომიწია.

ნუგზარმა მეორე დღესვე დამიბარა.

— მოამზადე წერილი კულტურის სამინის-  
ტროსა და ძეგლთა დაცვის საზოგადოების სახ-  
ელზე.

— რა ჩავნერო წერილში, რას ვითხოვთ?

— მაგას მე მეტითხები? ჩანერე, რასაც  
ფიქრობ. არ დააფრთხო, სად რომელი აგური რო-  
გორ დევს, ზეპირად იცანან... მცირეოდენ შეხე-  
ბასაც არ გვაპატიებენ.

— და მართლებიც იქნებიან. არც ჩევნ ვაპირ-  
ებთ რამე კაპიტალურ გადაკეთებ-გადმოკეთე-  
ბის. მაყურებელთა სკამები, სპექტაკლის აქსესუ-  
არები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, დროებით  
შთაბეჭდილებას უნდა ტრვებდეს: მოვიდნენ,  
შემოიტანეს რაღაცები, ითამაშეს და ისევ წავ-  
ლენ. . . კედლებს არ შევხებით, ერთ ლურსმან-  
საც არ ჩავაჭედებთ. . .

— ჰოდა, ეს ყველაფერი მოკლედ ჩამოაყალ-  
იბე და მომიტანე... .

„ყველაფერი დროებით შთაბეჭდილებას უნდა  
ტოვებდეს — მოვიდნენ, შემოიტანეს რაღაცები,  
ითამაშეს და წავიდნენ“...

ქვეცნობიერად დაბადებული ხილვა ფორმუ-  
ლად ჩამოყალიბდა.

გაგრძელება.

დასაწყისი ის. „თბ და ც“ №5, 2012 წ. №1, 2, 3, 4, 5, 2013 წ.

მეხსიერებამ, ჩემი პედაგოგის, გიორგი ტოესტონოვისგან ნასწავლი, კარგად ნაცნობი, კიდევ ორი ფორმულა გამოკვეთა:

— „საშუალებების მინიმუმი, გამომსახველობის მაქსიმუმი“.

— „პირობით გარემოში უპირობო მხოლოდ მსახიობის მოქმედებაა“.

ამ ფორმულებს, თითქოს თავისთავად, ლოგიკურად, ლოპე დე ვეგასული თეატრის განსაზღვრაც დაემატა:

„ერთი ამბავი, ორი მსახიობი, სამი ფიცარი“  
მრავალუცნობიანი განტოლება ამოხსნილია, ამოცანა — პასუხეაცემული.

სკოლაში, მოხაფეობის ჟამს, უდიდეს სიამოვნებას გეომეტრიული ამოცანების ამოხსნა მანიქებდა. ეს იყო მღლელვარე, ემოციით სავსე პროცესი.

გაქვს მოცემულობა, დასმული შეკითხვა.

წარმოსახვა ეძებს ამოცანის ამოხსნის გზას. რეალობას ბურუსი ფარავს, რომელიც სწორი და მრტვული ხაზები, სამკუთხედები, ოთხკუთხედები, წრეები, სფეროები, ბისექტრისები, კათეტები, ჰიპოტენუზები და კიდევ სხვა, უამრავი ფიგურა ერთმანეთში ირევა. . სრული ქაოსია. . ცვინი ცდილობს ქაოსში წესრიგი შეიტანოს. იძაბება მეხსიერება, დამტკიცებული, უჭვმიუტანელი აქსიომება და თეორემები ან უარყოფენ, ან ლოგიკურ ჯაჭვით ებმიან ერთმანეთს. ჯერ ბუნდოვნად, მაგრამ თანადათან, სულ უფრო ნათლად იკვეთება რეზულტატი — პასუხი დასმულ შეკითხვაზე. საქმეში ალგებრა ერთვება, აზროვნების პროცესი არითმეტიკული სიმბოლოებით აისახება. იქმნება მრავალუცნობიანი განტოლება. სიმბოლოები ტოლობის ნიშნის ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადადიან და პირიქით. წესრიგი ქაოსს იმორჩილებს, ხაზები და ფიგურები წყობილად ებმიან ერთმანეთს. .

Victoria!

ვურეკავ მიშა ჭავჭავაძეს. ავაფორიაქე — საწრაფო საქმე მაქვს მეტეი. როგორც ყოველთვის, პაემანი კაფე „თბილისში“ დავთქვით.

დიდხანს ვუსხებით მაგიდია, ვსვამდით „წინადაღლს“. მიშა ჩემი ხილვები მისთვის ჩვეული სისტემით „დაალაგა“. მომგვალი თეატრის შემოქმედებითი სტილისტიკა თეორიულად ჩამოყალიბდა და მეტების ტაძრის სივრცეში ორგანულად „ჩაინიერა“. დაგრძნებულით, რომ „პამლეტი“ სწორი არჩევანია პირველი სპექტაკლისთვის. ყველაფერი ებმიანებოდა მსოფლიო თეატრალურ პროცესებს.

უკვე შემდეგ, თეატრის შემოქმედებაში, კოლეგების, თეორეტიკოსებისა და უბრალოდ თეატრის მოყვარულთა კეთილგანწყობილი და ობიექტური ნაწილი დაინახავს, ამოიკითხავს და ალიარებს ჩვენი ძიებების არსა და მნიშვნელობას. მაგანი კი, შურითა თუ ინტრიგებით თვალებზე ლიბრგადაკარული, „არდანახვის“ პოზიციაზე დადგებიან, სანგრებიდან დაინტენდენ ხან მასირებულ, ხან კანტი-კუნტ სროლას და გულწრფელი შეფასების მაგიერ ცინიკურ ქირქილს აირჩევენ. რას იზამ, ასე ყოფილა, და ვერც ჩენენ ვიქენებოდით გამონაკლისი სწობიზმის ბაცილით დაავადებულ საზოგადოებაში.

სწობიზმი საშინელი სენია. საზოგადოება სხვადასხვა ქვეყანაში დაავადებულია სწობიზმის ეპიდემით. საქართველოში კი ხშირად პანდემიის მასტება აღწევს.

ჩემთვის დღემდე ამოუცნობია, საიდან იღებდა სათავეს ენერგია, რომელიც წინააღმდეგობების გადალახვას წარმატებით უზრუნველყოფდა. კადინიერებად არ ჩამეტვლება, თუ ვიტყვი, რომ პირადად ჩემთვის ამ წყაროს სათავე მშობლიური კულტურის, ხალხის მსახურებაშია. ბარათაშვილის ფორმულა,— „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსავასოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“ — ჩემი მთავარი დევიზია. არ გამოვრიცხავ სუბიექტურ მოტივაციასაც.

ძეგლთა დაცვის საზოგადოების სახელზე წერილის შედეგენამდე გადავწყვიტე რჩევისთვის საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონი ირაკლი ციციშვილს შევხვედროდი.

ბატონი ირაკლი ციციშვილი . . .

საბჭოთა კავშირის გმირი. გმირობა 1943 წელს დაწერის გადალახვისათვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისთვის მიერიქა. ის, როგორც არქიტექტორი, ტყვიების წვიმის ქვეშ, მდინარეზე პონტონის ხიდის გამართვას ხელმძღვანელობდა. ამ ხიდმა უზრუნველყო მნიშვნელოვანი საბრძოლო ოპერაციის წარმატება.

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ქართველ არქიტექტორთა თაობების აღმზრდელი. . ქართული არქიტექტურის არა ერთი ძეგლის მკვლევარი, ძეგლთა დაცვის საზოგადოების შემთხვევის ერთ-ერთი ინიციატორი. სიძველეთა ერთგული ქომაგი და დამცველი . . . და მიუხედავად ამისა, თანამედროვედ მოაზროვნე, სიძველეა და ტრადიციებთან ურთიერთობაში თავისუფალი ყოველგვარი ტაბუსა და შეზღუდვისაგან.

კიდევ ერთხელ მივმართავ ჩემს ბიოგრაფიას. სწორედ ბატონი ირაკლის, ბატონ გერონტი ქიქოძესთან ერთად, დავყავდით ყრმანი ზაფხულობით ქართლში მიმობნეულ ძეგლებსა და ნასახლარებზე, სწორედ ის გვანიარებდა ჩვენი ხურომძღვრების სიიდადესა და იდადებებას.

ბატონმა ირაკლი ყურადღებით მომზადებას. შემდეგ ამისენა, რომ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკით, სიძველესთან, ძეგლებთან მიმართუბაში, რამდენიმე მიღვიდობა არსებობს.

— რესტავრაცია. ძეგლის პირველდელი სახის აღდგენა, იმ შემთხვევაში, თუ: ან არსებობს უტყუმები დოკუმენტური მასალები, ან არსებულ ნარჩენებზე შეცნიერული კვლევის შედეგად შესაძლებელი პირვანდელი სახის წარმოდგენა. რესტავრაცია უნდა ჩატარდეს იმ მასალებით, ან მათთან მაქსიმუმურად მიახლოვებულით, რომელიც თავდაპირელად იქნა გამოყენებული.

— კონსერვაცია. ძეგლის იმ სახით შენარჩუნება, რომლითაც მან ჩვენამდე მოაღწია. კონსერვაციის სამუშაოები ისე უნდა ჩატარდეს, რომ არ მოხდეს ძეგლის დაზიანება და მაქსიმალურად გამოირიცხოს მისი შემდგომი „გაფუჭება“.

— რეგენერაცია. ძეგლისთვის ახალი ფუნქციების მინიჭება ისე, რომ ის არ ეწინააღმდეგებოდეს

მის პირვანდელ დანიშნულებას და „აცოცხლებ-დეს“ მას.

მეტების სანახაობრივი ფუნქციით დატვირთვა, თეატრის ამოქმედება, სიცოცხლეს შეიტანს მეტების ტაძარში, და, შესაძლოა, ძეგლის რეგენერაციის კარგ მაგალითადაც მოგვევლინოს. აუცილებელი იქნება ძეგლის გაწმენდა, გარემოს კეთილმოწყობა. კარებებისა და სარკმლების გამოცვლა. ნებისმიერი სამუშაო, სულ მცირე დეტალის შეტანაც კი, ძეგლზე მიმაგრებული სპეციალისტის, მეცნიერის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მოხდეს. სამუშაოებს კულტურის სამინისტროს სპეციალური სახელოსნო ჩატარებას. ეს გარკვეულ დაფინანსებას მოითხოვს. საჭირო იქნება ამ თანხის მოძიება.

შევთანხმდით.

ბატონმა ირაკლიმ საუპარი ამ სიტყვებით დასარულა:

— მხარდაჭერას აღითქვამთ. სამეცნიერო საბჭოზე ჩემს აზრს მნიშვნელობა ექნება.

მხოლოდ ერთი პირიბით. იმედი მაქს, ქართული არქიტექტურის ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლს არაფრეს დაუშავებთ.

ბატონ ირაკლისთან სიახლოვემ თამამი ხუმრობის უფლება მომჰცა.

— ბატონმა ირაკლი, თუ რამეს დავაშავებ, მაშინ აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ გადაკითხვა მოგიწევთ.(!)

რადგან ბატონ ირაკლისთან შეხვედრა კულტურის სამინისტროს შენობის მეორე სართულზე შედგა, აღარ დავაყოვნე და პირდაპირ მესამე სართულზე, ბატონ კაკო დავალიშვილის კაბინეტს მივიწურე.

ბატონი კაკო, როგორც მოსალოდნელი იყო, უმაღ მიხვდა მოვლენის არსს, მოქალაქეობრივ, პატრიოტულ, საზოგადოებრივ მასშტაბსა და პერსპექტივას.

კიდევ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი თანხმობა. და არა მარტო თანხმობა, არამედ მხარდაჭერა.

ისევ კომკავშირის ცკ...

შეუძლებელია იმის დათვლა, თუ სიცოცხლის რამდენი წუთი მაქს დახარჯული მისაღებებსა და კაბინეტებში, იმედიან თუ უმდედო მოლოდინში... ასეთ დროს ყოველთვის ვცდილობ წერვების მოთოვეას, მორჩილი იერით ლამაზ მდივან გოგონასთან — როგორც წესი, ასეთები არიან — ფლირტს, ან ხანდაზმულ მდივან ქალბატონთან — ცხოვრებაზე საუბარს. ბოლოს ირეკება ზარი და ... „ბატონი X გთხოვთ“.

ნუგზარ ფოფხაძეს შეხვედრების „ანგარიში ჩავაძარე“.

შევადგინეთ კულტურის სამინისტროში გასააგზავნი წერილის პროექტი. დასაზუსტებელი იყო იმ თანხის საკითხი, რომელიც ტაძრის კეთილმოწყობისთვის იქნებოდა აუცილებელი.

შევთანხმდით: წერილში ჩაინერება, რომ ამ თანხას კომკავშირი გაიღებს კულტურის სამინისტროს სპეციალური სახელოსნოს წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის თანახმად.

— კი მაგრამ, ფულს სად ვიმოვით? — ვკითხე ნუგზარს.

— პუშკინს ვთხოვთ.

ხუმრობა მევონა და ხუმრობითვე ვუპასუხე:

— იქნება, ტოლსტიოს ვთხოვოთ, გრაფია, ფული უფრო ბევრი აქვს.

მაგრამ ეს სულაც არ ყოფილა ხუმრობა.

იმ ნლებში მოზარდი თაობის „შრომითი აღზრდის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად ჯართისა და მაცულატურის შეგროვება და სახალხო მეურნეობის საჭიროებისთვის ჩაბარება ითვლებოდა, აღაბათ, შემდგომი გადამუშავების მიზნით.

დაძრნოდნენ მსოფლიოს ერთ მეექვსედზე პიონერები და ოქტომბრელები, ეძებდნენ უანგმოდებულ რკინებს, სანილების ზურგებსა და რკინის ღობის ნაგლეჯებს, სახლიდან მოჰქონდათ ძველი გაზეთებისა თუ გადაყრილი საბულალტრო საბუთების დასტები, სავად ნაწერი წერილების შეკვრები და ათასი სხვა არა და ყველაფრთხ ამას ეზიდებოდნენ სკოლებში მოწყობილ ჩაბარების პუნქტებისკენ, სადაც მონაპოვარი მეაცრად იწონებოდა და ერიცხებოდა კლასს, რაზმეულსა თუ სკოლას, რომ გამოცხადებულ სოციალისტურ შეკვირში გამარჯვება მოუპოვებინათ.

სახელმწიფო ამ საქმისთვის ფულს წონის მიხედვით იხდიდა, მაგრამ ეს ფული არც სკოლას ურიგდებოდა, არც პიონერებსა და ოქტომბრელებს. ჩაბარებული ჯართისა და მაკულატურის თანხა გროვდებოდა საბჭოთა ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის (მოსკოვი) ანგარიშზე.

თელავის ან ნოვოსიძირსკის პიონერების მიერ მოპოვებული ჯართის კილოგრამების საფასური მილიონ მანეთებად იქცეოდა. ამასთან, მეაცრად ალირიცხებოდა საერთო სალაროში — „ობშჩიაგზში“ — თითოეული რესპუბლიკისა თუ რეგიონის შენატანის ოდენობა, ერთი პირობით — მასზე რიცხულ თანხას რესპუბლიკა მხოლოდ ცკ-ს თანხმობით მიიღებდა, სამაგიეროდ კი ვერც საკავშირო ცკ დახარჯვადა რესპუბლიკის კომკავშირის ცკ-ს გარეშე.

ამ თანხებით უამრავი საქმე გაკეთდა. აშენდა დასასვენებელი და სპორტული ბაზები, ეწყობოდა საზაფხულო ბანაკები და შეკრებები. თავის დროის სამსახურის განთქმული ბაკურიანის კომპლექსი „სპუტნიკი“ და იქ გამართული სემინარებიც ამ თანხიდან ფიანსდებოდა. ამასთან მოქმედება ტოტალური სოციალისტური სახელმწიფო მოწყობის ტიპიური სექტემბერის შემთხვევაში შენიშვნის ფიანსური სექტემბერის შემთხვევაში ნამოგნ ფულს სახელმწიფო აკონტროლებს, გამონრთობილი, უმთავრესად კორუმპირებული მოხელეების საშუალებით.

ამ „კაბიტატლის“ განკარგვა კი ალკ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგეს ევალებოდა, რომელიც გვარად . . . პუშკინი გახლდათ.

სწორედ ეს პუშკინი ჰყავდა მხედველობაში ნუგზარ ფოფხაძეს და არა მისი გენიალური მოგვარე.

თანამონაწილეთა . . . არა, თანამოაზრეთა წრე თანდათან ფართოვდებოდა.

შემდეგი „ციხე-სიმაგრე“, როგორც დაირიში უნდა მიგვეტანა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი — „აღმასრული“ გახლდათ.

# დოკუმენტი

## დოკო

## ერლოდინში

### დათო ფურაშვილი

(ორმოქმედებიანი ნამდვილი ამბავი —  
არა მხოლოდ მათთვის, ვისაც სემუელ  
ბეკეტის პიესა „გოდოს მოლოდინში“ უკვე  
ნაკითხული აქვს)

#### მონაცემები:

**მამა**  
**მისი უფროსი ვაჟი**  
**მისი უმცროსი ვაჟი**  
**დოდო — მათი დედა**  
**ნაირა — სტაუიანი ემიგრანტი საბერძნეთში**  
**ლილი — ახალი ემიგრანტი საბერძნეთში**  
**ოთარი — ყოფილი ფოტოგრაფი**  
**კირია მარია**  
**და**  
**ნარმომადგენელი მოხუცთა პანსიონიდან**



ამ პიესის მოქმედება იწყება ჩვენი დროის საბერძნეთში. სცენის სილრმეში ჩანს ოთახი, რომლის კარიც ღიაა და ამიტომაც იქიდან კარგად ისმის ასაკოვანი ადამიანის კვნესის ხმა. თუმცა კვნესის ხმას არანაირ ყურადღებას არ აქცევს ქალბატონი ნაირა, რომელიც სცენაზე ენერგიულად მიღი-მოდის გადაშლილი რვეულით ხელში და მაგიდასთან მჯდომ ლილის შეკითხვებით მიმართავს:

**ნაირა.** ოდონდოლლიფიდა?  
**ლილი.** კბილის ჯაგრისი  
**ნაირა.** (რვეულსაც ჩახედავს) ნამდვილად?  
**ლილი.** შემეშალა, კბილის საჩიჩქინი, სულ ეგ მერევა ხოლმე...  
**ნაირა.** ახალჩამოსულებს ყველას ეგ ერევათ, კბილის ჯაგრისი როგორ იქნება?  
**ლილი.** (ჭერს ახედავს და პაუზას გააკეთებს) ოდონდოვურცა?

**ნაირა.** სწორია! თუ მოინდომებ ისწავლი, შეუძლებელი არაფერია. არადა შეიძლება ისეთი კირია შეგხვდეს, ერთი შეცდომაც არ გაპატიოს...

(უცებ იმ ოთახიდან, რომლის კარიც ღიაა,

ასაკოვანი ადამიანის კვნესის ხმა კიდევ ერთხელ ისმის, რაც მხოლოდ ლილის შეაშფოთებს):

**ლილი. იქნებ რამე უნდა?**

**ნაირა.** რა უნდა უნდოდეს, ასეა უკვე მეოთხე წელია – არაფერს აშბობს და მარტო კრუსუნებს. საღამომდე მაგას არაფერი ჭირდება და ნეტა ყველას ასეთი კირია შეხვდებოდეს. შენ გააგრძელე და ყურადღებას ნუ მიაქცევ, თორემ მალე დოდოც მოვა და ვეღარაფერს მოვასწრებთ.

**ლილი.** კირია ასეთ დავრდომილებს ჰქვია თუ ყველას ასე ეძახიან?

**ნაირა.** კირია ბერძნულად პატრონს ნიშნავს, ჩვენებურად ხაზეკას რო ვეძახით ხოლმე.

**ლილი.** გავაგრძელოთ მაშინ.

**ნაირა.** ვთქვათ, კირია გეუბნება პაპუცია მომიტანეო, რას შობი შენ?

**ლილი.** ფეხსაცმელი მიმაქვს.

**ნაირა.** ზოგი იბეჭვა და ჩუსტი მიაქვს მაგ დროს და კირია ბრაზობს. შარმან, მაგალითად, მაგის გამო დაითხოვეს თესალონიკში ერთი ქუთაისელი ქალი.

**ლილი.** კბილის ისინი მერევა, თორე პაპუცია კი დავიზებირე უკვე

**ნაირა.** კარგი მაშინ, მოგადგა ასტიმონია და გთხოვს ადიაპარამონს, რას შევგი მაშინ?

**ლილი.** ასტიმონია ვინ არის?

**ნაირა.** ამათ პოლიციას ასე ჰქვია. რა ვიცი გენაცვალე, მთელ მსოფლიოში პოლიცია ჰქვია და ესენი ასტიმონიას ეძახიან, ცოტა უკულმართი ხალხია და რას გაუგებ. აი, ვთქვათ, მოგდევს ასტიმონია, რას შობი მაშინ?

**ლილი.** მაშინ გავრბივარ.

**ნაირა.** სა გარბიხარ გოგო?! შენ გაექცევი აქაურ ასტიმონიას? რასაც ესენი ხალხს დასდევენ, ძველი მარათონელების ქვეყანაა ეს!

**ლილი.** აბა რა ვქნა?

**ნაირა.** თუ მოგადგა ასტიმონია და გეუბნება, მაჩვენე ადიაპარამონი, ესე იგი საბუთებს გთხოვს და ჯობია, რომ იქით დააბინო და შენ ჰქითხო, რა, უფრო აინტერესებს, ტავტოტიტა თუ დიავატირიო...

**ლილი.** (აწყვეტინებს გაკვირვებული) მე რომ არც პირადობის მოწმობა მაქვს და არც პასპორტი?

**ნაირა.** არც არავინ მოგთხოვს, ისე გითხარი, სავარჯიშოდ, სიტყვები რომ ადვილად ისნავლო, თორემ აქ ხალხი პირდაპირ ქუჩაში წევს, იმათ არავინ ეკარება და შენ ვინ გაგაჩერებს. აქ ევროკავშირია გენაცვალე, ტყუილ-უბრალოდ ვინ შეგაწუხებს...

**ლილი.** რა ვიცი, ნაირა დეიდა, კი შევშინდი ცოტა

**ნაირა.** შენ რაც გზაში გადაიტანე, იმის მერე რამე შეგაშინებს?

(ლილი კიდევ რაღაცის თქმას დააპირებს, მაგრამ კარზე ვიღაც დააკაკუნებს და ნაირა რვეულს ლილის მისცემს და თვითონ კარისკენ ნავა. ჯერ ჭუჭრუტანაში გაიხედავს და მერე გააღებს).

**ნაირა.** (ახალშემოსულ დოდოს) ზარი რატომ არ დარეკე?

**დოდო.** (ოთახისკენ თავით ანიშნებს) ვიფიქრე, არ გავაღვიძომ-მეთქი.

**ნაირა.** მაგას საღამომდე რა გააღვიძებს. შუადღისას შენიც ხომ იძინებს ხოლმე?

**დოდო.** ჩემი ზოგჯერ დღეში ორჯერაც იძინებს, უკვე ოთხმოცის ხდება.

**ნაირა.** (ფეხზენამომდგარ ლილიზე ანიშნებს) დოდო, აი, ეს არის ლილი, რომ გეუბნებიდი. სულ ორი კვირა, რაც ჩამოვიდა, მაგრამ ისეთი მონძომებულია, გაგიკვირდება.

**დოდო.** (ლილის) ჩვენსკენ რა ხდება?

**ლილი.** იგივე.

**ნაირა.** გზაში ძალიან გაწვალდა.

**დოდო.** (ლილის) ალბათ ავტობუსით წამოხვედო.

**ლილი.** დაახლოებით მაინც ხომ ვიცოდი, რაც მელოდა, მაგრამ ამას მაინც ვერ წარმოვიდები.

**დოდო.** სულ ქვემოთ იწექი?

**ლილი.** მაგას კიდევ გავუძლებდი, მაგრამ ისეთი აუტანელი სიცხე იყო, რომ ერთი პირობა ისიც კი ვიფიქრე, ხომ არ ჩავპარდე-მეთქი!?

**ნაირა.** გაზი ხომ არ უხმარიათ?

**ლილი.** კი გვაშინებდნენ, საზღვარზე გაზის გამოყენება იციან ბერძნებმა უკიზო მგზავრების აღმოსაჩინადო, მაგრამ ჩვენ გადავრჩით.

**დოდო.** და რამდენი ვერ გადარჩა? აგერ სამი თვეს წინ არ იყო ზესტაფონელები რომ მოდიოდნენ და ავტობუსის საბარეულში გაზი შეუშვეს?

**ნაირა.** მძლოლს ვერაფერი ათქმევინეს თურმე და...

**ლილი.** (გულწრფელად შეშინებული) მერე?

**დოდო.** მერე მთავარი ფაქტია, თორემ ზესტაფონის ფეროში ნამუშევარ ხალხს ამათ მაიმუნობას გაზი რას უზავდა?!?

**ნაირა.** ჩვენ რომ ახლა ვიზებს გვთხოვენ ბერძნები, თვითონ რომ მოგვადგნენ და ანგელოზივით ქალიც თან ნაიყვანეს, ჩვენ თუ მოვთხოვეთ მაშინ რომელიმე არგონავტს საქართველოს ვიზა?

**ლილი.** არა.

**დოდო.** ჰოდა, ამაშინა საქმე.

(იმ ოთახიდან, რომლის კარიც ფართოდ არის გამოღებული, ისევ მოისმის კვნესის ხმა და ამის გამო დისკომფორტულად მხოლოდ ისევ ლილი გრძნობს თავს)

**ლილი.** (ოთახისკენ ანიშნებს ნაირას) რამე ხომ არ აწუხებს?

**ნაირა.** მაგას სალამომდე არაფერი ჭირდება, ხო გითხარი უკვე. შენ ჯობია დოდოს უთხრა, როგორ საშსახურს ეძებ.

**დოდო.** (ლილის) ვისი მოვლა გირჩევნია, მოხუცის თუ ბავშვის?

**ლილი.** ჯერ ენა არ ვიცი.

**ნაირა.** მაგრამ უკვე სწავლობ.

**ლილი.** (რვეულს გადაშლის) დიახ, უკვე და-ვიწყე.

**დოდო.** აქეთ რომ მოვდიოდი, ისეთი კოკინო ღარიფალი შემხვდა...

**ნაირა.** ჩვენს ქუჩაზე ყვავილებს ხშირად ჰყიდიან ხოლმე.

**დოდო.** მაგრამ ასეთი წითელი მიხაკები აქ მანამდე არასოდეს შემიმჩნევია.

**ლილი.** (კალამს მოიმარჯვებს) ჩავიწერ, ხომ შეიძლება?

**ნაირა.** აუცილებლად, კოკინო ღარიფალო...

**დოდო.** (ლილის) რა იცი როდის გამოგადგება. პაემანი გაქვს ვთქვათ, ბერძენ თაყვანისმცემელთან და გევათხება რა ყვავილი გიყვარსო, ხომ უნდა უპასუხო?

**ლილი.** არა მგონია, აქაურ ბიჭებს ჩვენებური გოგოები მოსწონდეთ.

**ნაირა.** როგორ, ბერძენი არ იყო იაზონი, ჩვენ მედეაზე რომ გადაირია?

**ლილი.** კი მაგრამ, ეგ როდის იყო...

**დოდო.** ლილიო რომ მითხრა ნაირამ, ჩემი ასაკის მეგონე და სულ ბავშვი ყოფილხარ...

**ლილი.** ოცდასამის ვხდები მალე.

**დოდო.** მერე ლილი ვინ დაგარქვა, შენხელებსაც თუ არქმევდენ ასეთ სახელებს, აღარც მეგონა.

**ლილი.** დედაჩემმა დამარქვა, ლილი ბურბუ-თაშვილის საპატივცემულოდ.

(დოდო აშკარად ვერ გაიხსენებს, ვინ არის ლილი ბურბუთაშვილი და შეკითხვასაც დააპირებს, მაგრამ გადაიფიქრებს)

**დოდო.** სწავლობდი სადმე?

**ლილი.** კი, წელს დავამთავრე უნივერსიტეტი, მაგრამ სამსახური ვერსად ვიშოვე და აქეთ ნამოვედი, მშობლებიც სარჩენი მყავს და ძმებიც.

**დოდო.** აქ, შვილო, საქართველოდან ჩამოსულების სამოცდათ პროცენტს უმალესი განათლება აქვს, მაგრამ ზოგი ჭურჭელს რეცხავს მთელი დღე და ზოგი კი ჩვენსავით მოხუცებს უვლის.

**ნაირა.** ზოგს ბავშვებიც ჰყავს, მაგრამ პატარებთან უფრო ძხელია. ეს ჩემი კირიამარია კი კრუსუნებს მთელი დღე, მაგრამ მაინც ამის მოთმენა მირჩევნია, ვიდრე ბავშვების დევნა და ერვიულობა. თანაც ზოგი ბავშვი ისეთი საზიზ-

დარია...

**ლილი.** (აწყვეტინებს ნაირას) მე მგონი პატარების მოვლა არ გამიჭირდება.

**ნაირა.** (დამნაშავესავით) კი, როგორ არა, კარგი ბავშვებიც ჰყავთ და ზოგს, ვიცი, პატარებთან მუშაობა ურჩევნია. მეც, აქ რო ჩამოვედი, ბავშვს ვუვლიდი და გადასარევი ბავშვიც იყო და ისე ვუვლიდი, რომ დედას მე მეძახდა. მაგისი ნამდვილი დედა კი ბრაზდებოდა, მაგრამ რა უნდა ექნა, მე სულ კუტურებში ვკოცნიდი და ვეფერებოდი იმ ბავშვს და ეგ კი თავის შვილს ყურადღებასაც არ აქცევდა, მთელი დღე წამოპლაკული იყო და პაპიროსებს აბოლებდა...

**დოდო.** კარგი ნაირა, ნუ გადარიე ეს გოგო.

**ლილი.** არა უშავს, დოდო დეიდა, არაფერია.

**დოდო.** ესე იგი ბავშვთან გირჩევნია მუშაობა, ვიდრე მოხუცთან?

**ლილი.** კი, მგონი მირჩევნია.

**დოდო.** აუცილებლად მოგიძებნით სამსახურს და შენ არ ინერციულო, აბა ჩვენ აქ რისითვის ვართ, ერთმანეთს თუ არ დავეხმარეთ, სხვები დაგვეხმარებიან?

**ნაირა.** (დოდოს ლილიზე ანიშნებს) თანაც ესეც გურიიდან ყოფილა წამოშობით...

**ლილი.** (დოდოს) თქვენც გურული ხართ?

**დოდო.** გოგო მყავს გურიაში გათხოვილი.

**ლილი.** რომელ რაიონში?

**დოდო.** (უცებ საუბრის თემას ცვლის და ლილის მიმართავს) ამ დღეებში შენი სამსახურის ამბავს გავარკვევ და გაგაგებინებ. მაინც დამაინც ათენში რომ არ იყოს, არა უშავს ხომ?

**ლილი.** ისე ათენში კი მირჩევნია, ზოგჯერ აკროპოლისზე მაინც ავალ ხოლმე.

**დოდო.** რისმაგ გორდეზიანის გარდა, მანდ ასული ქართველი მე არ მინახავს, მაგრამ მაინც შევეცდები.

(დოდო კარისკენ მიდის)

**ლილი.** დიდი მადლობა, ქალბატონი დოდო, გადამეხადოს ეს სიკეთე.

**დოდო.** მადლობას იმით გადამიხდი, რომ მერე შენ სხვებს დაეხმარები. წავედი ახლა, თორემ ჩემი კირია გაიღვიძებს მალე და რომ ვერ დამინახავს, გადაირევა.

(დოდო კარს აღებს, ორივეს ემშვიდობება და მიდის. უკანა ოთახიდან კი ისევ ისმის კვნესის ხმა, რომელსაც ისევ მხოლოდ ლილი აქცევს ყურადღებას და ნაირა კი ისევ არ იმჩნევს).

**ლილი.** (მცირე პაზის შემდეგ) რა კარგი ადამიანი ყოფილა ქალბატონი დოდო.

**ნაირა.** აქ ჩვენი ყველას იმედი დოდოა. მარტო აქ? აქაც და იქაც, აქაც ყველას ეხმარება და იქაც იმდენ კაცს არჩენს, რომ ერთი წუთი დრო არა აქვს საკუთარი თავისითვის. ჩემთან რომ ახლოს არის, იმიტომ ახერხებს და აქ შემოირ-

ბენს ხოლმე, თორემ ზოგჯერ კვირაობით რომ ვიკრიბებით ქართველები სადმე სხვაგან და საჭაპურს ვაცხობთ ან ხინკლებს ვაკეტებთ, ან უბრალოდ ჩაის ვსვამთ და ვტირივარო, ხშირად მაგისტვისაც არ სცალია ხოლმე. მესადან გამოსვლა ისედაც ძნელია და ვინც მესაშია, ზოგჯერ თვეობითაც ვერ ახერხებს ვერავის ნახვას.

**ლილი.** მესა რას ნიშნავს?

**ნაირა.** თუ მესაში ხარ, ესე იგი იმ ოჯახში ცხოვრობ, სადაც მუშაობ.

**ლილი.** ქალბატონ დოდოს რამდენი შვილი ჰყავს?

**ნაირა.** ორი ბიჭი და ერთი გოგო, მაგრამ აქ შვილებზე არ ლაპარაკობენ. ისიც კი გამიკვირდა, დოდომ თავისი გოგოს ამბავი რომ გითხრა. ამ ქალებს შვილები საქართველოში ჰყავთ დატოვებული და შვილებზე რომ ილაპარაკონ და ითიქრონ, დარდი მოკლავთ. ზოგიერთები საკუთარ თავს არწმუნებენ კიდეც რომ შვილები საერთოდ არ უყვართ, იმიტომ რომ, აქ მათ გარეშე გაძლონ და არ გაგიშდნენ. თავს იტყუებენ, მაგრამ სხვა ვზა არა აქვთ, აბა რა ქნან. უეან რომ დაბრუნდნენ, მათ ოჯახებს კიდევ ერთი უმუშევარი დაემატება და ეგ იქნება, მეტი არაფერი. იქ ალბათ ჰქონიათ, რომ საქართველოს ეკონომიკას რომელიმე იქაური სამინისტრო ქმნის და სინამდვილეში კი ეს ქალები ქმნიან. საქართველოს ბიუჯეტსაც ჩვენ ვემნით და აბა, ვინმეს თუ დაუთვლია, რამდენ მილიონს აგზავნიან ქართველი ქალები ყოველთვიურად თავიანთი ოჯახების გადასარჩენად...

(უცებ ისევ იმ მოხუცი ქალის კვნესის ხმა ისმის იმ უკან ათახიდან და ლილიც კიდევ ერთხელ შეწუხდება)

**ლილი.** მგონი შენ გეძახის, ნაირა ბიცოლა.

**ნაირა.** მტერს დაუძახა მაგან ანი.

(ნაირა საათს დახედავს და წამოიძახებს)

**ნაირა.** უი, კი მოსულა მაგის ჭამის დრო. დაჯექი შენ, გადაიმეორე მანამდე ეგ სიტყვები და მერე ისევ შეგიმომჩერ.

(ნაირა უკანა თახში გადის, ლილი კი რვეულს გადაშლის და ხმამაღლა კითხულობს)

**ლილი.** ოდონდოვურცა-კბილის ჯაგრისი, ოდონდოღლიფიდა-კბილის საჩიჩენი, კოკინ ღარიფალო-წითელი მიხაკი...

(ლილი კიდევ ერთხელ იმეორებს იგივე სიტყვებს. სცენაზე კი ნელ-ნელა შუქი ქრება და როცა სცენა ისევ ნათდება, პიესის მოქმედება უკევ თანამედროვე საქართველოში გადმოინაცვლებს, სადაც მაგიდის გარშემო, სამი კაცი ზის. უფრო სწორად კი, სამივენი მაგიდის ერთ მხარეს სხედან - როგორც ეს ფიროსმანის ნახატებიდან გვახსოვს).

**მამა.** შეადლისთვის კურდელაურში რომ-

ელი გამიყვანთ?

**უფროსი ვაჟიშვილი** — (მამას მიმართავს და ხელს უმცროსი ძმისკენ გაიშვერს) ამან გააგიყვანოს, დედაჩვენმა მანქანის ფული იმიტომ გამოუგზავნა, რომ შენ მოგემსახუროს ხოლმე.

**უმცროსი ვაჟიშვილი** — (უფროსი ძმას) შენ რო მანქანა გიყიდა დოდომ, მაშინაც ეგრე არ გითხრა, რო მამას მოემსახურეო?

**მამა.** ჰოდა წამიყვანეთ რომელიმემ, ორი მანქანა გვყავს სახლში.

**უფროსი.** მე ვერ წაგიყვან, ეს ერთი კვირა დღე მაქვს და არ დავისვენო?

**უმცროსი.** სხვა დღეებში ხო ძაან იღლები ხოლმე.

**მამა.** (ორივე შვილს) ეზოში ორი მანქანა გვიდგას, სახლში ორი მუტრუკი მყავს და კურდელაურში ტაქსით წავიდე?

**უფროსი.** (მამას) შენც რა კურდელაური აგიტყდა ამ კვირა დღეს?

**მამა.** გასვენებაში არ უნდა მივიდე?! კაცი ნათესავად გვეკუთნის.

**უმცროსი.** წაგიყვანდი, მაგრამ შენი ამბავი რო ვიცი, ქელებშიც დარჩები, დათვრები და მერე მთელი დღე შენ უნდა გელოდო.

**მამა.** შენ იქ წამიყვანე, დამტოვე და მერე ჩემს თავს მე თვითონ მივხედავ.

**უფროსი.** (მამას) წინა კვირასაც ეგრე წაგიყვანე და აკი დამპირდი არ დავლევო, მაგრამ როგორი დაგაბრუნეს?

**მამა.** თქვენი შეშით კვირაში ერთხელ მაინც ალარ დავლიო?

**უმცროსი.** დედაჩვენი ფულს საბერძნეთიდან სამკურნალოდ გიგზავნის და შენ თუ ისევ შენებურად სმა გააგრძელე, გამოდის, რომ იმ თანხებს არამიზნობრივად იყენება.

**მამა.** (უმცროს შვილს) მთელი დღე რო კომპიუტერში ხარ შემძრალი, იმიტომაც დაეჩვიე ეგეთი უცნაური სიტყვების ლაპარაკს. შენს გამო, ისედაც ხალხის მრცხვენია და რო მეკითხებიან ღვინოს რატო არა სვამსო, რა უნდა ვუთხრა, რა ვუპასუხო, პიდარასტია-მეთქი?

**უფროსი.** მამი, ესე იგი ვინც ღვინოს არ სვამს, პიდარასტია? შენც იმიტომ სვამ ეგრე გიჟივით რომ გეშინია ვინმეს პიდარასტი არ ეგონო?

**მამა.** რეებს ბოდავ, შვილო?

**უმცროსი.** ისე მეც სუ ეგ მიკვირს, რომ სმა ალარ შეგიძლია და მაინც თავს არ ანებებ.

**უფროსი.** დოდომაც ამ ახალი კბილების ფული რა ჩვენდა ჭირად გამოგიგზავნა. სანამ კბილებს ჩაგისვამდნენ, გერიდებოდა მაინც და ალარ მლეროდი ხოლმე. ახლა სულ ბოლოს მოდიხარ სუფრებიდან...

**მამა.** ახალი კბილების ფული დედათქვენს უნდა გამოეგზავნა, აბა ის ონანისი ხო არ გა-

მომიგზავნიდა. საბერძნეთში წასკლის წინ, ჩემი ოქროს კბილები დედათქვევნმა არ დამაძრო? სამაგიერო აღარ მეტაუთვნოდა?

**უმცროსი.** მამი, ონანისი კი არა, ონასისი.

**უფროსი.** (მამას) კიდევ კარგი რომ ეგეთი გამრჯე ცოლი შეგხვდა, თორემ აგერ იმერეთში მთავრობამ ხალხს ძველი კბილები დააძრო და ახლები აღარ ჩაუსვა, დატოვეს ეგრე გაღიმებ-ულები...

**მამა.** ეგ ჩემი გამრჯე ცოლი, სხვათა შორის, დედათქვევნიცა და დოდოს რო არ ემარჯვა მაშინ, ეხლა თქვენც მშიერ-ტიტველი იტანტალ-ებდით.

**უმცროსი.** რავი მამი, აკი ჯერ არც უშვებდი დოდოს საბერძნეთში და მერე კი ტკბილად შეერგი მუქთა შემოსაგალს.

**მამა.** (უკვე აშეკარად გაბრაზებული) თქვენ გაზრდას, ჩაცმა-დახურვას და ჭამას ფული არ უნდოდა? მუქთად მოგცეს არა ეგ დიპლომები?!

(მამა წამოდგება და ოთახში ისე ნერვიულად გაიღლის, რომ შევილები აღარც კი შეეკამათებიან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ცოტა დამშვიდედება, უფროსი ვაჟუშვილი მშვიდად ეტყვის):

**უფროსი ვაჟუშვილი** — მე წაგიყვანდი მამი, მაგრამ მართლა ეს ერთი კვირა დღე მაქს, რო არა ვმუშაობ და დღესაც არ დავისვერო?

**მამა.** (ყვირილით) რას მუქამობ, ვაცო? ეგ არი სამსახური?! ყოველდღე ჯოკერს თამაშობ და ხელფასი ჩემ პენსიაზე ნაკლები გაქვს?! დედაშენი ფულს რო არ გიგზავნიდეს, ცოლ-შვილი შიმშილით მოგიკვდებოდა.

**უმცროსი.** მაგის ცოლს რა მოკლავს, მამი.

(უმცროსი გაიღიმებს და მაინც, ყოველი შემთხვევისათვის, თავის უფროს ქმანი მანძილით დაშორდება).

**მამა.** (უმცროსს) ერთი მაგასაც ვნახავ შენ რანაირ ცოლს მოიყვან.

**უფროსი.** (მამას) რო აგიჩემებია მთელი დღე არაფერს აკეთებ და ჯოკერს თამაშობო, მოდი ერთი და ნახე სად ვმუშაობ.

**უმცროსი.** (მამას) მიდი მართლა და ნახე, რა სამსახური აქვს, იქნებ ჯოკერს კი არა, დურაკას თამაშობს...

**მამა.** კურდღლაურში რომელი წამიყვანო?..

(სცენაზე ბნელდება და როცა სცენა ისევ განათდება, ჩვენ ისევ საბერძნეთში გადავინაცვლებთ, სადაც წინა ოთახში ისევ ლილი მეცადი-ნეობს)

**ლილი.** ოდონდოვურცა — კბილის ჯაგრისი, ოდონდოლლიფიდა — კბილის საჩიჩქი, კოკინ დარიფალი — წითელი მიხაკი...

(უკანა ოთახიდან წაირა კმაყოფილი სახით გამოდის).

**ნაირა.** დოდო არ მოსულა?

**ლილი.** ჯერ არ მოსულა. ნაირა დეიდა, კინა-ლამ დამავიწყდა მეთქვა, რომ ზუსტად წამოსვლის წინ, შენი ქმარი შემხვდა ქუჩაში.

**ნაირა.** ქმარი მაგას და ჯანდაბა, ქუჩაში შეგხვდებოდა, აბა სხვაგან სად, ბიბლიოთეკაში?

**ლილი.** რატომ წაირა დეიდა, რომ გათხოვდი, მთელი ჩვენი ნათესაობა იმას ამბობდა, როგორი განათლებული ისე შეგვხვდაო.

**ნაირა.** ჩემი ქმარი სულ წიგნებს რომ კითხულობდა, იმიტომაც არ აჩერებდნენ დიდხანს არცერთ სამსახურში და ყოველთვის ჩემი სარჩენი იყო. მერე მეც რომ უმუშვარი დავრჩი და საბერძნეთში წამოვედი, ფულს აქედან ვუგზავნიდი. მე თვითონ ვიყავი სულელი და სხვას როგორ დავაბრალო?

**ლილი.** ცუდს რას აკეთებდი წაირა დეიდა, გაჭირვებულ ადამიანს ეხმარებოდი.

**ნაირა.** მეც ეგრე მეგონა, მაგრამ რომ გავიგე იმ ფულს რაში ხარჯავდა, თავის მოკვლა მინდოდა.

**ლილი.** (შეაბარებსავით) ნარკოტიკებში?

**ნაირა.** ნეტა ნარკოტიკებში დაქსარჯა და ჩემთვის თავი არ მოეჭრა. აქ რამდენიც გინდა, იმდენი ქალია, ვისაც ქმარი ან შევილი ჰყავს ნარკომანი, მაგრამ ფულს მაინც უგზავნიან და თავსაც არ იკლავენ. მე მართლა თავის მოკვლა მინდოდა.

**ლილი.** ეგეთს რას აკეთებდა, წაირა დეიდა?

**ნაირა.** რამდენჯერ გითხარი დეიდა და ბიცოლა არ დამიძახო-მეთქი.

**ლილი.** კაზინოში აგებდა?

**ნაირა.** ნეტა კაზინოში წაეგო.

**ლილი.** თუ არ გინდა, ნუ მეტყვი.

**ნაირა.** აქ ისედაც ყველამ იცის ჩემი უბედურების ამბავი და რაღა სხვისგან უნდა გაიგო, ბარემ მე გეტყვი — მთელი ფული ბოზებს შეაჭამა.

**ლილი.** სექსმუშაკებს?

**ნაირა.** მეორე და მესამემდე მიაღწევდა ეს უბედური? პირველივე ბოზი და ჩათლახი შეუყვარდა ამ შტერს და ქართველ კაცზე უტვინო ხომ არაფერი არსებობს და რომელიმე პუტანკამ ერთი თუ გაულიმა, მეტი კი არ უნდათ ამ იდიოტებს...

**ლილი.** იქნებ ტყუილია და ჭორები მოუგონებს...

**ნაირა.** ნეტა ტყუილი ყოფილიყო. ის დამპალი, თურმე, მთელ ფულს, რასაც ჩემი ქმარი აძლევდა, აგროვებდა ნელ-ნელა და აქ არ ჩამობრიანდა საბერძნეთში? რომ გავიგე, ვიღაც ქართველი ქალი კოლონაკზე ცხოვრობსო, კი ვიფიქრე, ნეტა ამდენი რა ფული ჩამოიტანა-მეთქი. მიტომ რომ ქართველი გამიგია ომონი-

აზე, გამიგია პანგრატზე, მაგრამ კოლონაკში?

**ლილი.** კოლონაკი რა არის?

**ნაირა.** უპანია აქ, ათენში, მაგრამ იმ ჩათლახის ჩამოსვლამდე, ქართველს მანდ არც კი უცხოვრია და რომ გავიყითხე, ვინ არის და რა არის-მეთქი, თურმე ჩემი გაგზავნილი ფული უკან არ მიძრუნდება?

**ლილი.** და როგორ გაიგე?

**ნაირა.** არც დაუმალავს არაფერი და ვისაც აქ გაიცნობდა, ეგრევე ჩემი დებილი ქმრის ამბავს უყვებოდა...

**ლილი.** მერე?

**ნაირა.** რა მერე, მაგის დასაცინი რა მჭირდა. წავიყვანე ჩემი აქაური დაქალები: ნინა სვანიძე, ია ვეკუა და სოფო თორთლაძე და მივადექით იმ დამპალს...

(უცებ კარზე კაუნის ხმა ისმის)

**ლილი.** ალბათ ქალბატონი დოდოა.

(ნაირა კარს აღებს და ოთახში მართლაც დოდო შემოდის).

**დოდო.** (ხელს შიდა ოთახისკენ გაიშვერს) ძინავს?

**ნაირა.** წელან ვაჭამე და ჩაეძინა.

**დოდო.** (ლილის) შენ სამსახურზე ყველა გაფრთხილებული მყავს და როგორც კი რამე გამოჩნდება, მაშინვე გაგაგებინებ.

**ლილი.** გამოჩნდება რამე?

**დოდო.** აუცილებლად შვილო, შენ მაგაზე არ იდარდო და ბერძნული ისნავლე, დროს ნუ დაკარგავ. ქართველ ქალებს აქ ისეთი კარგი სახელი და რეპუტაცია აქვთ, რომ ყველას ქართველი მომვლელი უნდა.

**ნაირა.** დღეში რამდენიმე ახალ სიტყვას სწავლობს და თანაც ყოველდღე იმეორებს.

**ლილი.** (საუბრის თემას აშკარად იმიტომ ცვლის, რომ ქების მოსმენა არ სიამოვნებს) საქართველოში რა ხდება, დოდო დეიდა, ახალი ხომ არაფერი იცით?

**დოდო.** ჩვენსკენ, მადლობა ღმერთს, მშვიდობაა. გუმინ ჩემ ქმარს ველაპარაკე და დადის ძველებურად პანაშვიდებზე და გასვენებებში.

**ნაირა.** ქელეხის სუფრებს, სოფლის ეზოებში რომ იცოდნენ ხოლმე ადრე, კი ვეღარ შლიან თურმე, იმიტომ რომ მეზობელი ქალებიც კი აღარავის დარჩია, რომ დაიხმარონ და რესტორნების დარბაზებს ქირაობენ.

**ლილი.** ქალები სად წავიდნენ?

**დოდო.** (ლილის) სადაც შენ წამოხვედი, აქ საპერძნეოთში, თურქეთში, ამერიკაშიც რამდენი ქართველია...

**ნაირა.** საქართველოს სოფლებში ქალები თითქმის აღარც დარჩნენ.

**დოდო.** მაგრამ იქ დარჩნილი კაცები აქ წამოსულმა ქალებმა გადაარჩინეს.

**ლილი.** (ორივეს ერთად) ასეთი კარგები

ვართ?

**ნაირა.** ყველა კაცი საზიზდარია.

**დოდო.** ქართველ ქალებში დედის ინსტინქტმა გაიღვიძა, როცა ქვეყანა აირია და კაცები კი ჩვენგან განსხვავებით, წუთისოფლის პრობლემებს, ბრძოლის გარეშე დანებდნენ.

**ლილი.** (დოდოს) თქვენი ქმარიც სხვებივით დანებდა წუთისოფელს?

**ნაირა.** (ლილის) ხომ გითხარი, რომ იქ დატოვებულებზე აქ არ ვლაპარაკობთ-მეტქი.

**ლილი.** მე მეგონა მარტო შვილებს გულისხმობდი.

**დოდო.** (ლილის) ჩემს ქმარს ისეთი სამსახური ჰქონდა, რომ სულ დალევა უწევდა ხოლმე და მიეჩვია.

**ნაირა.** არადა ნარკომანიაზე უარესია.

**დოდო.** (მიჩვეულია ნაირას უადგილო რეპლიკებს და ამიტომაც არ იმჩნევს და ისე აგრძელებს) არადა ახალგაზრდობაში მართლა კარგი ადამიანი იყო და ბავშვობაში კი ისე მღეროდა, რომ თურმე დედას ლევანას ადარებდნენ.

**ლილი.** (გაკვირვებული) რომელ ლევანას?

**ნაირა.** კახელებს ადრე ერთი ზღაპარი მომღერალი ჰყოლიათ, რომელსაც თურმე დედამისი თექვსმეტ წლამდე ძუძუს აჭმევდა.

**ლილი.** (გაოგნებული) როგორ?

**ნაირა.** წუ, როგორ გითხრა, თექვსმეტ წლამდე დედის რძეზე იზრდებოდა.

**ლილი.** ოდიპოსის კომპლექსი ჰქონდა?

**ნაირა.** ის ზღაპრული ხმაც იმიტომ ჰქონდა, რომ დედის ძუძუ ძალიან დიდხანს ედო პირშიო...

(უცებ ქალბატონი დოდო, რომელიც აქამდე ლილისა და ნაირას დიალოგში არ ერეოდა, სადაც შორსმზერამიტერებული ამბობს)

**დოდო.** დღესაც დალევს და ცუდად გახდება, ვერძნობ. აი ვიგრძენი, რომ ცუდად გახდება...

(სცენაზე სინათლე იკლებს და როცა ისევ იმატებს, ისევ საქართველოში ვპრუნდებით, სადაც ძმები ტელეეკრანის წინ სხედან ჯოისტიკებით ხელში და, სავარაუდოდ, ფეხბურთს თამაშობენ. უცებ სახლის კარს მათი უგონოდ მთვრალი მამა ხმაურით შემოალებს)

**მამა.** (ლრიალით) ვინ არის პიდარასტი, მე ვარ პიდარასტი?!

(შვილები მაშინვე წამოხტებიან და მამის დამშვიდებას შეეცდებიან, მაგრამ ეს არც ისე ადვილია და მთვრალი მამაც კიდევ კარგა ხანს იმეორებს უკვე დასმულ შეკითხვას. მერე შვილები მამის ლოგინში ჩანვენას შეეცდებიან და ტანსაცმელსაც ძალით ხდიან და მამას კი გული უჩუყდება).

**მამა.** რატომ, რატომ აღარ გიყვარვართ?! იმიტომ რომ დედათქვენივით ვერ დავრჩი საბერძნეოთში და ყოველთვიურად ფულს ვერ გიგ-

ზავნით? ხომ იცით, რომ მეც მინდოდა იქ დარჩენა და თქვენს გამო, ნებისმიერ სამსახურზეც მზად ვიყავი, მაგრამ ვერ დავრჩი. იმიტომ კი არა, რომ თქვენთვის შრომა დამეზარა, იმიტომ რომ ჯანმრთელობამ ხელი აღარ შემიწყო. თქვენ ნამდვილი ბერძნული ზეთი გაგისინჯავთ? ერთი გასინჯეთ და თუ კუჭი არ აგეშლებათ, მერე რაც გინდათ, ის დამაბრალეთ. სულ არ უნდა გამესინჯა? როგორ არ უნდა გამესინჯა, როცა ნებისმიერ საჭმელს მაგ ზეთს უკეთებენ და კუჭი რო ამეშლებოდა ხოლმე, მერე ნერვებიც მეშლებოდა. ნერვები რო მეშლებოდა, მერე ხომ უნდა დამელია, რო ცოტა დავმშვიდებულიყავი?! როგორლა უნდა მემუშავა? ჰოდა მეც ავდექი და უკან ნამიველი, ვიფიქრე ბავშვებს იქ მაინც მივეხმარები-მეთქი. ქალები როგორ უძლებენ ბერძნულ ზეთებს? როგორა და უძლებენ, ჩვენზე მაგარი კუჭები აქვთ და ამიტომაც ქალები ყველაფერს უძლებენ!..

(მამას კიდევ რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ნელ-ნელა ძილი ერევა და მალე ხერინვასაც ამოუშვებს. მისი შვილები კი დალლილი სახეებით ავანსცენაზე სხედან და ხმადაბლა საუძრობენ)

**უფროსი ქმა** — მართლა დამღალა ამ კაცმა...

**უმცროსი ქმა** — ხმადაბლა თქვი, რომ არ გაეღვიძოს.

**უფროსი.** რა უნდა ვთქვა, მინდა რომ ცოლ-შვილი სახლში მყავდეს.

**უმცროსი.** მერე დაბრუნდეს შენი ცოლი, აქ ყოფნას ვინ უშლის.

**უფროსი.** (მამისკენ ხელს გაიშვერს) რამდენჯერ უნდა დაბრუნდეს და ამას უყუროს?

**უმცროსი.** ჩვენ რომ ყოველდღე ვუყურებთ?

**უფროსი.** ჩვენ შვილები ვართ და მაინც ვუძლებთ.

**უმცროსი.** შენმა ცოლმაც გაუძლოს, არაფერი მოუვა.

**უფროსი.** ვერ უძლებს.

**უმცროსი.** აბა ქალები ყველაფერს უძლებენ?

**უფროსი.** შენ სულ გეხუმრება და მე კი ოჯახი მენვრევა.

(მამის ხერინვის ხმა პერიოდულად ისმის)

**უმცროსი.** (თავს მამისკენ გაიქნევს) ისეთ-საც არაფერს აშავებს.

**უფროსი.** (იგივეს გააკეთებს) მეტი რაღა უნდა დააშავოს, ცოლ-შვილი მენატრება და სახლში ვერ მომიყვანია.

**უმცროსი.** წადი და მოიყვანე, ვინ გიშლის?

**უფროსი.** შენ და მამაშენი.

**უმცროსი.** ეხლა მეც დავემატე?

**უფროსი.** ზოგჯერ შენ უფრო ნერვებს მიშ-

ლი ხოლმე, ვიდრე მამაჩვენი, მაგრამ შენი წამლი კარგად ვიცი და მამაჩემს რა მოვუხერხო, მაგას ვერ ვხვდები.

**უმცროსი.** მე გეტყვი რაც უნდა ქნა, დედაჩვენმა იმდენი ფული უნდა გამოგიგზავნოს რომ სხვა სახლი იყიდო.

**უფროსი.** დოდოს რამდენიც არ უნდა ვთხოვო, მაგას მაინც არ გააკეთებს, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, რომ რაღაც ფული კიდევ დაგროვებული აქვს.

**უმცროსი.** რისთვის?

**უფროსი.** არ ვიცი და სანამ თვითონ არ გვეტყვის, უნდა ველოდოთ.

**უმცროსი.** მთელი ცხოვრება დოდოს უნდა ველოდოთ?

**უფროსი.** ეგრე გამოდის.

**უმცროსი.** რომ დაემუქრო?

**უფროსი.** ვის?

**უმცროსი.** მამაჩვენი რომ მძევლად აიყვანოდა დოდოს გამოსასყიდი მოთხოვონ და მერე იმ ფულით ახალი სახლი იყიდო?

**უფროსი.** როგორ შეგიძლია რომ ყველაფერზე იხუმრო.

**უმცროსი.** შენ რამე სერიოზული გეგმა გაქვს?

**უფროსი.** მაქვს.

**უმცროსი.** რა გეგმაა.

**უფროსი.** თბილისში უკვე რამდენიმე გახსნეს და მალე თელავშიც გაიხსნება...

**უმცროსი.** უპატრონო მოხუცების თავშესაფარი?

**უფროსი.** რატომ უპატრონო, ზოგიერთს ძალიან კარგი პატრონიც ჰყავს, მაგრამ მშობლებს მაინც იქ აბარებენ.

**უმცროსი.** მე მამას თავშესაფარში არ ჩავა-აბარებ.

**უფროსი.** ეგ მარტო მამაშენი არ არის, ჩემი მამაც არის და სხვათა შორის მე უფროსი ქმა ვარ და სანამ მამაშენი გახდებოდა, მანამდე მამაჩემი იყო.

**უმცროსი.** გამორიცხულია, ხალხს რა უნდა ვუთხრათ.

**უფროსი.** ხალხმა ისედაც იცის, რომ ზოგჯერ ეს საუკეთესო გამოსავალია.

**უმცროსი.** მამა საკუთარი სახლიდან გავაგდოთ?

**უფროსი.** ჯერ ეს ერთი კი არ უნდა გავაგდოთ, უნდა ავუხსნათ, რომ მისთვისაც ასე ჯობია და მეორეც, ეს სულაც არ არის მისი სახლი, დედაჩვენისაა.

**უმცროსი.** ამას შენ ვერ მოიფიქრებდი, შენი ცოლის ხელწერაა.

**უფროსი.** რამდენჯერ გითხარი, რომ ჩემი ცოლის სახელი არ ახსნო-მეთქი.

**უმცროსი.** სახელი არც მიხსენებია.

**უფროსი.** შენი უშნო ხუმრობებიც მაგრა  
მომბეზრდა...

(უფროსი ძმა აშკარად უმცროსისკენ დაიძ-  
რება აშკარად აგრესიულად, მაგრამ სწორედ  
ამ დროს რაღაცის დაცემის ხმა ისმის და ისიც  
აშკარაა, რომ მამა სასოლიდან გადმოვარდა).

**უმცროსი.** მგონი ისევ გადმოვარდა...

(ორივენი მამის საძინებლისკენ წავლენ და  
სცენაზე ისევ ბნელდება. განათებული სცენა  
კი საბერძნეთში გვაპრუნებს, სადაც ნაირა და  
ლილი საუბრობენ)

**ნაირა.** იმ დღეს ველარ გყითხე და ოიდიპო-  
სიო, რომ ამბობდი, აგერ მეზობელი მყავს ოიდ-  
იპოსი ჰქვია და მე ვიფიქრე...

**ლილი.** (აწყვეტინებს) არა, ნაირა დეიდა, მე  
სხვა ოიდიპოსი ვიგულისხმე, ანტიკური ლიტ-  
ერატურის პერსონაჟია და ძველი ბერძნული  
დრამა კი ბავშვობიდან მიყვარს. ბერძნულის  
სწავლაც ყოველთვის იმიტომ მინდოდა, რომ  
ძველი ბერძნული ლიტერატურა მაინტერესებ-  
და, მაგრამ მაინც სულ სხვაგან ჩავაპარე...

**ნაირა.** (აწყვეტინებს) ლიტერატურა და პოე-  
ზია მეც ძალან მიყვარს, განსაკუთრებით პოე-  
ზიაზე ვგიჯდები და იმ ჩემმა ნაირალა ქმარმა  
რომ მომჭრა თავი, ნერვიულობისგან ლექსების  
წერა დავიწყე.

**ლილი.** ვაიმე, რა საინტერესოა...

**დოდო.** თავიდან სატელევიზიო ლექსებს ვწ-  
ერდი. მაგალითად, თუ ვინმეზე გადაცემა იყო,  
ეკრანს შეეხედავდი თუ არა, მაშინვე თავისით  
მომდიოდა ტვინში სიტყვები. ერთხელ მაგ-  
ალითად, აისიდორა დუნკანზე ვნახე დიდი გა-  
დაცემა, ცნობილი ბალერინა რომ ყოფილა და  
მაშინვე დავწერე:

აისიდორა დუნკანი, ქალი კი არა - ვულკანი!

მერე ერთხელ რიანა რომ არის მომღერალი,  
იმის კონცერტს გადმოსცემდნენ მუსიკალურ  
არზე და მაშინვე დავწერე:

ბარბადოსელი რიანა ქალია ყველაფრიანა!

იცოდი რიანა რომ ბარბადოსიდან იყო?

**ლილი.** არა.

**ნაირა.** ოკეანეში კუნძული ყოფილა.

**ლილი.** მერე?

**ნაირა.** მერე ჩემს შემოქმედებაში ყოფითი  
თემებიც გაჩინდა:

ბიუტერია ჩვენი მტერია,

ჩვენ ყველაფერი ნამდვილი გვინდა!..

ბიუტერია ვერ მომერია

რადგან ჯერ კიდევ გული მაქვს წმინდა...

მერე სამშობლოზე ლექსების წერაც დავი-  
წყე და ნელ-ნელა საბერძნეთზეც გადმოვედი.  
მაგალითად:

(ნაირა თვალებს ხუჭავს)

ომონიაზე მინდა დავთვრე და მერე პლაკაზე  
ნამოვიპლაკა...

**ლილი.** მერე?

**ნაირა.** ნუ მერე აქ ისეთი რაღაც მოხდა, რომ  
სიყვარულზეც დავწერე რამდენიმე ლექსი. მაგ-  
ალითად ასეთი...

(ნაირა ამ ლექსის წარმოთქმისთვის განსა-  
კუთრებით მოემზადება, თან ცოტა დაირცხ-  
ვენს კიდეც, მაგრამ უცებ აბაზანიდან საოცარი  
კვერცხის ხმა ისმის)

**ლილი.** აბაზანაში როდის შეიყვანე?

**ნაირა.** ვაიმე კირია მარია გასაპნული დამ-  
რჩა. უცებ დავგან და გამოვალ.

(ნაირა აბაზანისკენ გაიქცევა, ლილი კი  
თავის რვეულს მოიმარჯვებს და სიტყვების  
გამეორებას იწყებს)

**ლილი.** კოკიზი ღარიფალო - წითელი მიხა-  
კი...

(კარზე ზარია და ნაირა ჯერ აბაზანას მიუახ-  
ლოვდება)

**ლილი.** (ნაირას აბაზანის კარს მიღმა მიმარ-  
თავს) ვიღაც მოვიდა.

**ნაირა.** ღოდო იქნება, გაუდე.

(ლილი კარს აღებს, მაგრამ ზღურბლზე არა  
დოდო, არამედ შუანის გაღიმებული მამაკაცი  
დაგას სტალინის დიდი პორტრეტითა და წითე-  
ლი მიხაკებით ხელში)

**ლილი.** (დაბრუნებული და გაკვირვებული)  
გამარჯობათ?

**კაცი** — (ხელს გაუწვდის ლილის) ოთარ  
ურიდია.

**ლილი.** თქვენ ალბათ ნაირასთან ხართ. ნაი-  
რა აბაზანაშია, მობრძანდით, დაბრძანდით. მე  
მისი ნათესავი ვარ, დიდი ხანი არ არის, რაც სა-  
ბერძნეთში ჩამოვედი.

**ოთარი.** საიდან?

**ლილი.** თბილისიდან.

**ოთარი.** მე კი უკვე თერთმეტი წელია აქ ვარ.  
შეიძლება გახსოვართ კიდეც, თუ ბავშვობაში  
სამაის ბალში ერთხელ მაინც გადაგილიათ ფე-  
რადი ან შავ-თეთრი ფოტო. მაშინ თბილისში  
სულ რამდენიმე ფოტოგრაფი ვიყავით და ზაფ-  
ხულში კი სხვადასხვა კურორტები გვექინდა  
ხოლმე განაწილებული. მე, როგორც წესი, ბორ-  
ჯომში მივდიოდი ხოლმე და ჩემი აქლემიც თან  
მიმყავდა.

**ლილი.** ნამდვილი აქლემი გყავდათ ბატონი  
ოთარ?

**ოთარი.** დიახ, უკანასკნელი ნამდვილი  
აქლემი მე მყავდა საქართველოში და, მართა-  
ლია, ზომით ცოტა პატარა იყო, მაგრამ რაც  
მთავარია, ნამდვილი იყო და ბავშვები გიუდე-  
ბოდნენ. თუ გაქვთ ბორჯომში ან ბაკურიანში  
ბავშვობისას აქლემითან გადაღებული სურათი,  
რომელსაც ფოტო-ოთარი ანერია, ეს მე ვარ...

**ლილი.** მე რომ პატარა ვიყავი, ბორჯომში  
სოკოც არ ამოდიოდა.

**ოთარი.** ჰოდა მეც მაგ წლებს გამოვექცი, ომს და უბედურებას, შვილო. რომ წამოვედი, ომები კი დამთავრებული იყო, მაგრამ თითო ფოტოამერა უკვე ყველას ჰქონდა სახლში და მე რაღა უნდა მეკეთებინა? ბოლოს, ჩევნთან, სამაიას ბალში, სურათის გადასაღებად, მარტო გოგა კალანდაძე დადიოდა ხოლმე და ოჯახს შემშილით ხომ არ მოვლავდი?!

**ლილი.** აქაც ფოტოებს იღებთ?

**ოთარი.** ჩემი კამერა კი წამოვიდე და კი და-ვაყენე მაშინვე მონასტირაკიზე, აქ როგორც კი ჩამოვედი, მაგრამ ესენი ჩევნზე უსაქმური ხალხი ყოფილა თურმე და სურათი რაა, იმის გადაღებაც ეზარებათ. თან აქ ისეთი სიცხეები იცის, ძალიან აუშნოებს ხალხს და ვის უნდა თავისი დამახინჯებული სახის დანახვა ფასიან ფოტოზე? არავის!

**ლილი.** სხვა სამსახური მოძებნეთ?

**ოთარი.** ასე ადვილია აქ კაცისთვის სამსახურის მოძებნა? ქალები კიდევ შოულობენ სამუშაოს, იმიტომ რომ ქართველ ქალებს მართლა კარგი სახელი და რეპუტაცია აქვთ, მაგრამ კაცებს აქ ისევე უჭირთ, როგორც ჩევნთან საქართველოში.

**ლილი.** მაშინ აქ დარჩენას რა აზრი ჰქონდა?

(უცებ ოთახში ტანსაცმლიანად დასველებული ნაირა შემოდის და მის დანახვაზე ბატონ ითარს თვალები უბრნებინდება, თუმცა ნაირა არ იმჩნევს ამ მზერას)

**ნაირა.** (ლილის) აი მაგის დაბანა კი მართლა ძალიან მიჭირს, სანამ არ გაამშრალებ, პატარა ბავშვივით ფართხალებს.

**ოთარი.** (ლილის შთაგონებული სახით) შენი საყვარელი კოკინო ღარიფალო მოგიტანე და ესეც (სტალინზე ანიშნებს) შენი კირიასთვის.

**ნაირა.** (ორივეს) უკვე გაიცანით ერთმანეთი?

**ოთარი.** ჩემს ისტორიას ცუკვებოდი.

**ნაირა.** (ოთარს) კუბოებამდე უკვე მიხვედი?

**ოთარი.** ჯერ არა, ცოტა შორიდან დავიწყე.

**ნაირა.** (ლილის) მე მოკლედ გეტყვი. აქ ბევრი ინვალა და ბოლოს კუბოების ცეხში მოეწყო.

**ლილი.** (ოთარს) და იქ რას აკეთებთ?

**ნაირა.** (ლილის) კუბოებს, რას უნდა აკეთებდეს, მაგრამ ნიჭიერი ადამიანი ხომ ყველაფერში ნიჭიერია და ბატონი ითარი ისეთ ლამაზ კუბოებს თლის, რომ ეგრევე შიგ ჩანოლა მოგინდება.

**ლილი.** (შეშინებული) ვაიმე, რას ამბობთ?!

**ნაირა.** გეუბნები, რომ კუბოებს კი არა, სინამდვილეში ხელოვნების ნიმუშებს აკეთებს, მართლა სასახლე გეგონება.

**ოთარი.** სხვათა შორის, თუ რატომ ეძახიან ქართველები კუბოებს სასახლეებს, თავის დროზე ეს ენათმეცნიერმა ითარ ურიდიამ

ამიხსნა, რომელიც ჩემი სეხნიაც გახლდათ და მოგვარეც. ცხონებული ბატონი ითარი ჩემი კლიენტიც იყო.

**ლილი.** კუბო თქვენ გაუკეთეთ?

**ოთარი.** არა. მე მხედველობაში მაქვს ჩემი ძველი პროფესია – უნივერსიტეტის გამორჩეულ პროფესორებს ფოტოებს ვუღებდით ხოლმე.

**ლილი.** ალბათ კიდევ რამდენი სახელოვანი და საინტერესო ადამიანისთვის გაქვთ სურათი გადაღებული.

**ოთარი.** კი, ნამდვილად ასე იყო და მახსოვს კურიოზებიც. თქვენ რომ უურნალისტი იყოთ, ერთი რომელიმე კურიოზს აუცილებლად მოგიყვებოდით.

**ლილი.** გთხოვთ, იქნებ გაიხსენოთ?

(გამხიარულებული ლილი ნაირას გადახედავს, მაგრამ ნაირა აშკარად უკამაყოფილოა ლილისა და ოთარის შეხმატებილებით და ორივეს გაბრაზებული შეეკითხება)

**ნაირა.** მე ხელს ხომ არ გიშლით?

(თუმცა ლილი და ბატონი ოთარი ყურადღებას აღრმც კა აქცევენ ნაწყენ ნაირას და ბატონი ოთარი მხოლოდ ლილის მიმართავს)

**ოთარი.** ერთხელ გავიხედე და მოდის ჩვენთან, სამაიას ბალში, ერთი კაი დამა-ქალი სურათის გადასაღებად. ოთხმოცდაექვსი ან ოთხმოცდაშვიდი წელია და ეს ქალი რუსულად კი ლაპარაკობს და სლავური გარეგნობა კი აქვს, მაგრამ თითქოს რაღაც ქრონულიც ურევია. თითქოს მეცნობა კიდეც, ჰოდა...

**ნაირა.** (ოთარს) შენი ჭირიმე, რამე საშინელება არ მოყვე და ეს ბავშვი არ გადამირირესა.

**ლილი.** ვაიმე, ახლა უფრო დამაინტერესა.

**ოთარი.** ჰოდა შევიყვანე შიგნით, დავსვი ეს ქალი სკამზე და ვემზადები სურათის გადასაღებად. გადავითარე თავზე შავი ხავერდი რომ ჰქონდათ ხოლმე მაშინ ფოტოაპარატებს და რას ვხედავ – ფეხი ფეხზე რომ აქვს გადაღებული ამ ქალბატონს, უცებ შერონ სტოუნივით არ გადაიტარა ჩემს თვალნინ?

**ნაირა.** ეს ბავშვი არ გამიგიუო-მეთქი ხომ გითხარი!

**ოთარი.** (ნაირას ყურადღებას არ აქცევს და აზარტში შესული აგრძელებს მოყოლას) ის ფილმი ჯერ ნანახი არ მქონდა კი არა, გადაღებულიც არ იყო, მაგრამ ჩემი შვილის ტოლა ხარ, სხვანაირად არ გამიგო და შიშველი ქალი ხომ მყავდა ნანახი. ხოდა, ვიფიქრე, მეჩვენება-მეთქი და არ ვჩეკარობ ჩაჩასაკუნებას, თავი ისევ შეყოფილი მაქვს შიგნით და უცებ ის ფეხზე გადაღებული ფეხი ისევ უკან არ გადმოიტარა?

**ლილი.** ახალგაზრდა იყო?

**ოთარი.** შეუახნის ქალი იყო, ხომ გითხარით, მაგრამ შვილად მეკუთვნით და სხვანაირად არ

გაიგოთ და კაი შენახულს რომ იტყვიან, ისეთს უფრო ჰქონდა.

ბოდიში თქვენთან და კი მივხვდი, რომ ეს ქალი სხვა საქმეზე იყო მოსული და შევიყვანე უკანა ოთახში, სადაც ფოტოებს ვამჟღავნებ- დით ხოლმე და შვილად მექუთვნი და სხვანაი- რად არ გამიგო და პატარა ტახტიც მედგა იქ. პოდა, რომ დავიწყეთ ამბავი და რომ უნდა გა- ვიდე ბოლოში ფაქტიურად და ახლაც არ ვიცი ზუსტად, მე ვიყავი თუ ის გამოედო სინათლის ჩასართველს, უცებ გაჭახჭახდა ყველაფერი და გაშემდა ეს ქალი ჩემსავით. მე ისე გავშეშდი, რომ ვარ ჩუმად და ხმას ვერ ვიღებ და ეს ქალი კი ბუტბუტებს რაღაცას და კედელზე რომ სტალი- ნის სურათი მიკიდია, იმას თვალს არ აშორებს. (თითს სტალინის პორტრეტს დაადებს) ეს იქ მე- კიდა მაშინ. მივაყურადე და რუსულად ბოდიშს არ უხდის ბელადს? ოღონდ როგორც მამას, ისე მიმართავს – პრასწი ანეცო და ისე შემეშინდა, რომ წამებში ამოვიცვი ყველაფერი და სტალი- ნის სურათს დავაკვირდი. მერე ამ ქალს დავაკ- ვირდი და კი არ ჰგავს, ნაღდი სოსოა, ოღონდ ულვაშების გარეშე და თვითონ სტალინი კი ისე მიყურებს, რომ თვალს არ მაშორებს და მუხ- ლებში სულ კანკალი დამაწყებინა...

**ლილი.** (შეშინებული) მართლა სტალინის შვილი იყო?

**ოთარი.** რა ვიცი, შვილო, ვინ იყო, მაგრამ ჩემი საქმები რომ იმ დღის მერე უკუღმა წავ- იდა, ეგ კი ნამდგილად ვიცი. სტალინს რომ ამას გაუკეთებ ქართველი კაცი, ღმერთი დაგსჯის, აბა რას გიზამს.

**ლილი.** კი მაგრამ, თქვენ ხომ არ იცოდით, ვინ იყო, ბატონო ოთარ?

**ოთარი.** მეც მაგას ვამბობ შვილო, სტალინის გოგოს რომ ვერ ამოიცნობ ამხელა კაცი, უარე- სის ღირსი არ ხარ?

**ლილი.** იქნებ არ იყო სტალინის შვილი?

**ოთარი.** ღმერთმა კი მაინც დამსაჯა და...

**ლილი.** და ღმერთმა როგორ დაგსაჯათ მა- შინ, ბატონო ოთარ?

**ოთარი.** მარტო მაშინ? ახლაც დასჯილი არა ვარ? ჭიქა ვერ ამინევია და ღვინო ვერ დამილე- ვია, თვალწინ სულ ის ხალხი მიდგას, ვინც ჩემს გათლილ კუბოებში წევს და სულ მაგათ სადლე- გრძელოებს ვსვამ...

**ლილი.** (აწყვეტილებს) ბატონო ოთარ, საქა- რთველოში რომ დაბრუნებულიყავით?

(ოთარი ნაირას გადახედავს)

**ოთარი.** ვცადე, მაგრამ ვერ გავძელი ერთი ქალის გარეშე და უკან დავბრუნდი.

(ლილიც ნაირას შეხედავს, რომელიც დარ- ცხვენილი და თავდახრილია და ოთარი კი ჯერ უკანა ოთახის კუნგაინევს თავს და მერე პირდა- პირ ნაირას მიმართავს და ისე გააგრძელებს)

აი, ეს წამოგიდე, რომ მითხარი ჩემი კირია მარია ზოგჯერ ძალიან კვნესისო, თავთან ჩამოუკიდე და როგორც კი შეხედავს, ისე დამშვიდდება, ისე დაწყნარდება...

(ნაირა რაღაცის თქმას დააპირებს საპა- სუხოდ, მაგრამ უკანა ოთახიდან არა ჩვეუ- ლებრივი კვნესის, არამედ ხავილის ხმა ისმის და ნაირაც სტალინის პორტრეტს ხელს დაავ- ლებს და კირიას საძინებლისკენ ისე გარბის. სცენაზე კი ბელდება და ისევ საქართველოში ვპრუნდებით, სადაც მები თავშეხვეულ მამას მოძღვრავენ)

**უმცროსი ძმა** — რამდენჯერ უნდა გად- მოვარდე და რამდენჯერ უნდა გამოვიძახოთ სასწრაფო?!?

**უფროსი ძმა** — ხომ ხედავ, რომ მომვლელი გჭირდება და ჩვენ კი მაგის დრო არა გვაქვს რომ შენ მოგხედოთ და იქნებ იმაზე გეფიქრა, რომ რაღაც გამოსავალი ვნახოთ.

**უმცროსი.** არ ჯობია, რომ სულ არ დალიო, თუკი ყოველი დალევის მერე, ასეთი ამბავი გემართება?

**უფროსი.** რომ არ არსებობდეს გამოსავა- ლი, კი ბატონო, მაგრამ მთელი კაცობრიობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ასეთ დროს ყველაზე სწორი გადაწყვეტილება თავშესაფარია.

(მამას თვალები ცრემლებით ევსება)

**უმცროსი.** ხომ ხედავ ნერვები რა დღეში გაქვს და სმას თუ ახლავე თავს არ დაანგებებ, მერე უკვე გვიანი იქნება, ალეოპოლიზმი ნარ- კომანიაზე ნაკლები ავადმყოფობა კი არ არის.

**უფროსი.** იქ თან გიმკურნალებენ, თან მო- გვივლიან და თან გაგარობდენ. სპეციალური პროგრამები აქვთ და შენი ასაკის და შენი თაო- ბის ხალხს გაიცნობ და ასეთი მოწყენილი აღარ იქნები.

**უმცროსი.** კი არ მეზარება. რომ არ სვამდე, ყველაფერს თავს დავანებებდი და მე თვითონ მოგხედავდი, მაგრამ აღარ დაამთავრე და რა ვქნა, მე რა მოგიხერხო.

**უფროსი.** შაბათ-კვირას ჩამოვალთ ხოლმე და შვილიშვილებს წამოგიყვანთ, ან შენ გვესტ- უმრე ხოლმე და ყველანი ისევ ერთად ვიქნებით.

**უმცროსი.** აქ მოგიყვანდით მომვლელ ქალს, მაგრამ დედაჩვენი წინააღმდეგია და არც გაემ- ტყუნება, ფული დოდომ უნდა უხადოს და ჩემს იჯახში სხვა ქალს არ გავაჩერებო.

**უფროსი.** სისუფთავეა და კვებაც ძალიან კარგია. სხვის მოყოლილს ხომ არ გეუბნები, ჩემი თვალით ვნახე. თანაც რაც გომბორი გაიხ- სნა, აქედან ერთი საათის გზაა, მეტი კი არა...

**უმცროსი.** კაცი მომვლელი მაინც არსე- ბობდეს, რომ დოდომ დაწყნარდებოდა იქ და შენც აქ მოგიყლიდა ვიღაცა და ჩვენც მშვიდად ვიქნებოდით და ხალხის სალაპარაკოც არ გავხ-

დებოდით.

**უფროსი.** ხალხმა თავის თავს მიხედოს და მაგათ ვინ ეკითხება, მე რას ვიზამ, ვითომ ჩემზე მეტად უყვარს რომელიმეს თავისი მშობლები?

**უმცროსი.** მეც გამიგია, რომ საზღვარგარეთ მშობლებს იმიტომ აპარებენ მოხუცების თავშესაფარში, რომ მათზე უკეთ იზრუნონ, მაგრამ ჩვენთან ხალხს სულ სხვა აზრი აქვს ამასთან დაკავშირებით.

**უფროსი.** სულ არ მაინტერესებს ხალხის აზრი და მე ხომ ვიცი, რომ მართალი ვარ და ლიმერომაც ხომ იცის, რომ მამჩემისთვის მხოლოდ სიკეთე მინდა.

**უმცროსი.** მაინც გვეკითხა, თვითონ რას ფიქრობს.

**უფროსი.** ტრანსპორტიც თავისი ჰყავთ, შენ არც შეგანუხებენ, თვითონ მოაკითხავენ და წაიყვანენ.

(ორივენი მამას მიუბრუნდებიან პასუხის მოლოდინში, მაგრამ მამა არაფერს ამბობს და მხოლოდ ტრირის. სცენაზე ბნელდება.)

როცა სცენა ისევ ნათდება, მოქმედება ისევ საბერძნეთში გადაინაცვლებს, სადაც პატარა სუფრაა გაშლილი, რომელსაც ლილი, ნაირა, დოლო და ოთარი უსხედან).

**ლილი.** იმ დღეს ისე შემეშინდა კირია მარია რომ ხრიალებდა...

**ნაირა.** კაი ერთი შენი ჭირიმე, მერამდენედ აკეთებს მასე, ზოგჯერ ამოიხრიალებს და სამი-ოთხი დღე წევს გაუნდრევლად. პირველად რომ ქნა მასე, მეც კი შემეშინდა, ვიფიქრე, მოკვდა-თქმ და ოთარს დავურევე, კუბო წამოიმძლ-ვანიე-მეთქი, მაგრამ მერე კი შევეჩვიო. შევავ-სოთ აბა!

(ნაირა დგება და ჭიქით ხელში სადლე-გრძელოს აპირებს)

**ლილი.** მე კი შიშისგან გული გამისკდა.

**ნაირა.** მოდით, ჩემო ძვირფასებო, ამ ჭიქით, ჩემი კირია მარიას თამადობით ჩვენს კირიებს გაუმარჯოთ. რაც ჩემს კირიას, ჩემი ნათესავებისთვის სიკეთე აქვს გაკეთებული, ლიმერომა მაგის ბერძენ ნათესავებს მისცეს. პატარებს ხომ სულ აქედან ვუგ ზავნი ყველაფერს და რაც ხაშურში შინშილას შუბები აცვიათ, აგერ ამ კარადაში მაქვს აღმოჩენილი.

**ლილი.** კირიამ ქურქიც გაჩიუქა?

**ნაირა.** ჩემ კირია მარიას ანი ნუტრია და შინშილა ალარაფერში გამოადგება და უარს მეტყოდა? რომც გაცოცხლდეს და აქვეც რომ გაიაროს, ამ საბერძნეთში ზამთარ-ზაფხულ ისე ცხელა, რომ ქურქები მაინც არაფერში ჭირდება და არ გამეგზავნა ნათესავებისთვის? ფაქტიურად მკვდარს ვუვლი და რაც ალარ ჭირდება, მე არ მეუუთვნის? ან ჩემი ყოფილი დედამთილისთვის, ერთი კაი საჩუქარი არ უნდა გამეეთე-

ბინა?

**ოთარი.** აქ ხომ ჭალი ეკიდა?

**ნაირა.** (არ აქცევს ყურადღებას და აგრძელებს) ქმარი იდიოტი შემხვდა, მაგრამ დედამთილმა რა დამიშავა, ჩემგან ერთი ლირსული საჩუქარი არ ეკუთვნოდა? რაც მე მაგისაგან სიკეთე მახსოვს. სულ ახალი გათხოვილი ვიყავი და დენი რომ არ იყო და სიცივისაგან ვიყინებოდით, მე და ჩემ ქმარს ლამე ლოგინში შემოგვინვებოდა ხოლმე გასათბობად. რომელი დედამთილი გაგიკეთებს ამას და ასეთ პატივისცემას გადახდა არ უნდა?!

**დოლო.** დალი თუ სვამ.

**ნაირა.** ბოდიში, მართლა გამიგრძელდა სიტყვა, მაგრამ ფაქტიურად მართლა მკვდარს ვუვლი...

**ოთარი.** (აწყვეტინებს) რა მკვდრები აგიტყდათ, ბაგშვს დაბადების დღე აქვს და მივულოცოთ!... გილოცავთ ლილი გენაცვალე, ხვალიდან უკვე სამსახურს იწყებ და ბევრი სიკეთე გქონდეს და ბევრი სიხარული.

**ლილი.** (კმაყოფილი) დოლო დეიდას წყალობით, სამსახური უკვე მაქვს.

**ნაირა.** სამსახური უკვე გაქვს და მალე იქნებ ერთი კარგი ადამიანიც შეგხვდეს...

**ოთარი.** ბერძენი?

**დოლო.** რატომ მაინცდამაინც ბერძენი?

**ნაირა.** იყოს ბერძენი, ქართველი კაცივით მაინც არ გილალატებს.

**ლილი.** მასე ეგონა მედეა-კოლხსაც, მაგრამ ბერძენი არ იყო იასონი, ცოლს რომ ულალატა?!  
**დოლო.** მთავარია კარგი ადამიანი იყოს!

**ნაირა.** მთავარია შენი ეშინდეს...

(უცებ ნაირას ხმა უწყდება შიშისა და გაოგნებისაგან, რადგან უკანა ოთახიდან ნელა, მაგრამ თავისი ფეხით გამოდის თმაგათეთრებულიდა გამარტარებული მოხუცი ქალი კირია მარია, რომელსაც ორივე ხელით (თავსზევით) სტალინის პორტრეტი უჭირავს და ძალიან უცნაური აქცენტით, მაგრამ ქართულად აგინებს შიშისაგან დადუმებულ ქართველებს. სცენაზე მაშინვე ბნელდება, კვლავ განათებულ სცენაზე კი საქართველოში ვპრუნდებით, სადაც ძმები ბოლოთას სცემენ და ოთახში ნერვიულად მიდი-მოდიან)

**უმცროსი ძმა.** ზუსტად რომელზე მოვალო?

**უფროსი ძმა.** თორმეტისთვისო.

**უმცროსი.** თორმეტი უკვე ხდება.

**უფროსი.** მოვლენ, ნუ ნერვიულობ.

**უმცროსი.** მაგის გამო არ ვნერვიულობ.

**უფროსი.** ნურაფერზე ნუ ნერვიულობ. გასაგებად აგიხსენი, რომ ეს მამაჩენისთვისაც უკეთესია.

**უმცროსი.** დედას რა უნდა ვუთხრათ.

**უფროსი.** დოლოს ჯერჯერობით არაფერი

არ უნდა ვუთხრათ და მამაჩივენი იქაურობას რომ მიეჩვევა და მოეწონება, მერე საბერძნეთში დავარეკინოთ და დოდოსაც თვითონ უთხრას ყველაფერი.

**უმცროსი.** რომ ვერ შეეჩვიო და არ მოეწონოს იქაურობა?

**უფროსი.** მოეწონება, ეგეთებს მოწონებით?...

(კარზე აკაკუნებენ და უფროსი ძმა კარს აჩქარებით აღებს. ოთახში უნიფორმაში ჩატმული ადამიანი შემოდის საბუთებით ხელში, რომელიც დამხვდურებს ესალმება)

**უმცროსი.** დაბრძანდით.

**უფროსი.** (კმაყოფილი) — თქვენ წარმომადგენელი ბრძანდებით?

**წარმომადგენელი.** დიახ, მაგრამ დასაჯ-ფომად არ გვცალია, გარეთ გველოდებიან და კიდევ ორ ადგილას უნდა გავიაროთ?

**უმცროსი.** (გაკვირვებული) სხვებიც არიან მსურველები?

**წარმომადგენელი.** მსურველი იმდენია, რომ წელს თუ არ გავფართოვდებით, ნამდვილად ვერ დავატევთ პმდენ ხალხს.

**უფროსი.** თქვენ ისეთი კარგი პირობები გაქვთ...

**წარმომადგენელი.** თვითონ სად არის?

**უმცროსი.** ოთახშია.

**უფროსი.** ახლავე გამოვა.

**წარმომადგენელი.** (ორივეს) რომელიმე შვილმა ხელი უნდა მომიწეროს, აი, აქ და აქ.

**უმცროსი.** მე ვერ მოგიწერთ.

**წარმომადგენელი.** რატომ, არ ხართ თანახ-მა?

**უმცროსი.** კი, მაგრამ ამან მოაწეროს, მაინც უფროსი ძმა ესაა.

**უფროსი.** მომეცი, მე მოვაწერ.

(უფროსი ძმა ენერგიულად აწერს ხელს ფურცლებს, რომლის წაკითხვას არც შეეცდება)

**წარმომადგენელი.** უკვე შეგვიძლია დავიძ-რათ.

**უმცროსი.** (უფროსი ძმას) მიდი, შენ გამოიყვანე.

**უფროსი.** ყველაფერი მაინც ჩემი გასაკეთე-ბელია ამ სახლში.

**უმცროსი.** უფროსი ძმა შენ ხარ და...

(უმცროსი ძმის ამ ფრაზის შემდეგ ამ პიესის

მომავალმა დამდგმელმა რეჟისორმა უნდა მი-იღოს გადაწყვეტილება და ამ პიესის ორი სა-ვარაუდო ფინალიდან, ამოირჩიოს ერთ-ერთი. პირველი საფინალო ვერსიის მიხედვით, უფრო-სი ძმა მამის ოთახში შედის და იქიდან მალე ხე-ლებგაშლილი და გაოგნებული ბრუნდება)

**უფროსი.** გაიპარა.

**უმცროსი.** როგორ?

**უფროსი.** ოთახში არ არის და ფანჯარა ღიაა.

**უმცროსი.** და ბარგი?

**უფროსი.** ბარგიანად გაქრა.

**წარმომადგენელი** — გაიქცა?

**უმცროსი.** (თითქოს გახარებული) ეგრე გამოდის.

**უფროსი.** შორს ხომ ვერ წავიდოდა.

**წარმომადგენელი.** ახლოსაც რომ იყოს, მო-ძებნას ხომ დრო უნდა, ჩვენ კი ძალიან გვაგვი-ანდება, ხომ გითხარით უკვე.

**უმცროსი.** კი ბატონო, თქვენ წადით, ჩვენ თვითონ მოვძებნით და შეგატყობინებთ.

**წარმომადგენელი.** ასაკში რომ შედიან, ბავშვებს ემსგავსებიან ხოლმე, თქვენ იქ უნდა ნახოთ, ზოგიერთები რეებს იგონებენ.

(წარმომადგენელი მიდის და სახლში მარტო დარჩენილი ძმები ერთმანეთს გადახედავენ).

**უფროსი.** მაინც სად წავიდოდა?

(სცენაზე ბეჭდება. განათებულ ავან-სცენაზე — მარტოდმარტო დგას მამა, რომელსაც ჩემოდანი გზისპირას ჩამოუდგამს თვითონ კი ხელის აწევით ცდილობს მანქანის გაჩერებას. ჩავლილი მანქანების ხმა კარგად ის-მის კარგა ხანს და ბოლოს იგი თავის ჩემოდანზე ჯდება დაღლილი და სწორედ მაშინ, როცა ხელს უიმედოდ ჩაიქნეს, რომელიღაც მანქანა დაა-ტორმუზებს. თუმცა, მანქანა საკმაოდ გასცდება მას და ამიტომაც მამა წამოხტება და სანამ სცენას დატოვებს და კულისებისკენ გაიქცევა, მაყურებელს ისე გაულიმებს, როგორც ეს, მხ-ოლოდ ბედნიერ ადამიანებს შეუძლიათ.

მეორე ფინალური ვერსია კი უფრო მძიმე და ტრაგიკულია — როცა ძმებს, მოხუცთა თავშესაფრის წარმომადგენელი ესტუმრებათ, მამის ოთახში შესული შვილები აღმოაჩენენ, რომ მამამ თავი ჩამოიხრჩო...

## ფარდა

# მონაცრეპული

## მოღვაწის

## გახსენება

### ვასილ კიკაძე

როსტომ ჩხეიძემ შურნალ „ჩევნს მწერლობაში (13. XII. 2013) გამოაქვეყნა ბიოგრაფიულ რომანად ჩაფიქრებული „საგა ვახტანგურის“ შესავალი ნაწილი.

ეს ფაქტი დიდად გამეხარდა, მაგრამ სინაზულის სევდაც შემომარვა გულს.

სევდა სინაზულისა, რომ მე რატომ აქამდე არ გამახსენდა ბატონი ვახტანგის სახელი, რომელთანაც მეგობრობა მეამაყებოდა და მის გვერდით თავს ბედნიერად ვთვლიდი. 1965 წლის 21 მაისს დღიურში ჩამინერია: „მახარაძეში (ოზურგეთში) ნავედით ვ. ჭელიძე და ნ. შვანგირაძე მეუღლესთან ი. მეგრელიძესთან ერთად, ლ. პაქაშვილი ნიჭიერი ყმანვილი ჩანს. საექტაკლის სანახავად ჩამოვედით. რა თბილია და ნამდვილი ჯენტლმენია ვახტანგ ჭელიძე. მასთან ყოფნა სიამოვნებაა მთელი დასვენება…“

აი, ასეთ კაცზე არაფერი დამინერია ჩემს მოგონებები. თუმცა, ჩემთან შედარებით, როსტომს უპირატესობაც აქვს. — ვახტანგი ოთარ ჩხეიძის უახლოესი მეგობარი იყო. როსტომ ჩხეიძემ არაერთ მოსანატრებელ მოღვაწეს მიაგო პატივი, წიგნები თუ სტატიები უძღვნა და დიდი შთაგონებით აღნერა მათი ცხოვრება. მიუჩინა თავისი ადგილი ისტორიაში, არავის არაფერი დააკლო, უფრო მეტიც, - მათ სულში დაფარული პოტენციალიც კი ამოხსნა და სამზეოზე გამოიტანა.

ვახტანგ ჭელიძე მისთვის განსაკუთრებულად ახლობელი იყო. მათ ურთიერთობას როსტომ ჩხეიძე ზუსტ ფსიქოლოგიურ მოტივაციას აძლევს. ჩვეული გულახდილობით გადმოგვცემს: „თავიდან გამიმნელდებოდა „ძიას“ შენაცვლება „ბატონოთი“ და ერთხანს ასეც მივმართავდი და ისეც... მერე თანდათან გამოვეთხოვე „ძიათ“ მიმართვას, თუმცა რა დამაშორებდა იმ დიდ სულიერ სიახლოვესთან, რომელსაც ბავშვობიდანვე განვიცდიდი მისადმი – რაც თვალი გამოვახილე, მის გვერდით მიხდებოდა გაზრდა და ყველაფერი ისეთი ბუნებრივი გახლდათ, ისეთი ძალაუტანებელი, რას ნარმოვიდგენი, რომ დადგებოდა დრო, როდესაც ვახტანგ ჭელიძისა და ოთარ ჩხეიძის მეგობრობა ლეგენდარულ სიღლასაც კი შეინდა შთამომავლობის თვალთახევდაში – როგორც მეგობრობა თევზო სახორციასი და შიო არაგვისპირელისა, დავით კრელიაშვილისა და ვასილ ბარნოვის, გერონტი ქიქოძისა და ლეო ქიაჩელის, პაოლო იაშვილისა და ტიციან ტაბიძის...“

სრული ჭეშმარიტება!.... კულტურის სამინის-



ტროში ერთად ვმუშაობდით მე და ბატონი ვახტანგი. მაშინ დავუახლოვდით ერთმანეთს. ჩემი უშუალო უფროსი იყო, ხელოვნების სამმართველოს ხელმძღვანელობდა, ყოველდღე ვხვდებოდით, შესვენებების საათებში ხშირად „ჩავიკეტებოდით“ და ცისა და ბარის ამბებს ვყვებოდით. მაშინ ქვეყანა დღევანდელივით არ იყო პოლიტიზირებული. ჩევნი საუბრის ძირითადი თემა თეატრი და მწერლობა იყო. კომუნისტებს ხშირად ვაგინებთ ხოლმე და მართლაც ბევრი რამ ჰქონდათ საგინებელი, მაგრამ 50-იანი წლებიდან მაინც სხვა ატმოსფერო იყო. კულტურის სამინისტრო ერთხანს მართლაც ქართული კულტურის ცენტრი იყო, რომელსაც ოცი წელი სათავეში ედგა დიდი კომპოზიტორი და მოღვაწე ოთარ თაქთაქიშვილი. გვერდით პოლიტიკური სიონალები ჰყავდა — სამინისტროში თავს იყრიდა ინტელიგენცია.

ვახტანგ ჭელიძე და მე ხშირად თეატრებში ერთად დავდიოდით ნარმოდგენების სანახავად. ვახტანგს მანქანა ჰყავდა და კარგადაც მართავდა (რამდენადაც შეიძლებოდა შემემწინა მანქანის არმცოდნეს), მაგრამ ერთხელ დიდ უბედურებას გადავურჩით. გორში წავედით სპექტაკლის სანახავად. ნარმოდგენის შემდეგ შეგვიპატიუქეს, ნახევარი საათი წავიხემსეთ და რადგან უკვე გვიანი იყო, თბილისში წამოვედით. გზაში ერთი თავიზე ელადებული მანქანა მოღილად, ფარები არ ჩააქრო, ვახტანგმა თქვა: გიუია, ეგ ოხერიო და უცებ ისის იყო ბატარა თხრლისკენ გადაიყვანა მანქანა, რომ მართლაც, ბევზზე გადავრჩით, ისე გიუივით ჩაგვიქროლა. ამან ვახტანგზე ძალან იმოქმედა, ამის შემდეგ უფრო შეანელა სიჩქარე. თბილის რომ მოვუახლოვდით, მოულოდნელად გვერდი გაგვირა მანქანამ და გაიცა. ხიფათიანად ვიმგზავრეთ, ამის შემდეგ ქალაქებარეთ ვახტანგის მანქანით თითქმის ალარ მიღწეავრია. მაშინ წესი იყო, რომ თეატრს სამინისტროსთვის უნდა „ჩაებარებინა“ სპექტაკლი. სამინისტროს უნდა მიეცა საჯაროდ ჩვენების უფლება სამსატვრო საბჭოსთან ერთად. ამის გამო წლების განმავლობაში სულ მივლინებებში ვიყავი, ხან მანქანით, ხან მატარებლით, ხან თვითმეტრინავთ მივდიოდით ქალაქებში სპექტაკლების „მისაღებადად“. დღემდე უსიამოვნობ მაზონდება თბილისიდან თელავში ერთ-ერთი გაფრენის ამბავი, როცა თვითმეტრინავი ისე მიფრინავდა, როგორც სოფლის უასფალტი გზაზე ოლორშიოლ-როებში მიდის ხოლმე ქველი მანქანა, მაგრამ ვახტანგ ჭელიძესთან ერთად მგზავრობა ყოველთვის

სასიამოვნო იყო.

ვახტანგ ჭელიძემ წარმატებით თარგმნა შექმნის პილის პილები. ამ მხრივ, იგი დიდი ივანე მაჩაბლის ღირსეული მემკვიდრე გახლდათ. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ მან მარაბელზე სქელტანიანი მონოგრაფია დაწერა. ეს არის ფუნდამენტური ნაშრომი. მას ეკუთვნის არაერთი მეცნიერული გამოკვლევა, კრიტიკული სტატია და ესსე. სტატიების კრებულს პრესაში (გაზ. „თბილისი“) გამოვეხმაურე. მისი ყოველი შრომა გამოიჩინა ინტელიგენტური ზომიერებით, თუმცა, თავის რჩევას მტკიცედ იცავდა. მაგ.; მიაჩნდა, რომ ზაქარია ფალიაშვილი ქართული მუსიკის რუსთაველია, - თავის მოსაზრებას მტკიცე არგუმენტებით ასაბუთებდა. ვ. ჭელიძეს პრონციპული პოზიცია ეკავა რუსთაველის თეატრის კონფლიქტის დროს. დოდო ალექსიძის და მისი თანამოაზრების პოზიციას იცავდა. როცა კულტურის მინისტრს — თენგიზ ბუაჩიძეს რუსთაველის თეატრის დირექტორმა უთხრა: დოდო ალექსიძე, როგორც სამხატვრი ხელმძღვანელი, თეატრს ვერ უძლვება და სარეჟისორო კოლეგის შექმნა მოითხოვა, ვ. ჭელიძემ პკითხა:

- კოლეგის თავმჯდომარე ვინ იქნება?
- მე.
- თქვენ ვერ იქნებით დოდო ალექსიძისა და მიხეილ თუმანიშვილის ხელმძღვანელი — მოკლედ და პირდაპირ უპასუხა პ-ნა ვახტანგმა დ. კიტიას.

თეატრში ყოველ კონფლიქტს აქვს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები, რთულ სიტუაციებში არაერთხელ მომხდარა, როცა თეატრში დაპირისპირებულ ორივე მხარეს აქვს თავისი სიმართლე. არ არის თეთრი და შევის ტრადიციული სქემა. ასეთ დროს სიტუაცია მეტ დრამატულ იერს იძენს. მაშინ, როცა ერთი მხარე მართალია და მეორე — არა, — გამოსავლის პოვნა უფრო ადგილია, მაგრამ სულ სხვა, როცა ორი სიმართლე უპირისპირდება ერთმანეთს. მაშინ დრამატული კოლიზიები თითქმის გარდაუვალია.

როსტომ ჩეჩიძე საგანგებოდ გამოყოფს გერონტი ქიქოძის ფაქტორს ვ. ჭელიძის თვალსაწინერში. ეს შემთხვევითი არ არის. ისინი ბევრ რამეში მართლაც ჰგავდნენ ერთმანეთს. „ისე გაჰყურებდა გერონტი ქიქოძის ლანდს, თითქოს ეს მოვალეობა უშუალოდ მისგან გადმოებარებინოს, მის სხვა პიროვნულ თვისებებსა და შტრიხებსაც რომ წარმოაჩინს. გასაოცარია, როგორ ემთხვევა არაერთი მათგანი ვ. ჭელიძის ხასიათის გამოვლინებებს, შესაძლოა თვითონაც გრძნობდა ამ მსგავსებას, შესაძლოა ამ მხრივ არ შეუდარებია, მაგრამ რაც შევთოვ და მიმზიდველი ეჩვენება გერონტი ქიქოძის არსებაში, მასაც ზუსტად ესადაგება, თითქოს ავტოპორტრეტს ქმნიდეს“. აქვე ზუსტი მინიშნებაა, რომ გერონტი ქიქოძეს „არისტოკრატია“ არასოდეს უთამაშია. ბუნებით იყო არისტოკრატიო — ერთ უმთავრეს ნიშნად ამასაც რომ მოიხსენიებს მისი პორტრეტის სრულყოფისას. განა თვითონაც თვალსაჩინო ნიმუში არ გახლდა, თუ რას გულისხმობს ბუნებით „არისტოკრატი?“. ვახტანგ ჭელიძე, მართლაც თავის წერილებს ჰგავდა, - „ნათელი, სადა, ბრძნები, ლალი, კეთილმოსურნე და მუდამ სასურველი“. ძნელია გადაჭრით თქმა: „დროს მოაქვს

ჯენტლმენი, ზომიერი და კეთილი მოღვაწეები, თუ ბუნების რაღაც იდუმალი შინაგანი კანონზომიერება არსებობს, რომ ისინი იმ ეპოქაში უნდა გაჩენილიყვნენ. მათა არსებობის თვით ფაქტსაც კი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა„.. ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ თეატრში (და საერთოდ ხელოვნებაში) გმირები გაქრნენ, გაფერმკალდნენ. მათ ჩანაცვლათ უბრალო, ჩვეულებრივი, ე.წ. „სტანდარტული ადამიანები“. გმირები რომ ქრებიან, ორიენტირები და კრიტერიუმებიც იცვლება. ყველას ყველაფერი შეუძლია, რადგან ყველანი ერთმანეთს ჰყვანან. ფილოსოფოს ბერდიაევის აზრით, დემოკრატია მტერია კულტურისა, რადგან კულტურა დათებრივი კულტის საწყისიდან მოდის, ხოლო დემოსი მას დაბლა, თავისკენ ეწვევაო.. მახსოვეს, ერთხელ, გერონტი ქიქოძე თეატრალურ ინსტიტუტში მოვიწვიეთ სტუდენტებთნ შეხვედრაზე. დამამახსოვრდა მისი სიტყვები, რომ ხელოვნებას ქართხლები უფრო უხდება, ვიდრე სარწყულის შეფეხბიო. ეს შეხედულება რაღაცით გვაგონებს მოარულ აზრს, რომ თითქოს დიდ ხელოვნებას დიდი იმპერიები ქმნიან.

ასე არ ხდება ყოველთვის! პატარა ანტიკურმა საბერძნეთმა ერთხანს მთელი ევროპული კულტურა განსაზღვრა.

დიდი მოვლენა იყო ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ ტომეულების გამოსვლა. მთელ თაობებს სამაგილო წიგნად ჰქონდათ. მან ქართველ ხალხს ხელახლა გააცნო საქართველოს ისტორია, მაგრამ უკვე მხატვრულად და საოცარი უშუალობით მოუთხრო თავისი ქვეყნის თავგადასავალი.

ვახტანგ ჭელიძემ დიდი და რთული ცხოვრების გზა განვლო. ერთს კი არა, სამ-ოთხ კაცს ეყოფა სადიდებლად. რაც მან, ერთმა კაცმა გააკეთა, ცალკალკე საუბრის თემებია:

ვახტანგ ჭელიძე — რედაქტორი — („ცისკარი“, „ლიტერატურული საქართველო“).

ვახტანგ ჭელიძე — შექსპირის პიესების მთარგმნელი

ვახტანგ ჭელიძე — მკვლევარი, პუბლიცისტი და სხვა.

ამბობენ: ახლობელი რომ კვდება, მასთან გატარებული ჩვენი წილი სიცოცხლის ნაწილიც კვდებაო.

მაინც დიდხანს ვიცოცხელე, იმდენი ახლობელი ადამიანი დავკარგე. ყველამ წაილო ერთად გატარებული სიცოცხლის ნაწილი.

როგორ სჭირდება დღეს საქართველოს ვახტანგ ჭელიძის მსგავსი ინტელიგენტი, ინტელექტუალი, უანგარო მოღვაწე.

თანამედროვე გაბოროტებული და აგრესიული საზოგადოების ფონზე ვახტანგ ჭელიძის სახელის გახსენება იმედის სხივით ანათებს ჩვენს სულ. ყველას მოვალეობა, გავუფრთხილდეთ მის უწინევლო სახელს, რომელსაც სძულდა ყოველგვარი ინტრიგები და კონფლიკტები.


ბატონი ვახტანგი ქართული კულტურის ნამდვილი არისტოკრატი იყო.

# ქრონიკა


## მემორიალური დაფა

ახალი წლის წინა დღეებში, მარჯვანიშვილის მოედანზე, იმ სახლის გედელზე, რომელშიც ცხოვრობდა დიდი ქართველი მსახიობი ოთარ მელიონიუჩეცები, ჩატარდა მემორიალური დაფის გახსნის ცერემონიალი.

მემორიალური დაფის გახსნის ცერემონიალზე ოთარ მელიონიუჩეცების დიდებულ დაწლზე ქართული თეატრისა და კინოს ისტორიაში ისაუბრებს: პროფესიონალური კინაძემ, სოს თამჯდომარის პირველმა მოადგილემ სანდორ მერკლიშვილმა, კინორეჟისორმა ელდარ შენგელიამ, თბილისის ყოფილმა მერმა გიგი უჯულავამ, ალ გრიბოედოვის თეატრის დირექტორმა ნიკოლოზ სვენტიცებიმ წაიკითხა მის. შედეგის წერილი ო. მედვინიუჩეცების მუშალის, გურანდა გაბუნიასადმი.



## მსახიობის ხსოვნა



25 იანვარს დ. აღმაშენებლის გამზირზე №147 სახლის კედელზე გააკრეს მემორიალური დაფა, რომელიც გურამ საღარაძის სახელის უკვდევებულის ეძღვნება. დაფის გაკვრის ცერემონიალი გახსნა ქ. თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა სეკრეტერიატი, გურამ საღარაძის დაწლზე ქართულ თეატრალურ ხელოვნებისა და მხატვრული კითხვის განვითარებაში ისაუბრებს პროფესიონალური გასილ კინაძემ, რუსთაველის თეატრის მსახიობმა ჯემალ დაღანიძემ და სხვ.

იმავე დღეს საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა გურამ საღარაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გ. საღარაძის მიერ შესრულებული როლები, ფოტოებზე ასახულია გ. საღარაძის, როგორც მხატვრული კითხვის დიდოსტატის, ჩინებული ფოტომასლა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშ-არაძა, ფეხაზეის კულტურის მინისტრმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტების დამიტრი ჯავახიშვილმა და სხვა გამომსვლელებმა მაღლი შეფასება მისცეს დიდებული გურამ საღარაძის შემოქმედებას, ხოლო მარინ საღარაძეს გულითდი მაღლობა მოახსენეს გამოფენის ორგანიზაციაში გაწეული დაწლისათვის.

## მიხეილ ჭავჭავაძის გამოფენა

დეკემბერში რუსთაველის სახელობას სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოეწყო საქართველოს დაშსახურებული მხატვრის, მიხეილ ჭავჭავაძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოფენა.

შესანიშნავი ხელოვნი გაიხსენს: თემო გოცაძემ, სანდორ მრევლიშვილმა, მერაბ გევამ, ნათელა არველაძემ, მისმა ვაჟმა – დავით ჭავჭავაძემ და სხვებმა. მათ ისაუბრეს მიხეილ ჭავჭავაძის შემოქმედებაზე. აღნიშეს, რომ მოს ჭავჭავაძის თეატრალური მოღვაწეობა ერთ-ერთი თვლისაჩინო ფურცელითაგანა ქართული თეატრის ისტორიაში და რომ მისი სცენოგრაფიული („გურულები“, „სამანაშვილის დედისაცვალი“, „ბერსარდა ალბას სახლი“, „სუყვარული თელებქეში“, „ხდი“, „როლ დამწეული გოგონასათვაზე“ და სხვ.) ესკაზება გამოიჩინა მრავალუროვნებით, სცენური სივრცის გონივრული გაზრებით, დაწვეშილი გემონებით, მათში იგრძნისეული თხრობის თავისებური ხილვა...

გამოფენაზე მოსულმა საზოგადოებამ ერთხმად აღიარა, რომ მიხეილ ჭავჭავაძის სცენოგრაფიას განსაკუთრებული აღილი უკავია ქართული თეატრის ისტორიაში.



## თეატრალური ლიტერატურა

# „ქმნა მართლისა...“

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნა ხმელსა ნედლად.“

„ვეფხისტყაოსანი“

### გიორგი ცაიჭიშვილი

რაც უფრო მეტად ვშორდებით ამა თუ იმ მოვლენას, მით უფრო მეტი ინტერესი გვიჩინდება მის მიმართ. წლები უკანმოუხე-დავად მიჰქრიან. დროთა განმავლობაში, თითქოს უამრავ რამეს ვიგებთ, ვეცნობით, კითხულობთ, ხანდახან მოულოდნელადაც კი აღმოვაჩინთ ახალ-ახალ წყაროს... მაგრამ მიუხედავად ამისა (პარადოქსია), უფრო და უფრო მეტი პასუხებაუცემელი კითხვა გვიჩინდება... საბოლოოდ, იმასაც აღმოვაჩინთ, თურმე არც ისე ბევრი რამ გვცოდნია.

რა ვიცით ჩვენ თუნდაც XX საუკუნის ლეგენდარულ ქართველ მსახიობ უშანგი ჩხეიძეზე?... თითქოს, ბევრი რამ. მაგალითად, მისი ოფიციალური ბიოგრაფია, შემოქმედება; თეატრსა და კინოში განსახიერებული როლები; პიესა „გიორგი სააკაძე“; მონოგრაფიული თხზულებანი: „ათი წელი კოტე მარჯანიშვილთან“, „კოტე მარჯანიშვილი რეჟისორი და ხელმძღვანელი“; მემუარული ჩანაწერები, ჩანახატები; მისი ხმის აუდიო ჩანაწერები... და კიდევ ის, რომ მსახიობი დიდ სცენაზე მხოლოდ 10-11 წლის მანძილზე იდგა... თუმც, ქართული თეატრის ისტორიაში მაინც სხვათაგან გამორჩეული ადგილი დაიკავა... ყველას გაგვიგონია ისიც, რომ მოულოდნელად უცნაური, აუხსნელი სენი შეეყარა, ე.ნ. „სცენის შიში“!.. ამის შემდეგ, კიდევ 20 წელი იცოცხლა, თუმც სცენაზე არც ერთხელ აღარ გამოსულა... ესაა და ეს!.. არის რაღაც საიდუმლოების ბურუსით მოცული უ. ჩხეიძის სნეულების ამბავში... მართლაცდა, რა იყო ეს?!.. მართალია ყოველივე ის, რასაც წლების მანძილზე ჩაგვჩიჩინებდნენ, თუ ესეც ლეგენდის ნანილია?!.. იქნებ, მართლაც სერიოზული ფსიქიური პრობლემები ჰქონდა?!.. ან იქნებ, როგორც არაერთგზის მომხდარა ჩვენში, მავანთათვის არასასურველი ამ გზით ჩამოიშორეს?!..

ალბათ, დღეს შეუძლებელიც კია ყველა ამ კითხვაზე ობიექტური პასუხის გაცემა. არ-სებობს მეორე საშიშროება; ახლა უკვე სხვა ტიპის, აბსოლუტურად საწინააღმდეგო ხა-სიათის ლეგენდა არ შევთხზათ; არარსებული შეთქმულება არ გამოვიგონოთ და უ. ჩხეიძეს მსხვერპლის როლი არ დავაკისროთ!.. ამიტომ, მე მაინც მგონია, ზომიერების დაცვა გვმართებს; ამასთან, არსებული საარქივო დოკუმენტების ძირფესვიანი შესწავლა-გაან-ალიზება; ვფიქრობ, ადამიანთა ნაამბობს, მათეულ ვერსიებსა თუ მოგონებებს, უამელა-ციონდ არ უნდა ვენდოთ; სამწუხაროდ, ნებ-სით თუ უნდღიერ, სხვადასხვა მიზეზთა თუ მოსაზრებათა გამო, ძალზე ხშირად ისინი სი-მართლეს არ ამბობენ...

ძალიან საინტერესო, საგულისხმოა ის გზა, რომელიც მწერალმა და კრიტიკოსმა, როსტომ ჩხეიძემ აირჩია. თავის ბიოგრაფიულ რომანებში, იგი ერთგვარ მხატვრულ-დოკუ-მენტურ სტილს ირჩევს და მკითხველს ამა თუ იმ მოვლენის, ცნობილი ადამიანის ცხოვრები-სა თუ მოღვაწეობის თაობაზე საკუთარ ვერსიას სთავაზობს. ამჯერად ყურადღება უშანგი ჩხეიძეზე შეაჩერა. თითქოს, ლეგ-ენდარული მსახიობის შინაგან მონოლოგს ვეცნობით. წიგნის ავტორს იმდენად ზედმიწ-ევნით, სკრუპულობურად შეუსწავლია არსე-ბული მასალა, იმდენად კარგად გაუაზრებია და განუცდია ყოველივე, რომ მოქმედ პირთა ნაფიქრალისა თუ განცდილის მისეული ვერ-სიის უტყუარობაში, ნამდვილობაში ეჭვი არ გვეპარება. არა მხოლოდ უ. ჩხეიძის, არამედ სხვების (მაგალითად, კოტე მარჯანიშვილის) ზუსტი ფსიქოლოგიური პორტრეტები მკითხ-ველის გაუნდებელ ინტერესს იწვევს. ძალზე საგულისხმოა ისიც, რომ „გად-ამწვარი მზის“ ავტორმა, უშანგი ჩხეიძის ბიოგრაფიული ნატეხები უწოდა თავის ნა-

მუშევარს. თითქოს თავიდანვე ერთგვარი წინასწარი განაცხადის სახით გვამცნო ის, თუ კითხვისას რასთან გვექნება საქმე. წიგნის პირველი მონაცემთი მისი მთავარი გმირის ცხოვრების იმ ეტაპს გვამცნობს, როდესაც გიმნაზიის დასრულების შემდეგ იგი მთელი არსებით გაიტაცა თეატრალურმა ხელოვნებამ; ესაა უ. ჩხეიძის პირველი, სამოყვარულო ნაბიჯები სცენაზე; შემდეგ გიორგი ჯაბადარის თეატრალური სტუდია; ამას მოსდევს ხან სად და ხან სად გამართულ (მათ შორის ავჭალის კლუბში), სახელდახელოდ მომზადებულ წარმოდგენებში განსახიერებული როლები; მერე, ვეცნობით რუსთაველის თეატრის სცენაზე გატარებულ ყოვლად ულიმდამო, არტისტისთვის არაფრის მომცემ ხანას... და აი, 1922 წელი!.. რუსთაველის თეატრში მოდის რუსეთიდან დაბრუნებული კოტე მარჯანიშვილი... რ. ჩხეიძე დიდი ექსპრესით, სახიერად წარმოაჩენს არა მხოლოდ დიდი ქართველი რეჟისორის შემოქმედებით თუ პიროვნულ თვისებებს, არამედ იმხანად რუსთაველის თეატრში მიმდინარე ძიებების, განახლების, გარდაქმნის ურთულეს პროცესს. სრული სამი წელი არც დასჭირვებია, ყველაფერთან ერთად, ნიჭიერების ამოცნობის გასაოცარი, უტყუარი ალლოთი დაჯილდოებულ მარჯანიშვილს, რომ ყველა-საგან (უპირველეს ყოვლისა, კი თავად მსახიობისაგან) მოულოდნელად, უშანგი ჰამლეტის როლზე დაემტკიცებინა.

როსტომ ჩხეიძე დაწვრილებით, თანმიმდევრულად, თითქმის ამომწურავად წარმოგვიდგენს, უფრო სწორად, ჩვენს წარმოსახვაში აცოცხლებს დანიის უფლისწულის სცენურ, მხატვრულ სახეზე მსახიობისა და რეჟისორის ერთობლივი მუშაობის გასაოცარ პროცესს; ამასთან, სპექტაკლის ზოგიერთ მიზანსცენას თვალნათლივ, ცხადად დაგვანხებს. აქვე, აუცილებლად მიმაჩნია აღვნიშნო ისიც, რომ ავტორი განზრახ, შეგნებულად არ მიჰყება ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას. კერძოდ, ჰამლეტის (1925 წელი) შემდეგ, მას საუბარი გადაქვს უ. ჩხეიძის მიერ განსახიერებულ ისეთ მნიშვნელოვან როლებზე, როგორებიცაა ურიელ აკოსტა და ყვარყვარე თუთაბერი (ორივე, 1929 წელსაა შექმნილი); ისევე, როგორც წიგნის დასაწყიში, რ. ჩხეიძე მთავარ გმირს პირველად 1919 წელს შეგვახვედრებს და არა XIX საუკუნის მიწურულს, როდესაც იგი დაიბადა; ანუ, უშანგიზე საუბარი იწყება იქიდან, როდესაც ის უ. ჩ. „სცენის მტცერით“ „მოინამლა“; ამ-

დენად, წიგნის ავტორისათვის არა მშრალი, სკრუპულოზური ქრონოლოგიური თანმიმდევრობის წარმოჩენაა უმთავრესი ამოცანა, არამედ ლეგენდად ქცეული ქართველი მსახიობის შემოქმედებითი ბიოგრაფიის უმთავრესი ეპიზოდების გაცოცხლება. სწორედ ამის გამო, იგი ტოვებს ოთხნლიან პერიოდს. თუმც, არ ივიწყებს 1926 წელს მომხდარი კონფლიქტის შედეგად კ. მარჯანიშვილის რუსთაველის თეატრიდან წასვლის უმნიშვნელოვანეს ფაქტს. რეჟისორმა ორი წელი უთეატროდ გაატარა, კინოში იმოღვაწევა. რუსთაველის თეატრს კი ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი ჩაუდგა სათავეში. აქვე დავსძენ, რ. ჩხეიძის წიგნს ბუნებრივია ეს არ ეხება, მაგრამ ქართული თეატრის ისტორიაში დღემდევა შემორჩენილი ერთი დიდი, ლამის მითად ქცეული ტყუილი. თითქოს, 1926 წელს, რუსთაველის თეატრიდან წამოსულ, განაწყენებულ მარჯანიშვილს თან წამოყვა მსახიობთა ერთი ჯგუფი, რომლებთან ერთადაც რეჟისორმა 1928 წლის ნოემბერში შექმნა ახალი, ქუთაის-ბათუმის (ამჟამინდელი მარჯანიშვილის) თეატრი. სინამდვილეში, რუსთაველის თეატრიდან წამოსულ მარჯანიშვილს უკან არავინ (მათ შორის, არც უ. ჩხეიძე) გამოჰყოლია. უფრო მეტიც, ყველა იმ მსახიობმა (ვერიკო ანჯაფარიძის გარდა), ვინც ამ ამბიდან ორი წლის შემდეგ, ქუთაის-ბათუმის თეატრში გააგრძელა მოღვაწეობა, ორი თეატრალური სეზონის განმავლობაში, რუსთაველის თეატრში, ახმეტელისა და სხვა რეჟისორების მიერ დადგმულ სპექტაკლებში წარმატებული როლები განასახიერა. მათ შორის უ. ჩხეიძემ აჯანყებული სამხედრო კრეისერის („ავრორა“) მეზღვაურთა თავკაცის, არტიომ გოდუნის მასშტაბური მხატვრული სახე შექმნა სანდრო ახმეტელის მიერ განხორციელებულ საეტაპო წარმოდებაში „რღვევა“ (პიესის ავტორი - ბორის ლავრენიოვი. 1928 წ.). იმჟამინდელმა პრესამ მსახიობის ეს ახალი ნაუშევარი, სავსებით სამართლიანად, წარმატებულად ჩათვალა. რაც შეეხება ვ. ანჯაფარიძეს, მან უბრალოდ ახმეტელთან პირადი კონფლიქტის გამო დატოვა იმხანად რუსთაველის თეატრი და არა მარჯანიშვილის სოლიდარობის გამო.

რა თქმა უნდა, ურიელი და ყვარყვარე, ისევე როგორც ფრანგესკო ჩენჩი, კვეუნაძე თუ იაგო, ძალზე მნიშვნელოვანია უ. ჩხეიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. თუმც, ვფიქრობ, მათ რიგში მოსახსენებელია გოდუნიც, რაც, სამწუხაროდ, ალბათ გარკვეული

მოსაზრების გამო, წიგნის ავტორმა შეგნებულად არ ჩათვალა საჭიროდ. იქნებ, მას სურდა ამით მსახიობის თავისი აღმზრდელი პედა-გოგისადმი ბოლომდე ერთგულებისათვის გაესვა ხაზი. მაგრამ ერთი რამ უდავოა. ძალზე ძნელია ცალსახად, უპირობოდ დავყოთ საზოგადოება ზნეკეთილ, კეთილშობილ და სულმდაბალ, ორპირ ადამიანებად. ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად ცოდვილნი ვართ, მით უფრო, როდესაც საქმე ხელოვანს ეხება, თავისი შინაგანი წინააღმდეგობებით, ურთიერთგამომრიცხავი ზრახვებით, სურვილებით, საქციელებით, დაუნდობელი, სასტიკი ინტრიგებით, რომლითაც ასე მდიდარია არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო თეატრის ისტორია. შემთხვევითი არც მესამე თავის სახელწოდება („ოჰ, შენცა ბრუტოს!“) მგონია. მაინც, რა უმაღურნი აღმოჩნდნენ მონაფები მასწავლებლის მიმართ?!.. ჯერ იყო და რუსთაველის თეატრი დაატოვებინეს (1926 წ.) მარჯანიშვილს; თეატრი, რომელიც სულს ღაფავდა და მან არა მარტო ფეხზე დააყენა, არამედ იმხანად თანამედროვე მსოფლიო სათეატრო ხელოვნების მიღწევებამდე აამაღლა; მერე საკუთარი დაარსებული თეატრიდან გააძევეს (1933 წ.)... ორივე შემთხვევაში, ვიღაც აქტიურად ებრძოდა, ვიღაც კი დუმდა, მაგრამ არ იცავდა, მხარში არ ედგა. პირველ შემთხვევაში, სანდრო ახმეტელი დუმდა, მეორეში კი — უშანგი ჩხეიძე. ამას თავად რ. ჩხეიძე აღნიშნავს საქსებით სამართლიანად. ეტყობა, ესეც ერთგვარი ცხოვრებისეული შეუქცევადი კანონზომიერებაა. დგება ჟამი, როდესაც ის, ვინც ფეხი აგადგევინა, სრულიად ზედმეტი ხდება შენთვის; ისიც უმალ დავინებას ეძლევა, რომ რასაც მიაღწიე, სწორედ იმ ადამიანის წყალობით მიაღწიე, შეძელი, ვისაც დღეს უსარგებლოდ, გამოუსადეგარად მიიჩნევ. ჩნდება იმის შეგრძნებაც, რომ ყველაფერს თავად, სხვის დაუხმარებლად მიაღწიე. უკვე გაღიზიანებს, როდესაც პატარა ბავშვივით შენიშვნას გაძლევენ, გტუქსავენ, გეჩხუბებიან, ჭყუას გარიგებენ... ბოლოს და ბოლოს, სახელი და აღიარება გაქვს მოპოვებული. თავად შეგიძლია გახდე შენი თავის უფალი!.. თეატრის ხელმძღვანელიც... ვფიქრობ, ყოველივე ზემოხსენებული, მეტ-ნაკლებად კ. მარჯანიშვილის მიერ აღზრდილ, პროფესიულ გზაზე დაყენებულ ყველა რეჟისორსა თუ მსახიობში იჩენს თავს. თავად, უ. ჩხეიძეც კი, მოგვიანებით, თავის მემუარულ ნამოღვანარში, მართალია უდიდესა მოწინებით მოიხსე-

ნიებს დიდ ქართველ რეჟისორს, თუმც თავს ვერ შეიკავებს და... აქა-იქ მაინც გაკრთება... არა, კი არ გაკრთება, ხაზგასმით ითქმება, ესა თუ ის როლი, ესა თუ ის სცენა, ეპიზოდი, დამოუკიდებლად, უმარჯვანიშვილოდ, მე თვითონ შევთხეო... ამგვარი ფრაგმენტები მსახიობის მოგონებებიდან, წიგნში აკი მოხმობილია კიდეც. თავისთავად, ბუნებრივად მიჩნდება კითხვა, იმ ავადსახსენებელ კრებაზე, როდესაც მარჯანიშვილს მისმა მონაფეებმა მართლაც სასამართლო პროცესი მოუწყვეს, რატომ არ ამოილო ხმა უშანგიმ?!. არადა, მას საკუთარი, ურყევი ავტორიტეტის გამო, სიტყვა, მართლაც ეთქმოდა. ისიც ვიცით, საჭიროების შემთხვევაში, როგორი მგზნებარებით, გააფთრებით შეეძლო იმის მხარში დგომა, ვისაც დახმარება ესაჭიროებოდა. მაგალითისათვის გავიხსენოთ, როგორ დაიცვა მან დოდო ანთაძე... კი მაგრამ, ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, მთელი ქართული თეატრისათვის და თავად მისთვის, განა კოტე უფრო მეტი არ იყო, ვიდრე დოდო?!

ყოველივე ის, რაც ზემოთ აღვნიშნე, შეიძლება საკამათო იყოს. თუმც, ეს ჩემი მოსაზრებაა, თანაც იმაზე დაყრდნობით, რაც ვიცით, ალბათ არც თუ მთლად უსაფუძვლო. მთვარი კი ისაა, რომ საფიქრალის საღერღელს სწორედ „გადამზვარი მზე“ აგვიშლის. ესეც ავტორის დამსახურებად მიმაჩნია. ყველას კარგად მოეხსენება: არის წიგნი, რომელსაც წაიკითხავ თუ არა, გულგრილად გადადებდა, ალბათ, არც აღარასოდეს მიუბრუნდები. რ. ჩხეიძის ნაწარმოებში რეალური, ცოცხალი ადამიანები მოქმედებენ, თავიანთი ფიქრით, წუხილით, განცდებით... აქ, ადრე ჩადენილი საქციელისათვის არც დაგვიანებული სინდისის ქენჯნა თუ მტკიცნეული მონანიებაა უცხო ხილი.

ალბათ, მოსახდენი მაინც უნდა მომხდარიყო. თავის სამშობლოში თეატრიდან მეორედ გამოძევებული მარჯანიშვილი მოსკოვში, ტვინში სისხლის ჩაქცევით უნდა გარდაცვლილიყო. საქართველოში ჩამოსვენებული მისი ფერფლით სავსე ურნასთან მგზნებარე, მხურვალე, მაღლიერებით აღსავსე სიტყვები უნდა წარმოეთქვათ და გლოვის ნიშნად ცრემლი ეღვარათ იმათ, ვინც იგი სიკვდილის პირას მიიყვანა. იმავე 1933 წელს, დიდი რეჟისორის გარდაცვალებიდან 4 თვის შემდეგ, უკვე მისი სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად უ. ჩხეიძე დაინიშნა. ძალზე საგულისხმოა ის ვერსია, რომელსაც რ. ჩხეიძეს დაინიშნა არა მართალია უდიდესა მოწინებით მოიხსე-

ეიძე გვთავაზობს. ვფიქრობ, ნიადაგს მოკლებული არ უნდა იყოს ის ამბავი, რომლის მიხედვითაც ლეგნდად ქცეული მსახიობი თეატრის ხელმძღვანელობას ცხრა თვის შემდეგ ჩამოაშორეს. ამ თეატრის იმჟამინდელ ყოფაში საბედისწეროდ ფიგურირებს ე.ნ. „ზესტაფონური სამეული“ (ეს გამოთქმა კ. მარჯანიშვილს ეკუთვნის). იყო მეოთხე ზესტაფონელიც (სერგო ზაქარიაძე), რომელიც მაშინ ძალზე ახალგაზრდა გახლდათ და, ამდენად, არც როგორც მსახიობს და არც როგორც პიროვნებას არ გააჩნდა ჯერ საკმაო ავტორიტეტი. ამიტომ, თეატრის მომავალს მას არავინ უთანხმებდა. მაშინ, უკიდურესად შევინროებული რეჟისორი სამეულში უშანგი ჩეხეიძეს, დოდო ანთაძესა და შალვა ლამბაშიძეს გულისხმობდა. როცა მას აგდებდნენ თეატრიდან, საბრალდებო სიტყვა ყველას სახელით შალვამ წარმოთქვა. უშანგი და დოდო დუმდნენ. შემდეგ უშანგის ჯერი დადგა და ფსიქიატრისაგან სასურველი ცნობის მისაღებად დოდომ შალვას ავტორიტეტიც გამოიყენა...

მართლაც, რბილად რომ ვთქვათ, გამაოგნებელია, აღმაშფოთებელია ის გულგრილობა, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ იმხანად გამოავლინა უ. ჩეხეიძის მიმართ. ამ მასშტაბის, პოტენციის მქონე მსახიობი, თითქმის ოცი წელი სცენაზე არ გამოსულა; ეს ხდებოდა ყველას თვალწინ და არავინ, მათ შორის მისმა კოლეგებმა, არანაირი ქმედითი ნაბიჯი არათუ ვერ გადადგეს. ესეც მორიგი ქართული პარადოქსი!.. სამაგიეროდ მერე, მოგვიანებით, მარჯანიშვილის არ იყოს, ხომ ცხარე ცრემლით იგლოვეს მისი გარდაცვალება?!.. რა თქმა უნდა, უ. ჩეხეიძის სამუდამო ნასვლას თეატრიდან, სხვადასხვა მიზეზთა კომპლექსური ერთობლიობა განსაზღვრავდა. მისი ბუნებიდან გამომდინარე, ეს გახლდათ უკიდურესად მძაფრი, ზღვარდაუდები ემოციურობა, მგზებარება, რაც ყოველი როლის შესრულებისას, შინაგანი, ფსიქოფიზიკური რესურსების ბოლომდე, თავდაუზოგავ ხარჯვა-წვაში გამოიხინოდა; ამას თან ერთვოდა ურთულესი როლების ერთმანეთის მიყოლებით განსხვაულება; პროფესიულ დატვირთვას ემატებოდა ბოჭემური

ცხოვრების წესიც. ყოველივე ზემოაღნიშნულს დაემატა სათეატრო (და არა მარტო) ხელოვნებისათვის სამწუხაროდ დამახასიათებელი ინტრიგები, მური, უსამართლო გულისტკენა; თეატრის ხელმძღვანელის თანამდებობიდან მისი უზნეო, ბინძური გზით ჩამოშორება უახლოესი ადამიანების მხრიდან; მასზე გავრცელებული უამრავი ჭორი... ყველაფერი ეს უდავოდ იყო და მსახიობის ფსიქიკაზე, ჯანმრთელობაზე, შინაგან განწყობაზე, რა თქმა უნდა, ძლიერ მოქმედებდა; მაგრამ ისეთი ემოციური, მოაზროვნე, კეთილმობილი, ამაყი, ლირსების გრძნობით აღესილი ადამიანისათვის, როგორიც უშანგი გახლდათ, არანაკლებ მტკიცვნეული იქნებოდა დასის მიერ კ. მარჯანიშვილის თეატრიდან გაძევების შემზარავი ფაქტის მეხსიერებაში ღრმად ჩაბეჭდვა... ვფიქრობ, კამათს არ უნდა იწვევდეს, ამის გამო, მსახიობის არსებაში გაჩენილი მწარე სინაულის გრძნობა...

ჩემთვის ყველაზე მთავარი ისაა, რომ ავტორი ცდილობს წიგნში შეინარჩუნოს ობიექტურობა. თვით ყველაზე მტკიცვნეულ, საჩითირო ეპიზოდებშიც კი, იყოს მართალი საკუთარი სინდისისა და ისტორიის წინაშე. შეუძლებელია ამ მგზებარე, უკიდურესად ემოციური, ექსპრესიული, გულშიჩამწვდომი შინაგანი მონოლოგის აუდელვებლად, მშვიდად წაკითხვა. ის ერთნაირი ძალით მოქმედებს, როგორც განცდაზე, ისე გონებაზე: არა მარტო გაცნობისას ბოლომდე გითრევს, არამედ კითხვის დასრულების შემდეგაც გაიძულებს იფიქრო არა მხოლოდ უ. ჩეხეიძეზე, კ. მარჯანიშვილზე, თუნდაც იმდროინდელ ქართულ თეატრზე, არამედ საერთოდ, ზოგადად იმჟამინდელ ქართულ სინამდვილეზე, ყოფაზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე... ამის მიღწევა, დამეთანხმებით, არცთუ ისე იოლია. ყოველგვარი გადაჭარბების, გაზვიადების გარეშე შემიძლია დარწმუნებით, გულწრფელად განვაცხადო - როსტომ ჩეხეიძემ ყოველივე ზემოაღნიშნული შეძლო. მისი წყალობით, ჩვენმა საზოგადოებამ გარდასულ დღეთა შესახებ სიმართლე შეიტყო... სიმართლე, რომელსაც აქამდე იდუმალი „მწვანე ფარდის“ კალთები მაღავდა ჩვენი მზერისაგან.

# ქიდევ ერთი საჩუქარი თეატრის გვალევართათვის

გამოვიდა საქართველის თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა აღწერილობის მორიგი მესამე ტომი (გ. კალანდიას საერთო რედაქციით, ტომის რედაქტორი — ი. მოსინრაფიშვილი. 385 გვ). მასში შევიდა გამოჩენილი რეჟისორის მიხეილ ჭიაურელისა და ქართული ქორეოგრაფიის თვალსაჩინო მკვლევარის, ბალეტმესტერ დავით ჯავრიშვილის საკმაოდ დიდი პირადი საარქივო მასალები. კრებული ეძღვნება დიდი ქართველი თეატრალური და საზოგადო მოღვაწის, გიორგი ერისთავის დაბადებიდან 200 წლის იუბილეს. ამავე დროს, მ. ჭიაურელსა და დ. ჯავრიშვილს ნელს დაბადებიდან 120 წელი უსრულდებათ. გამოცემას ახლავს პირთა საძირებელი, რომელიც მკვლევარებს მუშაობას გაუადვილებს.

სამუზეუმო-საარქივო მასალების ჩანაწერების სისტემატური გამოცემები საქართველოს არცერთ მუზეუმს არ განუხორციელებია. ისინი სამაგიდო წიგნებია მკვლევართათვის, ვინაიდან მუზეუმის კატალოგში საჭირო მასალების ძებნის ნაცვლად მეცნიერებს შეუძლიათ წინასანარ შეარჩიონ მათგვის საინტერესო მასალები და მუზეუმში მოსვლისას გაეცნონ მათ. ამას გარდა, იქმნება ბეჭდვითი და ელექტრონული ვერსიის კატალოგი, რაც სამუზეუმო საქმისათვის მნიშვნელოვანია.

მიხეილ ჭიაურელის არქივი 1976 წელს მუზეუმს ქალბატონმა ვერიკო ანჯაფარიძემ გადასცა, მაგრამ მისი სრულყოფილი დამუშავება დდგმდე ვერ მოხერხდა. არქივი დაამუშავა მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ქეთევან კელეპტრიშვილმა, რომელსაც 2583 ერთეულის დამუშავებისას საკმაოდ შრომატევადი სამუშაოს შესრულება მოუხდა. მასალები ქრონოლოგიურად და თემატურად ისე დალაგდა, რომ ადვილად მოსაძებნი გახდა.

მ. ჭიაურელის ბიოგრაფიულ-შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწობის ამსახველი დოკუმენტებიდან კარგად ჩანს ფილმების გადაღების მოსამზადებელი სამუშაო პროცესი. ირკვევა, რომ იგი აპირებდა ფიროსმანზე ფილმის გადაღებას. აღსანიშნავია, რომ მ. ჭიაურელი პირველი რეჟისორია, რომელმაც საბჭოთა კავშირში ფილმის კადრირება გააკეთა. მასალებში იკვეთება მ. ჭიაურელის მრავალმხრივი შემოქმედება, როგორც თეატრის მსახიობის, რეჟისორის, მულტიპლიკატორის, კარიკატურისტისა და მოქანდაკის. მისი ჩანაწერები, მოგონებები, ეპისტოლარული მექანიზმები ჯერ კიდევ საფუძვლიან შესწავლას საჭიროებს, რაც რეჟისორის შემოქმედებას ახალი სახით წარმოგვიდგენს.

ასევე მნიშვნელოვანია დავით ჯავრიშვილის არქივი, რომელიც 2009 წელს მუზეუმს ქალბატონმა ნატო ჯავრიშვილმა გადასცა და 2800 ერთეულს შეადგენს. ეს შრომატევადი მსალები დაამუშავეს და გამოსაცემად მოამზადეს: ქ. ასათიანმა, ქ. გურაშვილმა, ქ. კელეპტრიშვილმა, ს. კობახიძემ, თ. მაისურაძემ, მ. მერკვილაძემ, ი. მოისნრაფიშვილმა, ნ. ნასიძემ, რ. სიხარულიძემ, ლ. ხოსიტაშვილმა. ამ შემთხვევაში არქივი სანტერესო ფორმით დამუშავდა, რომელსაც დაერთო ფოტოსურათები და ესკიზები. ვფიქრობ, მომავალში არქივების დამუშავება დოკუმენტებისა და ფოტოარქივების გაერთიანებული კატალოგის სახით უნდა გაგრძელდეს, რაც სრულყოფილად წარმოაჩენს (ცნობილ პირთა შემოქმედებას).

დ. ჯავრიშვილი არა ერთი ნოვატორული წამოწყების ავტორია. მან ლოტბარ მ. კუხიანიძესთან ერთად პირველად გააერთიანა სიმღერა და ცეკვა ერთ ანსამბლში, საფუძველი ჩაუყარა ქორეოგრაფიის მეცნიერულ კვლევას, შემუშავა ქართული ხალხური ცეკვების ჩანაწერის სისტემა, რომელმაც შესაძლებელი გახადა მათი ისტორიისთვის შემონხვა. იგი შეიცავს ცეკვის შესრულების სქემებსა და პირობით გრაფიკულ ნიშნებს. მოაწყო ექსპედიციები მთიან აჭარასა და სვანეთში, სადაც სწავლობდა ხალხური ცეკვის მისთვის უცნობ ილეთებს, ინერდა მოცეკვავეთა კომენტარებს, იღებდა ფოტომასალებს. საინტერესოა მისი მოგონებები, შრომები, სტატიები, რეცენზიები, ხელნაწერი ნოტები, ეპისტოლარული მექანიზმები. მკვლევარებს დააინტერესებს მისი მოსაზრებები ბალეტისა და ქორეოგრაფიის განვითარების, ქართული ხალხური ცეკვების ქრესტომათიოსა და სატერმინოლოგიან ლექსიკონის შექმნის შესახებ.

დ. ჯავრიშვილი მრავალმხრივი შემოქმედი იყო, რაზეც მეტყველებს სპორტსაზოგადოება „შევარდენთან“ და კავშირებული მასალებიც, სადაც იგი ქართული მსატერიული ტანგარჯიშის ერთ-ერთ დამფუძნებლად გვევლინება და სპორტულ ნომრებს ამდიდრებდა ქართული ხალხური ცეკვის ილეთებით. მის გარეშე არ ჩატარებულა არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება საბჭოთა კავშირსა და ევროპაში. აღსანიშნავია 1935 წელს მისი ხელმძღვანელობით ლონდონის საერთაშორისო ფესტივალზე ქართველ მოცეკვავეთა გამოსვლა, როდესაც უცხოელებმა პირველად იხილეს ჩვენი ეროვნული ცეკვის ხაბლი. აგრეთვე მოამზადა მოცეკვავები მოსკოვის ხელოვნების დეკადისთვის (1937), ბერლინის საერთაშორისო ფესტივალისთვის (1951), ვარშავის ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალისთვის (1955). საპეტერო სპექტაკლებში დგამდა ქართულ ხალხურ ცეკვებს. ამ მხრივ, საყურადღებოა აკულავასთან ერთად ხარკოვის ოპერისა და ბალეტის თეატრში ზ. ფალიაშვილის, „აბესალომ და ეთერის“ განხორციელება (1931) და სხვ.

მუზეუმის საქმიანობა ყოველწლიურად საინტერესო სახეს იღებს და არაერთ საინტერესო საჩუქარს უმზადებს ქართული კულტურის მკვლევარებს.

გურა გერებელი

## თეატრის მწევმიერობა

უშანგი ჩხეიძის სახელობის ზესტაფონის თეატრში:

ევგენი შეარცი „მეფე შიშველია“



მოქმედნი პირი და შემსრულებელია:  
ქეთე მამ - ვახტაგი გერინი კაქე  
ასინცესა გენრიება - სანა ისააბა  
გენისინი, მწყემსა,  
უნდარიში, თერი - ზურაბ აბესაძე  
ქეთე | გოჭი - თემურ კაქაველიძე  
გუგურისანტი - ნინო აბესაძე  
კამერგები - ბადრი ტაბაგაძე  
| მინისტრი - გიორგი გუგურელი  
|| მინისტრი, || გოჭი - თემურ კელაძე  
საზი გრძნობების  
მინისტრი, III გოჭი - კოკა ჭავაშვილი  
გარინესა - მარქ აბესაძე  
ჰერცოგინა - ნანა წერეთელი

თელავის ვაჟა-ფშაველას სახ. თეატრი:

„პორაციონ“

უღლიამ შექმაბის „პამლეტი“ - ს მიხედვით.  
ერთ მოქმედებად



რედაქტორება - ნინო კანტიძის  
დაძიგმელი რეჟისორი - ლევან ხეიჩია  
მხატვარი - ქეთი ნარეკლაშვილი  
მუსიკალური გაფორმება - ლევან ხეიჩიას

მოქმედი პირი და შემსრულებელია:  
კოლეგიერი - ზურაბ ლომიძე  
გეორგიელა - დათონ ნაცვლაშვილი  
პილევები - ლექსო რა ნიმაძე  
პორაციონ - დათონ ხუნაშვილი  
ბოლონიუსი - თემონ ხუნაშვილი  
ლაურეტი - მარიან ხიდორაშვილი  
ოთეველა - გარილი ქართველიშვილი  
პრემიერა შედგა 2013 წლის 27, 28, 29 დეკემბერს.

## თეატრის მწევმიერობა



### ალეგლის ბალი. რავებიცია

ართონ ჩიხოვის პიესის მიხედვით

თანამდებობა მანან არამაძეს

ალეგლის ბალისორი - ლავით მლარიშვილი  
სავენარაულა - თამარ იავაიძე  
კონკრეტული - ირინ გარავანი



მონაცემება:

ომგერ როვაძე, ნინო ჭიჭიანიძე, ნორა გულაძე, რამინ კოლასორია, მაია ყულავა, ნინო პავლიშვილი, ლილი ბორაველი, გუჯა ჭირია, თამარ ჭიჭიანიძე, გოგირა ჭირიერია, მარტინ ტამბარაშვილი, სანდრო გუგუაძე, გიორგი ჯანყარაშვილი

თეატრის დირექტორი: თანამდებობა

GRTN

თეატრის სახატორი ხელმისაცვლილი: დავით მელიაშვილი

ვ. გუნიაშვილის სახელმწიფო ბარის სახელმისამართი  
სახელმწიფო არიზონასალი თეატრი  
POTI VALERIAN GUNIA  
PROFESSIONAL STATE THEATRE



ოზურგეთის აღ. წუწუნავას სახ. დრამატული თეატრი

### რ. კუნა „მოუხელთებელნა“

დამდგენერალი რექსიონი - ოთარ კუტალაძე, მხატვარი - თამაზ დარიაშვილი, შესიკალური გამცემირქმბლები - ეკა ტესარი და დავით მეგრელიძე, ქორეოგრაფი - მარიკა ქვეთაძე,

მოქმედი პრინცი - თამაზ და შემსრულებლები: ზან მარეგაძე - გიორგი დოლიძე, მერი ბრევაძე - თეა კეჭაყაძე, ას მარეგაძე - ქეთი ცეცულიძე, მარიამ ხანთაძე, გიგა გავატელი - ლევან სალინაძე, ინსპექტორი ბოჯგუა - არა კლი ვადაჭკონია, ინსპექტორი დავალი - გენადი ხაკოლაძეილია, ნიკა თორთოლაუ - ივარ ჩხაძე, რეპორტიორი - თეა ჯიჯუაშვილი, მარიამ ხანთაძე.



### მარკ ტევენა „უფლისწული და მათხოვარი“

ერთ მოქმედებად



სცენური ვერსია რიპრიტ სტურეასი, ნაკოლოზ პაინე-შევლიძისა და ნინო კახტიძისა. დადგმის ხელმძღვანელი - რობერტ სტურუა, რეჟისორი - ნაკოლოზ პაინე-შევლიძე, მხატვარი - მარიან მელიძე, ქორეოგრაფი - მარიამ ალექსიძე, შესიკალური გაფერინება და საგნდელიძისა, საინტურილი ილეიტი კასა ხოშანიას, რეჟისორის თანა შემწე - გრიგოლ თათუაშვილი.

მინაწილეობები: ლელა ახალაა, ზაალ ბარათაშვილი, ლევან ბერიკვაშვილი, მანანა გამცემლიძე, დავით გოცინიძე, ახდრია თაგბერიძე, კახა კუბატაძე, გელა ლევაზა, ნინო მაუშვილი, ალექსანდრე შეიგრძელაბაძე, ედმონდ მიას შვილი, არა კლი სასახა, ტრისტი სარალიძე, ქეთი სუნიძე, ბექა სონდულაშვილი, ჯემალ ღალახიძე, ქეთი ხიტიძე. დექა კლის დეკორაცია და კოსტიუმები დამზადებულია რესტავრაციის თეატრის სახელისნოში.

ამელი ნოტომი „საწევი“



დადგმის ხელმძღვანელი - ლევან წულაძე  
რეჟისორი - თათა ბომაშვილი  
შესიკალური - ბარბარა ასომაშვილი  
ქორეოგრაფი - გა მარიანა  
შესიკალური გამცემლიძე - ზურაბ გაგლოშვილი  
რეჟისორის ასოსტები - ლევან მამაშვილი  
მისაწილეობები:  
პროთეგისორი - მიშა გომიაშვილი  
დახმელი - კოპტ როინაშვილი  
მარინა - ასა ქურთულაძე

ზესტაფონის უშანები ჩხეიძის სახელობის პროფესიული  
სახელმწიფო დრამატული თეატრი  
ალექსანდრ გელმანის „ბაღის სკამის“ მახედვით  
**დაუსრულებელი რომანი**



დამდგელი რეჟისორი - ხათუნა მილორავა  
მხატვარი, მუს. გამცემლებელი - ხათუნა მილორავა  
კოსტიუმების მხატვარი - ნათა ბერიძე  
ტექნიკური რეჟისორი - მარი აბესაძე

მონაწილეობები:  
მარე აბესაძე, გიორგი გლოველი

**ბარეკანის პირველ გვერდზე:**  
 მიხეილ გომიაშვილი  
 ქ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის  
 („ახალი სცენა“) სპექტაკლში „საწვავი“

**ბარეკანის მეორე გვერდზე:**  
 ლეო ანთაძის ვარსკვლავი  
 ქ. მარჯანიშვილის თეატრითან

**ბარეკანის მეორეს გვერდზე:**  
 სცენა ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახ.  
 თეატრის სპექტაკლიდან „მეფე შიშველია“

**„თეატრი და ცქოვრება“**  
 „THEATRE AND LIFE“

№1, 2014

დამკაბადონებელი გიორგი მალხასიანი	კორექტორი მარინე ვასაძე
ელექტრო ფოსტა: TEATRIDACXOVREBA@GMAIL.COM ფასი — სახელშეკრულებო რედაქციის მისამართი: თბილისი 0107, გ. ლეონიძის ქ. №11°. ტელ.: 2999096	
აინტერ და დაკაბადონდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში	



ତ୍ୟାଗିନୀ  
ରୋ  
ଫ୍ରେଣ୍ଡ୍ସର୍କ୍ୟୁଲେସନ୍

Nº 1  
2014

